საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა (ფაკულტეტი)

გვანცა ბურდული

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერების საკითხი რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე (1906 წელი)

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

„საქართველოს ისტორია“

სადოქტორო ნაშრომი შესრულებულია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ვახტანგ გურული
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

თბილისი

2012 წელი

ანოტაცია

სადოქტორო-სადისერტაციო ნაშრომი ,,საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერების საკითხი რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე (1906 წელი)“ - წარმოადგენს ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად გამიზნული ნაშრომის. ნაშრომი სრულდება ქართული უნივერსიტეტის ისტორიის მიმართულების (ხელმძღვანელი აკად. როინ მეტრეველი) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან XXI საუკუნის დამდეგამდე)“ ფარგლებში.

ჩვენი გამოკვლევა საქართველოს ისტორიისა და საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის უმნიშვნელოვანეს პრობლემას ეძღვნება. რუსეთის საიმპერატორო კარმა საქართველოს დაპყრობისა და სახელმწიფოებრიობის გაუქმების შემდეგ (XIX საუკუნის დამდეგი) მიზნად დაისახა ქართველი ერის ასიმილაცია, რისთვისაც საკმარისი არ იყო მხოლოდ ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობა. რუსეთის კოლონიური პოლიტიკა ითვალისწინებდა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის თვითმწყემსობის (ავტოკეფალიის) გაუქმებას. 1811 წელს გაუქმდა ერთ-ერთი უძველესი საპატრიარქო – მცხეთის საპატრიარქო, ხოლო 1814 წელს – ლიხთიმერეთისა და აფხაზთა საპატრიარქო.

1811 წლიდან საქართველოს ეკლესია რუსული ბიუროკრატიული სისტემის დანამატად აქციეს. სამართლიანადაა მიჩნეული, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმდა იმპერატორის და რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის გადაწყვეტილებით, რისი უფლებაც მათ არ ჰქონდათ. მათი ქმედებით დაირღვა წმინდა მსოფლიო კრებათა და მოციქულთა კანონები...

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას მოჰყვა ეკლესიის რბევა და ძარცვა. 1811-1906 წლებში რუსეთმა საქართველოში დახურა 800 ეკლესია და 1 5 მონასტერი, 29 ეპარქიის ნაცვლად მხოლოდ 5 ეპარქია დატოვეს. გაძარცვეს ეკლესიები და მონასტრები, გაიტანეს ხატები, ხელნაწერი წიგნები, ჯვრები, ბარძიმები და სხვა საეკლესიო ნივთები. გარდა ნაძარცვისა, რუსებმა საქართველოს ეკლესიას ოფიციალურად ჩამოართვეს 220 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების უძრავი და მოძრავი ქონება, ყოველივე ეს კი საქართველოში გამოგზავნილი ეგზარქოსების ინიციატივითა თუ დახმარებით ხდებოდა.

XIX საუკუნიდან მოყოლებული საქართველოში მოღვაწე ეგზარქოსებიდან მხოლოდ თითო-ოროლა შეიძლება გამოიყოს, რომლის დროსაც აშკარა ანტიქართულ გამოხატულებებს ადგილი არ ჰქონია. ი. ი. ვოსტორგოვის გამონათქვამიც ხომ ამის დასტურია: „საქართველოს ეგზარქოსს, უპირველეს ყოვლისა, უნდა ახსოვდეს, რომ ის ვალდებულია მთელი თავისი ენერგია მოახმაროს ქართველთა გარუსების საქმეს რელიგიურ საფუძველზე“.

მიუხედავად ამისა, რუსეთის საიმპერატორო კარმა ვერ შეძლო ეროვნული სულის ჩაკვლა ქართველ სამღვდელოებაში. ამის დადასტურებას წარმოადგენდა XX საუკუნის დამდეგიდან საქართველოში დაწყებული ავტოკეფალისტური მოძრაობა.

1905 წლის გაზაფხულიდან მოყოლებული გახშირდა ქართველი სამღვდელოების კრებები, რომლებზეც ითხოვდნენ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის თვითმწყემსობის (ავტოკეფალიის) აღდგენას. XX საუკუნის დამდეგს რუსეთში 1700 წლიდან გაუქმებული პატრიარქობის აღდგენისა და საეკლესიო კრების მოწვევის საკითხი დაისვა. ეს ძალზედ რთული საკითხი იყო და მის მოსამზადებლად შეიკრიბა საგანგებო თათბირი - რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირი. თათბირს უნდა გადაეწყვიტა რუსეთში პატრიარქობის აღდგენისა და საეკლესიო კრების მოწვევის განახლება. თავისთავად პატრიარქობის აღდგენა და საეკლესიო კრების მოწვევის განახლება ითხოვდა უამრავი საკითხის განხილვასა და გადაწყვეტას, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნას. საეკლესიო კრების წინარე თათბირზე იხილებოდა არაველიკორუსულ მხარეებში, მათ შორის კავკასიაში, საეკლესიო ცხოვრების მოწყობის საკითხი, კერძოდ, რა სახით უნდა დაქვემდებარებოდა კავკასია და, მათ შორის, საქართველო რუსეთის პატრიარქსა და საეკლესიო კრებას. სწორედ ამის გამო მოხდა საეკლესიო კრების წინარე თათბირის დღის წესრიგში საქართველოს ეკლესიის საკითხი. სურდათ თუ არ სურდათ, რუსებს უნდა განეხილათ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფა-ლიის გაუქმების კანონიერების საკითხი. მხოლოდ ამ საკითხის განხილვის შემდეგ შეიძლებოდა მიღებულიყო გადაწყვეტილება საქართველოში საეკლესიო ცხოვრების მოწყობის თაობაზე.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის კანონიერების საკითხის განხილვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს დაპყრობისა (1801-1810 წწ.) და საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის

გაუქმების (1811-1814 წწ.) შემდეგ ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ქართველ სამღვდელოებასა და მეცნიერებს მიეცათ საშუალება, ოფიციალურ დონეზე დაეცვათ საქართველოს ეკლესიის ინტერესები. ქართველმა მღვდელმთავრებმა, ყოვლადსამღვდელო კირიონმა (გიორგი საძაგლიშვილმა) და ყოვლადსამღვდელო ლეონიდმა (ლონგინოზ ოქროპირიძემ), ქართველმა მეცნიერებმა: ნიკო მარმა, ალექსანდრე ხახანაშვილმა და ალექსანდრე ცაგარელმა ღირსეული პოლემიკა გაუმართეს და რუს სამღვდელოებასა და მეცნიერებს დაუსაბუთეს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების უკანონობა და აქედან გამომდინარე ავტოკეფალიის აღდგენის სამართლიანობა და კანონიერება. შეიძლება ითქვას პრაქტიკულად ქართველებმა რუსები აიძულეს ეღიარებინათ საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აუკანონოდ გაუქმება, თუმცა თათბირის გადაწყვეტილებაში მან ასახვა ვერ ჰპოვა. მიუხედავად ამისა, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი მაინც უარყოფითად გადაწყდა.

გამოკვლევაში წარმოდგენილია ქართველი მღვდელმთავრებისა და მეცნიერების დიდი ღვაწლი, რუს მეცნიერებთან და სამღვდელოებასთან მათი პოლემიკის შინაარსი და მნიშვნელობა.

Annotation

The thesis for a doctor's degree - "Issue on legality of Georgian Church Autocephaly at the pre-conference of Russian Church Meeting (1906)" – represents the work aimed at obtaining the academic degree of Doctorate in History. The work is being implemented within the Doctorate Educational Program "History of Georgia (from the oldest period till the beginning of the XXI century)" of History Department of Georgian University (Head Acad. Roin Metreveli).

Our research is dedicated to the most significant challenge of History of Georgia and History of Apostolic Church of Georgia. After conquering Georgia and cancelation of the state system (the beginning of the XIX century) Russian Empire aimed to assimilation of Georgian nation for which only annihilation of Georgian state organization was not enough. Colonial policy of Russia implied abolition of autocephaly of Apostolic Orthodox Church of Georgia. In 1811 one of the oldest patriarchates – Mtskheta Patriarchate and in 1814 – Likht-Imereti and Abkhazians' Patriarchates were canceled.

Since 1811 Georgian Church was turned into the addition to Russian bureaucratic system. It is justly considered that autocephaly of Georgian church was abolished on base of the resolution of the Imperator and Holiness Synod the right of which they had not. By their action Holy World Meetings and Apostles' Laws were broken…

Cancelation of Georgian Orthodox Church Autocephaly was followed by raid and robbery in the churches. In 1811-1906 Russia closed 800 churches and 15 monasteries, 5 eparchies were left instead of 29 eparchies. The churches and monasteries were robbed, the icons, manuscript books, crosses, holy vessels and other

church objects were taken away. Except robbed objects, Russians confiscated movable and immovable estate with amount of over 220 million to the Georgian Church, all this was performed by initiate or help of the exarchates sent to Georgia.

Since XIX century one or two exarchates acting in Georgia may be allocated during which obvious anti-Georgian expressions had no place. Even I.I. Vostorgov's statement is a proof of it: "Exarchate of Georgia, first of all, should remember that it is obliged to do its best and make efforts to the affair of making Georgians into Russians on base of religion".

However, Russian Empire could not suppress national spirit in Georgian clergy. The verification of it was autocephaly movement beginning in Georgia from the end of the XX century.

Since spring 1905 the Georgian clergies' meetings had been frequented at which the restoration of autocephaly of Georgian Apostolic Church was requested. At the end of XX century in Russia since 1700 the issue on restoration of abolished patriarchate and convening church meeting had been set. It was extremely sophisticated question and the special conference – pre-conference of Russian church meeting was held for its preparation. The conference was to solve the issue on restoration of patriarchate in Russia and renewal of convening church meeting. Restoration of patriarchate and renewal of convening church meeting itself needed discussion and solution of a number of issues, creation of appropriate legislative base. At the pre-conference of the church meeting the issue on arrangement of church life was discussed, especially, how Caucasus and, including Georgia, had to subordinate to the Patriarch of Russia and church meeting in non-Russian regions, including Caucasus. Just due to it the issue of Georgian church was included in the agenda of pre-conference of the church meeting. Whether they wanted, Russians had to discuss the question on legitimacy of abolition of Georgian church autocephaly. Only after

discussion of this issue the decision on adjustment of church life in Georgian might be adopted.

Discussion of the issue on legality of Georgian Church autocephaly restoration was of great importance. After conquest of Georgia by Russian Empire (1801-1810) and abolition of Georgian apostolic church autocephaly (1811-1814) it was the first occasion when Georgian clergy and scientists were given opportunity to defend interests of Georgian church at the official level. Georgian bishops, All clergy Kirion (Giorgi Sadzaglishvili) and all clergy Leonid (Longinoz Okropiridze), Georgian scientists: Niko Mari, Aleksadnre Khakhanashvili and Aleksandre Tsagareli conducted reasonable dispute and confirmed illegality of abolition of Georgian apostolic church autocephaly to the Russian clergy and scientists and hence legality and justice of autocephaly restoration. Actually it may be said that Georgians forced Russians to admit illegal abolition of autocephaly of Georgian apostolic Orthodox Church, though it failed to reflect in the decision of the conference. However, the issue on restoration of Georgian church autocephaly was even negatively solved.

The great merit of Georgian clergy and scientists, content and importance of their dispute with Russian scientists and clergy is represented in the present research.

შინაარსი

ანოტაცია ……2

Annotation……5

შესავალი …….....**9**

I თავი. რეფორმების დასაწყისი რუსეთის ეკლესიაში და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი (XX საუკუნის დამდეგი)…….....14

II თავი. ქართველი მღვდელმთავრები რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე…….....25

III თავი. ქართველი მეცნიერები რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე.....57

IV თავი. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის თაობაზე გადაწყვეტილების მომზადება და მიღება 154

დასკვნა 213

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა 219

დანართი..... 221

შესავალი

საკვლევი პრობლემის აქტუალობა. სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომის თემა „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერების საკითხი რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე (1906 წელი)“ აქტუალურია ზოგადად, როგორც საქართველოს ახალი ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა და კონკრეტულად, როგორც საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის ერთ-ერთი საკვანძო საკითხი. საქართველოს ისტორიაში XX საუკუნის დამდეგიდან შეინიშნება რამდენიმე საყურადღებო მოვლენა. ამ მოვლენათაგან ჩვენ გამოვყოფთ ორს: **პირველი.** რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის შექმნისათვის დაწყებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობას (ავტონომისტთა მოძრაობას); **მეორე.** საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის მოძრაობას (ავტოკეფალისტთა მოძრაობას). რუსეთის იმპერიის ისტორიოგრაფიაში არცერთი ზემოხსენებული საკითხი ობიექტურად არ შუქდებოდა. რუსეთის იმპერიის პოლიტიკური ხელმძღვანელობა დაინტერესებული იყო გვერდი აევლო, მიეჩქმალა ან გაეყალბებინა, როგორც ქართველ ავტონომისტთა, ისე ავტოკეფალისტთა მოძრაობის ისტორია. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ ქართველ ავტონომისტთა და ავტოკეფალისტთა მოძრაობა მიმართული იყო რუსეთის იმპერიის საერო და სასულიერო ხელისუფლების წინააღმდეგ, წარმოაჩენდა რუსეთის სახელმწიფოსა და რუსეთის ეკლესიის პოლიტიკას ქართველი ერისა და საქართველოს მიმართ. რამდენადაც დაუჯერებელი არ უნდა იყოს რუსეთის იმპერიის ისტორიოგრაფიის მიერ დაწყებული საძრახისი საქმე გააგრძელა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ. რუსეთის იმპერიის სამართალმემკვიდრის - საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობისათვის ქართველ ავტონომისტთა მოძრაობა განიხილებოდა, როგორც პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, მშრომელი მასების ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ მოძრაობად. რაც შეეხება ქართველ

ავტოკეფალისტთა მოძრაობას, ისევე როგორც საერთოდ საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიას საბჭოთა ისტორიოგრაფია არ განიხილავდა ქართველი ერის ისტორიის განუყოფელ ნაწილად და ამდენად ამ მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი მუშაობაც არ მიმდინარეობდა. ქართველ ავტონომისტთა და ავტოკეფალისტთა მოძრაობის ისტორიის შესწავლა შესაძლებელი გახდა საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ (XX საუკუნის 90-იანი წლებიდან).

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მუშაობის პერიოდში საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავოტკეფალიის აღდგენისათვის ქართველი მღვდელმთავრებისა (ეპისკოპოს კირიონის, ეპისკოპოსი ლეონიდის) და ქართველი მეცნიერების (ნიკო მარის, ალექსანდრე ცაგარელის, ალექსანდრე ხახანაშვილის) მოღვაწეობას, კერძოდ, მათ პოლემიკას რუს სამღვდელოებასთან (ეპისკოპოსებთან, მღვდლებთან) და რუს მეცნიერებთან (ეკლესიის ისტორიისა და საეკლესიო სამართლის ცნობილ მკვლევარებთან). რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე ქართველი სამღვდელოებისა და მეცნიერების მოღვაწეობის შესწავლის გარეშე ვერ დაიწერება საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის ბრძოლის ისტორია და საერთოდ საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია. გარდა ამისა, ზემოხსენებული პრობლემის შესწავლის გარეშე სრულფასოვნად ვერ გაშუქდება XX საუკუნის დამდეგის საქართველოს ისტორია. ყოველივე ზემოთქმული განაპირობებს სადისერტაციო თემის „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერების საკითხი რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე (1906 წელი)“ აქტუალობას.

ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩო. სადოქტორო სადისერტაციო თემის დასათაურებიდან გამომდინარე ვერ შევეხებით საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლის მთელს ისტორიას, XX საუკუნის დამდეგიდან 1917 წლამდე. ჩვენ მოვლენათა განვითარებას ვეხებით 1906 წლის მარტიდან დეკემბრამდე, ანუ რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მუშაობის დაწყებიდან მის დასრულებამდე. ცხადია, თემის სრულფასოვნად

გაშუქება მოითხოვდა მოკლედ მაინც შევხებოდით ქართველი სამღვდელოების მოღვაწეობას საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის 1905 წელს და რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში შექმნილ მდგომარეობას XX საუკუნის დამდეგისათვის.

სადისერტაციო თემის შესწავლის მდგომარეობა. სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის დაწყების დროისათვის თემის გარშემო არსებული წყაროების ნაწილი გამოქვეყნებული იყო, ქართველ მკვლევარებს დაწერილი და გამოქვეყნებული ჰქონდათ საინტერესო ნაშრომები. შევეცდებით მოკლედ წარმოვადგინოთ წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა

ა) წყაროების მიმოხლივა. სადოქტორო სადისერტაციო თემის დამუშავებისათვის ჩვენთვის უმნიშვნელვანეს წყაროს წარმოადგენდა რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის სტენოგრამები. ეს სტენოგრამები თათბირის დამთავრებისთანავე სამ ტომად გამოიცა (Журналы и протоколы заседании Высочайше учрежденнаго Предсоборнаго Присутствия. Том. I-III. Синодальная типография. С.-Петербург, 1906.). სამტომეულის სტრუქტურიდან გამომდინარე ქართველი მღვდელმთავრებისა და მეცნიერების გამოსვლები მესამე ტომში უნდა ყოფილიყო გამოქვეყნებული (Журналы и протоколы заседании Высочайше учрежденнаго Предсоборнаго Присутствия. Том. III. Синодальная типография. С.-Петербург, 1906). სამტომეულის შესწავლისას გაირკვა, რომ ქართველ მღვდელმთავართა და მეცნიერთა გამოსვლებმა ამ გამოცემაში მხოლოდ ნაწილობრივ ჰპოვა ასახვა. ცხადია, ეს პოლიტიკური მოსაზრებით გაკეთდა. საბედნიეროდ რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მუშაობის პერიოდში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უწმიდესი სინოდის ორგანო, ჟურნალი „Церковныя Ведомости“ თითქმის სრულად აქვეყნებდა საეკლესიო კრების წინარე თათბირის სხდომების სტენოგრამებს, მათ შორის ქართველ მღვდელმთავართა და მეცნიერთა გამოსვლების სტენოგრამებს. კონკრეტულად ჩვენთვის საინტერესო მასალა დაცულია „ცერკოვნიე ვედმოსტის“ 1906 წლის 46-ე, 47-ე, 51-52-ე ნომრებში, 1907 წლის მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-9, მე-10 ნომრებში. ჩვენთვის ძირითად წყაროს სწორედ „ცერკოვნიე ვედმოსტში“ გამოქვეყნებული სტენოგრამები წარმოადგენდა. რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მონაწილე ქართველ მეცნიერთაგან ორმა - ნიკო მარმა და ალექსანდრე ცაგარელმა თავიანთი გამოსვლები და თათბირზე წარდგენილი

დოკუმენტები ცალკე გამოცემების სახითაც გამოქვეყნეს (**Н. Марр.** История Грузии. Спб. 1906; **А. А. Цагарели.** Статьи и Заметники по Грузинскому Церковному Вопросу. С-Петербург. 1912). რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის პერიოდში მცირე მასალა პერიოდულ ქართულ გამოცემებში გამოქვეყნდა („**მწყემსი**“, №3-4, 1883-1906, 15-28 თებერვალი; **„მწყემსი“,** №5, 1883-1906, 15 მარტი; **„ჯვარი ვაზისა“,** №1, 1990; **„ჯვარი ვაზისა“,** №3-4, 1906, 17 აპრილი; **„დროშა“,** №3, 1992; **„რელიგია“,** №10-12, 1997). რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე მოვლენათა განვითარება დეტალურად და საინტერესოდ არის წარმოდგენილი ეპისკოპოს კირიონის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში (აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია. მართლმადიდებლობა (თბილისი 2006); საღვთისმეტყველო კრებული (თბილისი 1997); ქრისტიანობა საქართველოში (თბილისი 2000); ანალები (თბილისი 2000); პრომეთე, №XI-XII (თბილისი 2002); კალმასობა, №1-3 (თბილისი 1999); კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, №XXI (თბილისი 2005). საინტერესო მასალაა დაცული ეპისკოპოს კირიონის გახმაურებულ ნაშრომში („კულტურნაია როლ ივერიი“). სადოქტორო სადიერტაციო თემის დამუშავებისათვის ფრიად საყურადღებო მასალა გამოაქვეყნეს ჯემალ გამახარიამ, ვახტანგ გურულმა, მერებ ვაჩნაძემ, კონსტანტინე ალიბეგაშვილმა, კობა ჭუმბურიძემ, ვახტანგ გურგენიძემ, გაიოზ მამალაძემ.

ჩვენს მიერ მოძიებულ დოკუმენტებსა და მასალებზე, ასევე უკვე გამოქვეყნებულ წყაროებზე დაყრდნობით შევეცადეთ წარმოგვეჩინა ქართველ სამღვდელოთა და მეცნიერთა მოღვაწეობა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მიზნით რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე.

ბ) ლიტერატურის მიმოხლილვა. სადოქტორო სადისერტაციო თემას „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერების საკითხი რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე (1906 წელი)“ მონოგრაფიული გამოკვლევა არ მიძღვნია, თუმცა თემის ცალკეულმა საკითხებმა ასახვა ჰპოვა ქართველ ისტორიკოსთა ნაშრომებში. კინკრეტულად, მხედველობაში გვაქვს მაღალყოვლადუსამღვდელოესის, მიტოპოლიტ **ანანია ჯაფარიძის**: „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“ (ტ. IV, თბილისი 2003), „საქართველოს საეკლესიო კრებები“ (ტ. III, თბილისი 2003), „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“ (თბილისი 2009), „საქართველოს

საეკლესიო კანონების კრებული“ (თბილისი 2010); **სერგო ვარდოსანიძის** „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1927 წლებში (თბილისი 2000); „კირიონ II უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. 1917-1918“ (1994 წელი); „ქართველი მღვდელმთავრები XX-XXI საუკუნეებში“ (თბილისი 2010), **აკაკი ვარაზაშვილის** „საქართველოს ეკლესიის ისტორიისა და ავტოკეფალიის ზოგიერთი საკითხი“ (თბილისი 1999); „ქართველი ისტორიკოსები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში“ (თბილისი 2000); **ქეთევან პავლიაშვილის** „საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია 1800-1945“. (თბილისი 2008); **მედეა ბენდელიანის** „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია XX საუკუნის 30-40-იან წლებში“ (თბილისი 2002); ვახტანგ თორაძის „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია“ (თბილისი 2006); წმ. ღვდელმწამე კირიონ მეორე. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიისათვის. საარქივო მასალები 1906 წელი“ (თბილისი 2005); **ილამაზ დადეშქელიანის** „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია. კანონიკურ-სამართლებრივი ანალიზი (თბილისი 2011).

ზემოხსენებული ავტორების ნაშრომები ჩვენთვის წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს ისტორიოგრაფიულ ნაღვაწს. ამ გამოკვლევებმა ბევრ პრობლემაში ღრმად და საფუძლინად ჩაგვახედა და სტიმული მოგვცა კვლევის ახალი მიმართულების განსაზღვრისათვის.

თავი I. რეფორმების დასაწყისი რუსეთის ეკლესიაში და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი (XX საუკუნის დამდეგი)

რუსეთის სახელმწიფოს ისტორიაში ახალი ეპოქა დაიწყო პეტრე დიდის (1696-1725) დროს. მის მიერ გატარებულმა რეფორმებმა ძირეულად შეცვალა რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემა. პეტრე დიდმა საფუძველი ჩაუყარა ზესახელმწიფოს, რომლის არსებობის წესად იქცა მეზობელი ერებისა და სახელმწიფოთა მიმართ ექსპანსია როგორც ევროპაში, ისე აზიაში. რუსული ისტორიოგრაფია დღემდე ცდილობს, პეტრე დიდი წარმოადგინოს რუსეთის სახელმწიფოს, რუსული სამყაროს ევროპეიზაციის იდეოლოგად და პრაქტიკულ განმახორციელებლად. სინამდვილეში პეტრე დიდს ეს აზრადაც არ მოსვლია. მის მიერ გატარებული რეფორმების შედეგად რუსეთი განვითარების ევროპულ გზას არ დასდგომია, რუსეთში არ დამკვიდრებულა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემა. პეტრე დიდი რუსეთს განაგებდა, როგორც ტიპური აზიელი დესპოტი და დასავლეთ ევროპის მეფეებსა და იმპერატორებზე მეტად, როგორც სახელმწიფო მოღვაწე, ირანის შაჰებსა და ოსმალეთის სულთნებს ემსგავსებოდა. ყოველივე ეს ცხადად დადასტურდა პეტრე დიდის დამოკიდებულებით რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისადმი და იმ საეკლესიო რეფორმით, რომელიც რუსეთში 1700-1721 წლებში გატარდა. საეკლესიო რეფორმას, რომელიც პეტრე დიდმა გაატარა, არ ჰქონია რაიმე ეკლესიური (თეოლოგიური) საფუძველი, მეტიც, იგი სახელმწიფო (საერო) პოლიტიკით იყო განპირობებული. ცხადია, სახელმწიფო რეფორმებს პეტრე დიდი ვერ გაატარებდა ეკლესიის მხარდაჭერის გარეშე. ამიტომ იყო, რომ პირველი რიგის ამოცანად იქცა რეფორმა თვით რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში. საეკლესიო რეფორმა ძალზე გაჭიანურდა, იგი 1700 წლიდან 1721 წლამდე მიმდინარეობდა. რეფორმის არსი მდგომარეობდა შემდეგში: უნდა

გაუქმებულიყო მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის თანამდებობა, აღარ უნდა მოეწვიათ რუსეთის საეკლესიო კრება, ხოლო ეკლესიის მართვა-გამგეობა უნდა გადასულიყო განსაკუთრებული სასულიერო კოლეგიის ხელში. 1720 წლის 27 თებერვალს პეტრე დიდის წინადადებითა და ინიციატივით შემუშავებული და ხელმოწერილი იქნა სასულიერო კოლეგიის დაარსებისა და პროექტ-რეგლამენტის წესდება. სასულიერო კოლეგიის დაარსების საკითხი არ განუხილავს რუსეთის საეკლესიო კრებას. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მისი დაარსება უკანონო იყო. 1721 წლის 25 იანვარს გამოიცა პეტრე დიდის მანიფესტი სასულიერო კოლეგიის რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე. 1721 წელსვე სასულიერო კოლეგია გარდაიქმნა უწმიდეს მმართველ სინოდად, რომელიც უშუალოდ მეფეს (1721 წლის 25 ოქტომბრიდან იმპერატორს) ექვემდებარებოდა. სინოდის წევრები ფიცს დებდნენ არა ეკლესიის, არამედ იმპერატორის ერთგულებაზე, ე. ი. პრაქტიკულად საეკლესიო იერარქები (მიტროპოლიტები, არქიეპისკოპოსები, ეპისკოპოსები) გაუთანაბრეს საერო (სახელმწიფო) მოხელეებს. რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის წევრები მღვდელმთავრები (მიტროპოლიტები, არქიეპისკოპოსები, ეპისკოპოსები) იყვნენ, მაგრამ ობერ-პროკურორი (თავმჯდომარე) საერო პირი უნდა ყოფილიყო. სინოდის წევრებს და ობერ-პროკურორს იმპერატორი ნიშნავდა და ათავისუფლებდა. იმპერატორის უზენაესი როლი რუსეთის ეკლესიის მართვა-გამგეობაში სავსებით ნათლად იყო გამოკვეთილი რუსეთის იმპერიის კანონმდებლობით. 1832 წელს გამოცემული რუსეთის იმპერიის ძირითადი კანონების ორმოცდამეორე მუხლში აღნიშნულია: „იმპერატორი, როგორც ქრისტიანი ხელმწიფე“ არის ქრისტიანობის, მისი დოგმატებისა და ეკლესიის უზენაესი დამცველი. იმავე მუხლის ძალით იმპერატორი იწოდებოდა „ეკლესიის მეთაურად“. ორმოცდამესამე მუხლში აღნიშნული იყო, რომ იმპერატორი (თვითმპყრობელი) ეკლესიის მართვას ახორციელებდა უწმიდესი მმართველი სინოდისა და მისი დაწესებულების მეშვეობით. რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას უწმიდესი მმართველი სინოდი 1721 წლიდან 1917 წლამდე განაგებდა. ორ საუკუნეზე მეტი (1700-1917 წწ.) რუსეთის ეკლესიას პატრიარქი არ ჰყოლია **(ვაჩნაძე ... 2007: 83-90).**

რუსეთის საიმპერატორო კარმა საქართველოს დაპყრობის შემდეგ (XIX საუკუნის დამდეგი) მიზნად დაისახა ქართველი ერის ასიმილაცია და საქართველოს გადაქცევა რუსეთის იმპერიის განუყოფელ ნაწილად **(გურული 2003: 32-33).** ყოველივე ამისათვის

საკმარისი არ იყო ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობა. რუსეთის კოლონიური პოლიტიკა ითვალისწინებდა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის თვითმწყემსობის (ავტოკეფალიის) გაუქმებას. 1811 წელს გაუქმდა ერთ-ერთი უძველესი საპატრიარქო – მცხეთის საპატრიარქო, ხოლო 1814 წელს – ლიხთიმერეთისა და აფხაზთა საპატრიარქო **(ჯაფარიძე ... 2003: 1090-1091)**

XIX საუკუნის განმავლობაში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის მიზანი იყო საქართველოს რუსეთის ეკლესიის რიგით ეპარქიად გადაქცევა. საქართველოს ეგზარხოსი და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა თანმიმდევრულად ახორციელებდნენ საეკლესიო ცხოვრების რუსიფიკაციას (ღვთისმსახურების რუსულ ენაზე აღსრულება, წმიდა წერილისა და ლოცვანის რუსულ ენაზე გამოცემა, ქართული საეკლესიო გალობის რუსულით შეცვლა, სასულიერო განათლების რუსიფიკაცია და სხვ.). მიუხედავად ამისა, რუსეთის საიმპერატორო კარმა ვერ შეძლო ეროვნული სულის ჩაკვლა ქართველ სამღვდელოებაში. ამის დადასტურებას წარმოადგენდა XX საუკუნის დამდეგიდან საქართველოში დაწყებული ავტოკეფალისტური მოძრაობა **(ჯაფარიძე ... 2003: 1101-1102)**

1905 წლის 18 თებერვალს იმპერატორ ნიკოლოზ მეორის მიერ გამოცემული რესკრიპტი, რომლის ძალითაც იმპერიაში გამოცხადდა სიტყვის თავისუფლება, ქართველმა სამღვდელოებამ თავისი მიზნის აღსრულებისათვის გონივრულად გამოიყენა. დეკანოზებმა კალისტრატე ცინცაძემ და ანტონ თოთიბაძემ, ისტორიკოსმა სერგი გორგაძემ გადაწყვიტეს აღეძრათ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი. სერგი გორგაძეს დაევალა „ქართული ეკლესიის მართვა-გამგეობის პროექტის“, ხოლო კალისტრატე ცინცაძეს კი რუსეთის იმპერიის მთავრობაში გასაგზავნი პეტიციის შედგენა. პეტიციაში ჩამოყალიბებული იყო შემდეგი მოთხოვნები:

1. „ივერიის ეკლესიას დაუბრუნდეს ავტოკეფალური უფლებები და თავისი კათოლიკოსითურთ აღდგეს მცხეთა-ივერიის კათოლიკოსატი ადრინდელ საზღვრებში (გუბერნიები: თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ნაწილი შავი ზღვის გუბერნიისა – აფხაზეთი, სამურზაყანო და ზაქათალის ოლქი);

2. აღდგეს წესი, როცა ღვთისმსახურები განთავისუფლებულ ადგილებს არჩევნების შედეგად იკავებდნენ;

შენიშვნა – ა) კრებულის წევრთა ადგილების დასაკავებლად მრევლი ირჩევს უფლებაუნარიან კანდიდატებს, ხოლო სამღვდელოება და ხალხის წარმომადგენლები – კათოლიკოსსა და მღვდელმსახურებს. არჩეულ მღვდელმთავარს ამტკიცებს ივერიის ეკლესიის ყველა მღვდელმთავრის კრება კათოლიკოსის მეთაურობით და კათოლიკოსთან არსებული წმიდა სინოდი, ხოლო კათოლიკოსს – უზენაესი საერო ხელისუფლება.

შენიშვნა – ბ) მღვდელმთავართან არსებულ საეპარქიო საბჭოზე ამა თუ იმ ადგილზე, სასულიერო პირთა კანდიდატურების არჩევის საქმის ჯეროვანი განხილვის შემდეგ, არჩეულს ამტკიცებს და შესაბამის წოდებას ანიჭებს ადგილობრივი ეპისკოპოსი, რომელსაც ყოველ შემთხვევაში უფლება აქვს დასაბუთებული ვეტოს დადებისა.

3. კათოლიკოსთან დაფუძნდეს წმიდა სინოდი (თავმჯდომარე კათოლიკოსი), ხოლო ეპარქიის მღვდელმთავრებთან – საბჭოები, შედგენილი გარკვეული ვადით არჩეული სასულიერო და საერო პირთაგან.

4. კათოლიკოსთან არსებული წმიდა სინოდის ხელში მოექცეს ყველა ეკლესიის, მონასტრის, სამღვდელოების, სასწავლო-სასულიერო დაწესებულებებისა და საქველმოქმედო დაწესებულებების უმაღლესი მართვა-გამგეობა.

5. ივერიის ეკლესიას დაუბრუნდეს სახელმწიფოსათვის გადაცემული ყველა საეკლესიო მამული“ **(ღამბაშიძე 1905: 1-2).**

1905 წლის გაზაფხულიდან მოყოლებული გახშირდა ქართველი სამღვდელოების კრებები, რომლებზეც ითხოვდნენ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის თვითმწყემსობის (ავტოკეფალიის) აღდგენას. რუსეთის ხელისუფლება ქართველი სამღვდელოების მოთხოვნებს უმკაცრესი რეპრესიებით პასუხობდა, განსაკუთრებით კი დევნიდა სამღვდელოების შეკრებებს. 1905 წლის 31 მაისს თბილისში დაარბიეს ქართველი სამღვდელოების ყრილობა. ხელისუფლების ბრძანებით სასულიერო პირებს სასტიკად გაუსწორდნენ, მათრახებით სცემეს და შენობიდან ძალით გამოდევნეს. ამ მოვლენას ასე აღწერს ჟურნალ „მწყემსში“ გამოქვეყნებულ მასალაში დეკანოზი დავით ღამბაშიძე:

„კავკასიის ნამესტნიკის განკარგულებით, 31 მაისს თბილისის სასულიერო სემინარიასთან მომხდარი ინციდენტის გამოსაძიებლად შემდგარმა კომისიამ, რომელსაც თავმჯდომარეობდა ნამესტნიკის განკარგულებაში მყოფი გენერალ-მაიორი სტახოვიჩი და

რომელშიც მონაწილეობას იღებდა თფ. გუბ. თავადაზნაურთა წინამძღოლის თანამდებობების აღმასრულებელი თავ. ა. ი. ჯამბაკურიან-ორბელიანი, სამღვდელოების კრების თავმჯდომარე, ბლაღოჩინი ქრ. ციცქიშვილი და საქართველოს ექსარხოსის წარმომადგენელი კოლ. სოვ. ტრელინი, წარუდგინა ნამესტნიკს მოხსენება ამ შემთხვევის შესახებ.

ამ მოხსენებაში კომისია, სხვათა შორის, აღნიშნავს, რომ სამღვდელოების კრების 31 მაისის საღამოს სხდომას მიაწყდა მრავალი კერძო საზოგადოება, რომელმაც კრებაზედ დიდი უწესობა და მღელვარება გამოიწვია, რის გამოც კრების თავმჯდომარემ საჭიროდ დაინახა სხდომის დახურვა. თავმჯდომარის გამოსვლის შემდეგ ერთმა კერძო პირმა, სემინარიაში ნამყოფმა, დააპირა სიტყვის წარმოთქმა, მაგრამ დამსწრე სამღვდელოებამ არ მისცა ამის ნება და შეაჩერა. ამ შემთხვევისა გამო გამოწვეულმა ჟრიამულმა მიიქცია ყურადღება და მიიზიდა შენობაში დიდძალი გარეშე ხალხი. პოლიციელმა ტელეფონით აცნობა ეს ამბავი მე-3 ნაწილის ბოქაულს, რომელიც დაუყოვნებლივ გაჩნდა და მამა რექტორის თხოვნის თანახმად მივიდა მის ბინაზედ. აქ ორის მღვდლის თანდასწრებით მ. რექტორმა გამოუცხადა ბოქაულს ნაბიბეკოვს, რომ სხდომაზედ წრეს გადასული ხმაურობაა, მრავალი კერძო კაცი შემოდის და ყველა ეს მეტად მაფიქრებს და მაშინებს, რომ შენობას ან თვითონ მე არაფერი ხიფათი შემემთხვეს, მით უმეტეს, რომ მე გაგებული მაქვს სამღვდელოების მტრული განწყობილება და განზრახვა ჩემდამი, რომ უკვე მომივიდა წერილობითი ცნობები ჩემის მოკვლისა და სემინარიის შენობის აფეთქების შესახებო. ამის გამო მ. რექტორმა სთხოვა ბოქაულ ნაბიბეკოვს, მიეღო შესაფერი ზომები და კერძო პირები დაეთხოვნა სემინარიის შენობიდან. ამ პირთა დათხოვნის შემდეგ ბოქაულმა შენიშნა, რომ ერთი მღვდლის შვილი, ასათიანი, აძლევდა მღვდელს რევოლვერს, რომელიც წაართვა ბოქაულმა და წარუდგინა მ. რექტორს. რექტორმა სთხოვა ნაბიბეკოვს, რომ შენობისათვის თვალყური ედევნებინა და დაეთხოვნა იქიდან სამღვდელოება. ამასობაში სემინარიასა და პუშკინის ბარს შუათავმოყრილ სამღვდელოებისა და კერძო პირთა შორის მღელვარება თან და თან უფრო ძლიერდებოდა. ამ დროს ქარვასლასთან მოკლული იქმნა პოლიციელი. ხმა გავარდა, რომ იგი მოჰკლა მღვდელმა, თუ იმისმა მხლებელმაო. სამღვდელოებასთან კი სულ სხვა ხმა მივიდა: ვითომ სრულიად უმიზეზოდ დაეჭიროს იმათი ერთი თანამოძმე მღვდელი. ამ დროს მოკლული დარაჯიც გამოატარეს, რომ ხალხისთვის გზა

დაეცლევინებინათ. ბოქაულმა ნაბიბეკოვმა გამოიწვია ათი ყაზახი, რომელთაც, კომისიის აზრით, „სტრაჟნიკებიც“ შეუერთდნენ და ყველა ესენი შეუდგნენ მათრახებით ხალხის გაფანტვას. რადგან ხალხში მღვდლებიც ერია, ზოგს იმათაც მოხვდა მათრახები.

მოწმეების გამოკითხვით აღმოჩნდა, რომ მღვდლებმა თავის დასახსნელად სარდაფებსა, ტრამვაის ვაგონებსა და რესტორნებს შეაფარეს თავი. ზოგი მათგანი ისევ სემინარიაში შებრუნდა, ამათ იქ ხალხი შეჰყვა. ნაცემი მღვდლების ჩვენების ჩამორთმევით აღმოჩნდა, რომ ერთს ლოყაზედ ეტყობოდა მათრახით ნაცემი, მეორეს შლიაპა ქონდა დახეული და ყელზე ჭრილობა მათრახითვე. ზოგს ისე მოხვედროდათ მათრახები, რომ არაფერი ნიშნები არ დასტყობოდათ. ქუჩაში ერთ კაცს ბოქაულმა ორი რევოლვერი და 60 პატრონით სავსე საპატრონე წაართვა.

სემინარიის შენობის გაჩხრეკის დროს აღმოაჩინეს 12 უცხო პირი, რომელთა შორისაც რამდენიმე სემინარიიდან დათხოვნილი აღმოჩნდა. რადგან მ. რექტორი დაჟინებით თხოულობდა, რომ სემინარიიდან უსათუოდ გაეყვანათ ის სამღვდელოებიც-კი, რომელნიც ექსარხოსის ნებართვით ღამე დგომით იყვნენ იქ დაბინავებულნი და სრულებით დაეცალიერებინათ შენობა, ამიტომ ბოქაულმა ღამის 11 საათზედ მიჰმართა პოლიცმეისტერს, რომელიც მოვიდა ადგილობრივ საქმის მოსაწესრიგებლად. შენობაში მოდარაჯეებად ყაზახები ჩააყენეს და იმ ღამემ წყნარად და მშვიდობიანად ჩაიარა.

ძნელია გამოძიებით ახსნას კაცმა დაწვლილებით იმისთანა შემთხვევა, როგორიც შეხვდა ქართლ-კახეთის სამღვდელოების კრებას თბილისში. მაგრამ რაც აღმოაჩინა გამოძიებამ, ისიც საკმაოა, რომ ჩვენის მხრით გულითადი მწუხარება და თანაგრძნობა გამოუცხადოთ ქართლ-კახეთის სამღვდელოებას იმ შეურაცხებისათვის, რომელიც მას მიაყენეს 31 მაისს. როგორც სჩანს, მამა რექტორს დიდი მზრუნველობა გამოუჩენია სემინარიის შენობის დაცვისათვის მით, რომ არ სურდა, მღვდლებს ბინა ქონებოდათ სემინარიაში, თუმცა ექსარხოსიდან ნება ეძლეოდათ, მაგრამ აქ სულ სხვა განზრახვაა...

რა დაუშავეთ, მაგ. მის წინა მოადგილეს, რომ 1902 წელს დ. ყვირილაში მძინარ ოჯახობას ჟანდარმები და შეიარაღებული სტრაჟნიკები თავს დაგვასხა და 6 საათის განმავლობაში დაჭერილი ვიყავით მთელი ოჯახობით. ვიჩივლეთ, დაინიშნა ფიცხელი გამოძიება და რა გამოვიდა? გამოძიება თავისთვის გდია და დამნაშავეს კი უმაღლესი ხარისხი მიანიჭეს!..

ჩვენ გვაკვირვებს მამა რექტორის სიტყვა, რომელიც მოხსენებაშია: „სამღვდელოება მტრულად მიყურებს და მოკვლით მემუქრებიანო“ – ბრძანებს მ. ნიკანდრი. ამისთანა პირი დღეს თუ ხვალ ამ სამღვდელოების ეპისკოპოსად უნდა გახდეს... ეს არის მოციქულების და მსოფლიო კრების კანონებისამებრ აღრჩევა საეპისკოპოსოდ იმისთანა პირებისა, რომელსაც სამღვდელოება და საზოგადოება უნდა ირჩევდეს? ღმერთო, უარესისაგან დაგვიფარე!..

მოწყალე ხელმწიფე იმპერატორი ჩვენზე დაშორებული იყო, მაგრამ დღეს დაახლოებულია მისი მოადგილის დანიშვნით. მასზეა ჩვენი იმედი, რომ ამიერიდან არ ვიქნებით ისე დაჩაგრული, როგორც დღემდის ვიყავით, განსაკუთრებით სამღვდელოება“ **(ვაჩნაძე... 2008: 86-88).**

მიუხედავად რეპრესიებისა, ქართველი სამღვდელოება ვერ დააშინეს. 1905 წლის 18 დეკემბრამდე თბილისში მიმდინარეობდა ქართველი სამღვდელოების კრება. კრებამ მიიღო უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი: „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის გეგმა (პროექტი)“ **(ვაჩნაძე ... 2008: 160-196).**

მიმდინარე რევოლუციის პირობებში დიდი ცვლილებები მიმდინარეობდა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში. შავი და თეთრი სამღვდელოების ნაწილი, მათ შორის ცნობილი მღვდელმთავრები, სასულიერო აკადემიების პროფესორები, ცნობილი მეცნიერები ითხოვდნენ რუსეთის ეკლესიის მართვა-გამგეობისა და სასულიერო განათლების სისტემის რეორგანიზაციას. სულ უფრო პოპულარული ხდებოდა მოთხოვნა პატრიარქობისა და საეკლესიო კრების აღდგენის თაობაზე **(ვაჩნაძე ... 2007: 5-23).**

რუსეთის საიმპერატორო კარი გრძნობდა, რომ საჭირო იყო რეფორმები, მაგრამ მან ისიც კარგად უწყოდა, რომ საეკლესიო რეფორმის გატარება ადვილი არ იქნებოდა, რეფორმას სერიოზული გააზრება და გულდასმით მომზადება სჭირდებოდა. გადაწყდა, რომ რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში გასატარებელი რეფორმის პროექტი უნდა მოემზადებინა საგანგებოდ შექმნილ ორგანოს – რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირს **(Бычков 1998: 117-120).**

საეკლესიო კრების წინარე თათბირი გაიხსნა 1906 წლის 8 მარტს პეტერბურგში, ალექსანდრე ნეველის ტაძარში. თათბირი გახსნა პეტერბურგის მიტროპოლიტმა ანტონმა (ვადკოვსკიმ). საეკლესიო კრების წინარე თათბირს დიდი მისია დაეკისრა. მას ბიძგი უნდა მიეცა რუსეთის სულიერი ცხოვრების აღორძინებისათვის. საეკლესიო კრების

წინარე თათბირის დასრულების შემდეგ მოწვეული იქნებოდა რუსეთის საეკლესიო კრება. წინარე თათბირზე წამოყენებული იქნა საკითხები, რომელთა გადაჭრაც აუცილებლობას მოითხოვდა. უწმიდესი სინოდის წევრთა და ეპისკოპოსთა აზრით, უმჯობესი იყო, ეს საკითხები შვიდ ჯგუფად გაეყოთ და საეკლესიო კრების წინარე თათბირს მათ განსახილველად შვიდი განყოფილება შეექმნა. თათბირის მონაწილეებს შეეძლოთ თვითონ აერჩიათ, თუ შვიდიდან რომელ განყოფილებაში სურდათ მუშაობა. სულ საეკლესიო კრების წინარე თათბირის მონაწილეთა შორის იყო 10 ეპისკოპოსი და სასულიერო აკადემიებისა და უნივერსიტეტების 21 პროფესორი. თათბირის წევრი იყო უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორი ა. დ. ობოლენსკი. როგორც ჩანს, რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირი საკმაოდ ვიწრო შემადგენლობით შეუდგა მუშაობას. შემდეგში თათბირის შემადგენლობა გაიზარდა სასულიერო და საერო პირთა ხარჯზე **(Бычков 1998: 121-124).**

საეკლესიო კრების წინარე თათბირზე, როგორც აღვნიშნეთ, შეიქმნა შვიდი განყოფილება. ყოველ მათგანს კონკრეტულ საკითხზე (საკითხებზე) უნდა გამოეთქვა აზრი. ეს საკითხები იყო:

1. რუსეთის საეკლესიო კრების შემადგენლობა და ცენტრალური საეკლესიო ორგანოები;

2. ეპარქიების რეორგანიზაცია, სამიტროპოლიტოების დაარსება, საქართველოს ეკლესიის მომავალი სტატუსი;

3. საეკლესიო სასამართლო, განქორწინება და შერეული ქორწინება;

4. ეკლესიის სამწყსოები, საეკლესიო (სასულიერო) სასწავლებლები, სამღვდელოების მონაწილეობა არასაეკლესიო მოძრაობაში;

5. საღვთისმეტყველო სწავლება;

6. სტაროვერები;

7. სექტანტები **(Бычков 1998: 125-128).**

საეკლესიო კრების წინარე თათბირის მიერ შემუშავებულმა რეკომენდაციებმა, ისევე როგორც 1905 წლის ზაფხულში ჩატარებულმა ეპარქიების მმართველი ეპისკოპოსების გამოკითხვის შედეგებმა, ცხადი გახადა რუსეთის ეკლესიის განახლებისაკენ მისწრაფება. მოთხოვნა სავსებით ნათელი იყო – სინოდალური მმართველობის გაუქმება და საეკლესიო კრების, როგორც უმაღლესი საეკლესიო ხელისუფლების ორგანოს აღდგენა.

ამასთან ერთად აუცილებლად იქნა მიჩნეული პატრიარქობის აღდგენა. პატრიარქი უნდა ყოფილიყო რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური და საეკლესიო კრების თავმჯდომარე, ეკლესიის უმაღლესი წარმომადგენელი სახელმწიფოსთან ურთიერთობაში და საერთაშორისო ასპარეზზე. რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდი რჩებოდა, მაგრამ ის აღარ იქნებოდა საეკლესიო ხელისუფლების ორგანო. უმაღლესი საეკლესიო ხელისუფლება უნდა გადასცემოდა რუსეთის საეკლესიო კრებას. საეკლესიო კრება უნდა მოწვეულიყო რეგულარულად, რომლის დელეგატებიც აირჩეოდნენ ეპარქიების ყრილობებზე. საეკლესიო კრების დელეგატი შეიძლება ერისკაციც ყოფილიყო, მაგრამ გადამწყვეტი ხმა მხოლოდ შავ სამღვდელოებას (მიტროპოლიტებს, არქიეპისკოპოსებს, ეპისკოპოსებს, იღუმენებს და ა. შ.) ექნებოდათ. საეკლესიო კრების წინარე თათბირის აზრით, ეპარქიათა მმართველი ეპისკოპოსები უნდა აერჩიათ ეპარქიების ყრილობებზე. აუცილებლად იქნა მიჩნეული ეპარქიების მმართველობის რეორგანიზაცია. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საეკლესიო სასამართლოს, რომელიც პრაქტიკულად XVIII საუკუნის შემდეგ აღარ შეცვლილა. ძირეული ცვლილებები იგეგმებოდა საეკლესიო (სასულიერო) განათლების სისტემაში **(Бычков 1998: 128-130).**

საეკლესიო კრების წინარე თათბირის პირველი განყოფილება ხერსონის არქიეპისკოპოსის დიმიტრის (კოვალნიცკის) თავმჯდომარეობით იხილავდა სამიტროპოლიტოების შექმნის, სამიტროპოლიტოების მართვისა და ეპარქიების რეორგანიზაციის საკითხს. მეორე განყოფილება 14 წევრისაგან შედგებოდა და სხდომებს პირველ განყოფილებასთან ერთად ატარებდა. მესამე განყოფილებამ შეიმუშავა საეკლესიო სასამართლოს გარდაქმნის პროექტი და განსაზღვრა საეკლესიო ქორწინების, ასევე შერეული ქორწინების წესი. განყოფილებამ მხარი დაუჭირა ოთხსაფეხურიანი საეკლესიო სასამართლოს შემოღებას. ეს სასამართლოები იყო: 1) სამწყსოს (ანუ ერთი ეკლესიის სასამართლო), 2) საბლაღოჩინო (ანუ საბლაღოჩინო ოკრუგის სასამართლო, რომელიც რამდენიმე სამწყსოს (ეკლესიის) სასამართლოს წარმოადგენდა), 3) საეპარქიო (ანუ სამიტროპოლიტოს, საარქიეპისკოპოსოს და საეპისკოპოსოს სასამართლო), 4) სინოდალური (ანუ რუსეთის ეკლესიის სასამართლო). მეოთხე განყოფილება მოგილევის ეპისკოპოს სტეფანეს (არხანგელსკის) თავმჯდომარეობით სამწყსოს პრობლემებით (სამრევლო სკოლები, სამწყსოს ქონება) იყო დაკავებული. განყოფილებას აზრი უნდა გამოეთქვა ეპარქიების ყრილობებსა და საერო დაწესებულებების მუშაობაში

სამღვდელოების მონაწილეობის თაობაზე. მეხუთე განყოფილება ფსკოვის ეპისკოპოს არსენის (სტადნიცკის) თავმჯდომარეობით არკვევდა საღვთისმეტყველო სწავლების საკითხს. მეექვსე განყოფილება ვოლინსკის არქიეპისკოპოს ანტონის (ხრაპოვიცკის) თავმჯდომარეობით არკვევდა სტაროვერებთან, ასევე უნიტებთან, კათოლიკეებთან და ლუთერანებთან დამოკიდებულების საკითხს. მეშვიდე განყოფილება, რომელსაც ფინეთის არქიეპისკოპოსი სერგი (სტრაგოროდსკი) თავმჯდომარეობდა, სექტანტთა შემოტევისაგან მართლმადიდებლური რწმენის დაცვის საკითხზე მუშაობდა **(Бычков 1998: 131-133).**

საეკლესიო კრების წინარე თათბირის და მისი განყოფილების მუშაობის პერიოდში რუსეთის ყველა სასულიერო აკადემიის სპეციალისტსა და მღვდელს საშუალება მიეცა გასცნობოდა თათბირისა და მისი განყოფილების მონაცემებს, ასევე 1905 წლის ზაფხულში ჩატარებული ეპისკოპოსების გამოკითხვის მასალებს. რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მუშაობის პერიოდში დიდი უთანხმოება გამოიწვია პატრიარქობის აღდგენის საკითხმა. გამოითქვა შიში იმის თაობაზე, რომ შეიძლებოდა პატრიარქი რომის პაპის ტიპის ეკლესიის მეთაური გამხდარიყო. პირველი განყოფილების სხდომაზე გადაწყდა, რომ საეკლესიო კრების მოწვევამდე რუსეთის ეკლესიის უპირველესი პირი ატარებდა პეტერბურგის მიტროპოლიტის ტიტულს. რუსეთის ეკლესიის პირველი პატრიარქი კი უნდა არჩეულიყო საეკლესიო კრებაზე **(Бычков 1998: 134-150).**

რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილება იხილავდა საქართველოს ეკლესიის სტატუსის საკითხსაც. ქართველმა მღვდელმთავრებმა, ეპისკოპოსმა კირიონმა (გიორგი საძაგლიშვილმა) და ეპისკოპოსმა ლეონიდმა (ლონგინოზ ოქროპირიძემ), ცნობილმა მეცნიერებმა, ქართველოლოგებმა ნიკო მარმა, ალექსანდრე ცაგარელმა და ალექსანდრე ხახანაშვილმა როგორც კანონიკური, ისე მეცნიერული თვალსაზრისით დაასაბუთეს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის კანონიერება და სამართლიანობა. რუსმა მეცნიერებმა და სამღვდელოებამ ვერაფერი დაუპირისპირეს ქართველთა ლოგიკურ მტკიცებულებებს. მიუხედავად ამისა, საეკლესიო კრების წინარე თათბირმა მიუღებლად მიიჩნია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირმა 1906 წლის 15 დეკემბერს მუშაობა დაასრულა.

რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირი საქართველოსათვის სასურველი შედეგით არ დამთავრებულა. მიუხედავად ამისა, ქართველმა სამღვდელოებამ და მეცნიერებმა შეძლეს, დაესაბუთებინათ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის კანონიკურობა და სამართლიანობა. თითოეულმა მათგანმა უდიდესი ღვაწლი დასდო ამ საქმეს.

თავი II. ქართველი მღვდელმთავრები რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების სხდომებზე

1906 წლის 2 ივნისს მუშაობა დაიწყო რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილებამ (სექციამ), რომელსაც უნდა გადაეწყვიტა საეკლესიო საკითხები კავკასიაში. კრება გაიხსნა დილის 10 საათზე ყოვლადუსამღვდელოესი **ნიკანდრის** თავმჯდომარეობით ალექსანდრე ნეველის ლავრაში. კრებას ესწრებოდნენ: ყოვლადსამღვდელო **სტეფანე** – მოგილევის ეპისკოპოსი; **კირიონი** – სოხუმის ეპისკოპოსი; **ექვთიმე (ელიაშვილი)** – გორის ეპისკოპოსი; დეკანოზები: **ტ. ი. ბუტკევიჩი, თ. ი. ტიტოვი;** პროფესორები: **ი. ს. ბერდნიკოვი, მ. ა. ოსტროუმოვი, ა. ი. ალმაზოვი, ვ. ზ. ზავიტნევიჩი, ნ. ნ. გლუბოკოვსკი, ი. ი. სოკოლოვი, ა. ი. ბრილიანტოვი და პ. ბ. მანსუროვი.** თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მეორე განყოფილებაში განსახილველად შემოსული იყო საკითხი კავკასიაში საეკლესიო საქმეების მოწყობის თაობაზე. ამ საკითხის განხილვისათვის მოწვეულნი იყვნენ: ყოვლადსამღვდელო **სტეფანე** – მოგილევის ეპისკოპოსი; **კირიონი** – სოხუმის ეპისკოპოსი; **ექვთიმე** – გორის ეპისკოპოსი და დეკანოზი **იოანე ვოსტორგოვი.** ყოვლადსამღვდელო კირიონმა განყოფილების სხდომას წარუდგინა ორი მოხსენება: 1) **„საქართველოს ეკლესიის საკითხისათვის“; 2) „რა აიძულებს ქართველებს, მიაღწიონ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას?“**

აღნიშნული მოხსენებების წაკითხვის შემდეგ ეპისკოპოსმა **სტეფანე მოგილეველმა** სურვილი გამოთქვა, რომ საქმის სრულად შესწავლისათვის მოსმენილი ყოფილიყო ყოვლადსამღვდელო **ლეონიდის** მოხსენება. ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენებამ დამსწრეთა შორის დიდი აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ალბათ გასაკვირიც არ იყო, რომ იმერეთის ეპისკოპოსის მოხსენებას უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვებოდა რუს მღვდელმთავართა და მეცნიერთა მხრიდან.

ყოვლადსამღვდელო **ლეონიდის** მოხსენებაში რუსეთის ეკლესიის მიმართ წარმოდგენილი იყო შემდეგი ბრალდებები: 1. საქართველოს ეკლესიას რუსი ეგზარქოსები მართავდნენ თავიანთი უღირსი ფავორიტების მეშვეობით; 2. თრგუნავდნენ ყოველივე ქართულს, ეროვნულს, დევნიდნენ ყველაფერს: საქართველოს ეკლესიის წმიდა ტრადიციებს, რიტუალებს, რომლებსაც ეკლესია ინახავდა ქრისტიანობის გავრცელების პირველივე საუკუნეებიდან; 3. სპობდნენ წმიდა ეკლესიის სიძველეებს; 4. მათი ქმედებების გამო ეგზარქოსები ვერ სარგებლობდნენ ქართველი საზოგადოების ნდობით; 5. ყოველივე ზემოთქმულის გამო ქართველმა სამღვდელოებამაც დაკარგა მრევლის ნდობა; 6. სასულიერო განათლების სფეროში ძირითადად რუსები მოღვაწეობდნენ; 7. სასულიერო სემინარიებსა და სასწავლებლებში დაეცა განათლების დონე; 8. 1883 წლამდე საქართველოს სასულიერო სემინარიასა და სასწავლებლებში ქართული ენა არ ისწავლებოდა, რის გამოც მომავალი ქართველი სამღვდელოება ვერ ფლობდა მრევლისათვის გასაგებ მშობლიურ ენას; 9. მოძღვრები ღებულობდნენ არასაეკლესიო განათლებას, ხოლო სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებულთაგან იშვიათად თუ ხდებოდა ვინმეს მღვდლად კურთხევა; 10. სამღვდელო ხარისხის მატარებელნი უღირსი საქციელით არა მარტო მრევლის, არამედ საზოგადოების არაეკლესიური ნაწილის აღშფოთებასაც კი იწვევდნენ **(Церковныя Ведомости №47, 1906: 1-2).**

ეპისკოპოს **ლეონიდის** მოხსენებამ უკმაყოფილება გამოიწვია დამსწრეთა შორის. ეპისკოპოსი **სტეფანე** შეეცადა მთლიანად გაექარწყლებინა მოხსენებაში ჩამოყალიბებული ბრალდებები. მან ასეთი მოსაზრება გამოთქვა: „მოხსენებაში ნაჩვენებია საქართველოს ეკლესიის თხუთმეტსაუკუნოვანი აყვავება და მისი დაცემა რუსული მმართველობის დროს, მაგრამ ეს ასე არ არის. თავის მხრივ ისტორია მოწმეა, რომ თვით დამოუ-კიდებლობის პერიოდშიც კი საქართველოს ეკლესია არ იყო ძლიერი. ამასვე ადასტურებენ უცხოელი მოგზაურები (შარდენი, XVI საუკუნე; დიაკონი პავლე ალეპოელი ანტიოქიის პატრიარქის მოგზაურობის აღწერისას). ცხადია, რომ საქართვე-ლოს სინოდალურ კანტორაში და წმიდა სინოდის არქივში, ასევე კავკასიის მთავარი სამოქალაქო მმართველობის არქივში, მოიძებნება უამრავი მიუკერძოებელი მოწმობა იმი-სა, თუ რა მდგომარეობაში იყო საქართვლოს ეკლესია რუსეთთან შეერთებამდე და რა მდგომარეობაში ჩაიბარა ის რუსეთმა. ვფიქრობ, ამას ვერ ვუწოდებთ აყვავებას და ძნელად თუ ვინმეს, თავდადებულ ქართველს, მოუნდება აღადგინოს „უწინდელი საეკ-

ლესიო წესრიგი“, რომელიც სურს იდეალურად წარმოადგინოს მაღალსამღვდელო ლეონიდმა. ძალზე საკვირველია, მოელოდე ეკლესიის აყვავებას ქვეყანაში, რომელიც მთლიანად გაანადგურეს მეზობელმა დამპყრობლებმა – სპარსელებმა და თურქებმა. ასი წლის განმავლობაში მიწასთან ასწორებდნენ არა მარტო ქართულ ქალაქებს, არამედ ქართულ ტაძრებსა და მონასტრებს, რომელთა ნანგრევები დღესაც გვხვდება ყოველ ნაბიჯზე, რაც საქართველოს ეკლესიის მცირე ხნის წინანდელი გამოუვალი მდგომარეობის ერთგვარი დასტურია. უამრავი გამაჰმადიანებული ქართველი ჰყავს საქართველოს, თვით ქართველი მეფენიც კი იყვნენ გამაჰმადიანებული. საქართველოს მეფეები XVI საუკუნიდან, თუკი ადრეც არა, მუდმივად მიმართავდნენ რუს თვითმპყრობელებს დახმარებისათვის. ისინი ხშირად ითხოვდნენ რუსეთის მფარველობაში ყოფნას, რაც, მათი თქმით, განპირობებული იყო საქართველოში ეკლესიისა და თვით ქრისტიანობის დაცემით. საკმარისია ითქვას, რომ საქართველო რუსეთთან შეერთებამდე შეადგენდა: 30 000 კვადრატულ ვერსტს, მხოლოდ 459 დასახლებული პუნქტითა და 160 000 მცხოვრებლით, რომელთა რიცხვში შედიოდნენ – ოსები, სომხები და თათრები. ეს არის არა უმეტესი დღევანდელი მაზრის ტერიტორიისა. აქ საუბარი ეკლესიის კეთილდღეობაზე ისტორიის საწინააღმდეგოდ გასაკვირია, მით უმეტეს, სურვილი ეკლესიის იმგვარ წესრიგზე დაბრუნებისა, როგორიც მაშინ იყო... საქართველოს ეკლესიის მართვის თაობაზე რუსეთთან შეერთებისას საჭიროა აღვნიშნოთ, რომ 1817 წლამდე ეგზარქოსები იყვნენ ქართველები და, მაშასადამე, ყველაფერი, რაც უწმიდესი სინოდის მიერ გაკეთებულა საქართველოს მართვის საქმეში ადრინდელი სისტემის შეცვლისათვის, კეთდებოდა თვით ქართველი მღვდელმთავრების თანხმობით. 1817 წლიდან დაიწყეს რუსი ეგზარქოსების დანიშვნა“**(Церковныя Ведомости №47, 1906: 2–3).**

ყოვლადსამღვდელო **კირიონი** შეეცადა პოლემიკაში ჩართულიყო და ეპისკოპოს სტეფანეს მიერ მოყვანილი ფაქტები გაექარწყლებინა. ქართველმა მღვდელმთავარმა სხდომის მონაწილეებს განუმარტა, რომ უსამღვდელოესი სტეფანე არამართებულად იყენებდა არქიდიაკონ პავლე ალეპოელის ცნობებს ანტიოქიის პატრიარქ მაკარის საქართველოში მოგზაურობის თაობაზე. პატრიარქ მაკარის არაფერი უთქვამს საქართველოს ეკლესიის დაკნინების თაობაზე. პირიქით, საგრძნობი იყო პატრიარქის პატივისცემა საქართველოს ეკლესიისა და ქართველი ერისადმი. ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა იმით, რომ მოსკოვში ყოფნის დროს ლიტურგიაზე, პატრიარქებისა და მეფის

თანდასწრებით, მას სახარება წაუკითხავს ქართულად. ქართულადვე წარმოუთქვამს კვერექსი: „კათაკმეველნო, განვედით!“ ეპისკოპოს კირიონის განმარტებით, ყოვლადსამღვდელო სტეფანე ცდებოდა, როდესაც აცხადებდა, რომ თვით ქართველები ზრუნავდნენ რუსი ეროვნების ეგზარქოსების დანიშვნაზე **(Церковныя Ведомости №47, 1906: 3).** უსამღვდელოესი სტეფანე პოლემიკაში ჩაერთო და ამ საკითხის გადასაჭრელად მან საბუთებისა და დოკუმენტების შეგროვება მოითხოვა, რათა მათზე დაყრდნობით გამოერკვიათ, თუ ვინ ზრუნავდა ქართველი ეგზარქოსების რუსებით ჩანაცვლებაზე და რა მოტივით იყო გამოწვეული ასეთი ცვლილებები. თუმცა მას თათბირზე მოუწია განემარტა საქართველოს ეგზარქოსების საკითხი: „როცა ვსაუბრობდი, რომ 1817 წლამდე ეგზარქოსები იყვნენ ქართველები, მე ვიგულისხმე დროის ხანგრძლივობა და არა პირთა რაოდენობა („Говоря, что до 1817 года экзархами были грузины, я указал на количество времени, а не количество лиц…“ **(Церковныя Ведомости №47, 1906: 3).** ეპისკოპოსმა სტეფანემ კვლავ განაგრძო ყოვლადსამღვდელო ლეონიდის მოხსენების კრიტიკა. მასში მოყვანილი ფაქტები მან ცილისწამებად შერაცხა. რუსი მღვდელმთავრის აზრით, ცილისწამება იყო ისიც, რომ თითქოს რუსი ეგზარქოსები საეგზარქოსოს მართავდნენ მათთვის მისაღები პირების დახმარებით. ეპისკოპოსი სტეფანე ამტკიცებდა, რომ იგი თავად იყო თვითმხილველი იმისა, თუ როგორ იმართებოდა საეგზარქოსო და ადასტურებდა იმას, რომ არანაირი დამხმარე პირები ეგზარქოსებს არ ჰყავდათ. მაგალითად მოჰყავდა საქართველოს ეგზარქოსები: **ისიდორე, იოანიკე** და **პალადი.** ეს ეგზარქოსები, რუსი მღვდელმთავრის აზრით, პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდნენ საქართველოში. ეპისკოპოსი სტეფანე მიიჩნევდა, რომ ქართველებმა ვერ შეიყვარეს ეგზარქოსი **პავლე** (ლებედევი – გ. ბ.) მისი სიმკაცრის გამო. რუსი მღვდელმთავრი მიიჩნევდა, რომ ეგზარქოსი პავლე თავისი მოღვაწეობით ყველაზე გამორჩეული იყო და შეუძლებელი იყო, მასზე რაიმე სახის ზეგავლენა მოეხდინა მასთან დაახლოებულ პირთაც კი. ეპისკოპოსმა სტეფანემ მოსთხოვა გორის ეპისკოპოს ექვთიმეს, გაეხსენებინა საქართველოში ეგზარქოსების მმართველობის პერიოდი (1811-1917 წწ. – გ. ბ.) და ნათელი მოეფინა სიმართლისათვის. ეპისკოპოსმა ექვთიმემ აღნიშნა, რომ ეგზარქოსი **თეოფილაქტე** (რუსანოვი – გ. ბ.) და მომდევნო ეგზარქოსები დამოუკიდებლად მართავდნენ თავიანთ სამწყსოს. ქართველი მღვდელმთავარი სიყვარულით იხსენებდა ეგზარქოს **ისიდორეს** (ნიკოლსკის – გ. ბ.) და ახასიათებდა მას, როგორც ქველმოქმედს,

მრავალი ეკლესიისა და მონასტრის დამფუძნებელს და განმაახლებელს. ეპისკოპოსი ექვთიმე დადებითად ახასიათებდა საქართველოს ეგზარქოსებს: **ევსევის** (ილინსკის – გ. ბ.), **იოანიკეს** (რუდნევს – გ. ბ.), **პავლესა** (ლებედევსა – გ. ბ.) და **პალადის** (რაევს – გ. ბ.), თუმცა, მისივე თქმით, გამონაკლისი იყო ეგზარქოსი **ევსევი,** რომელმაც საქართველოში მოღვაწეობის პერიოდში დაიახლოვა დეკანოზი **ბასხაროვი.** საზოგადოება უკმაყოფილებას გამოთქვამდა როგორც ბასხაროვის, ისე ევსევის მიმართ, რის გამოც რუსეთის ეკლესიის უწმიდეს სინოდს საჩივრითაც მიმართეს. ამ საჩივრებისა და სხვა უცნობი მიზეზების გამო სინოდმა მალევე გასცა განკარგულება საქართველოდან ევსევის გადაყვანის თაობაზე **(Церковныя Ведомости №47, 1906: 4).**

ყოვლადსამღვდელო **კირიონმა** აღნიშნა, რომ საქართველოს ეგზარქოსმა **თეოფილაქტემ** (რუსანოვმა – გ. ბ.) ჯერ კიდევ რუსეთში ყოფნის დროს ფიცხი და ამავე დროს სუსტი ხასიათი გამოავლინა. მას ჰქონდა არასასიამოვნო ურთიერთობა რუსეთის ეკლესიის ბევრ მღვდელმთავართან. მაგალითად, მოგილევის მთავარეპისკოპოს **ვარლამს** მისი წარდგინებით ჩამოართვეს სამღვდელმთავრო ხარისხი; სმოლენსკის ეპისკოპოს **ირინეოს ფალკოვსკისთან** მტრული ურთიერთობის გამო თეოფილაქტე იძულებული გახდა, უარი ეთქვა თავის კათედრაზე და გადასულიყო კიევში. რუსეთში თეოფილაქტე რუსანოვი ვერ შეეგუა მიტროპოლიტ **ფილარეტს,** რის გამოც იგი გადაიყვანეს კავკასიაში, სადაც კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიის მმართველი იყო მექრთამეობით ცნობილი მისი ღვიძლი ძმა. ეპისკოპოსი კირიონი შეეხო თბილისის რუ-სულ სასულიერო სემინარიას. მისი თქმით, საქართველოში რუსეთთან შეერთებამდე იყო ორი სემინარია, რუსეთთან შეერთების შემდეგ ისინი დახურეს. მართალია, 17 წლის შემ-დეგ გახსნეს, მაგრამ მხოლოდ ერთი და ისიც რუსული **(Церковныя Ведомости №47, 1906: 4–5**). სემინარიების საკითხმა პოლემიკა გამოიწვია. სხდომის მონაწილენი არ დაეთანხმნენ ეპისკოპოს **კირიონის** მოსაზრებას. ეპისკოპოსი სტეფანე თვლიდა, რომ საქართველოში სემინარიები დაიხურა ჯერ კიდევ კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ის დროს და არ გახსნილა პირველი ქართველი ეგზარქოსის ვარლამის (ერისთავის) დროსაც. მხოლოდ რუსი ეგზარქოსების მოღვაწეობის პერიოდში მოხდა სასულიერო სემინარიისა და სასწავლებლის დაარსება **(Церковныя Ведомости №47, 1906: 5).** დეკანოზი **თ. ი. ტიტოვი** დიდი სიყვარულით იხსენებდა საქართველოს ეგზარქოს **იოანიკეს** (რუდნევს – ავტ.), რომელმაც საქართველოში დააარსა პირველი ქალთა

სასულიერო სასწავლებელი. დეკანოზ თ. ი. ტიტოვის აზრით, ეგზარქოსი იოანიკე მთელ შემოსავალს ქართველებს გადასცემდა სხვადასხვა დანიშნულებისათვის. იგი დიდად უკმაყოფილო იყო ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენებით, რომელიც ცუდად ახასიათებდა რუს ეგზარქოსებს. დეკანოზი **ტ. ი. ბუტკევიჩი** და პროფესორი **ნ. ნ. გლუბოკოვსკიც** მთლიანად დაეთანხმნენ დეკანოზ თ. ი. ტიტოვის განცხადებას და დაჟინებით მოითხოვეს ეპისკოპოს ლეონიდის მიერ საქართველოს ეგზარქოსებისათვის წაყენებული ბრალდებების მთელი სიმკაცრითა და სიზუსტით შემოწმება **(Церковныя Ведомости №47, 1906: 5).**

ყოვლადსამღვდელო **კირიონი** შეეცადა გამოხმაურებოდა ეპისკოპოს **ლეონიდის** მოხსენებაში აღნიშნულ ფაქტებს, რომლებიც საქართველოს ეკლესიის დაცემას ეხებოდა. მისი აზრით, ეკლესიის დაკნინებაზე არა მხოლოდ ეპისკოპოსი ლეონიდი ჩიოდა, ეკლესიის სავალალო მდგომარეობაზე საუბარი იყო უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორის ანგარიშებშიც. ქართველი მღვდელმთავრის განცხადებას ყველა არ დაეთანხმა. დეკანოზი **ტ. ი. ბუტკევიჩი** მიიჩნევდა, რომ ეკლესიის დაკნინება მოხდა ყველგან – ევროპაშიც და რუსეთშიც. საქართველოში კი რწმენის შესუსტებას იგი ქართველი სამღვდელოების უსაქმურობით ხსნიდა, რომლებმაც ვერ გამოიჩინეს სიმტკიცე. ამის დასტურად მან ქართველი სასულიერო პირებისა და საზოგადოების თაობაზე თედო ჟორდანიას აღწერილობები დაასახელა. დეკანოზი ტ. ი. ბუტკევიჩი საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი მთლიანად პოლიტიკურ ნიადაგზე იყო აღმოცენებული. როგორც დეკანოზი ტ. ი. ბუტკევიჩი, ისე პროფესორი **ნ. ნ. გლუბოკოვსკი** მოითხოვდნენ, შეკრებილიყო ცნობები საქართველოში რუსი ეგზარქოსების მოღვაწეობის თაობაზე. მათი აზრით, ეს იმისათვის იყო საჭირო, რომ გარკვეულიყო, თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ ქართველებს რუს ეგზარქოსებთან. საუკეთესო წყაროდ პროფესორი **ნ. ნ. გლუბოკოვსკი** მიიჩნევდა საქართველოდან რუსი ეგზაქოსების გაცილებისას წარმოთქმულ სიტყვებს. მისი აზრით, ამ სიტყვებში რუსი ეგზარქოსებისადმი ქართველების არანაირი უარყოფითი დამოკიდებულება არ იგრძნობოდა. **ნ. ნ. გლუბოკოვსკის** მოსაზრებას არ დაეთანხმა ეპისკოპოსი **კირიონი**. ქართველი მღვდელმთავრის აზრით, ეგზარქოსების გაცილების დროს წარმოთქმული სიტყვები ვერ იქნებოდა ავტორიტეტული წყარო მათი მოღვაწეობის შესაფასებლად: „როცა აცილებენ, ან ხვდებიან, ყოველთვის აუცილებელია,

ითქვას რაიმე კარგი“ („Когда провожают или встречают, нужно сказать что нибудь хорошее“) **(Церковныя Ведомости№47, 1906: 5).** ეპისკოპოს **ლეონიდის** მოხსენებამ იმდენად დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, რომ საბოლოოდ სხდომის მონაწილეებს ყოვლადსამღვდელო **კირიონმა** შესთავაზა, მიემართათ ყოვლადსამღვდელო **ლეონიდის-თვის**, რათა მას მოხსენებაში აღნიშნული მოვლენების დამამტკიცებელი ფაქტები წარმოედგინა **(Церковныя Ведомости №47, 1906: 6).** სხდომის მონაწილეები მოითხოვდ-ნენ საკითხის ბოლომდე განხილვას, რადგან ეპისკოპოს ლეონიდის მიერ წარმოდგენილი ბრალდებები საქართველოში კეთილმოწესეობის დარღვევას უკავშირდებოდა. პროფე-სორმა **მ. ა. ოსტროუმოვმა** აღიარა საქართველოს ეკლესიის სავალალო მდგომარეობა, თუმცა მანაც მოითხოვა, რომ გარკვეულიყო, სად ეძებნათ ეკლესიის დაცემის მიზეზები: ეგზარქოსების მმართველობაში, თუ საქართველოში ქართველების ძველი დროისადმი ტრფიალში **(Церковныя Ведомости №47, 1906: 6).** პროფესორ **ვ. ზ. ზავიტნევიჩის** აზრით, თვითონ საქართველოს შეერთება რუსეთთან ადასტურებდა იმას, რომ საქართველოს ეკლესია შორს იყო აღმავლობისაგან. მისი განცხადებით, უკიდურესად მძიმე ვითარებაში მოხდა საქართველოს შეერთება რუსეთთან, რაც იმას მოწმობდა, რომ რუსეთის საეკლესიო ხელისუფლებამ საქართველოში საეკლესიო ცხოვრების ამაღლები-სათვის განახორციელა განსაკუთრებული ღონისძიებები **(Церковныя Ведомости №47, 1906: 6).** პროფესორმა **ა. ი. ალმაზოვმა** მოითხოვა, გაშუქებულიყო არა მარტო ეგზარქოსების ურთიერთობა საქართველოს მოსახლეობასთან, არამედ თავად ქართველების ურთიერთობა ეგზარქოსებთან. მას საეჭვოდ მიაჩნდა ის ფაქტი, რომ ყველა ეგზარქოსი საქართველოდან წასვლას ეშურებოდა. პროფესორი სვამდა კითხვას: „რა არის ამის მიზეზი? **(Церковныя Ведомости №47, 1906: 7).** ამ კითხვაზე პასუხი ყოვლადსამღვდელო **კირიონს** ჰქონდა და ეს პასუხიც ძალიან მარტივი იყო: „იმიტომ, რომ მათ არ ჰქონდათ კავშირი მრევლთან, ამიტომაც ვერ ძლებდნენ ისინი“ („Потому, что у них не было связей с паствой. Потому, что они не могли ужиться“) **(Церковныя Ведомости №47, 1906: 7).** პროფესორმა **ნ. ნ. გლუბოკოვსკიმ** კითხვით მიმართა უსამღვდელოეს კირიონს: „აი, თქვენ, ყოვლადსამღვდელოებავ, გადახვედით ორიოლიდან სოხუმში, – შეიძლება ითქვას, ჩამოქვეითდით. ნუთუ ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ „ვერ შეძელით გაძლება“ ორიოლში და „არ გქონდათ კავშირი საზოგადოებასთან?..“ და საქართველოდან ხომ არა მარტო რუსი იერარქები გარბოდნენ.

გაიხსენეთ ცოტა ხნის წინანდელი ყოვლადსამღვდელო დიმიტრის სამწუხარო მაგალითი, რომელიც წარმოშობით ქართველი თავადის აბაშიძეთა გვარიდან იყო და მოისმინეთ მიუკერძოებლად, თუ რას ლაპარაკობს იგი ამ საკითხზე!“ („Вот Вы, преосвященный, перешли из Орла в Сухум, – можно сказать, – с понижением. Разве это значит, что вы „не могли ужиться“ в Орле и „не имели связей с обществом“?.. Да вед и бежали из Грузии не одно русские иерархи. Вспомните недавний печальный пример преосвященнаго Димитрия, из рода грузинских князей Абашидзе, и послушайте безпристрастно, что он говорит по этому предмету!“) **(Церковныя Ведомости №47, 1906: 7).** ყოვლადსამღვდელო **კირიონი** მხოლოდ მცირე განმარტებებს აძლევდა გამომსვლელთა თითოეულ შენიშვნას, თუმცა მისი მცირე პასუხები ამომწურავი იყო. ქართველმა მღვდელმთავარმა მისი დამოკიდებულება მრევლთან იმით ახსნა, რომ მას კარგად ესმოდა მრევლის ენა და კმაყოფილი იყო ორიოლში ყოფნით, ისევე, როგორც მრევლი იყო კმაყოფილი მისით. ეპისკოპოს **კირიონის** აზრით, მრევლის ენის ცოდნა არც თუ ისე მცირე ფაქტორი იყო მასთან დაახლოებისათვის **(Церковныя Ведомости №47, 1906: 7).** პროფესორი **ნ. ნ. გლუბოკოვსკი** კვლავ ჩაება კამათში ყოვლადსამღვდელო **კირიონთან**. მისი აზრით, დიმიტრი აბაშიძეც ქართულად საუბრობდა, მაგრამ ის აიძულეს გაქცეულიყო საქართველოდან, მხოლოდ რუსეთში არ განიცდიდა ის დევნას **(Церковныя Ведомости №47, 1906: 7–8).**

რუსი პროფესორების აზრით, საქართველოში ქრისტიანობის დაცემის თაობაზე ცნობები დაცული იქნებოდა „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების“ ანგარიშებში **(Церковныя Ведомости №47, 1906: 8).** ამ მოსაზრებას კვლავ გამოეხმაურა ყოვლადსამღვდელო **კირიონი**. ქართველი მღვდელმთავარი თვლიდა, რომ უნდა გათვალისწინებულიყო ის არეალი, სადაც კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოება საქმიანობდა. ქრისტიანობის აღმდგენი კომისია მუშაობდა ჩრდილოეთ კავკასიაში და არა საქართველოში. მის ანგარიშებში კი ცნობები დაცულია მხოლოდ მთიელი ქართველებისა და სამურზაყანოს მოსახლეობის თაობაზე, სადაც ცხოვრობდა დაახლოებით 100 ათასი კაცი. ეპისკოპოს კირიონის აზრით, 100 ათასი ქართველის მიხედვით არ შეიძლებოდა მსჯელობა საქართველოს მთელ მოსახლეობაზე, ხოლო თუ მაინცდამაინც აუცილებელი იყო მასალების მოგროვება, მაშინ იგი უწმიდესი სინოდისა და ობერ-პროკურორის ანგარიშებში უნდა მოეძიათ **(Церковныя Ведомости №47, 1906: 8).** პროფესორი **ა. ი. ალმაზოვი** შეეცადა, საქართველოს ისტორიის ცოდნა

გამოემჟღავნებინა. მან აღნიშნა, რომ გაეცნო ქართული ხელნაწერების თედო ჟორდანიასეულ აღწერილობას და ასეთ დასკვნამდე მივიდა: საქართველოში სასულიერო განათლების აღმავლობა შეინიშნებოდა მხოლოდ X-XII საუკუნეებში, შემდეგ კი, რუსეთთან შეერთებამდე, ერთიანი დაცემის პერიოდი წარიმართა, რამაც მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო საქართველო. პროფესორ **ა. ი. ალმაზოვის** აზრით, მხოლოდ XVIII საუკუნის ბოლოს იწყებოდა ზრუნვა საქართველოში სასულიერო განათლების აღმავლობისათვის. ეს, რუსი პროფესორის აზრით, იმის დამადასტურებელი იყო, რომ ჯერ კიდევ რუსეთთან შეერთებამდე დიდი ხნით ადრე ფეხს იკიდებდა რუსეთის გავლენა საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში **(Церковныя Ведомости №47, 1906: 8).** რუსი პროფესორებისა თუ სამღვდელოების მიერ გამოთქმულ ყოველ ასეთ მოსაზრებაზე პასუხის გაცემა უხდებოდა ყოვლადსამღვდელო **კირიონს**, რომელსაც არ შეეძლო მდუმარედ მოესმინა ყოველივე ზემოთქმული. პროფესორ **ა. ი. ალმაზოვის** სიტყვებს ქართველი მღვდელმთავარი შემდეგნაირად გამოეხმაურა: „რა გამოდის? ეს იმას ნიშნავს, რომ მუზეუმში XII საუკუნიდან მოყოლებული არ ყოფილა ხელნაწერები? სინამდვილეში კი ისინი შემონახულია და არცთუ ისე მცირე რაოდენობით („Что же? Это значит только то, что в музее за время с XII века нет рукописей? На самом же деле их сохранилось немало“) **(Церковныя Ведомости №47, 1906: 8).** იმ ფაქტს, რომ საქართველოს მუზეუმებში XII საუკუნის შემდგომ პერიოდში შექმნილი საკმაოდ დიდი რაოდენობის ხელნაწერები იყო დაცული, იქ მყოფნი ვერ უარყოფდნენ. ამასთან ერთად, რუსები მიიჩნევდნენ, რომ მუზეუმებში საერთოდ ძალზე მცირე რაოდენობით იყო დაცული ქართული ხელნაწერები. რუსი მეცნიერებისა და სამღვდელოების აზრით, ის, რასაც ქართველები ქართულ ხელნაწერებად მიიჩნევდნენ, უმეტეს შემთხვევაში კომპილაცია იყო და სხვა არაფერი. მათი აზრით, დამოუკიდებელი სასულიერო-სალიტერატურო მოღვაწეობა საქართველოში დიდი ხნის წინ შეწყდა და ახალი თარგმანებიც ძალზე იშვიათად სრულდებოდა. რუსი პროფესორებისა და სამღვდელოების აზრით, ქართული ლიტერატურა ძირითადად მთარგმნელობითი ან მიბაძვითი ხასიათისა იყო. შოთა რუსთაველიც კი მათთვის სპარსული პოეზიის გავლენას განიცდიდა... **(Церковныя Ведомости №47, 1906: 8).**

პროფესორი **ნ. ნ. გლუბოკოვსკი** შეეცადა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა **ნიკო მარის** ერთი ნაშრომი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ რუსეთთან შეერთების დროს

საქართველოში სკოლები მცირე რაოდენობით იყო. **ნ. ნ. გლუბოკოვსკის** აზრით, რუსეთის მთავრობამ ბევრი გააკეთა საქართველოში სასკოლო საქმის ორგანიზებისა და სწავლების დონის ამაღლებისათვის **(Церковныя Ведомости №47, 1906: 9; Марр 1906: 13-14).** პროფესორმა **ი. ი. სოკოლოვმა** სხვადასხვა ფაქტი გაიხსენა საქართველოს ისტორიიდან. მისი თქმით, საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში იყო აღმავლობისა და დაცემის პერიოდები. საქართველოს ისტორიაში ბრწყინვალე ეპოქად რუს პროფესორს XI–XIII საუკუნეები მიაჩნდა, თუმცა XIII საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოში მონღოლები გამოჩნდნენ, რომლებიც ათეული წლების მანძილზე ანგრევდნენ და ანადგურებდნენ ქვეყანას. მონღოლებს მოჰყვნენ სპარსელები და თურქები. დიდხანს გრძელდებოდა ქართველ მეფეთა ბრძოლა ეკლესიისა და სამშობლოს დასაცავად. რასაკვირველია, ამ ვითარებამ, პროფესორ **ი. ი. სოკოლოვის** აზრით, თავისი გავლენა მოახდინა ეკლესიაზეც და განათლებაზეც. მხოლოდ XVII-XVIII საუკუნეებში შეიმჩნეოდა განათლების აღმავლობა. ეპისკოპოსი **სტეფანეც** საქართველოში საეკლესიო ცხოვრების დაცემას მუსლიმებთან მრავალსაუკუნოვან ბრძოლას უკავშირებდა. ეპისკოპოს **კირიონის** აზრით კი, საქართველოში ეკლესიის დაცემა არ მომხდარა. ამაზე მეტყველებდა თვით მუსლიმებთან ბრძოლაც. ამ დაპირისპირების პროცესში ქრისტიანობა მუდამ რჩებოდა წმიდა და ყოველივეზე ამაღლებული. ყოვლადსამღვდელო **კირიონი** თვლიდა, რომ ეკლესიის დაცემა ხდებოდა მშვიდი და წყნარი ცხოვრების დროს **(Церковныя Ведомости №47, 1906: 9).**

რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების (სექციის) მუშაობის პროცესში რუსი პროფესორები ყოველგვარ ხერხს მიმართავდნენ, რათა დაემტკიცებინათ საქართველოში სასულიერო განათლების არარსებობა. რუს სამღვდელოთა და პროფესორთა ბრალდებას იმის თაობაზე, რომ ქართველები იყვნენ დამნაშავენი ეკლესიის დაცემაში, გორის ეპისკოპოსი **ექვთიმე** გამოეხმაურა. მან აღნიშნა, რომ ქართველები თავდადებით იბრძოდნენ და თავს სწირავდნენ ეკლესიისათვის. ქართველი ეპისკოპოსი არ გამორიცხავდა ეკლესიის დაცემას საქართველოში, მაგრამ ამ მოვლენას გარეშე მტრების შემოსევას უკავშირებდა **(Церковныя Ведомости №47, 1906: 9-10).**

მეორე განყოფილებაში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის განხილვამ განკითხვის სახე მიიღო. თავად რუს პროფესორთა და სამღვდელოთა შორისაც აზრთა სხვადასხვაობამ იჩინა თავი. პროფესორ **ი. ი. სოკოლოვს** მიაჩნდა, რომ იმ საკითხის

გადასაჭრელად, რომელიც საქართველოს ეკლესიას და ქართველ ხალხს აწუხებდა, არ იყო საჭირო საქართველოს ეკლესიის ისტორიაში ასე ჩაღრმავება **(Церковныя Ведомости №47, 1906: 10).** მისგან განსხვავებით პროფესორებისა და სამღვდელოების უმრავლესობა დაჟინებით მოითხოვდა საქართველოს ეკლესიის ისტორიის რუსეთის შემადგენლობაში შესვლამდელი პერიოდის განხილვას, ნაწილი პროფესორებისა ითხოვდა საქართველოში სამეფო დინასტიის არსებობისდროინდელი ვითარების შედარებას საეგზარქოსოს პერიოდში არსებულ ვითარებასთან, თუმცა რამდენად გადაწყვეტდა ეს შედარება ავტოკეფალიის საკითხს, გაურკვეველი იყო. ერთადერთი ისევ ი. ი. სოკოლოვი აღმოჩნდა, რომელიც არ დაეთანხმა კოლეგების მოთხოვნას. რუსი პროფესორის აზრით, წარმოუდგენელი იყო სამეფო დინასტიის არსებობისდროინდელი ვითარების შედარება საეგზარქოსოსდროინდელ საქართველოსთან. პირველ შემთხვევაში ეკლესია დამოუკიდებელი იყო და მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა ალბათ იმას, რომ ერთ დღეს საქართველო რუსეთის შემადგენლობაში შევიდოდა. ეგზარქოსების პერიოდში საქართველოს ეკლესიას უკვე აღარ ჰყავდა კათოლიკოსი. ამიტომ ეს ორი ეპოქა (სამეფო დინასტიისა და საეგზარქოსოს არსებობის პერიოდები) თავისი არსით ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავდებოდა **(Церковныя Ведомости №47, 1906: 10-11).** ცხადი იყო, რომ მარტო პროფესორ ი. ი. სოკოლოვის მოსაზრება დამსწრეთ აზრს ვერ შეაცვლევინებდა. ყოვლადსამღვდელო კირიონი იძულებული გახდა, სხდომის მონაწილეთათვის შეეხსენებინა საქართველოს ეკლესიის არსებობის ხანგრძლივობა. მისი ერთი ფრაზა: „ჩვენ რა უფლება გვაქვს, ძალა გამოვიყენოთ საქართველოს ეკლესიის მიმართ, რომელიც ექვსი საუკუნით უფროსია რუსეთის ეკლესიაზე?“ („Какое же право мы имеем привлекать к силу Грузинскую церковь, которая на VI столетий старее Русской церкви?“)“ **(Церковныя Ведомости №47, 1906: 11)** – თითქოს საკმარისი უნდა ყოფილიყო, რომ რუს მეცნიერებსა და სამღვდელოებას დაეთმოთ საკუთარი პოზიციები. მოხდა პირიქით. საბოლოოდ, ყოვლადსამღვდელო კირიონმა სხდომას შესთავაზა, რომ ემსჯელათ საქართველოს ეკლესიის მმართველობის სინოდალურ პერიოდზე (1811-1917 წწ. – გ. ბ.). პროფესორები დიდი დაჟინებით ითხოვდნენ საჭირო ცნობების შეგროვებას საქართველოს ეკლესიის თაობაზე. ისინი თითქოს ხელჩასაკიდ არგუმენტებს ეძებდნენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერების უარყოფისათვის. რუსებისათვის აუცილებელი იყო, სცოდნოდათ საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის გავრცელების

არეალი, აინტერესებდათ მართლმადიდებელი მოსახლეობის, სამღვდელოებისა და სამრევლოების რაოდენობა. მეორე განყოფილების სხდომის მსვლელობიდან გამომდინარე, თანდათან ცხადი ხდებოდა, რომ კომპრომისი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხთან დაკავშირებით შეუძლებელი იყო. საკუთარი პოზიციების დათმობას არც სხდომის მონაწილე ქართველი მღვდელმთავრები (ყოვლადსამღვდელო კირიონი, ყოვლადსამღვდელო ლეონიდი) და ქართველი მეცნიერები (ნიკო მარი, ალექსანდრე ცაგარელი, ალექსანდრე ხახანაშვილი) აპირებდნენ. დეკანოზი თ. ი. ტიტოვი თვლიდა, რომ საქართველოს ეკლესიაში ბევრი რამ გაურკვეველი იყო, ისევე როგორც გაურკვეველი იყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი. იგი მოითხოვდა, ხმის მიცემით გადაწყვეტილიყო საკითხი, ეკუთვნოდა თუ არა საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია **(Церковныя Ведомости №47, 1906: 11).** უსამღვდელოესმა კირიონმა დეკანოზ თ. ი. ტიტოვის შენიშვნას ასე უპასუხა: „თუკი ვისაუბრებთ საქართველოს ეკლესიის ნაკლოვანებებზე, კარგი იქნება, ვისაუბროთ რუსეთის ეკლესიის ნაკლოვანებებზეც“ („Если говорить о недостатках Грузинской церкви, то позволительно говорить о недостатках и Русской церкви“)“ **(Церковныя Ведомости №47, 1906: 11).** მისმა ერთმა ფრაზამ დააფიქრა დეკანოზი ტ. ი. ბუტკევიჩი, რომელმაც მიზანშეწონილად მიიჩნია, გაეთვალისწინებინათ რუსეთის ეკლესიაში არსებული ნაკლოვანებებიც. რასაკვირველია, კოლეგები არ დაეთანხმნენ ამ მოსაზრებას, რადგან იხილებოდა საქართველოს ეკლესიის და არა რუსეთის ეკლესიის საკითხი. რადგან საქართველოს ეკლესია ითხოვდა ავტოკეფალიას, ამიტომ რუსი მეცნიერები და სამღვდელოება მოითხოვდნენ, დეტალურად გარკვეულიყო საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა რუსეთთან შეერთებამდე და შეერთების შემდგომ **(Церковныя Ведомости №47, 1906: 11).**

სხდომის მსვლელობისას კიდევ ერთი საკითხი დააყენა განსახილველად პროფესორმა ა. ი. ალმაზოვმა. ის დამატებით ითხოვდა, შესწავლილიყო არა მარტო საქართველოს ეკლესიის, არამედ საქართველოს კათოლიკოსების მდგომარეობა XVI-XVIII საუკუნეებში. რუს პროფესორს აინტერესებდა, იყო თუ არა კათოლიკოსი საერო (სამეფო) ხელისუფლების გავლენის ქვეშ ფაქტობრივადაც და იურიდიულადაც **(Церковныя Ведомости №47, 1906: 11-12).** კვლავ ყოვლადსამღვდელო კირიონს მოუწია ამ საკითხზე განმარტების გაკეთება. ეპისკოპოსმა კირიონმა დამსწრეთ აუხსნა, რომ საქართველოში მოქმედებდა როგორც სახელმწიფო, ისე საეკლესიო კანონები. ამ კანონების თანახმად,

კათოლიკოსი განიხილებოდა, როგორც ეკლესიის დამოუკიდებელი მმართველი. ანალოგიურად სახელმწიფოს დამოუკიდებელი მმართველი იყო მეფე. ქართული კანონმდებლობით, კათოლიკოსი ისეთივე „სულის მეფე“ იყო („Царь души“), როგორც „სხეულისა“ („Царь плоти“) (Акты, собранные Кавказскою археографи ческою коммиссиею. Под редакцией **Ад. Берже.** Том I. Тиф., 1866, стр. 28). ყოვლადსამღვდელო კირიონმა განმარტა, რომ კათოლიკოსი ახორციელებდა სრულიად დამოუკიდებელ მმართველობას როგორც ეკლესიაზე, ისე ეკლესიის წევრებსა და საეკლესიო გლეხებზე. ვახტანგ VI-ის კანონები ასე განმარტავდნენ კათოლიკოსის უფლებრივ მდგომარეობას: „მეფისა და კათალიკოზის საქმე – უკადრისი თუ რაც რამ ფერი – ორისავე სწორი არს, ამიტომ რომე ერთი ხორცის ხელმწიფე არი(ს) და მეორე – სულისა. კურთხევა და პატივიც ღვთისაგან და კაცთაგან სწორედ აქვთ. დასტურ, მეფეს უფროსს პატივს სცემენ, მაგრამ ხორციელის შიშით იქმონენ. ამიტომ მათი საქმე ჩვენ სწორად დაგვიწერია; თუ არა სჯობდეს, ვინც უკეთ იცოდეს, ჩვენ ნურას გვაბრალებს, იმან დაწეროს“ **(ენუქიძე 1955: 56-67).**

ეპისკოპოსმა სტეფანემ კვლავ განაგრძო ყოვლადსამღვდელო ლეონიდის მოხსენების განხილვა და მასში მოყვანილი ფაქტების სიცრუედ გამოცხადება. მისი აზრით, სიმართლეს არ შეეფერებოდა შემდეგი ფაქტები: 1. საქართველოს ტაძრებში წირვა-ლოცვის რუსულ ენაზე აღვლენა; 2. ყოველგვარი ქართულის დევნა და შევიწროება. ეპისკოპოს სტეფანეს თქმით, საქართველოს ეპარქიებში ქართველი სასულიერო პირები ღვთისმსახურებას ყველგან ქართულ ენაზე აღასრულებდნენ. რუსი ეპისკოპოსის აზრით, არაქართულ სამრევლოებში მომსახურე ქართველი სასულიერო პირები იყვნენ, რომლებიც ნაკლებად ზრუნავდნენ არაქართველი მოსახლეობის ეროვნული ინტერესების დაცვაზე. ეპისკოპოსმა სტეფანემ დაასახელა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ქართველები თვითონ ითხოვდნენ ქართველი მღვდლებისაგან საღვთო ლიტურგიის სლავურ (რუსულ) ენაზე აღვლენას. მისი გამოსვლიდან გამომდინარე, ქართული ენისა და ქართველი სამღვდელოების დევნის თაობაზე საუბარიც კი ზედმეტი იყო. ეპისკოპოს სტეფანეს კიდევ ერთი ბრალდების თანახმად, მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში ფრესკები შეთეთრებული იყო ქართველი სამღვდელოების სურვილით. სწორედ ქართველი სასულიერო პირები იყვნენ დამნაშავენი სიძველეებისადმი გულგრილი დამოკიდებულების გამოვლენაში **(Церковныя Ведомости №47, 1906: 15-16).** ერთადერთი

ადამიანი, ვინც აღნიშნულ ფაქტებს დუმილით ვერ შეხვდებოდა, ისევ ყოვლადსამღვდელო კირიონი იყო. აღნიშნულ ბრალდებებს ისევ ქართველმა მღვდელმთავარმა უპასუხა. მისი აზრით, ქართული ენის დევნის პირველი დამადასტურებელი ფაქტი იყო საეკლესიო მსახურების აკრძალვა სასაფლაოს ეკლესიებში. რაც შეეხებოდა ეკლესია-მონასტრებს, აქ ეს პროცესი შედარებით ნელი ტემპით წარიმართა. მაგალითად, სიონის საკათედრო ტაძარში სამი დღე მსახურება ქართულად აღესრულებოდა, სამი დღე – სლავურად (რუსულად), საუფლო დღეებში კი წირვა-ლოცვა ყოველთვის სლავურ (რუსულ) ენაზე ტარდებოდა. ეპისკოპოსი კირიონი გულისტკივილით იხსენებდა, რომ მას შემდეგ 50 წელი იყო გასული, რაც სიონის ტაძარში ღვთისმსახურება ქართულად არ აღსრულებულა. ქართველმა მღვდელმთავარმა აღნიშნა, რომ სვეტიცხოვლის ტაძარი ეგზარქოს ისიდორეს მოღვაწეობის დროს (1844-1858 წწ. – გ. ბ.) შეთეთრდა. ეპისკოპოს კირიონის აზრით, პირველი დანაშაული ეგზარქოსებისა ის იყო, რომ მათ დახურეს საეკლესიო კათედრები და მონასტრები. თუკი ერთ მონასტერში ერთი ბერი მაინც იქნებოდა, საეკლესიო წესრიგი არ დაირღვეოდა. თუმცა ეგზარქოსები, როდესაც მონასტრებს ხურავდნენ, ამაზე ნაკლებად ფიქრობდნენ **(Церковныя Ведомости №47, 1906: 16).**

მეორე განყოფილებაში განხილვის საგნად იქცა საქართველოში არსებული საეკლესიო ტრადიციები. საქართველოში საეკლესიო ტრადიციების დევნასა და აკრძალვას შეეხო ყოვლადსამღვდელო ლეონიდი თავის მოხსენებაში. როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენებას მწვავედ აკრიტიკებდა მოგილევის ეპისკოპოსი სტეფანე. ფაქტობრივად, ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენებაში არ ყოფილა ისეთი საკითხი, რომელიც რუს ეპისკოპოს მწვავედ არ გაეკრიტიკებინა. ცხადია, არც საეკლესიო ტრადიციებს დატოვებდა იგი უყურადღებოდ. ყოვლადსამღვდელო ლეონიდის მოხსენებაში აღნიშნული ფაქტები სავსებით მიუღებელი აღმოჩნდა ეპისკოპოს სტეფანესათვის. მისთვის, პირველ რიგში, მიუღებელი იყო საქართველოს რუსი ეგზარქოსების დადანაშაულება ქართული საეკლესიო ტრადიციების დევნაში, რადგან, მისი აზრით, ასეთი მოვლენები არ ყოფილა. თუმცა მოგილევის ეპისკოპოსს მოუწია ისეთი ფაქტების გახსენებაც, რომლებიც ნამდვილად ადასტურებდნენ საქართველოში საეკლესიო ტრადიციების დევნას. ყოველივე ეს კი, მისი აზრით, განპირობებული იყო ქართველებისადმი ეგზარქოსების კეთილგანწყობით **(Церковныя**

Ведомости №47, 1906: 18). ყოვლადსამღვდელო კირიონმა უპასუხა რუსი ეპისკოპოსის გამოსვლას. ქართველმა მღვდელმთავარმა განმარტა, რომ რუსი ეგზარქოსები ებრძოდნენ უძველეს ტრადიციებს, კრძალავდნენ ტაძარში ცოცხალი შესაწირის (ცხვარი და სხვ. – გ. ბ.) მიყვანას, აიკრძალა მრევლისთვის საერთო ტრაპეზის გამართვა წირვის დასრულების შემდეგ. საქართველოს ეკლესიას კიდევ ერთი კარგი ტრადიცია ჰქონდა: ყველა ეკლესიას ჰყავდა მონაზონი ქალი, რომელიც ზრუნავდა საეკლესო შესამოსლისა და ტაძრის სისუფთავეზე. ეს ტრადიციაც გაუქმებული იქნა საქართველოში ეგზარქოსობის მიერ **(Церковныя Ведомости №47, 1906: 19).**

ყოვლადსამღვდელო ლეონიდის მოხსენების განხილვამ ფაქტობრივად დაჩრდილა მთავარი საკითხი, რისთვისაც რუსეთის საეკლესიო საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილება იყო შეკრებილი. სხდომაზე უამრავი საკითხი წამოიჭრა, რაც განხილვას საჭიროებდა. ის დრო, რაც მეორე განყოფილებამ საქართველოს ეკლესიის საკითხის განხილვას დაუთმო, არასაკმარისი აღმოჩნდა აღნიშნული თემის გადასაწყვეტად. საბოლოოდ, სხდომაზე მყოფი სასულიერო და საერო პირები შეთანხმდნენ, რომ შემოფარგლულიყვნენ მხოლოდ რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის არქივში არსებული მასალების შესწავლითა და მათი განხილვით. საარქივო მასალების შესწავლის სურვილი გამოთქვა დეკანოზმა ტ. ი. ბუტკევიჩმა, ქართული დელეგაციის მხრიდან კი – ყოვლადსამღვდელო კირიონმა. სხდომა კვლავ ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენების გარშემო ტრიალებდა. განყოფილების მუშაობისას გამოითქვა აზრი ყოვლადსამღვდელო ლეონიდის მოხსენების განხილვის გადადების თაობაზე, რაც რუსმა სასულიერო პირებმა არ გაიზიარეს. ეპისკოპოსი სტეფანე თვლიდა, რომ ყოვლადსამღვდელო ლეონიდის მოხსენებით რუსეთის ეკლესია ამოსვარეს ტალახში იმ სიკეთის სანაცვლოდ, რაც მან საქართველოს ეკლესიისათვის გაიღო. ამიტომაც მოხსენების განხილვის გადადება არაფრით არ შეიძლებოდა: „თუკი ავტოკეფალიას მოითხოვენ, სახელდობრ აქ წარმოდგენილი ბრალდების წაყლობით, მაშინ ჩვენი ვალია, დავიცვათ ჩვენი ეკლესია და მისი წარმომადგენლები წამოყენებული ცილისწამებისაგან, თუგინდ ავტოკეფალიის საკითხისაგან დამოუკიდებლად“ **(Церковныя Ведомости №47, 1906: 19).**

საარქივო მასალების შესწავლა დაევალა დეკანოზ ტ. ი. ბუტკევიჩს, რომელიც დაწერდა მოხსენებას საქართველოს რელიგიურ-ზნეობრივ მდგომარეობაზე რუსეთთან შეერთების დროისათვის. უნდა გადაწყვეტილიყო, ვინ შეისწავლიდა საქართველოს

ეკლესიის ისტორიას რუსეთთან შეერთებამდე. ყოვლადსამღვდელო კირიონი მიიჩნევდა, რომ იმის გარკვევას, თუ როგორი იყო საქართველოს ეკლესია რუსეთთან შეერთების დროისათვის, კავშირი არ ჰქონდა ავტოკეფალიის საკითხთან. მთავარი იყო ორი საკითხის გადაწყვეტა: 1) მინიჭებული ჰქონდა თუ არა საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია? 2) შესაძლებელი იყო თუ არა ავტოკეფალიის აღდგენა? **(Церковныя Ведомости №47, 1906: 20).**

ეპისკოპოს კირიონის მოთხოვნა სხდომის მონაწილეებმა არ გაითვალისწინეს, ამიტომ იგი იძულებული გახდა, რუსი პროფესორებისა და სამღვდელოებისათვის შეეხსენებინა: „მთავარია ავტოკეფალია, რაც სურს ხალხს... მთელი წელიწადია იხილება ავტოკეფალიის საქმე, მაგრამ წინ იოტისოდენადაც კი ვერ წაიწია. საჭიროა რაღაც მოვიმოქმედოთ ხალხის სურვილის დასაკმაყოფილებლად“ („Главный вопрос – об автокефалии. Ея желает народ... Целый год ведется дело об автокефалии и ни на иоту не подвинулось вперед. Необходимо что-либо сделать для удовлетворения желаний народа“) **(Церковныя Ведомости №47, 1906: 20).** თუმცა ქართველი მღვდელმთავრის შეთავაზებას რუსებმა ბრალდებით უპასუხეს. პროფესორმა **ნ. ნ. გლუბოკოვსკიმ** განაცხადა: ავტოკეფალიის საქმე იმიტომ არ მიდის წინ, რომ ეპისკოპოსი **კირიონი** არ თმობს თავის პოზიციებს; საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი რომ კვლავ გადაუჭ-რელია, ამაში ყოვლადსამღვდელო **კირიონს** მიუძღვის ბრალიო **(Церковныя Ведомости №47, 1906: 21).** კრებაზე მყოფი პროფესორები მიიჩნევდნენ, რომ ქართველი ეპისკოპოსი ფორმალურ მხარეს ანიჭებდა უპირატესობას, ხოლო ავტოკეფალიის მოთხოვნა სხვა მიზანს ემსახურებოდა. საბოლოოდ სხდომაზე მყოფნი შეთანხმდნენ, რომ უნდა გამორკვეულიყო შემდეგი საკითხები: **1) ჰქონდა თუ არა საერთოდ საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია; 2) როდის, რა ვითარებაში და რა სახით გაუქმდა იგი; 3) როგორ შეხვდა ავტოკეფალიის გაუქმებას საქართველოს ეკლესია; 4) რას ემყარებოდა საქართველოს ეკლესიის აღდგენის მოთხოვნა (Церковныя Ведомости №47, 1906: 21).**

რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილება საბოლოოდ შეთანხმდა ორ კანდიდატზე, რომელთაც საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხის შესწავლა დაევალათ. ესენი იყვნენ: დეკანოზი **ტ. ი. ბუტკევიჩი**, რომელიც მოამზადებდა მოხსენებას საქართველოს ეკლესიის მდგომარეობის თაობაზე რუსეთთან შეერთებამდე რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის არქივში დაცული საბუთების საფუძველზე; პროფესორი **ი. ი. სოკოლოვი,** რომელიც შეისწავლიდა საქართველოს ეკლესიის

მდგომარეობას საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდგომ **(Церковныя Ведомости №47, 1906: 21).**

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის განხილვა განახლდა რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილებაში 1906 წლის 8 ივნისს. სხდომას უსამღვდელოესი **ნიკანდრი** თავმჯდომარეობდა. განყოფილების სხდომას ესწრებოდნენ: მოგილევის ეპისკოპოსი **სტეფანე**, სოხუმის ეპისკოპოსი **კირიონი**, გორის ეპისკოპოსი **ექვთიმე (ელიაშვილი)**, დეკანოზები: **ტ. ი. ბუტკევიჩი, თ. ი. ტიტოვი,** პროფესორები: **ი. ს. ბერდნიკოვი**, **მ. ა. ოსტროუმოვი, ა. ი. ალმაზოვი, ვ. ზ. ზავიტნევიჩი, ნ. ნ. გლუბოკოვსკი, ი. ი. სოკოლოვი, ა. ი. ბრილიანტოვი და პ. ბ. მანსუროვი.**

კრებაზე გაირკვა, რომ დეკანოზი **ტ. ი. ბუტკევიჩი** ოჯახური პირობების გამო ტოვებდა სხდომას, საქართველოს ეკლესიის საკითხთან დაკავშირებულ მოხსენებას კი საშემოდგომო სესიაზე წარმოადგენდა. ეპისკოპოსმა **სტეფანემ** სხდომა კვლავ ყოვლადსამღვდელო **ლეონიდის** მოხსენების კრიტიკით გახსნა. მისი აზრით, ქართველმა ეპისკოპოსებმა **კირიონმა** და **ექვთიმემ** ვერ შეძლეს დაედასტურებინათ საქართველოს ეგზარქოსებისადმი წაყენებული ბრალდებები: 1. ქართული ეროვნულობის დევნა; 2. ქართულ ენაზე ღვთისმსახურების აკრძალვა; 3. საეკლესიო ტრადიციების დევნა. მოგილევის ეპისკოპოსი ჯიუტად ტრიალებდა ყოვლადსამღვდელო **ლეონიდის** მოხსენების გარშემო, ამიტომაც ხშირად ხდებოდა ძირითადი საკითხიდან გადახვევა. ეპისკოპოსი **კირიონი** იძულებული იყო, სხდომისათვის დროდადრო შეეხსენებინა მთავარი საკითხი – საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, მაგრამ, სამწუხაროდ, საქმე ავტოკეფალიის საკითხის განხილვამდე ვერ მიდიოდა. საკითხის ამ გზით გაჭიანურება რუსი პროფესორებისა და სამღვდელოების მიერ წინასწარ იყო დაგეგმილი. ეპისკოპოსმა სტეფანემ აღნიშნა: „მე ჩემს ამოცანად ვისახავ, სამართლიანობიდან გამომდინარე, გადავხედო ყოვლადსამღვდელო ლეონიდის მოხსენების საფუძვლიანობას, რადგანაც იგი რუსეთის ეკლესიას ლაფს ასხამს... ნუთუ ამ 90 წელიწადში რუსეთის ეკლესიამ კარგი არაფერი გააკეთა საქართველოში? ამაზე კი არაფერია ნათქვამი მოხსენებაში, მასში მხოლოდ ბრალდებებია და, ამასთან, ყველა მძიმე. ამიტომაც არის საჭირო შემოწმდეს ყველა ბრალდება“ („Я ставлю своей задачей расмотреть основания преосвященнаго Леонида с точки зрения справедливости: ведь он обливает русскую Церковь ушатом помоев, вводя на нее самыя несправедливыя обвинения. Кроме того, ужели за 90 лет русская Церковь ничего добраго не сделала для Грузии? Об этом ничего не говорится в

докладе: в нем одно только обвинения, и притом самыя тяжкия. Поэтому-то и нужно проверить все основания обвинений“) (**Церковныя Ведомости №47, 1906: 21).** პოლემიკაში ჩართვა ეპისკოპოს ექვთიმესაც მოუწია, რომელიც ასევე ძირითადი საკითხიდან გადახვევაზე მიუთითებდა: „მე მგონია, გადავუხვიეთ საქმის ძირითადი არსიდან. ყოვლადსამღვდელო ლეონიდი ამტკიცებდა ავტოკეფალიის აუცილებლობას და გზადაგზა მიუთითებდა ზოგიერთ შეუსაბამობაზე, მაგრამ ჩვენ არ გვჭირდება ახლა შეჩერება და ყურადღების გამახვილება იმაზე, თუ როგორ გამოთქვა თავისი აზრი ამა თუ იმ მეუფემ. მთავარი საკითხია ავტოკეფალია და იგი უნდა გადაწყდეს, სწორედ ამაზეა საჭირო დაფიქრება“ („Мне кажется, мы уклоняемся в сторону от сути дела. Преосвященный Леонид доказывал необходимость автокефалии и попутно указывал на некоторые ненормальности. Но, в сущности, нам нет нужны обрашать внимание на то, как выразился тот или иной преосвященный. Главный вопрос об автокефалии – его и нужно решить и об этом нужно подумать“) **(Церковныя Ведомости №47, 1906: 21).** ყოვლადსამღვდელო **კირიონმა** შეახსენა დამსწრეთ, რომ თავად საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლები არაერთხელ გაულანძღავთ სხვადასხვა გაზეთსა თუ ჟურნალში არა მარტო კერძო პირებს, არამედ ეგზარქოსებსაც. ამიტომ ეპისკოპოს **ლეონიდის** მოხსენება არ უნდა გამხდარიყო ასეთი მწვავე განხილვის საგანი **(Церковныя Ведомости №47, 1906: 22–26).**

ბრალდებები ეპისკოპოს **ლეონიდის** მიმართ არ წყდებოდა, მაგრამ ეს სხვა მიზეზით იყო გაპირობებული. რუს მეცნიერებსა და სამღვდელო პირებს სურდათ, საბოლოო ჯამში, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის უარყოფითად გადაწყვეტა. პროფესორი **ვ. ზ. ზავიტნევიჩი** მიიჩნევდა: „ავტოკეფალია დოგმატი არ არის. თუკი დადასტურდება, რომ საქართველოს ეკლესიამ რუსეთის ეკლესიასთან შეერთების შემდეგ მიაღწია კეთილდღეობას და აყვავდა, მაშინ ავტოკეფალიაზე შეიძლება უარიც ითქვას. რაც შეეხება ყოვლადსამღვდელო ლეონიდის მოხსენებას, მასში რუსეთის ეკლესია ნამდვილად ტალახშია ამოსვრილი. მე მგონია, როგორც რუსეთის, ისე საქართველოს ეკლესიის ღირსება და პატივისცემა მოითხოვს, ბრალდებები შესწავლილი იქნას ყოველმხრივ, რადგან, რაც გაკეთდა, ეს ბავშვს არ გაუკეთებია, ამ ქმედების უკან ეპისკოპოსი დგას...“ („Автокефалия не догмат. Если будет доказано, что чрез соединение с русскою Церковью для Грузинской церкви были достигнуты благо и процветание, то от автокефалии можно и отказаться. Что же касается отзыва преосвященнаго Леонида, то,

действительно, здесь русская Церковь обливается грязью. И мне кажется, достоинство и честь как русской, так и Грузинской церкви требуют, чтобы обвинения были обследованы всесторонне. Ведь это сделал не ребенок, а епископ“) **(Церковныя Ведомости №47, 1906: 26).**

რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების სხდომების მსვლელობის პროცესში სულ უფრო ცხადი ხდებოდა, თუ რით დამთავრდებოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხის განხილვა. ეს საკითხი რომ უარყოფითად გადაწყდებოდა, პირველად ამის თაობაზე ხმები კულუარებში გავრცელდა. საჯაროდ კი ამის თაობაზე ერთ დროს საქართველოში თავისი მოღვაწეობით სახელგატეხილმა დეკანოზმა **იოანე ვოსტორგოვმა** განაცხადა. მისი აზრით, კავკასიაში ეკლესიის მრევლის ცხოვრებაში ბევრი რამ იყო მოსაგვარებელი და მოსაწესრიგებელი. ეკლესიის წიაღში არსებული პრობლემების გადასაწყვეტად სრულებითაც არ იყო აუცილებელი ავტოკეფალია. საეკლესიო პრობლემების მოგვარება, უწესრიგობის აღმოფხვრა ჩვეულებრივი გზითაც შეიძლებოდა, კერძოდ, უწმიდესი სინოდის მხრიდან განკარგულების გაცემით, საეკლესიო იერარქებისა და სხვა სასულიერო პირთა შეცვლით, საეგზარქოსოში ზოგიერთი მოქმედი კანონის შეცვლით და სხვ. დეკანოზ **ი. ი. ვოსტორგოვს** თავისი შეხედულებები გააჩნდა სალიტურგიო ენასთან დაკავშირებით:

„უპირველეს ყოვლისა, უნდა შევთანხმდეთ ტერმინ „მშობლიური ენის“ გაგებაში. ღიად და ხმამაღლა ვაცხადებ, რომ რუსი საეკლესიო მოღვაწეები კავკასიაში ყოველთვის იმ შეხედულებას იზიარებდნენ, რომ მრევლმა წირვა-ლოცვა მოისმინოს „მშობლიურ“ ენაზე. ამ სახელწოდებაში უნდა გავიგოთ ის ენა, რომლითაც ბავშვი ესაუბრება დედას. ეს პრინციპი ჩვენ, რუსებმა, დავამკვიდრეთ ეკლესიაშიც და სკოლაშიც. სამწუხაროდ, იქაური საეკლესიო მოღვაწეები საქმეს უყურებენ სრულიად სხვაგვარად. მათთვის კავკასიაში არსებობს ორი ენა: მშობლიური – ქართული ყველა ტომისათვის, რომლებიც ცხოვრობდნენ სამხრეთ კავკასიაში და მშობლიური – რუსული. ამიტომაც ქართველები ღვთისმსახურებას ასრულებდნენ ქართულად და სკოლაშიც ქართულად ასწავლიდნენ ქართული ენის არმცოდნე ყველა ტომს, როგორებიც იყვნენ: სამურზაყანოს მკვიდრნი, სვანები, თუშები, მეგრელები. ზოგიერთი მათგანისათვის, მაგალითად, სვანებისა და მეგრელებისათვის, საუკუნეთა განმავლობაში ქართული ენა ძვირფასი გახდა, მაგრამ სხვებს პირდაპირ თავზე მოახვიეს, რაც ყოველთვის იწვევდა პროტესტს. ასეთები იყვნენ: აფხაზები, სამურზაყანოს მკვიდრნი და ოსები.

რუსეთის საეკლესიო ხელისუფლება ყოველთვის აღიარებდა, რომ ამ ტომებისათვის უნდა დაედგინათ ღვთისმსახურება მათსავე მშობლიურ ენაზე და ამ მიზნით, რაც შეეძლო, აკეთებდა კიდევაც. ღვთისმსახურებისათვის აუცილებელი საეკლესიო წიგნები გადაითარგმნა ოსურ, აფხაზურ, ასირიულ და ბოლოს – სომხურ ენაზე. შემდეგ, შეძლებისდაგვარად, ხდებოდა მღვდლების ხელდასხმა, რომლებმაც იცოდნენ მრევლის ენა... როცა რუსეთის საეკლესიო ხელისუფლებამ დაინახა, რომ ამა თუ იმ ხალხს არ ჰქონდა თავისი სალიტურგიო ენა და, ამასთან, ამ ხალხს ქართული ენა არ ესმოდა, კავ-კასიაში ღვთისმსახურებისათვის აირჩია და უპირატესობა მიანიჭა რუსულს, როგორც სახელმწიფო ენას. ამ ხალხებს შორის იყვნენ იგივე აფხაზები, ოსები და მართლმადიდებელი სომხები. გაზეთებში, საუბრებში, ზოგჯერ პეტიციებში ეს მოვლენა ქართული ენის დევნად იქნა მიჩნეული. ასეთი სახის საჩივრები აღაშფოთებდა და აღაშფოთებს ბევრ პიროვნებას, რომლებიც ვერ გარკვეულან საქმის ვითარებაში. ეს არის პირველი საკითხი, რაც უნდა გავითვალისწინოთ, როცა განვიხილავთ რუსეთის საეკლესიო ხელისუფლების დამოკიდებულებას ქართულ ენასადმი. მეორე გაუგებრობა სკოლებში ქართული ენის სწავლებასთან დაკავშირებით იყო. ამ ქვეყნის საეკლესიო-სასკოლო მოღვაწენი მოითხოვდნენ: 1) ქართული ენა ყოფილიყო სასწავლო ენა კავკასიის ყველა სკოლაში; 2) ქართული ენა ყოფილიყო საშუამავლო ენა რუსული ენის შესწავლისათვის. რუსეთის საეკლესიო ხელისუფლება წინ აღუდგა ქართული ენის სწავლებას აფხაზების, სამურზაყანოს ხალხისა და ოსების სკოლებში, რადგანაც იქ მოსწავლეებსა და ირგვლივ მყოფ მოსახლეობას ქართული ენა არ ესმოდა. ასევე გაუგებარი იყო ქართულ ენაზე ღვთისმსახურება ეკლესიებში, ვერ იგებდნენ ქადაგებებს ქართულ ენაზე. მიუხედავად ამისა, მეგრელებისა და სვანებისათვის არასოდეს არც ერთ სკოლაში არ შემწყდარა სწავლება ქართულ ენაზე, თუმცა მეგრელებისა და სვანების სალაპარაკო ენა ძალზე დაშორდა ქართულ ენას. რაც შეეხება რუსულ ენას, შემოტანილი იქნა ახალი მეთოდი ენის შესწავლისთვის, ე. წ. „ბუნებითი“ საშუალება, რომელიც დამყარებულია სანახაობაზე (საგნები, ნახატები) და განუწყვეტელ ვარჯიშზე. განსაკუთრებით დაჟინებით მოითხოვდნენ ამ მეთოდით მეგრელებისა და სვანებისათვის რუსული ენის სწავლებას. მასწავლებლები ჩვეულებრივ რუსულ სიტყვებს თარგმნიდნენ ქართულ ენაზე, შემდეგ ქართულიდან მეგრულად ან სვანურად. ასე ორმაგად რთულ-დებოდა თარგმნის პროცესი. საჭიროა შევნიშნოთ, რომ ბუნებითი მეთოდი რუსული

ენის სწავლებისა, თავის მხრივ, იწვევდა ქართული ენის, როგორც საშუამავლო ენის, ფუნქციის დაკარგვას. ამიტომაც იყო, რომ ეს მოვლენა ქართული ენის დევნად ჩაითვალა...

ახლა გადავალ მოსახლეობაზე, რომელიც, რომ იტყვიან, წმინდა ქართულია. ვამტკიცებ, რომ არც საქართველოს, არც იმერეთის, არც სამეგრელოსა და არც სვანეთის სამრევლოებში არ ჩატარებულა ღვთისმსახურება სლავურ (რუსულ) ენაზე. ამის მცდელობაც კი არ ყოფილა. გაზეთებში წერდნენ, რომ სამეგრელოში საწყალი მეგრელები სიკვდილის წინ ვერ ეზიარებოდნენ, რადგან რუსული ენის არცოდნის გამო აღსარებას ვერ აბარებდნენ. ეს ტყუილია და უმართებულო. გაუგებრობაში თავის თავს თვითონ აგდებენ... საერთოდ, ცხოვრებასა და პრაქტიკაში საღვთისმსახურო ენის გამოყენების საკითხს წყვეტს მღვდელი – ქართველი. მაგალითად, ავიღოთ რომელიმე სამაზრო ქალაქი: ახალციხე, გორი, დუშეთი, თელავი. აქ ცხოვრობენ რუსი მოხელეები. აქ ასევე ჩვეულებრივ დგას რომელიმე სამხედრო ნაწილი, მაგალითად, დუშეთში. რუსი სამხედროები ძალიან ბევრნი არიან და თავიანთი მღვდელი არ ჰყავთ, ამიტომ ისინი დადიან ადგილობრივ ეკლესიაში. თვითონ მღვდლები ღვთისმსახურებას აღავლენენ თანაბრად – სლავურად (რუსულად) და ქართულად (ახალციხე, გორი), ხანდახან მხოლოდ სლავურ (რუსულ) ენაზე. გაუთვითცნობიერებელ ხალხს ჰგონია, რომ ამ ადგილებში მიცემულია განსაკუთრებული მითითება საღვთისმსახურო ენის თაობაზე, რომ ამ მითითებაში უნდა დავინახოთ რუსიფიკაციის გეგმის ნაწილი. საქმე კი სხვაგვარად არის, ამის მსგავსი არაფერია. ცხოვრება და პრაქტიკა კარნახობს თავის უფლებებს... 70-იანი წლებიდან (XIX საუკუნის – გ. ბ.) საქართველოში რუსული მოსახლეობის მოდინებამ იმდენად იმატა, რომ რუსების რაოდენობა თითქმის გაუთანაბრდა ქართველების რაოდენობას. 70-იან წლებამდე თბილისში არ იყო არც ერთი რუსული სამრევლო ეკლესია. რუსული ეკლესიების რაოდენობამ საგრძნობლად იმატა ბოლო 35 წლის განმავლობაში. ყველა ეს ახალი ეკლესიებია: წმიდა თეოდოსის, იოანე ღვთისმეტყველის, ალექსანდრე ნეველისა და წმიდა ნინოს სახელობის ეკლესიები, რომლებიც რუსმა მრევლმა ააშენა. იოანე ღვთისმეტყველის ეკლესია განთავსებული იყო მიტოვებულ ქართულ ეკლესიაში, შემდეგ კი რუსმა მრევლმა ააშენა ლამაზი ტაძარი ძველის გვერდით. აი, სულ ეს არის რუსული ეკლესიები თბილისში. ქართული სამრევლო ეკლესიები სამჯერ მეტი იყო, ვიდრე რუსული, ეს მაშინ, როდესაც ქართველი

მოსახლეობა რუს მოსახლეობასთან თითქმის გათანაბრებული იყო...“(**Церковныя Ведомости №47, 1906: 26).**

დეკანოზ **იოანე ვოსტორგოვის** გამოსვლა მიმართული იყო იქითკენ, რომ რუსეთისათვის სასარგებლოდ წარმოედგინა სამხრეთ კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში არსებული ვითარება. იოანე ვოსტორგოვი არც ისე გაუნათლებელი იყო, რომ არ სცოდნოდა შემდეგი: **პირველი.** სვანები, თუშები და მეგრელები იგივე ქართველები არიან, ანუ მოსახლეობენ ისტორიული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში; **მეორე.** სამურზაყანოს მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას იმ დროისათვის (XX საუკუნის დამდეგისათვის) მეგრელები ანუ იგივე ქართველები წარმოადგენდნენ; **მესამე.** საქართველოს, იმერეთის, სამეგრელოსა და სვანეთის ერთმანეთის გვერდით მოხსენიება არ შეიძლებოდა, რადგან სამეგრელო, იმერეთი და სვანეთი საქართველოში შედიან, მისი შემადგენელი კუთხეები არიან.

რაც შეეხება ოსებისა და აფხაზების მოხსენიებას თუშების, მეგრელებისა და სვანების გვერდით, ვოსტორგოვი ამით ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ თუშები, სვანები და მეგრელები ისეთივე არაქართველები არიან, როგორც ოსები და აფხაზები. ამ დროისათვის (XX საუკუნის დამდეგისათვის) რუსეთის საიმპერატორო კარს საკმაოდ დიდი მუშაობა ჰქონდა ჩატარებული იმ მიზნით, რომ სამეგრელოსა და სვანეთში სალიტურგიო ენად მეგრული და სვანური დაემკვიდრებინა, ხოლო სამურზაყანოს ქართველ მოსახლეობას სკოლაში მეგრულ ენაზე მიეღო განათლება. რუსები ცდილობდნენ, რომ აფხაზებს, რომელთაც აფხაზური ენა არ იცოდნენ, სასკოლო განათ-ლება ან რუსულად, ხოლო, უკიდურეს შემთხვევაში, მეგრულად მიეღოთ. ამ პოლიტიკის საერთო მიზანი იყო სამეგრელოში, სვანეთსა და აფხაზეთში სამეგრელოდან, სვანეთიდან და აფხაზეთიდან ქართული ენის, როგორც სალიტურგიო ენის განდევნა და მისი ჩანაცვლება რუსულით.

აღარაფერს ვამბობთ **იოანე ვოსტორგოვის** მიერ დაშვებულ ზოგიერთ წვრილ-წვრილ „უზუსტობებზე“. მაგალითად, რუსი მღვდელი აღნიშნავს, რომ XIX საუკუნის 70-იან წლებამდე საქართველოში არც ერთი რუსული სამრევლო ეკლესია არ იყო, რაც მტკნარი სიცრუეა. საქართველოს მთავარსარდალმა **ალექსანდრე ტორმასოვმა (1809-1811)** ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მცხეთის საპატრიარქო გაუქმებული არ იყო, ხოლო კათოლიკოს-პატრიარქი **ანტონ** II ჯერ ისევ თბილისში იმყოფებოდა, დაიწყო რუსულ ენაზე

ღვთისმსახურება. ალექსანდრე ტორმასოვმა კათოლიკოს-პატრიარქს მოსთხოვა, რომ ქაშუეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში შაბათ-კვირას და საუფლო დღეებში იმსახურებდა რუსი სამღვდელოება, კერძოდ, ღვთისმსახურებას აღავლენდა ერთ-ერთი რუსული ოლქის მოძღვარი. უფრო ადრე საქართველოს მთავარსარდალმა **პავლე ციციანოვმა (1802-1806)** კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ს აცნობა, რომ უნდა დაეწყოთ ქართული საეკლე-სიო გალობის რუსულით (სლავურით) შეცვლა. იოანე ვოსტორგოვს ისიც „ავიწყდება", რომ თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში, როგორც შაბათ-კვირას და საუფლო დღეებში, ისე სადაგ დღეებშიც ღვთისმსახურება რუსულ ენაზე აღესრულებოდა. არა მარტო საქართველოს ეგზარქოსი და რუსი სამღვდელოება აღასრულებდა რუსულ ენაზე ღვთისმსახურებას, არამედ ქართველ მოძღვრებსაც აიძულებდნენ, რუსულ ენაზე ემსახურათ. სიონის ტაძარში გალობა რუსულ ენაზე სრულდებოდა.

ყოვლადსამღვდელო **კირიონმა** არ დაუთმო იოანე ვოსტორგოვს. ქართველ მღვდელმთავარს სიმართლის დაცვის მიზნით მრავალჯერ მოუწია გამოსვლა. ეპისკოპოსმა **კირიონმა** ალექსანდრე ნეველის ეკლესიასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აქ იყო ქართული სამრევლო. რუსების მოსვლის შემდეგ ნაწილი ქართველებისა წავიდა, ნაწილი კი დარჩა, მაგრამ რუსებმა ისინიც მალე აიძულეს, წასულიყვნენ იქიდან **(Церковныя Ведомости №47, 1906: 27).** დეკანოზი **ი. ი. ვოსტორგოვი** განუწყვეტლად იმეორებდა, რომ ალექსანდრე ნეველის ეკლესიას ქართველი მრევლი არასოდეს ჰყოლია. მისი თქმით, ქართველები არ ყოფილან სოხუმის ეპარქიაშიც. სოხუმის ეპარქიაში, ი. ი. ვოსტორგოვის აზრით, იყვნენ მხოლოდ მეგრელები და ისიც მოსულები **(Церковныя Ведомости 1906: 27).** ეპისკოპოსი **კირიონი** მასთან კამათში აღარ ჩაება, მხოლოდ ურჩია ნიკო მარის ნაშრომის წაკითხვა ქართველების შესახებ, სადაც იგი ყველა კითხვაზე პასუხს იპოვიდა. რაც შეეხებოდა ქართულად საღვთისმსახურო წესების შესრულებას, ყოვლადსამღვდელო კირიონმა დამსწრეთ შეახსენა, რომ არსებობდა სპეციალური ბრძა-ნება, რომელიც კრძალავდა მიცვალებულისათვის ქართულ ენაზე წესის აგებას **(Церковныя Ведомости №47, 1906: 27).** ეპისკოპოსი **ექვთიმე,** რომელმაც მანამდეც გამოიჩინა თავი რუსებისათვის საამებელი ზოგიერთი განცხადებით, ამჯერადაც დაუპირისპირდა ყოვლადსამღვდელო კირიონს. მან განაცხადა: „სასაფლაოს ეკლესიაში სამი ქართველი მღვდელია, რომლებიც რუსულადაც საუბრობენ. როცა საჭიროა ქართველის დაკრძალვა, ყველაფერს ქართულად აღასრულებენ, ხოლო რუსისა –

რუსულად“ („При кладбищенской церкви три священника грузина. Они говорят и по русски. Когда нужно отпевать грузин – отпевают по грузински, когда русских – по русски“) **(Церковныя Ведомости №47, 1906: 27).** ეპისკოპოს **ეფთიმეს** გამოსვლა, ცხადია, ამაგრებდა რუსების პოზიციებს. ამიტომ იყო, რომ ყოვლადსამღვდელო **კირიონმა** ძალზე მკაცრად უპასუხა რუსების მაამებელ ქართველ მღვდელმთავარს: „ეს სიცრუეა. არსებობს მიწერილობა, რომ არ იმსახურონ ქართულად“ („Неправда: есть предписание не служить по грузински“) **(Церковныя Ведомости №47, 1906: 28).** ეპისკოპოს **კირიონის** ამ განცხადებას ვეღარ შეეკამათა დეკანოზი **ი. ი. ვოსტორგოვი**, თუმცა პოზიციებს არ თმობდა და დარწმუნებით ამტკიცებდა, რომ სოფლის ეკლესიებში ყველგან ღვთისმსახურება ქართულ ენაზე აღევლინებოდა. ეს საკითხიც საკამათო იყო ყოვლადსამღვდელო კირიონისათვის, რადგან მან კარგად იცოდა, რომ გომბორში, დუ-შეთში, ფასანაურში, სადაც ქართველი მოსახლეობა ცხოვრობდა, წირვა-ლოცვა რუსულად სრულდებოდა. იყო მრავალი შემთხვევა, როდესაც ქართველ მღვდლებს აძალებდნენ რუსულად მსახურებას **(Церковныя Ведомости №47, 1906: 28).** ეპისკოპოს **კირიონს** არ დაუსახელებია მრავალი ფაქტი, რომელიც ააშკარავებდა იოანე ვოსტორგოვის სიცრუეს. მაგალითად, იმერეთის ეპისკოპოსმა **გიორგიმ** (ალადაშვილმა) საქართველოს ეგზარქოსისაგან მიიღო მიწერილობა, რომელიც ავალებდა დაბა ყვირილაში (ზესტაფონ-ში) წმიდა დავითისა და კონსტანტინეს სახელობის ეკლესიაში წირვა-ლოცვის რუსულად ჩატარებას. ასეთი მიწერილობის საფუძველი გამხდარა დაბა ყვირილაში რკინიგზის სადგურზე მომუშავე რამდენიმე რუსის საჩივარი.

მეორე განყოფილების სხდომაზე კამათმა განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო მაშინ, როდესაც საქმე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის განხილვამდე მივიდა. პროფესორი **მ. ა. ოსტროუმოვი** თვლიდა, რომ ზემოაღნიშნულ საკამათო საკითხებსა და გაურკვევლობას მოაგვარებდნენ, მაგრამ ავტოკეფალიის საჭიროებას ის ვერ ხედავდა: „ყველაფრიდან, რაც აქ ითქვა, მე ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა: ზოგიერთ კერძო შემთხვევაში არსებობს გაურკვევლობა და, ვფიქრობ, რომ ყველაფერი მოწესრიგდება, მაგრამ ყველაფრიდან გამომდინარე საჭიროა კი ავტოკეფალია?“ („Из все-го сказаннаго у меня получилось такое впечатление: в некоторых частных случаях существуют недоразумения, и мне думается, все они могут быть урегулированы. Но следует ли отсюда, что нужна автокефалия?“) **(Церковныя Ведомости №47, 1906: 28).** დეკანოზ **ი. ი. ვოსტორგოვი**ს აზრით კი, ავტოკეფალიაზე საუბარი უკვე დაგვიანებული იყო: „თუკი

მოგცემთ ავტოკეფალიას, მაშინ რუსები განაწყენდებიან, რადგანაც ახლა ძალზე ბევრნი არიან ამიერკავკასიაში და თუ კიდევ შეიძლებოდა საუბარი ავტოკეფალიაზე, ალბათ, გასული XIX საუკუნის 70-იან წლებამდე, როცა იქ არც რუსული სამრევლოები და არც რუსი სამღვდელოება არ არსებობდა. ახლა კი ცხოვრებას ვერ შეცვლი“ („Если дать автокефалию, будут обижены русские. Ведь их тепер очень много в Закавказьию. И если еще мог быть разговор об автокефалии, то до 70-х годов прошлаго XIX столетия, когда ни русских приходов, ни русскаго духовенства не существовало. А теперь - жизни не переделаешь“) (**Церковныя Ведомости №47, 1906: 28).** **ი. ი. ვოსტორგოვი** ისევ ყოვლადსამღვდელო **ლეონიდის** მოხსენებას შეეხო, რადგან სურდა, ამით ავტოკეფალიის საკითხი მეორეხარისხოვნად ექცია. უკვე იმდენი ითქვა ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენებასთან დაკავშირებით, რომ კვლავ ამ თემის წინ წამოწევა და განხილვა მიზანშეწონილი არ იყო. მეორე განყოფილების სხდომა კი კვლავ ამ საკითხის ირგვლივ ტრიალებდა. ყოვლადსამღვდელო **კირიონი** იძულებული გახდა, დამსწრეთათვის ეთქვა, რომ მოეწვიათ ეპისკოპოსი ლეონიდი და მისი თანდასწრებით განეხილათ მოხსენება, რომელმაც ასეთი აჟიოტაჟი გამოიწვია **(Церковныя Ведомости №47, 1906: 29).** გორის ეპისკოპოსმა **ექვთიმემ** ქართველი მღვდელმთავრის მოსაზრებას მხარი დაუჭირა და სთხოვა სხდომას აღნიშნული საკითხის განხილვის გადატანა ეპისკოპოს ლეონიდის გამოძახებამდე **(Церковныя Ведомости №47, 1906: 29).**

ქართველი სამღვდელოების არც ერთი თხოვნა არ იქნა გათვალისწინებული. რუსი სამღვდელოება და მეცნიერები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებას აშკარად აჭიანურებდნენ. დეკანოზი **ი. ი. ვოსტორგოვი** კვლავ ყოვლადსამღვდელო **ლეონიდის** მოხსენების კრიტიკას მიუბრუნდა და განაცხადა, რომ არც ერთი ქრისტიანული ჩვეულება საქართველოში რუსების მიერ აკრძალული არ ყოფილა. იგი თვლიდა, რომ თუ რამე აიკრძალა ან განადგურდა, ეს ქართველი მღვდლების ნამოქმედარი იყო **(Церковныя Ведомости №47, 1906: 29).** სხდომაზე მყოფი რუსი პროფესორებისათვის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი თეორიული ხასიათისა იყო. მათ ავტოკეფალიის საკითხის გადაწყვეტა ქართველების სასარგებლოდ მიუღებლად მიაჩნდათ მანამდე, სანამ ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენებას ბოლომდე არ განიხილავდნენ. პროფესორმა **მ. ა. ოსტროუმოვმა** განაცხადა: „ჩვენ არ შეგვიძლია ჩამოვშორდეთ დასახულ მიზანს, ბრალდების განხილვას. საქმე ისაა, რომ ავტოკეფალიის მისაღწევად ქართველებმა მონახეს ორი გზა: არა მარტო

ეკლესიური, არამედ სახელმწიფოც. ეს გამოიხატა იმაში, რომ მინისტრთა კომიტეტში შეიტანეს პეტიცია. და აი, წარმოიდგინეთ, რომ იგივე, რასაც ჩვენ აქ ვისმენთ, დაწერილია იმ პეტიციაში, რომელიც წარადგინეს სახელმწიფო ხელისუფლებაში. ვიმეორებ, მაშ, როგორ არ მოვიხსნათ ეს ბრალდებები **(Церковныя Ведомости №47, 1906: 30).** ყოვლადსამღვდელო კირიონმა განმარტა, რომ ბრალდებები, რომლებიც ჩამოყალიბებული იყო ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენებაში, წაყენებული იყო არა რუსეთის ეკლესიისადმი, არამედ საქართველოში არსებული სინოდალური მმართველობისადმი (ე. ი. საქართველოს ეგზარქოსებისა და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორისადმი – გ. ბ.). ეს ორი საკითხი კი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავდებოდა, რადგან თუ რუსებს ჰქონდათ უფლება ესაუბრათ სინოდალური წყობის ნაკლოვანებებზე, მაშინ ეს უფლება ქართველებსაც უნდა ჰქონოდათ **(Церковныя Ведомости №47, 1906: 30).**

ავტოკეფალიის მოთხოვნამ ძალზე შეაშინა და დააბნია მეორე განყოფილების სხდომების მონაწილე რუსი პროფესორები და სასულიერო პირები, რომლებიც ცდილობდნენ წვრილმან დეტალებზე კამათით დაეჩრდილათ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი. ყოვლადსამღვდელო **კირიონი** იყო ერთადერთი, რომელიც სხდომის მსვლელობის დროს მტკიცედ და ურყევად იცავდა საქართველოს ეკლესიის პოზიციებს. იგი მარტო ებრძოდა რუს სამღვდელოებასა და პროფესორებს. სხდომის მსვლელობისას რუსების მხრიდან კიდევ ერთხელ გამოითქვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნა არაკანონიკური იყო. პასუხი ისევ ეპისკოპოსმა კირიონმა გასცა: „ჩვენს მიერ ავტოკეფალიის მოთხოვნა – საეკლესიო საქმეა და არა სახელმწიფოებრივი. მე არ მესმის, თუ რატომ გვაშინებთ, რომ თითქოს ეს საქმე ანტისახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა. თუკი სახელმწიფო ავტოკეფალიას საშიშად მიიჩნევს, მაშინ სახელმწიფო მის წინააღმდეგ გაატარებს ღონისძიებებს. რაც შეეხება ავტოკეფალიის კანონიკურ საფუძველს, მის არსებობაში არანაირი ეჭვის შეტანა არ შეიძლება. კანონმდებლებისათვის ეს კარგად უნდა იყოს ცნობილი, ვიდრე სხვა ვინმესათვის“ („Наше требование автокефалии – дело церковное, а не государственное, и я не знаю, зачем нас пугать противогосударственностью этого дела. Если государство найдет автокефалию опасной, оно примет меры против этого. Что касается канонических оснований, то в существованиих нет никаких сомнений и канонистам это должно быть лучше известно, чем кому либо“) **(Церковныя Ведомости №47, 1906: 30–31).** პროფესორი

მ. ა. ოსტროუმოვი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნის კანონიკურ საფუძველს ვერ ხედავდა. როგორც მან აღნიშნა, 100 წლის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა ეკლესიაში, რისი ჩამოშლაც და დავიწყებაც შეუძლებელი იყო **(Церковныя Ведомости №47, 1906: 31).** ყოვლადსამღვდელო კირიონი კვლავ შეეკამათა მ. ა. ოსტროუ-მოვს: „მაშინ რა არის ეგზარქოსობა საქართველოში, განა ავტოკეფალიის ნაშთი არ არის, როგორც აჩრდილი ეკლესიური თვითმწყემსობისა?“ („А что такое экзаршество в Грузии, как не остаток автокефалии, тень бывшей церковной самостоятельности?“) **(Церковныя Ведомости №47, 1906: 31).**

მეორე განყოფილების სხდომაზე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნის საკითხმა პოლიტიკური სახე მიიღო. სხდომაზე მყოფ პროფესორებს მიაჩნდათ, რომ ავტოკეფალიის საკითხი მჭიდრო კავშირში იყო პოლიტიკასთან და ამიტომაც ამ საკითხის გადაჭრისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა პოლიტიკურ შეხედულებებსაც. ასეთ მოსაზრებას ეპისკოპოსი **კირიონი** არ დაეთანხმა და საკითხი ასე დააყენა: „მაშასადამე, აქედან გამომდინარე, რუსეთში პატრიარქობის აღდგენის მოთხოვნა ყოფილა პროდუქტი პოლიტიკური მოძრაობისა, რევოლუციისა“ („Тогда, следовательно, и возстановление в России патриаршества продукт политическаго движения, революции“) **(Церковныя Ведомости №47, 1906: 31).** ყოვლადსამღვდელო კირიონს პასუხი ვერავინ გასცა. რუსი პროფესორები და სასულიერო პირები ითხოვდნენ ბრალდების ჭეშმარიტების განსაზღვრას და საკითხის ბოლომდე გარკვევას. გადაწყვეტილი იყო, თუ ვინ შეისწავლიდა საქართველოს ეკლესიის საკითხს რუსეთთან შეერთებამდე და შეერთების შემდგომ, მაგრამ ვერ შეთანხმდნენ იმაზე, თუ ვინ დაწერდა ნაშრომს, რომელიც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნის კანონიკურობას დაადგენდა. ეპისკოპოსმა **სტეფანემ** ასეთი მოსაზრება გამოთქვა: „ამ საკითხების გადასაწყვეტად აუცილებელია გავითვალისწინოთ ის, რომ საქართველოს ეკლესიას რუსეთთან შეერთებამდე ჰქონდა თავისი ტერიტორიული საზღვრები და უფლებამოსილი იყო ამ ტერიტორიაზე მცხოვრები იმ ტომების, მოსახლეობის გაკონტროლებისა, რომლებიც მართლმადიდებლობას აღიარებდნენ. ეს ტერიტორია, როგორც უკვე აღვნიშნე, ძალიან მცირე იყო, მცირერიცხოვანი იყო იქ მცხოვრები მოსახლეობაც. თუკი მთელ მოსახლეობას, 160 ათას კაცს, რომელიც ცხოვრობდა შემოერთებულ საქართველოს სამეფო საზღვრებში, გამოვაკლებთ უცხო ტომის ხალხს, მაშინ ვნახავთ, თუ რამდენად უმნიშვნელო იყო საქართველოს მოსახლეობა და ის

ტერიტორია, რომელიც მათ ეკავათ... იმერეთი, სამეგრელო, აფხაზეთი, ბაქოს და ყარსის ოლქები შევიდნენ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, მოგვიანებით რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა საქართველოს ეკლესიაც, მხოლოდ სულ სხვა პირობით. ამასთანავე, დასავლეთ საქართველოს ოდესღაც ჰქონია თავისი ავტოკეფალია და ჰყოლია თავისი კათოლიკოსი (იგულისხმება ლიხთიმერეთისა და აფხაზთა საკათოლიკოსო – გ. ბ.). ისმის კითხვა: რომელი ავტოკეფალიისათვის ზრუნავენ ქართველები? შესაძლოა, ავტოკეფალიას ითხოვენ მხოლოდ საქართველოს იმ ყოფილ საზღვრებში, რომლითაც 1801 წელს შეუერთდა რუსეთს (იგულისხმება ქართლ-კახეთის სამეფო – ავტ.), ანდა იმ ავტოკეფალიას, რომელიც სურთ, რომ განავრცონ მთელ კავკასიაში, იმ კავკასიაში, რომელიც რუსული სისხლით იქნა მოპოვებული? ამასთანავე, რა საწყისი სურთ მოიაზრონ ავტოკეფალიის საფუძვლად? – ტერიტორიული, სადაც სურთ იქ მცხოვრებ ყველა მართლმადიდებელზე გაავრცელონ ქართული ეკლესიის უფლებამოსილება, იმის მიუხედავად, თუ რომელ ეროვნებას მიეკუთვნებიან ისინი? ანდა ტომობრივი, ანუ მომავალი ავტოკეფალიის უფლებამოსილების გავრცელება მხოლოდ ქართულ ტომებზე? იქნებ დასავლეთში – მეგრელებსა და გურულებს სურთ თავიანთი განსაკუთრებული ავტოკეფალია?.. საკითხი ავტოკეფალიის საზღვრებზე, ანუ იმაზე, თუ როგორი საწყისი მოიაზრება, ეროვნული თუ ტერიტორიული, მეტად მნიშვნელოვანია. თუკი ავტოკეფალური ეკლესიის შემადგენლობაში შევლენ მხოლოდ ქართული წარმომავლობის ადამიანები (ქართველები), მაშინ ძნელი იქნება გამიჯვნა საეკლესიო გავლენის სფეროებისა. მაგალითად, თბილისში არის რუსული, ქართული, ბერძნული და ა. შ. ეკლესიები. საჭირო აღარ უნდა იყოს იმაზე საუბარი, რომ ერთსა და იმავე ქალაქში აუცილებელი გახდება რამდენიმე დამოუკიდებელი ეპისკოპოსის დანიშვნა, რაც თავისთავად იმ კანონს ეწინააღმდეგება, რომელიც მოითხოვს სხვადასხვა ეროვნების მცხოვრებლების ტაძრებსა და მრევლზე ერთიანი ქონების განაწილებას. ეს ყველაფერი სისხლისღვრამდე ხომ არ მივა? თუკი ტერიტორიულ ავტოკეფალიას შემოიღებენ, მაშინ აუცილებელია გავარკვიოთ, მოისურვებენ კი, მიაკუთვნონ საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიას სხვა ეროვნებები: რუსები, ბერძნები, ოსები? ამ ეროვნებებს შორის განხეთქილება რანაირ არეულობას შეიტანს საეკლესიო საქმეში? განა ჩვენ არ გვაქვს მსგავსი გამოცდილება ბალკანეთის ნახევარკუნძულზე?“ („При решении этих вопросов необходимо иметь в виду, что грузинская Церковь пред присоединением к

русской Церкви имела свои территориальния границы, в которых она осуществляла свои полномочия над всеми жившими на этой территории племенами православной веры. Территория это была, как я уже сказал, очень небольшая, с всем малым количеством жителей. Если из всего населения присоединившагося грузинскаго царства в 160 тыс. жителей исключить иноверцев, то сколь ничтожны были и количество грузинскаго населения и территория, ими занимаемая… Имеретия, Мингрелия, Абхазия, Бакинская и Карсская области вошли в состав Российской империи и Церкви позже и при других условиях. При этом западная Грузия имела никогда свою автокефалию и своих католикосов. Спрашивается тепер: О какой автокефалии хлопочут грузины? Предполагается ли востановление автокефалии в границах только бывшаго грузинскаго царства, присоединившаго к России 1801 году, или же об автокефалии, простирающейся на весь Кавказ, приобретенный русскою кровию? При этом какое начало желают положить в основание автокефалии: территориальное, с распространением автокефалии на всю известную территорию со включением в нее всех православных жителей, какой бы нации они не были, или же племенное, то есть, с распространением полномочий будущей автокефальной грузинской Церкви только на картвельское племя? А может быть, запад-мингрельцы желают для себя особой автокефалии? Вопрос о пределах автокефалии, о том, какое начало будет положено – национальности или территориальности – весьма важный: если состав автокефальной Церкви войдет только грузинская национальность, то трудно будет разграничить сферы церковнаго влияния. Например, в Тифлис есть церкви русския, грузинския, греческия и т. д. Не говоря уже о том, что в одном и том в город придется поставлять по нескольку самостоятельных епископов, что будет противно канонам, как разделить общия теперь для разных национальностей храмы и церковние имущество? Не дойдет ли дело даже до кровопролития? Если автокефалия будет введена на территориальном основании, то необходимо познакомиться, пожелают ли принадлежать к грузинской автокефальной Церкви другия национальности: русские, греки, осетины, какую же смуту могут внести в церковныя дела распри всех этих национальностей! Не видим ли мы опыта в этом роде на Балканском полуострове?“) (**Церковныя Ведомости №47, 1906: 32)**. ეპისკოპოს სტეფანეს ამ მოსაზრებას არ დაეთანხმა პროფესორი **ა. ი. ალმაზოვი**, რადგან თვლიდა, რომ ამ საკითხზე მსჯელობა ნაადრევი იყო მანამ, სანამ არ გადაწყდებოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი. მისი აზრით, თუკი ზემოთ აღნიშნული ბრალდებები გაქარწყლდებოდა, ეს საკითხს მაინც ვერ გადაჭრიდა. მთავარი

იყო იმის გარკვევა, თუ რატომ წამოიჭრა საქართველოში ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნა **(Церковныя Ведомости №47, 1906: 32).**

რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების სხდომაზე საქართველოს ეკლესიის საზღვრების დადგენის საკითხმა კამათი გამოიწვია. დეკანოზ **ი. ი. ვოსტორგოვისათვის** გაურკვეველი იყო, თუ რა საზღვრებში მოითხოვდა საქართველოს ეკლესია ავტოკეფალიის აღდგენას. მისი თქმით, მთელი საქართველო მოსკოვის გუბერნიის ტოლი იყო, ხოლო მოსახლეობა 160 000 კაცს არ აღემატებოდა, რომელთაგან, რუსი დეკანოზის მტკიცებით, ნახევარი სომეხი იყო. ყარსის ოლქი, ფოთი, ბათუმი, ახალციხე, სოხუმი, ერევანი, ბაქო და ელიზავეტპოლი – ყველა ეს ტერიტორია ომების გზით მოპოვებული იყო რუსეთის მიერ, ამიტომ ი. ი. ვოსტორგოვს მართებულად არ მიაჩნდა ამ ტერიტორიების შესვლა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში. ვოსტორგოვს არც ის დავიწყებია, რომ 1783 წლისათვის (ე. ი. გეორგიევსკის ტრაქტატის დადების დროისათვის – გ. ბ.) საქართველოში ორი კათოლიკოსი იჯდა – აფხაზეთის (იგულისხმება ლიხთიმერეთისა და აფხაზთა საკათალიკოსო – გ. ბ.) და მცხეთის. თუ საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალიას მიანიჭებდნენ, გაურკვეველი გახდებოდა არაქართული სამრევლოების ბედიც. დეკანოზ ი. ი. ვოსტორგოვისათვის მიუღებელი იყო არაქართული სამრევლოების (იგულისხმებიან არაქართველი მართლმადიდებლები – გ. ბ.) საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შესვლა. ყარსის ოლქში 70-მდე ბერძნული სამრევლო იყო, თბილისის გუბერნიაში – 15. რუსეთთან შეერთების შემდეგ ბერძნები გადასახლდნენ რუსეთში, ამიტომ დეკანოზი ი. ი. ვოსტორგოვი ირწმუნებოდა, რომ ისინი არა საქართველოს, არამედ რუსეთის ეკლესიის შემადგენლობაში უნდა ყოფილიყვნენ **(Церковныя Ведомости №47, 1906: 33–34).** ამჯერადაც მოპასუხე ეპისკოპოსი **კირიონი** იყო. ქართველმა მღვდელმთავარმა დამსწრეთ აუხსნა, რომ საქართველოს ეკლესია უნდა აღდგენილიყო იმ საზღვრებში, რომელიც მას რუსეთთან შეერთებამდე ჰქონდა და როცა საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარი იყო მცხეთის კათოლიკოს-პატრიარქი. ქართველი მღვდელმთავარი თვლიდა, რომ საქართველოს საკათალიკოსოს იურისდიქციაში უნდა შესულიყვნენ არა მარტო ქართველები, არამედ სხვა ეროვნების მართლმადიდებლებიც, რადგან ისინი საქართველოში მოინათლნენ მართლმადიდებლებად და ცხოვრობდნენ საქართველოს მიწაზე **(Церковныя Ведомости №47, 1906: 33–34).**

მეორე განყოფილების სხდომაზე განხილვის თემად იქცა ყოვლადსამღვდელო **კირიონის** წიგნი **„Краткий очерк истории Грузинской церкви и экзархата за XIX ст.“** (Тифлис, 1901). წიგნში ეპისკოპოსი კირიონი დადებითად აფასებდა თბილისის რუსული სასულიერო სემინარიის საქმიანობას, რომელმაც დიდი როლი შეასრულა საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდგომ პერიოდში სასულიერო განათლების გავრცელების საქმეში. საქართველო მიდიოდა პროგრესისა და ცივილიზებული ცხოვრებისაკენ, საქართველოს ეკლესია კი ხალხის კეთილდღეობაზე, მის რელიგიურ-ზნეობრივ ცხოვ-რებაზე ზრუნავდა, – ნათქვამი იყო ყოვლადსამღვდელო კირიონის წიგნში. რუსი პროფესორები შეეცადნენ, წიგნის ეს მონაკვეთი თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ. ისინი თვლიდნენ, რომ ყოვლადსამღვდელო კირიონის ეს წიგნი ადასტურებდა ეპისკოპოს **ლეონიდის** მოხსენებაში აღნიშნული ფაქტების სიყალბეს **(Церковныя Ведомости №47, 1906: 35).** ქართველმა მღვდელმთავარმა განმარტა, რომ ეს წიგნი დაიწერა საქართველოს რუსეთთან შეერთების მე-100 წლისთავზე და საიუბილეო წიგნში საუბარი ნაკლოვანებებზე უხერხული იყო, თუმცა ეპისკოპოსმა კირიონმა არ უარყო ის, რომ 100 წლის განმავლობაში რუსეთის ხელისუფლებამ ზოგიერთი სასიკეთო ღონისძიებაც გაატარა, რაც დადებითად აისახა ქართველი ერის ცხოვრებაზე **(Церковныя Ведомости №47, 1906: 35).**

სხდომა კვლავ ეპისკოპოს **ლეონიდის** მოხსენების განხილვას მიუბრუნდა. კონკრეტულად, იხილებოდა მოხსენების ის ნაწილი, რომელიც სასულიერო განათლებას ეხებოდა. რუსებს განსაკუთრებით აღელვებდათ ყოვლადსამღვდელო ლეონიდის მოხსენებაში გაკეთებული შემდეგი დასკვნები: 1. სასულიერო განათლება საქართველოში სავალალო მდგომარეობაში იყო; 2. საქართველოში არსებული სასულიერო სემინარიები დასახულ მიზანს ვერ აღწევდნენ; 3. სასულიერო სემინარიაში პედაგოგები მხოლოდ რუსები იყვნენ; 4. სასულიერო სემინარიებში მკაცრი ფორმალიზმი იყო გაბატონებული **(Церковныя Ведомости №47, 1906: 36–37).** რა თქმა უნდა, სხდომაზე მყოფი რუსი სამღვდელოებისა და საერო პირების მიერ ეს ფაქტები სიცრუედ იქნა შერაცხული.

ყოვლადსამღვდელო **კირიონისათვის** გაუგებარი იყო ის, თუ რატომ არ ისწავლებოდა სემინარიაში ქართულად ისეთი საგნები, როგორებიცაა: კატეხიზმო, წმიდა წერილი და საქართველოს ისტორია. ქართველმა მღვდელმთავარმა რუსებს მოსთხოვა განემარტათ, თუ რატომ არ ისწავლებოდა საღვთისმეტყველო საგნები ქართულ ენაზე

(Церковныя Ведомости №47, 1906: 38). ეპისკოპოსმა **სტეფანემ** კითხვას ასე უპასუხა: 1) რუსულ ენაზე სწავლა მიმდინარეობდა იმ მიზნით, რომ ქართველი მოწაფეები კარგად დაუფლებოდნენ რუსულ ენას. რუსული ენის კარგად დაუფლებას მოითხოვდნენ სემინარიის მოწაფეების მშობლები, რათა მათ შვილებს შესაძლებლობა მისცემოდათ, უმაღლეს სასწავლებლებში რუსულ ენაზე გაეგრძელებინათ სწავლა; 2) საგნები ქართულ ენაზე არ ისწავლებოდა იმიტომ, რომ არ იყო ქართული სახელმძღვანელოები; 3) ქართველი რუსულ ენაზე საფუძვლიანი განათლების მიღების შემდეგ თავის ცოდნას მშობლიურ ენაზე შეუფერხებლად გამოიყენებდა; 4) რუსულ ენაზე სწავლების გარეშე სემინარიაში ხელმძღვანელობის მხრიდან სასწავლო პროცესის გაკონტროლება შეუძლებელი იქნებოდა **(Церковныя Ведомости №47, 1906: 39).** ყოველივე ამის შემდეგ ცხადი იყო, თუ რა შინაარსს შეიძენდა დაწყებული პოლემიკა. სხდომაზე მყოფი რუსი პროფესორები დიდი მონდომებით ამტკიცებდნენ იმას, რომ ქართული ენის დევნა, ქართველების შევიწროება, ქართული საეკლესიო და საერო ტრადიციების დევნა, სემინარიებში არსებული სავალალო მდგომარეობა – ეს ზოგიერთი ფაქტის გაზვიადებას წარმოადგენდა და რეალობას მოკლებული იყო **(Церковныя Ведомости №47, 1906: 33).** პროფესორ **ა. ი. ალმაზოვის** აზრით, შეუძლებელი იყო იმის დაბრუნება (იგულისხმება ავტოკეფალია – გ. ბ.), რაც საქართველოს ეკლესიას წინათ გააჩნდა **(Церковныя Ведомости №47, 1906: 40–41).**

სხდომა დასასრულს უახლოვდებოდა, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ისევ უცნობი იყო. მეორე განყოფილების სხდომების თავმჯდომარემ ყოვლადსამღვდელო **ნიკანდრმა** საბოლოოდ ასეთი განაჩენი გამოიტანა: „ჩვენ მოვისმინეთ ყოვლადსამღვდელო ლეონიდის მოხსენება და ვერანაირი საფუძველი ავტოკეფალიისათვის ჯერჯერობით ვერ ვპოვეთ“ („Мы прослушали доклад преосвященнаго Леонида и никаких оснований к автокефалии пока не усмотрели“) **(Церковныя Ведомости №47, 1906: 42).** პროფესორ **პ. ბ. მანსუროვისათვის** კი საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭების კანონირების დამადასტუ-რებელი სხვა რაიმე საფუძველი ჯერჯერობით არ არსებობდა და არც მომავალში იარსებებდა **(Церковныя Ведомости №47, 1906: 42).**

ყოვლადსამღვდელო **ნიკანდრმა** სხდომა დახურულად გამოაცხადა. განყოფილების საქმიანობა კი შემოდგომამდე შეწყდა. საბოლოო სიტყვა ყოვლადსამღვდელო **კირიონმა**

წარმოთქვა. უფრო ზუსტად კი, ეპისკოპოსმა კირიონმა წაიკითხა წინასწარ მომზადებული მოხსენება. ეს იყო ყოვლადსამღვდელო კირიონის მიერ დაწერილი ოთხი მოხსენებიდან მესამე. სხდომის მონაწილეები იძულებული გახდნენ ეღიარებინათ, რომ მოხსენება მართლაც მნიშვნელოვანი იყო და განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა. მიუხედავად ასეთი აღიარებისა, რუსები მიიჩნევდნენ, რომ ეპისკოპოს კირიონის მოხსენება მიღებულ გადაწყვეტილებას ვერ შეცვლიდა **(Церковныя Ведомости №47, 1906: 42).**

თავი III. ქართველ მეცნიერთა ღვაწლი რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე გაყოფილების სხდომებზე

1906 წლის 17 ნოემბერს მუშაობა დაიწყო რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილებამ (სექციამ), სადაც კვლავ საქართველოს ეკლესიის სტატუსის საკითხი უნდა განხილულიყო. კრება გაიხსნა დილის 7 საათზე ყოვლადუსამღვდელოესი ნიკანდრის თავმჯდომარეობით. სხდომას ესწრებოდნენ: ყოვლადსამღვდელო **სტეფანე** – მოგილევის ეპისკოპოსი, **ლეონიდი** – იმერეთის ეპისკოპოსი, დეკანოზები: **ტ. ი. ბუტკევიჩი, თ. ი. ტიტოვი, ი. ი. ვოსტორგოვი, ა. პ. მალცევი, ი. ი. კოიალოვიჩი,** პროფესორები: **ი. ს. ბერდნიკოვი, მ. ა. ოსტროუმოვი, ნ. ა. ზაოზერსკი, ა. ი. ალმაზოვი, ნ. ნ. გლუბოკოვსკი, ი. ი. სოკოლოვი, ა. ი. ბრილიანტოვი, ვ. პ. შეინი, ნ. ი. მარი და ა. ა. ცაგარელი.**

1906 წლის 17 ნოემბრის სხდომას უნდა განეხილა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი. სხდომაში მონაწილეობის მისაღებად, როგორც მივუთითეთ, მიწვეულნი იყვნენ პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორები **ალექსანდრე ცაგარელი** და **ნიკო მარი.**

კრების გახსნის შემდეგ უსამღვდელოესმა ნიკანდრმა სხდომის მონაწილეებს ამცნო, რომ განყოფილების მუშაობის პროცესს გამოკალდნენ: სოხუმის ეპისკოპოსი კირიონი და გორის ეპისკოპოსი ექვთიმე. უწმიდესი სინოდის განკარგულებით და უმაღლესი ხელისუფლების თანხმობით, საქართველოს ეგზარქოსს მიეცა უფლება, თავისი არჩევანის საფუძველზე ქართველი ეპისკოპოსები ჩაენაცვლებინა სხვა მღვდელმთავრებით, რომლებიც მონაწილეობას მიიღებდნენ სხდომის მუშაობის პროცესში. სწორედ ამის გამო მოწვეული იქნა უსამღვდელოესი ლეონიდი. ეპისკოპოსმა ლეონიდმა თხოვნით მიმართა მიტროპოლიტ ანტონს: „მეორე განყოფილების სხდომის მონაწილეთა შორის, სადაც საქართველოს ეკლესიის საკითხს განვიხილავთ, ვამჩნევ, რომ სხდომას არ ესწრება რამდენიმე ადამიანი, რომელიც იცნობს საქართველოს ეკლესიის ისტორიას და ეს გარემოება იწვევს სერიოზულ საშიშროებას, რომ საქართველოს ეკლესიის საკითხი დარჩება დაუმუშავებელი და მოუმზადებელი მომავალი სრულიად რუსეთის საეკლესიო

კრებისთვის“ („В составе членов II Отдела Предсоборнаго Присутствия, разбирающаго, между прочем, вопрос о грузинской Церкви, заметно отсутствие лиц сколько-нибудь знакомых с историей грузинской Церкви, и это обстоятельство внушает серьезное опасение, что вопрос о грузинской Церкви останется не разработанным и не подгатовленным к предстоящему Всероссийскому Собору“) **(Церковныя Ведомости №51-52, 1906: 59).** უსამღვდელოესი ლეონიდის განცხადების საფუძველზე ყოვლადსამღვდელო ნიკანდრის ეთხოვა, რომ სხდომის მსვლელობაში მონაწილეობის მისაღებად ხმის უფლებით მოეწვიათ პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორები, ქართველი სწავლულები ალექსანდრე ცაგარელი და ნიკო მარი. ამ თხოვნასთან დაკავშირებით მიღებული იქნა რეზოლუცია.

სხდომა გახსნა პროფესორმა ნ. ნ. გლუბოკოვსკიმ, რომელმაც განაცხადა, რომ საქართველოს ეკლესიისა და საეგზარქოსოს საკითხის განხილვა ახალ ფაზაში შევიდა. მან მეორე განყოფილების მონაწილეთ შეახსენა, რომ მათი მოვალეობა იყო კავკასიაში ეკლესიის რეორგანიზაციის საკითხის განხილვა. პროფესორი ნ. ნ. გლუბოკოვსკი შეეხო ეპისკოპოს ლეონიდის განცხადებას იმის თაობაზე, რომ სხდომას არ ესწრებოდნენ საქართველოს ეკლესიის ისტორიის მცოდნე კომპეტენტური პირები. რა თქმა უნდა, ამ შეხედულებას რუსი პროფესორი არ იზიარებდა, რადგან, მისი აზრით, საქართველოს ეკლესიის ისტორიას იცნობდა პროფესორი ი. ი. სოკოლოვი. ამიტომ ნ. ნ. გლუბოკოვსკიმ პროტესტი გამოთქვა ეპისკოპოს ლეონიდის მოსაზრებასთან დაკავშირებით და ყოვლადსამღვდელო ლეონიდის განცხადება პროფესორ ი. ი. სოკოლოვის ღირსების შელახვად მიიჩნია. ნ. ნ. გლუბოკოვსკის აზრით, თუ ქართველი მეცნიერები მონაწილეობას მიიღებდნენ რუსეთის საეკლესიო კრების მეორე განყოფილების მუშაობაში, მაშინ რუსებს უნდა მოეწვიათ პროფესორი ი. ს. პალმოვი, რომელიც სლავური ეკლესიის ისტორიის სპეციალისტი იყო. რუსი პროფესორის აზრით, ი. ს. პალმოვის მონაწილეობა ობიექტური გადაწყვეტილების მიღებისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი იყო: „მხოლოდ რუსეთის ამ ერთადერთ ავტორიტეტს შეუძლია, დოკუმენტურად ნათელი მოჰფინოს ყოველივეს და მე დარწმუნებული ვარ, რომ პროფესორი პალმოვი მოგვცემს ჩვენ მრავალ დარიგებას, რომელიც შეიძლება გადამწყვეტიც კი აღმოჩნდეს ყველა ჩვენი საკითხისათვის“ („Только этот единственный русский авторитет может все разъяснить нам с документальностью, и я уверен, что профессор И. С. Пальмов даст нам много поучительнаго, – даже решающаго, – во всем

нашем вопросе“) **(Церковныя Ведомости №51-52, 1906: 60).** ხმათა უმრავლესობამ სასურველად მიიჩნია პროფესორ ი. ს. პალმოვის მოწვევა რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების სხდომაზე. ყოველივე ეს კი უნდა მომხდარიყო მიტროპოლიტ ნიკანდრის თანხმობით, ვისთვისაც თხოვნით უნდა მიემართათ. მეორე განყოფილების სექციაზე გაგრძელდა ეპისკოპოს ლეონიდის ზემოაღნიშნული თხოვნის კრიტიკა. დეკანოზმა ტ. ი. ბუტკევიჩმა აღნიშნა, რომ მან გარკვეული წინააღმდეგობები შენიშნა უსამღვდელოეს ლეონიდის თხოვნაში. ტ. ი. ბუტკევიჩის განცხადების თანახმად, ეპისკოპოსი ლეონიდი ითხოვდა სხდომაზე საქართველოს ეკლესიის ისტორიის მცოდნეთა დასწრებას, მაშინ როდესაც სხდომაზე უკვე იყო ამ საკითხში განსწავლული პროფესორი ი. ი. სოკოლოვი. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პროფესორი ი. ი. სოკოლოვი ქართულ ენას არ ფლობდა. დეკანოზი ტ. ი ბუტკევიჩი მოითხოვდა გარკვეულიყო, რა სტატუსით იყვნენ მოწვეულნი ქართველი მეცნიერები რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების სხდომაზე: მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ქართულ ენას ფლობდნენ, თუ როგორც მრჩევლები საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხში. ქართველმა სწავლულმა ალექსანდრე ცაგარელმა რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების სხდომაზე დამსწრე პირებს განუმარტა, რომ ისინი იქ იმყოფებოდნენ, როგორც საქართველოს ისტორიის სპეციალისტები. ქართველ მეცნიერს არ დაუკარგავს პროფესორ ი. ი. სოკოლოვის ღვაწლი და აღნიშნა, რომ ის კარგად ფლობდა მხოლოდ საქართველოს ისტორიის თაობაზე არსებულ ბერძნულ წყაროებს. ალექსანდრე ცაგარელს არ დაუმალავს არც ის ფაქტი, რომ აქამდე სხდომას არ ესწრებოდნენ სპეციალისტები, რომლებსაც შესწავლილი ჰქონდათ ქართული წყაროები: „ჩვენ აქ ვიმყოფებით მხოლოდ როგორც საქართველოს ისტორიის წყაროების სპეციალისტები. რა თქმა უნდა, პროფესორი ი. ი. სოკოლოვი კარგად იცნობს საქართველოს ისტორიის თაობაზე არსებულ წყაროებს, მაგრამ აქამდე რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის განყოფილების სხდომის მონაწილეთა შორის არ იყვნენ სპეციალისტები, რომლებიც ქართულ წყაროებს სწავლობდნენ“ („Мы являемся только, как специалисты по грузинским памятникам истории Грузии. Конечно, профессор И. И. Соколов хороший знаток греческих источников грузинской истории, но до сих пор среди членов Предсоборнаго Присутствия не было специалистов по изучению грузинских источников“) **(Церковныя Ведомости №51-52, 1906: 60).**

პოლემიკაში პროფესორი ნ. ნ. გლუბოკოვსკი ჩაება. მის სიტყვებს თუ ვენდობით, ქართველები არამცთუ ქართულ ენაზე არსებულ წყაროებს იცნობდნენ, არამედ ქართულ ენაზე არსებულ ლიტერატურასაც კი არ კითხულობდნენ. რუსმა პროფესორმა ერთი ფაქტი გაიხსენა. პროფესორ ნ. ნ. გლუბოკოვსკის მართლმადიდებლური საღმრთო ენციკლოპედიის შედგენის დროს არაერთხელ მიუმართავს ქართველი სწავლულებისათვის დახმარების მიზნით. საქართველოს ისტორიის შესახებ ცნობების შეგროვებაში ქართველებს თავიანთი ცოდნისა და განათლების გამოყენება შეეძლოთ, რითაც გარკვეულ წვლილს შეიტანდნენ ენციკლოპედიის გამოცემის საქმეში. პროფესორმა ნ. ნ. გლუბოკოვსკიმ განაცხადა, რომ არც ერთმა ქართველმა მეცნიერმა შეთავაზება არ მიიღო. პროფესორმა ნ. ნ. გლუბოკოვსკიმ აღნიშნა, რომ იგი ცდილობდა, ქართველი სტუდენტები, რომლებიც აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად იღვწოდნენ, საქართველოში წასულიყვნენ, რათა ქართულენოვანი წყაროები მოეძიათ. მიუხედავად ამისა, ქართველი სტუდენტები აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად ნაშრომის დაწერას რუსული წყაროების გამოყენებით ამჯობინებდნენ. პროფესორმა ნ. ნ. გლუბოკოვსკიმ აღნიშნა, რომ რუსეთში არსებობდა ქართველოლოგიის კათედრა, პეტერბურგის სასულიერო სემინარიაში გაიხსნა ახალი კურსი საქართველოს ისტორიის შესასწავლად, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მეცნიერების ამ დარგში სპეციალისტები მაინც ნაკლებად იყვნენ. ნ. ნ. გლუბოკოვსკის აზრით, ქართველები ყოველივე ცუდს რუს ეგზარქოსებს სწამებდნენ. რუსებს დაბრალდათ ბიბლიის ცუდად გამოცემაც, რაც ქართველების „დამსახურება“ იყო და არა რუსების. ნ. ნ. გლუბოკოვსკის თქმით, ქართველი ავტოკეფალისტები ყოველ შავბნელ საქმებს რუსეთის ეკლესიის ხელმძღვანელობას მიაწერდნენ ხოლმე. ამავე დროს არსებობდა შიში იმისა, რომ ქართველი ერი კათოლიკური ეკლესიის გავლენის ქვეშ არ მოქცეულიყო, რადგან საქართველოში კათოლიკური პროპაგანდა უკვე XIII საუკუნიდან მიმდინარეობდა. ნ. ნ. გლუბოკოვსკის აზრით, რუსეთში უკვე დიდი ხანია მუშაობდნენ საქართველოს ეკლესიის ისტორიის წყაროების შესწავლაზე. ამიტომაც მას მიზანშეწონილად არ მიაჩნდა ქართველი მეცნიერების მოწვევა რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების სხდომაზე. ამ საკითხთან დაკავშირებით პასუხის გაცემა ეპისკოპოს ლეონიდს მოუწია: „მე არც მიფიქრია აქ დამსწრე სწავლულების შეურაცხყოფა და თუ ასე გამოვთქვი აზრი ჩემს თხოვნაში, მხოლოდ იმიტომ, რომ ვიცი, აქ არავინ არის, ვინც

ქართულად წაიკითხავდა წყაროებს, ქართულად ვერ კითხულობს ვერც ი. ი. სოკოლოვი“ („Я вовсе не хотел задать кого-либо из присутствующих здесь ученых, и если выразился так в своем прошении, так только потому, что знаю, что здесь никого нет, кто бы читал по грузински источники, не читает также и И. И. Соколов“) **(Церковныя Ведомости №51-52, 1906: 61).** ცხადი იყო, რომ ეპისკოპოს ლეონიდს არ დაეთანხმებოდნენ რუსი მღვდელმთავრები და პროფესორები. პროფესორი ტ. ი. ბუტკევიჩი გამოეხმაურა ქართველი ეპისკოპოსის მოსაზრებას და აღნიშნა, რომ ქართული წყაროების არცოდნა არ ნიშნავდა იმას, რომ რუსი მეცნიერები არაკომპეტენტურნი იყვნენ საქართველოს ეკლესიის ისტორიის ცოდნაში. რუსი პროფესორის აზრით, თუ ამ ლოგიკით იმსჯელებდნენ, მაშინ აუცილებელი გახდებოდა არაბულის, სომხურისა და სხვა ენების ცოდნის მოთხოვნა მეორე განყოფილების სხდომაზე დამსწრე პირთათვის. მან ასეთი კითხვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას: „თუ ქართული წყაროების ცოდნა ასე მნიშვნელოვანია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიასთან დაკავშირებით, მაშინ რატომ მოჰყავს ეპისკოპოს კირიონს უმთავრესი ფაქტი ავტოკეფალიის ისტორიისათვის არა ქართული წყაროდან, არამედ დურნოვოს რუსული წიგნიდან? ცხადია, რომ ქართულ ლიტერატურაში არაფერი ფასეული არ არის ამის შესახებ. თუ ქართველები რამეს მალავენ, ეს მათ ღირსებაზე უარყოფითად მეტყველებს“ („Если знание грузинских источников имеет такое исключительное значение в вопросе о происхождении грузинской автокефалии, то почему же преосвященный Кирион важнейший факт из истории этой автокефалии заимствует не из грузинских источников, а из русской книжки Дурново. Очевидно, в грузинской литературе ничего ценнаго об этом нет. Если же грузины что-либо скрывают, то это не к их чести“) **(Церковныя Ведомости №51-52, 1906: 61).** პოლემიკაში ჩართვა ნიკო მარსაც მოუწია. მან აღნიშნა, რომ არ მოელოდა, თუ ქართველი მეცნიერების მოწვევის ფაქტს შეურაცხყოფად მიიჩნევდნენ სხდომაზე მყოფი პირები. ნიკო მარმა ასევე ისაუბრა ქართული წყაროების მნიშვნელობაზე საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესწავლის საქმეში. მისი თქმით, ეს საკითხი იყო წმინდა მეცნიერული და ქართველი სწავლულების მოწვევაც განპირობებული იყო იმით, რომ ისინი იყვნენ ქართული წყაროების მცოდნენი, მოწვეულნი საპოლემიკო ისტორიული საკითხების გასარკვევად. კამათი ქართული წყაროებისა და ქართული ენის ცოდნასთან დაკავშირებით კვლავ გაგრძელდა. პროფესორები ტ. ი. ბუტკევიჩი და ნ. ნ. გლუბოკოვსკი პოზიციებს არ თმობდნენ. ტ. ი. ბუტკევიჩის აზრით, თუ ასეთი

მნიშვნელოვანი იყო ქართული ენის ცოდნა კავკასიაში საეკლესიო საქმეების მოწყობის გადასაწყვეტად, მაშინ ყველა ის ადამიანი, ვინც ქართულს ვერ ფლობდა, სხდომას არ უნდა დასწრებოდა. კამათში კვლავ ნიკო მარი ჩაება. მან რუსებს ასეთი განმარტება მისცა: „უნდა განვაცხადო, რომ არა ქართველი, არამედ რუსი მეცნიერი ვარ, მაგრამ წარმომავლობით ქართველი. თუ ჩამთვლით მე ქართველ მეცნიერად მხოლოდ იმიტომ, რომ ქართული ენა ვიცი და ვსწავლობ ქართულ წყაროებს, მე ასევე ვფლობ არაბულ და სომხურ ენებს, ვიცნობ არაბულ და სომხურ ლიტერატურას, მაგრამ არც არაბი ვარ და არც სომეხი“ („Должен заявить, что я не грузинский, а русский ученый, хотя грузин по происхождению. Если считать меня грузинским ученым только потому, что я знаю грузинский язык и изучаю грузинские источники, то я знаком также и с арабским, армянским и др. языками и литературами, и от этого всетаки не араб, не армянин и проч.“) **(Церковныя Ведомости №51-52, 1906: 61–62).** კამათი არ წყდებოდა. დეკანოზი ი. ი. ვოსტორგოვი მოითხოვდა საქმის ბოლომდე მიყვანას და ეპისკოპოსი ლეონიდის თხოვნის სრულად განხილვას. მან აღნიშნა, რომ ეპისკოპოს ლეონიდის სათხოვარ ბარათში არაფერი იყო ნათქვამი ქართული წყაროების თაობაზე. მისი აზრით, ბარათში ხაზგასმული იყო ის ფაქტი, რომ სხდომას არ ესწრებოდნენ საქართველოს ეკლესიის ისტორიის მცოდნე პირები. ი. ი. ვოსტორგოვი ფიქრობდა, რომ ეპისკოპოსმა ლეონიდმა წინასწარ დაიზღვია თავი მისთვის არასასურველი გადაწყვეტილებისგან: თუ რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილება გამოიტანდა ისეთ დასკვნას, რომელიც არ იქნებოდა მისაღები ქართველი ეპისკოპოსისათვის, მაშინ მას შეეძლო არ დასთანხმებოდა სხდომის გადაწყვეტილებას. დეკანოზი ი. ი. ვოსტორგოვი თვლიდა, რომ უსამღვდელოესი ლეონიდი ასეთ შემთხვევაში განაცხადებდა, რომ კრებას არ ესწრებოდნენ საქართველოს ეკლესიის ისტორიის მცოდნე პირები. რუსმა დეკანოზმა ასეთი მოთხოვნა დააყენა ქართველი ეპისკოპოსის წინაშე: „მე ვისურვებდი, ეპისკოპოს ლეონიდს განეცხადებინა, რომ მის შეფასებას სხდომის წევრების კომპეტენციის შესახებ არ აქვს დიდი მნიშვნელობა. წინააღმდეგ შემთხვევაში. ჩვენ ან კრების დატოვება მოგვიწევს და საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ ქართველი მეცნიერების საქმე იქნება, როგორც მათ ეპისკოპოსი ლეონიდი უწოდებს, ან უნდა ვისხდეთ ჩუმად და ქართველ მეცნიერებთან ერთად დავიწყოთ ანბანიდან საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესწავლა“ („Я бы желал, чтобы теперьже преосвященный Леонид заявил, что его отзыв о компетенции членов Отдела не имеет такого именно значения. Иначе, мы все или должны

оставить заседание и предоставить решение дела только ученым грузинам, как их назвал еп. Леонид, или сидеть молча, поучаяс у грузинских ученых с азбуки в истории грузинской церкви“) **(Церковныя Ведомости №51-52, 1906: 62).** დეკანოზ ი. ი. ვოსტორგოვს სავსებით დაეთანხმა პროფესორი ი. ი. სოკოლოვი. იგი თვლიდა, სიმართლეს არ შეეფერებოდა ის ფაქტი, რომ სხდომას არ ესწრებოდნენ საქართველოს ეკლესიის ისტორიის სპეციალისტები. ი. ი. სოკოლოვის აზრით, ამ საკითხის სპეციალისტები არ იყვნენ თავად საქართველოში, იმდენად რამდენადაც საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესწავლა ახალი დაწყებული იყო და ძალიან დიდი დრო უნდა გასულიყო, რომ ამ სფეროში სპეციალისტების არსებობაზე ესაუბრათ. რუსმა პროფესორმა არ უარყო ის ფაქტი, რომ საქართველოს ეკლესიის ისტორიის სპეციალისტს ქართული ენა უნდა სცოდნოდა. ი. ი. სოკოლოვმა სხდომაზე მყოფთ ამცნო, რომ ის თავად სწავლობდა ქართულს და ეცნობოდა ქართულ სამეცნიერო წყაროებსაც, ასეთი წყაროები ასევე მრავლად არსებობდა სხვადასხვა ენაზე. კამათი ამ საკითხთან დაკავშირებით არ წყდებოდა. ამიტომაც ეპისკოპოსმა ლეონიდმა მათ კიდევ ერთხელ განუმარტა: „მე რომელიმე მეცნიერის თავმოყვარეობის შელახვის არანაირი სურვილი არ მქონდა და თუ ეს ასე მოხდა, მაშინ პატიებას ვითხოვ“ **(Церковныя Ведомости №51-52, 1906: 63).** ნ. ნ. გლუბოკოვსკის მიაჩნდა, რომ ქართველი ეპისკოპოსი პირად შეურაცხყოფას აყენებდა რუს მეცნიერებს, მაგრამ დრო იყო, საქმეზე გადასულიყვნენ. პროფესორმა ი. ს. ბერდნიკოვმა დამსწრეთ შეახსენა, რომ საქართველოს ეკლესიის საკითხის გადასაწყეტად მოხსენებების გაკეთება დავალებული ჰქონდათ ტ. ი. ბუტკევიჩსა და ი. ი. სოკოლოვს. თავის მხრივ ალექსანდრე ცაგარელმაც შეახსენა დამსწრეთ, თუ რას ისახავდა მიზნად რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირი. მისი თქმით, საეკლესიო კრების წინარე თათბირის მიზანი იყო, ნიადაგი მოემზადებინა რუსეთის მომავალი საეკლესიო კრებისათვის, რომელიც საბოლოოდ გადაწყვეტდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს. მეორე განყოფილების მუშაობის ძირითადი მიზანი იყო მოემზადებინა მასალა, რომელსაც დაეყრდნობოდა რუსეთის საეკლესიო კრება და გამოიტანდა შესაბამის გადაწყვეტილებას. საეკლესიო კრებას უნდა ჰქონოდა საჭირო ფაქტები და ცნობები საქართველოს ეკლესიის ისტორიისა და ავტოკეფალიის თაობაზე. ამიტომაც ალექსანდრე ცაგარელმა სრული მზადყოფნა გამოთქვა, რომ ის მონაწილეობას მიიღებდა საჭირო ცნობების შეგროვებაში. ქართველმა მეცნიერმა ასეთი რამ შესთავაზა

დამსწრეთ: „დაე, ი. ი. სოკოლოვმა, როგორც საქართველოს ისტორიის შესახებ ბერძნული წყაროების მცოდნემ, წარადგინოს თავისი მოხსენება, რაზეც სხდომის დავალებით ის უკვე მუშაობს; ნიკო მარს, როგორც უძველესი ქართული წყაროების მცოდნეს, დაევალოს წარმოადგინოს მოხსენება ეკლესიის მმართველობის თაობაზე უძველესი დროიდან XVIII საუკუნემდე ამ წყაროებზე დაყრდნობით. XVIII საუკუნიდან მოხსენების წარდგენას მე ჩემს თავზე ავიღებ. რაც შეეხება უახლეს პერიოდს, 1801 წლიდან, ამას, ხელმისაწვდომ წყაროებზე დაყრდნობით, აუცილებლად ეპისკოპოსი ლეონიდი გააკეთებს. ამ შემთხვევაში საეკლესიო კრებას ექნება მასალა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის მეცნიერულად გაშუქებისათვის“ („Пусть уважаемый И. И. Соколов, как знаток греческих источников грузинской истории, представит нашему отделу Присутствия свой доклад, над которым он, по поручению отдела, уже и работал; Н. Я. Марру, как знатоку древних грузинских источников, можно бы поручить представить на основании этих источников доклад об управлении грузинской Церкви с древних времен до XVIII ст.; за XVIII ст. составление доклада я могу взять на себя; а за позднейшее время с 1801 г. представит необходимыя сведения Преосвященный Леонид по доступным ему источникам. Тогда предстоящему Собору даны будут материалы, обстоятельно освещающие в научном отношении вопрос о грузинской автокефалии“) **(Церковныя Ведомости №51-52, 1906: 63–64).**

ქართველი მეცნიერის ამ წინადადებას უარყოფითად შეხვდნენ რუსი პროფესორები. მათი აზრით, ასეთი წინადადება არ შეესაბამებოდა მეორე განყოფილების დანიშნულებას, რადგან ამ შემთხვევაში რუსი პროფესორების მიერ მომზადებული მოხსენებები დაკარგავდა მნიშვნელობას. პროფესორმა ტ. ი. ბუტკევიჩმა აღნიშნა, რომ მისი მოხსენება ეხებოდა ეპისკოპოს ლეონიდის თხოვნას, რომლის თანახმადაც, აუცილებელი იყო საქართველოს ეკლესიის თვითმწყემსობის (ავტოკეფალიის) აღდგენა. ტ. ი. ბუტკევიჩის აზრით, ქართველი მღვდელმთავრის მოხსენებაში მრავალი ფაქტი შემოწმებასა და გამოძიებას საჭიროებდა. განსაკუთრებით კი ეს ეხებოდა ეგზარქოსობის მმართველობის პერიოდს და ეგზარქოსების დახასიათებას. ფაქტობრივად, პროფესორ ტ. ი. ბუტკევიჩის მოხსენება ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენების კრიტიკას წარმოადგენდა. ი. ი. ვოსტორგოვი თვლიდა, რომ ტ. ი. ბუტკევიჩის მოხენება სავსებით მართებული იყო, რადგან ქართველი ეპისკოპოსი ცდილობდა დაემტკიცებინა შემდეგი ფაქტები: 1) საქართველოს ეკლესია კეთილად ასრულებდა თავის მოვალეობას, სანამ ის რუსეთის

საეგზარქოსოს მმართველობაში შევიდოდა; 2) საქართველოს ეკლესია დაეცა საეგზარქოსოს მმართველობის პერიოდში; 3) საქართველოს ეკლესიას თავისი პირვანდელი სახის დასაბრუნებლად ესაჭიროება ავტოკეფალია. ი. ი. ვოსტორგოვმა აღნიშნა, რომ რუს მეცნიერებს მიზნად ჰქონდათ დასახული გაერკვიათ: 1) ფუნქციონირებდა და კეთილდღეობდა თუ არა საქართველოს ეკლესია რუსეთთან შეერთებამდე; 2) მიიყვანა თუ არა სინამდვილეში რუსეთის საეკლესიო მმართველობამ საქართველოს ეკლესია სრულ დაცემამდე; 3) საქართველოს ეკლესიისათვის მიყენებული იარები იყო თუ არა იმდენად ღრმა, რომ ამ იარებისაგან ეკლესიის განკურნება მხოლოდ ავტოკეფალიას შეეძლო, თუ ყოველივე ეს მოგვარდებოდა რეფორმების გზით.

ალექსანდრე ცაგარელის წინადადება კიდევ ერთხელ უარყოფილ იქნა რუსეთის საეკლესიო კრების მეორე განყოფილების სხდომაზე. რუსი მეცნიერები და პროფესორები საკუთარი გეგმების შეცვალს არ აპირებდნენ. კიდევ ერთხელ დაისვა საკითხი: რამდენად მართებული იყო ქართველი მეცნიერების მონაწილეობა მეორე განყოფილების მუშაობაში. ნიკო მარმა აღნიშნა: „კიდევ ერთხელ ვაცხადებ, რომ მეორე განყოფილების მუშაობაში მონაწილეობას მივიღებ, როგორც საისტორიო წყაროების მცოდნე, მაგრამ უარს ვაცხადებ პრაქტიკული საკითხების განხილვაში მონაწილეობაზე. მაგალითად: არის თუ არა ავტოკეფალია სასიკეთო ეკლესიისათვის (ეს ეხება მხოლოდ საქართველოს ეკლესიას, საქართველოს საეკლესიო კრებას). ამავე დროს მსურს დაგიდასტუროთ, რომ მზად ვარ მონაწილეობა მივიღო საქართველოს ეკლესიის მმართველობის ისტორიული მხარის გაშუქებაში, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მოწვევა იქნება მთელი განყოფილების თანხმობით და არა მხოლოდ უსამღვდელოესი ლეონიდის სურვილით“ („Вновь заявляю, что я могу принять участие в работах II отдела только как ученый по вопросам, требующим знания исторических источников, но отказываюсь участвовать в обсуждении вопросов чисто практических, например, вопроса о том, составляет ли автокефальное устройство благо для Церкви в настоящее время, или нет (Это дело самой Грузинской Церкви, Грузинскаго церковнаго собора). Кроме того, считаю нужным подвердить, что готов принять приглашение участ вовать в освещение исторической стороны вопроса о церковном управлении Грузии, но лишь в том случае, когда приглашение это будет исходить от всего отдела Предсоборнаго Присутствия, а не от однаго лишь члена его Преосвященнаго Леонида“) **(Церковныя Ведомости №51-52, 1906: 65).** საბოლოოდ ხმათა უმრავლესობით გადაწყდა ალექსანდრე ცაგარელისა და ნიკო

მარის მონაწილეობა რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების სხდომებში.

პროფესორმა ტ. ი. ბუტკევიჩმა წაიკითხა მოხსენება – „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი“ (ხარკოვი, 1906 წ.), რომლის მეოთხე და მეშვიდე გვერდები მთლიანად ეთმობოდა უსამღვდელოესი ლეონიდის მოხსენებაში აღნიშნული ფაქტების უარყოფას. პროფესორი ტ. ი. ბუტკევიჩი წერდა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნა გამოწვეული იყო იმედგაცრუებით, რასაც ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენებაც ადასტურებდა. ქართველი მღვდელმთავრის მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ ეგზარქოსები არ ფლობდნენ ხალხის ენას, არ იცოდნენ მათი საეკლესიო და საერო ტრადიციები და ხასიათი. ამას ერთვოდა ისიც, რომ ეგზარქოსებს დაახლოებული ჰყავდათ პირმოთნე, ეგოისტი და პატივმოყვარე ადამიანები. მათი მოვალეობა სხვათა თვალყურის დევნა იყო. ფაქტობრივად, ეკლესიასაც ისინი ხელმძღვანელობდნენ. რუსი პროფესორის აზრით, აღნიშნული ბრალდებები სიმართლეც რომ ყოფილიყო, ეს მხოლოდ იმის უფლებას აძლევდა ქართველებს, რომ მოეთხოვათ უკეთესი ეგზარქოსი და არა ეკლესიის თვითმწყემსობის აღდგენა. შემდეგ ტ. ი. ბუტკევიჩი პუნქტების მიხედვით განიხილავს ეპისკოპოს ლეონიდის მოხსებას და წერს: 1) „ეგზარქოსებმა, – როგორც ამას ავტორი გვეუბნება, – არ იცოდნენ ენა, საეკლესიო და საერო ტრადიციები“. კავკასიაში სხვადასხვა ეროვნების ხალხი ცხოვრობს, რომლებიც მართლმადიდებლობის მიმდევრები არიან, მაგრამ სხვადასხვა ენაზე საუბრობენ. მრავალი მათგანი ეგზარქოსებისგან ითხოვდა ამ ენების ცოდნას, ანდა ყველა კავკასიელ ხალხს უნდა ჰყოლოდა განსაკუთრებული ეგზარქოსი. ცხადია, რომ ეგზარქოსებს შესაძლებელი იყო, არ სცოდნოდათ ქართული ენა, მაგრამ ის, რომ მათ საერთოდ არ იცოდნენ საეკლესიო ტრადიციები და ზნე-ჩვეულებები, ამას ვერავინ დაიჯერებს. უსამღვდელოესი ლეონიდის მოხსენების კითხვისას უნებურად მინდა ვუთხრა ქართველ სეპარატისტებს: თქვენმა ეგზარქოსებმა არ იცოდნენ თქვენი ენა, თქვენი ეკლესიის ტრადიციები და ზნე-ჩვეულებები და ამით ხართ უკმაყოფილონი. ასე რომ, თქვენ ითხოვთ არა ეკლესიის ავტოკეფალიას, არამედ იმას, რომ დაგინიშნონ ქართველი ეგზარქოსები, რადგან ეკლესიის დასუსტება თქვენში მხოლოდ სეპარატისტულ, ეროვნულ მისწრაფებებს აღვიძებს. სამართლიანი იქნება კი თქვენი მოთხოვნა სხვადასხვა ტომებთან მიმართებით, რომლებიც მართლმადიდებლები არიან – ერევნის,

ბაქოს, შავი ზღვის, ელიზავეტოპოლის, სტავროპოლის, ყარსისა და დაღესტნის ოლქებთან მიმართებით აფხაზებთან და ოსებთან ერთად. კავკასიელ ხალხთა შორის მუდმივი მტრობის ფონზე ქართველების მოთხოვნის დაკმაყოფილება გამოიწვევს შეურიგებელ შეტაკებას ტომთა შორის, არეულობას საეკლესიო ცხოვრებაში, შეიძლება სისხლისღვრაც კი მოხდეს, რაც ბაქოში მოხდა... მხოლოდ ქართველებით ხომ არ არის დასახლებული კავკასია?! ქართველები მხარეში გამორჩეული პოლიტიკური და ეკლესიური ბატონობისათვის მიისწრაფიან. კახეთში, ქართლში, იმერეთში, სამეგრელოში, გურიაში, სვანეთსა და თბილისის გუბერნიაშიც კი არა მხოლოდ ქართველები მკვიდრობენ. იქ მრავლად ცხოვრობენ ბერძნებიც, რუსებიც, ოსებიც და აფხაზებიც. როდესაც საქართველო შეუერთდა რუსეთს, მასზე ჯერ კიდევ არ იყო დაქვემდებარებული სხვა კავკასიელი ტომები. რუსეთის ხელისუფლება ძალიან ფრთხილად ეპყრობოდა ქართველების ნაციონალურ კეთილსინდისიერებას, ათ წელზე მეტი იტანდა კათოლიკოს ანტონ II-ს საქართველოს ეკლესიის სათავეში. პირველი ეგზარქოსიც ხომ საქართველოში ადგილობრივი ქართველი იყო, ერისთავის გვარიდან... და რა მერე? იყვნენ კი კმაყოფილი ქართველები მისით? – არა. ქართველები მას სიძულვილით „რუსეთის მსახურად“, „რუსეთის მიერ დანიშნულ მოხელედ“ და ა. შ. იხსენიებდნენ.

2) ეგზარქოსები, – ამბობს ავტორი –, ხშირად იცვლებოდნენ: საშუალოდ ექვს წელზე ნაკლებს მსახურობდნენ. ასევე ნათქვამი იყო, რომ არც ერთი ეგზარქოსი არ იცნობდა თავის მრევლს. შეიძლება აღნიშნული ნათქვამი სიმართლეს შეეფერება, მაგრამ ამაში ქართველებს მიუძღვით ბრალი. მათ მხოლოდ იმიტომ ჰქონდათ მტრული დამოკიდებულება ეგზარქოსებისადმი, რომ ისინი რუსები იყვნენ. ეგზარქოსების ცხოვრება საქართველოში, შეიძლება ითქვას, რომ ამ ბოლო დროს გაუსაძლისი გახდა. მხოლოდ რუსი სამხედროების თანხლებით ჩნდებოდნენ ისინი სიონის ტაძარში ღვთისმსახურების აღსავლენად. ასეთ მდგომარეობაში მათი დატოვება დიდხანს არ შეიძლება. თუ ქართველები თვლიან, რომ ეგზარქოსები დიდხანს არ ჩერდებიან მათთან და ამ ფაქტს უარყოფითად აფასებენ, მაშინ მათ აუცილებლად უნდა შეცვალონ დამოკიდებულება ეგზარქოსებისადმი.

3) მოხსენების ავტორი განიკითხავს ყოფილ ეგზარქოსებს და ბრალს სდებს მათ სხვა პირების მეშვეობით ეკლესიის მართვაში და იხსენიებს მათ როგორც ეგოისტ,

პირმოთნე და პატივმოყვარე ადამიანებს. ასეთი მდგომარეობა თითქოს აიძულებს ქართველებს, მოითხოვონ ეკლესიის ავტოკეფალია იმის ნაცვლად, რომ მოითხოვონ დამოუკიდებელი ეგზარქოსი. შეიძლება კი ავტოკეფალია იყოს თავდები იმისა, რომ საქართველოს ეკლესიის პატრიარქი იქნება ეკლესიის დამოუკიდებელი მმართველი და, რომ ის არ შემოიკრებს თავის თაყვანისმცემელ პირებს და არ მოექცევა მათი გავლენის ქვეშ და, რომ არ უხელმძღვანელებს საქართველოს ეკლესიას მათი დახმარებით, მათი რჩევებითა და მითითებით? **(Церковныя Ведомости №51-52, 1906: 65–67).**

პროფესორ ტ. ი. ბუტკევიჩის გამოსვლას გამოეხმაურა ეპისკოპოსი ლეონიდი, რომელმაც მას კიდევ ერთხელ განუმარტა თავისი მოხსენების არსი. ქართველი ეპისკოპოსი არ დაეთანხმა რუსი მეცნიერის მიერ მოყვანილ ფაქტებს და მასთან კამათში ჩაება. უსამღვდელოესმა ლეონიდმა აღნიშნა, რომ ეგზარქოსების მიერ ქართული ენის არცოდნა არ იყო ნორმალური და მისაღები ფაქტი. ეგზარქოსები, როგორც ეკლესიის პირველი იერარქები, ვალდებული იყვნენ სცოდნოდათ ქართული ენა, რომელიც, ამავე დროს, საეგზარქოსოს მოსახლეობის სახელმწიფო ენაც იყო. ქართველი მღვდელმთავარი შეეცადა, ტ. ი. ბუტკევიჩის მოხსენებაში აღნიშნული ყველა ბრალდება გაექარწყლებინა. ეპისკოპოსმა ლეონიდმა საეკლესიო ტრადიციების დევნის არაერთი ფაქტი დაასახელა. იგი ამტკიცებდა, რომ ეგზარქოსებმა არ იცოდნენ საეკლესიო ტრადიციები და არც პატივს სცემდნენ მათ. ამის დასადასტურებლად ყოვლადსამღვდელო ლეონიდმა ასეთი ფაქტი გაიხსენა: პირველ ოქტომბერს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში აღნიშნავდნენ ცხოველმყოფელი სვეტის დღესასწაულს. ეგზარქოსმა ნახა ტაძარში ადგილობრივი დღესასწაულის აღმნიშვნელი ხატი, გასცა ბრძანება ხატის ჩამოხსნისა და ღვთისმშობლის საფარველის (Покров Богородицы) ახალი ხატი მოატანინა. მას განუმარტეს, რომ ეს იყო ადგილობრივი ტაძრის დღესასწაულის აღმნიშვნელი ხატი, რაზეც მან ასე უპასუხა: „არანაირი თქვენი დღესასწაული არ ვიცი და არც მინდა ვიცოდე, უნდა ვიდღესასწაულოთ საფარველის დღესასწაული“ **(Церковныя Ведомости №51-52, 1906: 67).** ამ ფაქტით ქართველმა მღვდელმთავარმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ის, რომ ეგზარქოსებმა არა მარტო არ იცოდნენ საეკლესიო ტრადიციები, არამედ არც პატივს სცემდნენ მათ. ეპისკოპოსი ლეონიდი გამოეხმაურა ასევე ეგზარქოსების ხშირ ცვლას და აღნიშნა, რომ ამაში ქართველებს ბრალი არ მიუძღოდათ. ეგზარქოსებისა და სასულიერო პირების ხშირი მონაცვლეობა საერთო

რუსული მოვლენა იყო. ქართველი მღვდელმთავრისათვის სრულიად გაუგებარი იყო, თუ რატომ აღმოჩნდა ეპისკოპოსი კირიონი ორლოვის ეპარქიაში უფრო საჭირო, ვიდრე მშობლიური კავკასიისათვის. ქართველი ეპისკოპოსისათვის მიუღებელი იყო ასევე ტ. ი. ბუტკევიჩის განცხადება იმის თაობაზე, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნით ქართველები ცდილობდნენ მიეღწიათ პოლიტიკური განცალკევებისათვის. ამავე დროს, ისინი თურმე ადგილობრივი ხალხის დამორჩილებას და მათ გაქართველებას ესწრაფოდნენ. ეპისკოპოს ლეონიდისათვის უცნობი იყო, რის საფუძველზე აკეთებდა რუსი პროფესორი ასეთ განცხადებას, რადგან საქართველოში ასეთ მოვლენას ადგილი არ ჰქონია **(Церковныя Ведомости №51-52, 1906: 67–68).** უსამღვდელოეს ლეონიდს გამოეხმაურა ალექსანდრე ცაგარელიც და აღნიშნა, რომ საკითხის ამ კუთხით განხილვა პოლიტიკურ სახეს იძენდა, რაც მიუღებელი იყო საეკლესიო პრობლემის გადასაჭრელად. პროფესორი ტ. ი. ბუტკევიჩი კვლავ უსამღვდელოესი ლეონიდის მიერ აღნიშნული ფაქტების საწინააღმდეგოდ გამოდიოდა. მისი თქმით, ეგზარქოსები არცთუ ისე მალე იცვლებოდნენ საქართველოში. ეგზარქოსი იოანე (ვასილევსკი – გ. ბ.) 11 წელი მსახურობდა საქართველოში, ევგენი (ბაჟენოვი – გ. ბ.) – 10 წელი, ისოდორე (ნიკოლსკი – გ. ბ.) – 14 წელი, ევსევი (ილინსკი – გ. ბ.) – 10 წელი. მხოლოდ ბოლო წლებში განსაკუთრებული მდგომარეობის გამო მოხდა ეგზარქოსების ხშირი ცვლილება.

პოლემიკაში დეკანოზი ი. ი. ვოსტორგოვიც ჩაერთო. მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა კავკასიელი ხალხის გაქართველების საკითხი. დეკანოზი ი. ი. ვოსტორგოვი მწვავედ და დამაჯერებლად აცხადებდა, რომ კავკასიელი ხალხის გაქართველების სურვილი დიდი ხანია არსებობდა და ეს სურვილი სახელმწიფო მოღვაწეებსაც ჰქონდათ. ი. ი. ვოსტორგოვი ირწმუნებოდა მრავალი ფაქტის არსებობის თაობაზე, რომლებიც აფხაზებისა და ოსების უხეშ გაქართველებას ადასტურებდა, ათეულობით არაქართულ სკოლებშიც კი ძალდატანებით ნერგავდნენ ქართულ ენას. დეკანოზ ი. ი. ვოსტორგოვისათვის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნაც არასაეკლესიო მიზნებს ემსახურებოდა. მისი აზრით, ეს საკითხი მხოლოდ რუსეთ-იაპონიის ომის დროს წამოიჭრა. ეს კი, გარკვეულწილად, გაპირობებული იყო რუსეთის წარუმატებლობით საომარ ფრონტზე და მსოფლიოში მათი პრესტიჟის დაცემით. რუსმა დეკანოზმა ამის დამადასტურებლად ეპისკოპოსი სტეფანე დაასახელა, რომელიც ბოლო

ათი წლის მანძილზე მსახურობდა კავკასიაში. სწორედ მას შეეძლო ეთქვა, რომ 1904 წლამდე საქართველოში ეკლესიის ავტოკეფალიის თაობაზე სიტყვაც არ თქმულა. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაზე არც არავის უფიქრია. ამიტომაც დეკანოზი ი. ი. ვოსტორგოვი თვლიდა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნა წმინდა პოლიტიკური მოვლენა იყო. ეს მოთხოვნა კი გამოწვეული იყო ქართველი ხალხის იმ იმედგაცრუებით, რომელიც მათ რუსეთის მიმართ ჰქონდათ მასთან შეერთების დროს. რუსი დეკანოზი შეეხო ასევე 1-ლი ოქტომბრის დღესასწაულის საკითხსაც. იგი თვლიდა, რომ ქართველებს არ ჰქონდათ ღვთისმშობლის საფარველის დღესასწაული, შესაბამისად, არ ჰქონდათ ხატის დღესასწაულიც. ეგზარქოსმა გასცა ბრძანება, აეღოთ სვეტიცხოვლის ხატი და მის ნაცვლად დაებრძანებინათ ღვთისმშობლის საფარველის ხატი, რომელიც არ არსებობდა. სწორედ ამის გამო იქნა ბრალდებული ეგზარქოსი და მიჩნეული, როგორც არმცოდნე საეკლესიო ტრადიციებისა, რომელიც ღიად და უხეშად პატივს არ სცემდა საქართველოს ეკლესიის წეს-განგებას. დეკანოზ ი. ი. ვოსტორგოვისათვის არ არსებობდა ფაქტები, რომლებიც ქართული საეკლესიო ტრადიციების დევნას დაადასტურებდა. ამიტომაც იგი მოითხოვდა ეპისკოპოს ლეონიდისაგან საეკლესიო ტრადიციების დევნის ამსახველი ფაქტების დასახელებას და დასაბუთებას **(Церковныя Ведомости №51-52, 1906: 68).**

პროფესორი ნიკო მარი შეეწინააღმდეგა დეკანოზ ი. ი. ვოსტორგოვის განცხადებას: „იმ უმნიშვნელო ფაქტების გამო კამათი, რომლებზეც უსამღვდელოესი ლეონიდისა და დეკანოზ ბუტკევიჩის მოხსენებებშია საუბარი, მიზანშეწონილი არა არის. საქმე ეხება საქართველოს ეკლესიის არანორმალურ მდგომარეობას და არა ცნობილი პირების ნაკლოვანებებს. ჩვენ უნდა ვისაუბროთ არა პიროვნებებზე, არამედ სისტემის ნაკლოვანებებზე და იმაზე, თუ როგორ უნდა აღმოიფხვრას ეს ნაკლოვანებები: თუ აქ მიაჩნიათ, რომ არანაირი არანორმალური მდგომარეობა არ არსებობს საქართველოს ეკლესიაში და, რომ დღესაც არ არის საგანგაშო მდგომარეობა და, რომ საქართველოს ეკლესიის პირველმა იერარქმა არ იცის ქართული ენა, მაშინ რაზე უნდა ვისაუბროთ ჩვენ აქ?“ („По незначительности и остроте сейчас происходящих прений мы видим все неудобство обсуждать доклады протоиерея Буткевича и преосвященнаго Леонида, нечуждые мелочных обобщений и указаний на личности. Ведь вопрос идет о ненармальности положения Грузинской Церкви в наше время, а не о недостатках известных лиц, нужно говорить не о ли-цах, а о недостатках существующаго режима и о

средствах устранить эти недостатки. Если же здесь находять, что ничего ненормальнаго в положении Грузинской Церкви нет, и даже то обстоятельство не считается ненормальным, что первоиерарх грузинскийне знает языка грузинской народности, то о чем же остается говорить и совещаться?“) **(Церковныя Ведомости №51-52, 1906: 68–69).** პროფესორი ნ. ნ. გლუბოკოვსკი კვლავ ითხოვდა ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენების განხილვას. მან რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების სხდომაზე მყოფთ შეახსენა, რომ სექცია მოწვეული იყო არა მხოლოდ საქართველოს ეკლესიის საკითხის გადასაწყვეტად, უნდა ემსჯელათ კავკასიაში საეკლესიო საქმეების მოწყობაზე. ნ. ნ. გლუბოკოვსკი თვლიდა, რომ საქართველოს ეკლესიის საკითხი იყო პატარა რგოლი, მაგრამ ამავე დროს უმთავრესიც იმ საკითხებისა, რომლებიც კავკასიაში უნდა გადაწყვეტილიყო **(Церковныя Ведомости №51-52, 1906: 70).** ნ. ნ. გლუბოკოვსკის კვლავ ნიკო მარი შეეწინააღმდეგა: „უწყებაში ნათქვამია, რომ აქ მოწვეული ვარ, რათა მონაწილეობა მივიღო საქართველოს საეგზარქოსოს საეკლესიო საქმეების მოწყობის განხილვაში. მაგრამ აქ თუ ისე წარმოუდგენიათ, რომ ქართველებმა, როგორც ერმა, შეწყვიტეს არსებობა, მაშინ მე, როგორც საქართველოს საქმის სპეციალისტი, აქ ზედმეტი ვარ: ჩვენი აქ ყოფნა არ წარმოადგენს აუცილებლობას იმ შემთხვევაში, თუ აქ საჭიროა ისეთი მოვლენების დაცვა, როგორიცაა ის ფაქტი, რომ საქართველოს საეგზარქოსო არის საქართველოს ეკლესიის გაგრძელება და რომ ეგზარქოსმა უნდა იცოდეს ქართული ენა. შეიძლება კი აქ სერიოზულად რაიმეს განხილვა, როდესაც ისეთ ფაქტსაც უარყოფენ, რომ საქართველოში, იმერეთში, გურიაში და ა. შ. მართლმადიდებელი მოსახლეობა მხოლოდ ქართველია? საბოლოოდ მოსახერხებელია კი ეპისკოპოს ლეონიდისათვის, დაიცვას აქ საქართველოს ეკლესიის ავტონომიის საკითხი, როდესაც მას პოლიტიკურ სეპარატიზმში სდებენ ბრალს. შეიძლება უარყოთ მოწინააღმდეგის მდგომარეობა, მაგრამ არ შეიძლება ვისაუბროთ, რომ მოწინააღმდეგე ასეთი ან ისეთია, სხვადასხვა ნაკლოვანების მქონე. საქართველოს ეკლესია, რომელიც იმ საშინელი პოლიტიკური გამოცდის დროს დარჩა წმინდა მართლმადიდებელთა შორის, უნდა იყოს ყველა მართლმადიდებლის გულთან ახლოს. აქ კი ეჭვი ეპარებათ იმაში, საჭიროა თუ არა ქართული ენის სწავლა და მიიყვანს თუ არა ეს მოვლენა მათ სეპარატიზმამდე?“ („В повестке сказано, что я приглашаюсь для участия в суждениях об устройстве церковных дел в грузинском экзархате. Но если здесь так представляют, что грузины, как нация, перестали существовать, то я, специалист по грузиноведению, здесь лишний. Не может

быть речи о нашем участии, когда здесь приходится защищать такия общеизвестныя вещи, что грузинский экзархат есть продолжение Грузинской Церкви, и что экзарх должен знать грузинский язык. Можно ли серьезно что-нибудь отставить здесь, когда отвергаются даже такие факты, что в Грузии, Имеретии, Гурии и т. п. православное население только грузины? Наконец, удобно ли преосвященному Леониду защищать вопрос о грузинской церковной автономии, когда его заподозривают в политическом сепаратизме? Можно отвергать и опровергать положения противника, но нельзя говорить, что противник такой-то, с такими-то недостатками. Церковь грузинская, отстоявшая в полной чистоте православие среди самых ужасных политических испытаний, должна быть близка сердцу каждаго православнаго, а здесь сомневаются, нужно ли изучать грузинский язык и не поведет ли это к сепаратизму‘‘) **(Церковныя Ведомости №51-52, 1906: 70).** ალექსანდრე ცაგარელმა არასწორად ჩათვალა საეკლესიო საკითხების გარკვევისათვის პოლიტიკური ხასიათის მიცემა. რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების თავმჯდომარემ მიიჩნია, რომ საჭირო იყო კვლავ ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენების განხილვა. რუსები ბრალდებულნი იყვნენ ყოველივე ქართულის დევნაში, ამიტომაც, თავმჯდომარის აზრით, ყოვლადსამღვდელო ლეონიდის მოხსენების კრიტიკა კვლავ უნდა გაგრძელებულიყო. ამ მოსაზრებას არ დაეთანხმა ალექსანდრე ცაგარელი. მან სხდომაზე მყოფთ შეახსენა, რომ ბრალდებები კონკრეტულ პირებს არ ეხებოდა, დადანაშაულებული იყო ის სისტემა, ის რეჟიმი, რომელიც ეკლესიას მართავდა **(Церковныя Ведомости №51-52, 1906: 70).** ქართველი მეცნიერის სიტყვები დაადასტურა ეპისკოპოსმა ლეონიდმა. მან შეკრებილთ მოახსენა, რომ მას კონკრეტულ პირებთან არ ჰქონდა საქმე. ყოვლადსამღვდელო ლეონიდი საუბრობდა იმ რეჟიმზე, რომლითაც არა მხოლოდ ქართველები იყვნენ უკმაყოფილონი **(Церковныя Ведомости №51-52, 1906: 70).** პროფესორი მ. ა. ოსტროუმოვი დაინტერესდა იმ ფაქტით, თუ რა პირობების თანახმად მიიღებდა სხდომაში მონაწილეობას ქართველი მეცნიერი ნიკო მარი და ამავე დროს ასეთი საკითხიც დააყენა: „მას (ნიკო მარს – გ. ბ.) არ აქვს უფლება მოითხოვოს, რომ მხოლოდ ერთ მხარეს მოვუსმინოთ ჩვენ“ **(Церковныя Ведомости №51-52, 1906: 71).** ნიკო მარმა მას შესაფერი პასუხი გასცა. მან კიდევ ერთხელ განუმარტა რუს მეცნიერებს და სასულიერო პირებს, რომ სხდომას ესწრებოდა, როგორც საქართველოს ეკლესიის ისტორიის წყაროთმცოდნე და, რომ ისინი ვალდებულნი იყვნენ მოესმინათ მისთვის. თუმცა ეს იმას არ ნიშნავდა, რომ ნიკო მარის აზრი აუცილებლად ყველას უნდა

გაეზიარებინა. ნიკო მარისათვის მიუღებელი აღმოჩნდა დეკანოზ ტ. ი. ბუტკევიჩის მოხსენების განხილვა **(Церковныя Ведомости №51-52, 1906: 71).** მიუხედავად ამისა, კვლავ არ წყდებოდა კამათი იმის თაობაზე, რომ განხილულიყო თუ არა ქართველი ეპისკოპოსების – ლეონიდისა და კირიონის მოხსენებები. დეკანოზმა ტ. ი. ბუტკევიჩმა სხდომას შესთავაზა შეეწყვიტათ კამათი აღნიშნულ მოხსენებებთან დაკავშირებით. სხდომის თავმჯდომარემ კი მიზანშეწონილად არ მიიჩნია სამუშაო განრიგის შეცვლა. ამავე აზრს იზიარებდა პროფესორი ა. ი. ბრილიანტოვი. იგი თვლიდა, რომ არ იყო აუცილებელი ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენების განხილვა იმდენად, რამდენადაც ეს მოხსენება თედო ჟორდანიას მოსაზრებებს ეყრდნობოდა **(Церковныя Ведомости №51-52, 1906: 71-72).** დეკანოზ ი. ი. ვოსტორგოვის მხრიდან არ წყდებოდა ბრალდებები ქართველი ეპისკოპოსების მოხსენებების მიმართ. იგი კვლავ ჯიუტად ამტკიცებდა, რომ ყოვლადსამღვდელო კირიონისა და ყოვლადსამღვდელო ლეონიდის მოხსენებები შეიცავდა პოლიტიკურ საკითხებს, არასწორ მსჯელობებს და თავს ესხმოდა რუსებს. რუსმა დეკანოზმა ქართველ მღვდელმთავრებს ფაქტებისა და აზრების დამახინჯებაში დასდო ბრალი. ი. ი. ვოსტორგოვი აცხადებდა, რომ ვერც ეპისკოპოსმა კირიონმა და ვერც ეპისკოპოსმა ლეონიდმა ვერ შეძლეს დაედასტურებინათ რუსების მიერ საეკლესიო ტრადიციების დევნა საქართველოში **(Церковныя Ведомости №51-52, 1906: 72).**

რუსმა მღვდელმთავრებმა და მეცნიერებმა, შეიძლება ითქვას, ზედმეტად და არამართებულად მიიჩნიეს ქართველი პროფესორების მონაწილეობა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საქმის განხილვაში. სხდომის დაწყებისთანავე კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა მათი მოწვევისა და პოლემიკაში მონაწილეობის საკითხი. რადგან ქართველი მეცნიერების მოწვევა დადებითად გადაწყდა, ახლა სადავო აღმოჩნდა მათ მიერ შესასრულებელი სამუშაოს ხასიათი. როგორც გაირკვა, რუს სამღვდელოებასა და მეცნიერებს არ ჰქონდათ სურვილი მოესმინათ ქართველი პროფესორების მიერ მომზადებული მოხსენებები. ერთადერთი მეცნიერი, ვინც დადებითად გამოეხმაურა აღნიშნულ საკითხს, ი. ი. სოკოლოვი იყო: „პროფესორ ცაგარელისა და მარის მიერ შემოთავაზებულ მოხსენებებს, რომლებიც ეყრდნობა ქართულ, სომხურ და სხვა წყაროებს, არცთუ მცირე მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხისათვის და მისი ისტორიისათვის. ამიტომაც სასურველია, რომ ასეთი რეფერატები შეიქმნას“ („Предлагаемые профессорами Цагарели и Марром доклады,

основанные на грузинских, армянских и друг. источниках, должны иметь немалое значение для вопроса о грузинской автокефалии и ея истории. Поэтому желательно, чтобы такие рефераты были составлены“) **(Церковныя Ведомости №51-52, 1906: 72).** რეფერატების შედგენას ვერ შეეწინააღმდეგა სხდომის თავმჯდომარე უსამღვდელოესი ნიკანდრი, მაგრამ ამავე დროს განაცხადა, რომ პარალელურად გრძელდებოდა ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენების განხილვა.

ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ ქართველები მოითხოვდნენ მოციქულთასწორის წმიდა ნინოს დაუჯდომლის შექმნას ქართულ ენაზე და თავიანთი სახსრებით გამოცემას. ეს თხოვნა რუსების მიერ არ იქნა დაკმაყოფილებული. ქართველი ეპისკოპოსის მოხსენების კრიტიკა კვლავ დეკანოზმა ი. ი. ვოსტორგოვმა განაგრძო. იგი წმიდა ნინოს დაუჯდომლის შექმნის საკითხს ასე გამოეხმაურა: „უსამღვდელოესი ლეონიდი ქართული საეკლესიო ტრადიციებისადმი უპატივცემულობის დასადასტურებლად ასახელებს წმიდა ნინოს დაუჯდომლის გამოცემას სლავურ ენაზე. ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა ითქვას შემდეგი: საქმე წარიმართა არა ისე, როგორც ამას ეპისკოპოსი ლეონიდი გადმოსცემს; წმიდა ნინოს დაუჯდომელი არ არსებობდა, არცერთ ქართულ საღვთისმსახურო წიგნში არ არის შემორჩენილი. საბინინმა, როგორც მეცნიერმა, ალექსანდრე III-ის მიერ ბოძებული ფულით გამოსცა უცხოური ხელნაწერები – ქართველ წმიდანთა ცხოვრება. ეს იყო, თუ არ ვცდები, 80-იან წლებში. წმიდა ნინოს ცხოვრება დაბეჭდილი იყო საბინინის მიერ, რომელმაც ტექსტად იშვიათი ხელნაწერი გამოიყენა, შეიძლება უნიკალურიც კი. საბინინის წიგნები ღვთისმსახურებისათვის არ იყო განკუთვნილი. მათი გამოცემა ძვირი ჯდებოდა და 20 რუბლი ღირდა. როგორც ჩანს, წმინდა ნინოს დაუჯდომელს ბევრი არც იცნობდა. ამავე დროს უნდა ითქვას, რომ ამ დაუჯდომელში შეხვდებოდით დამახინჯებულ ტექსტს, რომელიც არამართლმადიდებლურ აზრებსაც შეიცავს... წმიდა ნინოს დაუჯდომლის წაკითხვა დაიწყეს მხოლოდ თბილისის სიონის ტაძარში მას შემდეგ, რაც ის დაიბეჭდა. ქართველი მღვდლები მსახურობდნენ ქართულად. საჭირო იყო, რუსი ღვთისმსახურებისათვის შეედგინათ სლავურად რამდენიმე იკოსი და კონდაკი. სწორედ მაშინ იყო მცდელობა, დაეწერათ წმიდა ნინოს დაუჯდომელი საეკლესიო სლავურ ენაზე. საქმე დაიწყო ეგზარქოს პალადის (რაევი – გ.ბ.) დროს და დამთავრდა 1895 წლის ზაფხულში, ეგზარქოს ვლადიმირის (ბოგოიავლენსკი – გ. ბ.) დროს. დაუჯდომელი

საეკლესიო-სლავურ ენაზე შეადგინა ქართველმა დეკანოზმა ე. ელიევმა, ახლანდელმა ეპისკოპოსმა ექვთიმემ. მათ ეხმარებოდა არქიმანდრიტი და ახლა უკვე ეპისკოპოსი გერმოგენი. ი. ი. ვოსტორგოვმა ასევე განაცხადა: რატომ არ გადათარგმნეს დაუჯდომელი ქართულიდან საეკლესიო სლავურ ენაზე, არ ვიცი. საკითხი წამოიჭრა მაშინ, როდესაც არ ვმსახურობდი კავკასიაში. რუსი დეკანოზი ამტკიცებდა, რომ მაშინვე საუბრობდნენ იმაზე, რომ ქართული დაუჯდომელი ძალიან დიდი იყო. ი. ი. ვოსტორგოვმა ისიც გაიხსენა, რომ უსამღვდელოესმა ლეონიდმა შეიტანა თხოვნა, რათა წმიდა ნინოს დაუჯდომელი ქართულად გამოეცათ. რუსი დეკანოზის აზრით, საქმის გარკვევისათვის აუცილებელი იყო, სინოდალურ კანტორაში განეხილათ უსამღვდელოეს ლეონიდის თხოვნა და გაერკვიათ მიზეზი, თუ რის გამო უთხრეს უარი ეპისკოპოს ლეონიდს... თავისი გამოსვლის დასასრულს ი. ი. ვოსტორგოვმა დასვა კითხვა: საბოლოოდ, სად არის მთელ ამ ისტორიაში საეკლესიო ტრადიციების მოსპობის მცდელობა?“**(Церковныя Ведомости №51-52, 1906: 73).**

ეპისკოპოს ლეონიდისათვის გაუგებარი იყო, რატომ არ აიღეს წმიდა ნინოს დაუჯდომლის ქართულად არსებული ტექსტი და არ გადათარგმნეს იგი სლავურად. მოხდა პირიქით. შედგენილი იქნა დაუჯდომელი სლავურ ენაზე და შემდეგ გადაითარგმნა იგი ქართულად. ეპისკოპოს ლეონიდის თქმით, სიმართლეს არ შეეფერებოდა ის, რომ ქართული დაუჯდომელი ზედმეტად დიდი იყო და ამიტომაც ვერ მოხერხდა მისი გამოცემა ან გადათარგმნა **(Церковныя Ведомости №51-52, 1906: 73)**. დეკანოზი ი. ი. ვოსტორგოვი ცდილობდა ყველა ბრალდება გაექარწყლებინა, ან გაემართლებინა სხვადასხვა ფაქტით. დეკანოზი ტ. ი. ბუტკევიჩი კი კვლავ ბრალს სდებდა ეპისკოპოს ლეონიდს იმაში, რომ მის მოხსენებას ეროვნული სარჩული ედო საფუძვლად. ამ ბრალდებას ქართველმა ეპისკოპოსმა ასე უპასუხა: „თქვენ უშედეგოდ მიუთითებთ ამაზე. მე მიყვარს ჩემი ერი და ჩემი ხალხი, მაგრამ ნაციონალისტი არ ვარ და ვსაუბრობ როგორც მწყემსის პოზიციიდან, რომ არ შეიძლება იმ ხალხის ეპისკოპოსი იყო, რომლის ენაც არ იცი და არც გინდა, რომ იცოდე და, რომ ასეთი ეპისკოპოსი ვერ დაიმსახურებს ხალხის სიყვარულს, ნდობას. თვით კათოლიკოს ანტონ II-ს არ მისცეს ეპარქია რუსეთში, რადგან მან არ იცოდა რუსული ენა“. („Вы напрасно подчеркиваете эти слова. Я люблю свою нацию и свою родину, но я не националист и говорю с пастырской точки зрения, что нельзя быть епископом народа, языка котораго не знаешь и не хочешь знать, и не может такой епископ заслужить к себе любовь и доверие.

Ведь католикосу Антонию II не далиже в России епархии потому, что он не знал русскаго языка“) **(Церковныя Ведомости №51-52, 1906: 74).**

უსამღვდელოესი ლეონიდი თავის მოხსენებაში შეეხო ასევე ერთ მწვავე საკითხსაც. ეს იყო ეპისკოპოსების თავისუფალი და დამოუკიდებელი მოქმედების უფლების არქონა. ქართველ მღვდელმთავარს, როგორც იმერეთის ეპისკოპოსს, მის ეპარქიაში შემავალი სასულიერო სემინარიის ხელძღვანელის დანიშვნის უფლება არ ჰქონდა. მისი მისვლა სემინარიაშიც კი არასასურველად იყო მიჩნეული. ყოვლადსამღვდელო ლეონიდისათვის გაუგებარი იყო, თუ როგორ ითვლებოდა ის დამოუკიდებელ ეპისკოპოსად, როდესაც საეგზარქოსოს კანცელარიის უფროსს უფლება ჰქონდა, მისი დაკითხვა გაემართა და ისიც, თავის მხრივ, ვალდებული იყო ეპასუხა ყველა კითხვაზე **(Церковныя Ведомости №51-52, 1906: 74).** მოპასუხე ამ შემთხვევაშიც ისევ დეკანოზი ი. ი. ვოსტორგოვი აღმოჩნდა, რომელმაც, ცხადია, უარყო ქართველი სასულიერო პირის მიერ დასახელებული ფაქტები. რუს დეკანოზს მიაჩნდა, რომ ქართველი ეპისკოპოსები სამწყსოსთან მიმართებით სარგებლობდნენ სრული დამოუკიდებლობით და თავისუფლებით. ეს ეხებოდა ახალი მღვდლების ხელდასხმას, მათ გადაყვანას ეპარქიებში და ქადაგებასაც კი. დეკანოზი ი. ი. ვოსტორგოვი თვლიდა, რომ ეპისკოპოსისათვის მეტრიკული მოწმობის გაცემის უფლების ჩამორთმევა არ ზღუდავდა ეპისკოპოსს ეპარქიის მართვაში, არც იმაში იყო რაიმე საწყენი, თუ კანცელარიის უფროსი იმერეთის ეპისკოპოსს დაკითხვას გაუმართავდა **(Церковныя Ведомости №51-52, 1906: 75).** როგორც ვხედავთ, დეკანოზმა ი. ი. ვოსტორგოვმა ქართველ ეპისკოპოსს რუსული ტრადიციით უპასუხა: როცა ძალა გაქვს, მორალი საჭირო არ არის.

საუბარში უსამღვდელოესი სტეფანეც ჩაერთო და აღნიშნა, რომ ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენება გაზვიადებული და გამძაფრებული იყო. ქართველი ეპისკოპოსის მოხსენება პირდაპირ შეურაცხყოფდა რუსეთის საეკლესიო ხელისუფლებას და ეგზარქოსებს **(Церковныя Ведомости №51-52, 1906: 76).** ქართველი მღვდელმთავრის პასუხი ასეთი იყო: „ეგზარქოსებისათვის შეურაცხყოფა არ მიმიყენებია, მე ვსაუბრობდი ფაქტებიდან გამომდინარე, რომ ცუდი მმართველობის ზეგავლენით მართლმადიდებელი ქართველები უნიისაკენ და კათოლოკობისაკენაც კი იხრებოდნენ“ („Я экзархов не оскорблял, я говорил, имея в виду факты, что под влиянием дурнаго управления православные грузины уходили даже в унию и католичество“) **(Церковныя Ведомости №51-52, 1906: 76).** ეპისკოპოსმა სტეფანემ უარყო ქართველი მართლმადიდებლების

კათოლიკური და უნიატური ეკლესიებისაკენ სწრაფვის ფაქტი, რადგან მიაჩნდა, რომ ასეთ მოვლენას საქართველოში ადგილი არ ჰქონია. ქართველთა შორის მართლმადიდებლური რწმენის შერყევის დადასტურებას ითხოვდა პროფესორი ნ. ნ. გლუბოკოვსკი. რუსეთის საეკლესიო კრების მეორე განყოფილების სხდომაზე მყოფმა ქართველმა მეცნიერებმა გაიხსენეს ქართველთა გამუსლიმების ფაქტებიც. რუსმა მეცნიერებმა და სამღვდელოებამ ამ მოვლენაშიც ქართველები დაადანაშაულეს, რომლებმაც სარწმუნოება შეურყვნელად ვერ შეინახეს. ეს მოვლენა საკმარისი აღმოჩნდა მათთვის, რომ კვლავ შეეტიათ ქართველი მეცნიერებისა და სასულიერო პირებისათვის. ახლა ისინი ქართველთა გამუსლიმების დამადასტურებელი ფაქტების მოტანას ითხოვდნენ. პროფესორმა ალექსანდრე ცაგარელმა კითხვით მიმართა შეკრებილთ: „ნუთუ რუსეთის ეკლესიის უწმიდეს სინოდს არ დაუშვია შეცდომები რუსეთის ეკლესიის მართვაში? რუსი საეკლესიო იერარქები ასეთ შეცდომებს აღიარებენ. თუ უწმიდესი სინოდი შეცდომებს უშვებდა რუსეთის ეკლესიის მართვაში, რატომ არ შეეძლო მას, შეცდომები დაეშვა საქართველოს საეგზარქოსოს მართვაში?“ **(Церковныя Ведомости №51-52, 1906: 77).** პოლემიკაში ქართველი მეცნიერი ნიკო მარიც ჩაერთო. მან არ დამალა თავისი გაკვირვება, როდესაც საუბარი საქართველოს ეკლესიის დაცემის მიზეზებს შეეხო. ეკლესიის დაცემის მიზეზებს ეძებდნენ, მაგრამ ამავე დროს უგულებელყოფდნენ ისეთ ფაქტებს, როგორებიც იყო: 1) ქართული ენის დევნა; 2) უმდიდრესი ქართული საეკლესიო წერილობითი ძეგლებისა და საეკლესიო სწავლა-განათლების უგულებელყოფა; 3) საეკლესიო ტრადიციების დევნა; 4) ქართველ წმიდანთა ცხოვრების ამსახველი კრებულის გამოცემასა და სწავლებაზე უარის თქმა.

ნიკო მარს მიაჩნდა, რომ რუსეთის საეკლესიო პოლიტიკას კარგად წარმოაჩენდა შემდეგი ფაქტი: 1884 წლამდე ბიბლია ქართულ ენაზე გამოცემული არ ყოფილა, ხოლო ის, რაც 1884 წლისათვის გამოიცა, იმდენად უგვანოდ იყო შედგენილი, რომ უმჯობესი იყო საზოგადოება არც გასცნობოდა მას. ნიკო მარის აზრით, საქართველოს ეკლესიას სათავეში კათოლიკოს-პატრიარქი რომ ჰყოლოდა, ამგვარი საკითხი არც დადგებოდა. მაგალითისათვის მან კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I (1744-1755 წ.წ.; 1764-1788 წ.წ.) დაასახელა, რომელიც ხელს უწყობდა ქართული წერილობითი ძეგლების შესწავლას. სამწუხაროდ, ვითარება შეიცვალა. ნიკო მარმა აღნიშნა, რომ აღარ ისწავლებოდა ქართული ენა, ლიტერატურა, რაც საზოგადოების გაუნათლებლობის მიზეზი იყო

(Церковныя Ведомости №51-52, 1906: 77–78). დეკანოზი ტ. ი. ბუტკევიჩი არ დაეთანხმა ქართველ მეცნიერს. რუსმა დეკანოზმა აღნიშნა, რომ ვარლამ ერისთავი (1811-1817) ქართველი იყო და ქართულ ენასაც ფლობდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც დატოვა საქართველო. უსამღვდელოესი იოანაც (ვასილევსკი – გ. ბ.) წავიდა საქართველოდან, თუმცა ისიც ფლობდა ქართულ ენას. ტ. ი. ბუტკევიჩმა უსამართლოდ მიიჩნია რუსი ეგზარქოსებისადმი წაყენებული ბრალდებები. მან აღნიშნა, რომ ქართველთა განათლების საქმეში დიდი წვლილი შეიტანა ეგზარქოსმა თეოფილაქტე რუსანოვმა (1817-1821 წ.წ.), რომელმაც დააარსა ქართული სტამბა. სწორედ მისი თანადგომით გამოიცემოდა ქართული საღვთისმსახურო წიგნები **(Церковныя Ведомости №51-52, 1906: 78).** დეკანოზი ი. ი. ვოსტორგოვი საკმაოდ ვრცლად გამოეხმაურა ქართველი მეცნიერის ნიკო მარის მიერ დასახელებულ ფაქტებს. დეკანოზ ი. ი. ვოსტორგოვის სიტყვა ძალზე ვრცელია, მაგრამ ჩვენ მას თითქმის მთლიანად მოვიყვანთ:

„არ შეიძლება მოითხოვო შეუძლებელი. საქართველოს რუსეთი ფლობს უკვე ასი წელია. ამ ასი წლის განმავლობაში რუსეთმა აწარმოა ექვსი ომი – 1801, 1809, 1819, 1827, 1829, 1833, 1848, 1853 წლებში, ომები შუა აზიაში, რუსეთ-თურქეთის ომი 1877 წელს, ორი ომი 1881 წელს იმიერ კასპიისპირეთში და სხვ. თვითონ საქართველოში 1873 წლამდე უნდა გვებრძოლა ქართველების დასაცავად თურქებისაგან, სპარსელებისაგან, ლეკებისაგან, მთიელებისაგან, ამბოხების ჩახშობისათვის კახეთში, ოსეთში და სხვაგან... შეიძლება კი ამ დროს რუსებისაგან მოითხოვო, გამოეცათ ქართული ძეგლები, შენახული ხელნაწერები, ბიბლია, დაეარსებინათ სკოლები? ამგვარი ქმედებისათვის აუცილებელი იყო უდიდესი მატერიალური და ინტელექტუალური ბაზა. ქართველი პროფესორი ამბობს, რომ კათოლიკოსი გამოსცემდა წიგნებს, იცოდა ყველა კავკასიური ენა და შეეძლო სხვადასხვაენოვან სამწყსოსთან ურთიერთობა, რასაც არ აკეთებდნენ ეგზარქოსები. მაგრამ ასეთი მხოლოდ ანტონ I იყო. ქართული სტამბები იყო რუსეთში: მოსკოვში, ფსკოვში, ასტრახანში. დავუშვათ, რომ აღდგა კათოლიკოსობა, ვინ იქნება ისეთი პატრიარქი, ვისაც ეცოდინება ოსურიც, აფხაზურიც, ქართულიც, ბერძნულიც? საქართველოს რუსეთთან შეერთების დროს არ იყო არცერთი დაწყებითი სასწავლებელი. ამას ადასტურებს საქართველოს მთავარმართებელი ციციანოვი. მისი ცნობებიდან გამომდინარე, მრავალი ქართველი სასულიერო პირი გაუნათლებელი იყო. დღესდღეობით კი საეგზარქოსოში არაერთი დაწყებითი სამრევლო სკოლაა, აღარ

ვსაუბრობთ სამინისტროს სკოლებზე, რომელთა რიცხვი დაახლობით 850-ს უდრის. მათთვის ყოველწლიურად რუსეთის ხაზინა მშენებლობისათვის თუ დახმარებისათვის ექსტრაორდინალურ ხარჯებს გასცემს. ეს თანხა 200.000 მანეთს შეადგენს. არ დაგვავიწყდეს, რომ სამთავროს უფლებები საქართველოში გაუქმდა 30 წლის წინ... შეიძლება კი ასეთ პირობებში ბრალი დასდოთ რუსებს, რომ ისინი ნაკლებად ზრუნავდნენ ქართველთა სწავლა-განათლებაზე?

პროფესორი მარი საყვედურს გამოთქვამს იმის თაობაზე, რომ რუსული სკოლების გახსნისათვის კავკასიაში სახსრები ადვილად მოიძებნება ხოლმე. 1901 წლამდე, როდესაც სკოლის საჭიროებისათვის ფულს მხოლოდ ქართველები განაგებდნენ, არ ხსნიდნენ სკოლებს რუსულ დასახლებებში. მაგალითად, რუსულ სოფლებში მიხაილოვკაში და ლაგოდეხში არ იყო სკოლები. რუსული სკოლა არ გახსნილა ოზურგეთთან ახლოს, სადაც რუსეთ-თურქეთის ომში მონაწილე სალდა-თები ცხოვრობდნენ. მათმა შვილებმა დღეს უკვე არ იციან რუსული. ათი ორკლასიანი სასწავლებლიდან არცერთი არ გახსნილა რუსი მოსახლეობისათვის, თითქოს 300.000 რუსი კავკასიაში არც კი არსებობდა. რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ კავკასიაში ცხოვრობენ მხოლოდ ქართველები, როგორც პრივილეგირებული ხალხი.

ახლა შევეხები ქართული ბიბლიისა და საღვთისმსახურო წიგნების საკითხს. რამდენი არასწორი და არასამართლიანი რამ ითქვა ამის თაობაზე. ქართული ბიბლია XIX საუკუნეში იქნა გამოცემული თბილისში, გამოიცა XVIII საუკუნის გამოცემაზე დაყრდნობით, რომელიც საქართველოს ეკლესიის მიერ იყო მიღებული და არსებობდა იმ კათოლიკოსებისა და განათლებული ხალხის დროს, რომელსაც ასე აქებს ნიკო მარი. ბიბლია გამოცემული იყო ქართველ სწავლულ კაცთა კომისიის მიერ. რუსებმა გაიღეს მატერიალური სახსრები გამოცემისათვის, მაგრამ გამოცემის პროცესში და დეტალებში ისინი არ ჩარეულან. სად უნდა ვეძებოთ დამნაშავენი იმაში, რომ ვერ შეძლეს გამოეცათ X საუკუნის ბიბლიის სრული და სწორი ტექსტი? დამნაშავენი თავად ქართველები არიან. მაგრამ, გარწმუნებთ, რუსი ეგზარქოსები რომ ჩართულიყვნენ ბიბლიის ტექსტის დადგენაში, მოითხოვდნენ ტექსტის გადახედვას და გასწორებას... ათ წელზე მეტია, თბილისში არსებობს კომისია, რომელიც ბიბლიის ტექსტს განიხილავს. ამ კომისიაში შედიან აქ მყოფი უსამღვდელოესი ლეონიდი, უსამღვდელოესი პეტრე და სხვა პირები, რომლებმაც საკუთარი თავი ქართული ენის მცოდნედ მიიჩნიეს. ბევრი გააკეთეს კი მათ

ბიბლიის ტექსტის დადგენისათვის? და როდის დაასრულებენ ისინი მუშაობას? როდესაც მორჩებიან და ბიბლიას დაბეჭდავენ, სწავლულნი მათ შრომას კრიტიკის ქარცეცხლში გაატარებენ, მათ ცოდნას არარაობამდე დაიყვანენ და დაამტკიცებენ, რომ ათონის, სინასა და პალესტინის ხელნაწერების სხვადასხვა ადგილი იკითხება სხვაგვარად. ხელნაწერებით სარგებლობა არცთუ ისე მარტივი საქმეა, ვერაფერი დაიმალება. არც ეპისკოპოსმა კირიონმა, არც ეპისკოპოსმა ლეონიდმა, არც ეპისკოპოსმა პეტრემ და არც ეპისკოპოსმა გიორგიმ ხელნაწერების კითხვა არ იციან. ისეთი გამოცდილნი და მცოდნენი ამ საქმეში, როგორიც ნიკო მარი და ჟორდანიაა, მასეთი საქართველოს არ ჰყოლია. დანარჩენი ყველანი ხელნაწერების შესახებ არსებულ ცნობებს იმეორებენ მხოლოდ სხვათა სიტყვების მეშვეობით.

დაე, აქ მყოფმა ეპისკოპოსმა ლეონიდმა დაადასტუროს ჩემი სიტყვები და ის, თუ რამდენად რთულადაა დაბეჭდილი თბილისში ქართული საღვთისმსახურო წიგნები. წლიდან წლამდე გრძელდება ბეჭდვა. მაგალითისათვის ავიღოთ მრწამსი. არცერთმა ქართველმა არ იცის ენა, ან ეშინია კორექტურის. ამის გამო ხელაძე (ცნობილი გამომცემელი – გ. ბ.) მრწამსის ტექსტს უგზავნის ფერაძეს (ცნობილი გამომცემელი – გ. ბ.), კარბელოვი (ცნობილი მოძღვარი – გ. ბ.) მგალობელოვს (სოფრომ მგალობლიშვილი – გ. ბ.), შემდეგ ეპისკოპოს გიორგი ალადოვს (იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი ალადაშვილი – გ. ბ.), რომელსაც მთელი თვე ჰქონდა ფურცლები კორექტურისათვის, მაგრამ ისევ სუფთა ფურცლები გაუგზავნა დეკანოზ ელიევს, ახლა უკვე ეპისკოპოს ექვთიმეს (ელიაშვილს – გ. ბ.). საბოლოოდ ტექსტი ისევ ფერაძეს გადაუგზავნეს... რამდენჯერმე მიაწოდეს ეს ფურცლები თავად ეპისკოპოს ლეონიდს ქუთაისში. არ ვიცი, საბოლოოდ დამთავრდა თუ არა მრწამსის დაბეჭდვა. ვიცი მხოლოდ ის, რომ ამ ნაბეჭდის გამო ხელაძემ დიდი დანაკლისი მიიღო და ეგზარქოსთანაც ჩიოდა, მაგრამ მას არაფრის გაკეთება შეეძლო... ყოველგვარ გამოცემას თან ახლავს დავა ტექსტის შესახებ, მაგრამ ხომ უნდა გამოიცეს ერთი რომელიმე ტექსტი. მიმდინარეობს დავა სწავლულთა და მაღალსწავლულთა შორის, მაგრამ დამნაშავე ისევ რუსეთის საეკლესიო მმართველობა გამოდის. კაპრიზებს, ბრალდებებს ბოლო არ უჩანს. დეკანოზმა დ. ღამბაშიძემ უხეში შეცდომებით გამოსცა ლოცვანი, მაგრამ ამაზე ყველა დუმს. პროფესორმა მარმა ჩემზე უკეთ იცის, როგორ უნდა გადაისინჯოს და დადგინდეს ტექსტი. ამიტომაც უჩვეულოა მისგან იმის მოსმენა, რომ რუსეთის საეკლესიო

ხელისუფლებამ კავკასიაში შეუწყვეტელი ზარბაზნების ქუხილში ქართულად არ გამოსცა ბიბლიის არაჩვეულებრივი, მეცნიერული ტექსტი.

პროფესორი მარმა აქ რამდენჯერმე აღნიშნა, რომ საღვთო წიგნებს ქართველთა ხარჯით გამოსცემდა ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე – გ. ბ.) და ამ მოვლენას რუსული ხელისუფლების გულგრილობითა და სიძუნწით ხსნიდა. არიან კი ეგზარქოსები დამნაშავენი იმაში, რომ ბევრი მათგანი ღარიბი იყო და საეგზარქოსოს ჯამაგირიდან დანაზოგის გაკეთება არ შეეძლო? საბინინის გამოცემაზე მთელი ფული რუსეთის მეფემ გაიღო. საეპარქიოს სასწავლებლისათვის ეგზარქოსმა იოანიკემ (რუდნევი – გ. ბ.) გაიღო მთელი თავისი 5 წლის ჯამაგირი, თვითონ კი დადიოდა ძველი ჩექმებით. ასი წლის განმავლობაში რუსულმა ეკლესიამ ქართული საეკლესიო საღვთისმსახურო წიგნების გამოსაცემად დახარჯა 300.000 რუბლი.

არ შეიძლება მთელი ცხოვრების მანძილზე ითხოვდე, რასაც ბოლო არ უჩანს. ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი. არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ 125.000 რუბლის გარდა, რომელსაც რუსეთის ხაზინა საქართველოს ეკლესიას ყოველწლიურად მიაგებდა წართმეული საეკლესიო მამულების სანაცვლოდ, ჯამაგირის სახით სამღვდელოებას უხდიდა 660.000 რუბლს, სასულიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებას – 39.000 რუბლს, სამრევლო სკოლებს – 200.000 რუბლს, სამღვდელოების პენსიებისა და დახმარებებისათვის გასცემდა 150.000 რუბლს. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველი სამღვდელოება რუს სამღვდელოებასთან შედარებით ორჯერ მეტ ფულს იღებდა. სამწყსოს მეთვალყურეობისა და შემოსავლის თვალსაზრისით ქართველი სამღვდელოება თითქმის ათჯერ უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე ჩრდილოეთ კავკასიის რუსი სამღვდელოება. საქართველოს შემდეგ სიდიდით მეორე მართლმადიდებლური სამრევლო არის ჩრდილოეთ კავკასიაში. ამავე დროს ჩრდილო კავკასიაში ორი ეპისკოპოსია, საქართველოში კი – ექვსი, ჩრდილო კავკასიაში 650 საეკლესიო-ადმინისტრაციული ოლქია (იგულისხმება სამრევლო ეკლესიის სამწყსოს ტერიტორია – გ. ბ.), საქართველოში კი – 1613, ჩრდილო კავკასიაში 700 სამრევლო სკოლაა, საქართველოში კი – 852. განსხვავება მხოლოდ ერთია: ჩრდილოეთ კავკასიაში რუსებისათვის ყველაფერი ადგილობრივ (საკუთარ) ხარჯებზეა, საქართველოში კი ყველაფერი ხაზინის, კოსტრომელი, ვლადიმირელი, კალუგელი გლეხების ხარჯზეა.

საქართველოს ეკლესიაზე რუსეთის ხაზინა ყოველწლიურად გამოყოფს 1.200.000. რუბლს. დაინგარიშეთ რამდენი მილიონი უნდა მიიღოს რუსეთის ეკლესიამ, რომ იგი შემოსავლების წილით საქართველოს ეკლესიას გაუთანაბრდეს. რუსეთის ეკლესიამ უნდა მიიღოს არანაკლებ 120.000 მილიონი დღევანდელი 15-20 მილიონი რუბლის ნაცვლად. დასკვნა აქედან ნათელია: ვიმეორებ, მოთხოვნებსაც აქვს საზღვარი.

რაც შეეხება სიძველეთა საცავებს და მუზეუმებს: არსებობდა მითიური გადმოცემები იმის თაობაზე, თუ როგორ მალავდა ორმოში არქიმანდრიტი ძველ ხელნაწერებსა და წიგნებს... მაგრამ დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ საქართველოში სიძველეების შეგროვებისა და დაცვისათვის ეგზარქოსები ყველაფერს აკეთებდნენ. ეგზარქოსების ძალისხმევასა და ზრუნვას ყოველთვის ეჭვით უყურებდნენ ქართველები. იმისათვის, რომ თავიდან აგვეცილებინა სიძველეთა გაგზავნა დასავლეთ საქართველოდან თბილისში, მარტვილის მონასტერთან გაიხსნა მუზეუმი. და აი, რას ვკითხულობთ გრაფინია უვაროვთან: გრაფინიამ პეტერბურგის ბაზარზე იპოვა ის საგნები, რომლებიც ნანახი ჰქონდა მარტვილის მუზეუმში. როგორც ჩანს, ისინი გაყიდეს მარტვილელმა ბერებმა. მაშინ იქ რუსები არ ყოფილან. ყოველ ბრალდებაში გარკვევაა საჭირო. უკვე მოსაბეზრებელია რუსეთის საეკლესიო მმართველობისადმი ბრალდებების მოსმენა“**(Церковныя Ведомости №51-52, 1906: 73–83).**

რუსი პროფესორები შეეხნენ ასევე სვანეთის საკითხსაც. პროფესორი ა. ი. ალმაზოვი ირწმუნებოდა, რომ სვანეთში არაქართველი მოსახლეობა ცხოვრობდა, ქართველი სასულიერო პირები კი არ ერიდებოდნენ ქართველი მღვდლის გაგზავნას სვანეთში. რუსი მეცნიერის აზრით, ეს იყო არაქართველი მოსახლეობის შევიწროების ფაქტი, რისთვისაც ეკლესიას იყენებდნენ **(Церковныя Ведомости №51-52, 1906: 78).** პროფესორ ა. ი. ალმაზოვის ამ ბრალდებას ეპისკოპოსმა ლეონიდმა უპასუხა. მან აღნიშნა, რომ სვანეთში მხოლოდ ადგილობრივი მღვდლები მსახურობდნენ **(Церковныя Ведомости №51-52, 1906: 78).** კამათში კვლავ ი. ი. ვოსტორგოვი ჩაერთო, რომელმაც აღნიშნა, რომ სვანეთში მღვდლების გაგზავნის დამადასტურებელი ფაქტები მრავლად არსებობდა. რუსმა დეკანოზმა დაიმოწმა პროფესორ ა. ი. ალმაზოვის მიერ წაკითხული მასალა საგაზეთო სტატიიდან. ეს მასალა ადასტურებდა შემდეგ ფაქტს: სვანებს ქართული ენა არ ესმოდათ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იქ ღვთისმსახურებაც და სკოლაში სწავლებაც ქართულ ენაზე მიმდინარეობდა **(Церковныя Ведомости №51-52, 1906: 83–84).**

კამათი კვლავ ზემოაღნიშნულ საკითხებზე გაგრძელდა. რუსი მეცნიერები და პროფესორები ქართველი მეცნიერებისა და სასულიერო პირების წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ქართველი მეცნიერების დასაბუთებულ ფაქტებს მათი მხრიდან კვლავ ბრალდებები მოსდევდა. მათზე პასუხის გაცემა კი ისევ ქართველ ეპისკოპოსებსა და სწავლულებს უხდებოდათ. კამათი კვლავ ქართული კულტურული ძეგლებისა და ხელნაწერების თაობაზე გაგრძელდა. საკუთარი აზრი გამოთქვა მოგილევის ეპისკოპოსმა სტეფანემ. მისთვის გაუგებარი იყო, თუ რატომ დასჭირდათ ქართველებს 1884 წელს ხელახლა გამოეცათ ბიბლია, თუკი, როგორც ამას ნიკო მარი ირწმუნებოდა, საღვთისმსახურო წიგნების გამოცემაზე ქართველი კათოლიკოსები ზრუნავდნენ. ეპისკოპოსი სტეფანე ირწმუნებოდა, რომ ქართველებმა არ გამოიჩინეს იმდენი გულმოდგინებაც კი, რომ კორექტურა გაეკეთებინათ ბიბლიის ტექსტისათვის. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ყველა გამოცემა არასრული და არადამაკმაყოფილებელი გამოდგა. მოგილევის ეპისკოპოსი მიიჩნევდა, რომ ისტორიული ძეგლებისა და ხელნაწერების გამოცემა იმ საშინელი რყევის დროს, რასაც საქართველოს ეკლესია ბოლო საუკუნეებში განიცდიდა, სანამ რუსეთის ეკლესიას შეუერთდებოდა, შეიძლებოდა მხოლოდ ნელ-ნელა განხორციელებულიყო. ამ პროცესის გაღვივებას კი რუსი ეგზარქოსები უწყობდნენ ხელს. ეპისკოპოსმა სტეფანემ გაიხსენა საეკლესიო-არქეოლოგიური მუზეუმის დაარსების ფაქტიც. მას არ დავიწყებია ეხსენებინა ეპისკოპოსი კირიონი, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო ამ მუზეუმის დაარსებასა და მოწყობას **(Церковныя Ведомости №51-52, 1906: 85).** მოგილევის ეპისკოპოსის გამოსვლას გამოეხმაურა ქართველი მეცნიერი ნიკო მარი, რომელმაც სხდომაზე მყოფთ მოახსენა: „მე არ მითქვამს, რომ კათოლიკოსმა გამოსცა ბიბლია და სხვა საღვთისმსახურო წიგნები. მხოლოდ ის აღვნიშნე, რომ კათოლიკოსებს შორის იყვნენ სწავლული ადამიანები. XVIII საუკუნეში, როდესაც არ არსებობდა იმისი პირობა, რომ გამოცემულიყო ბიბლიის სრულყოფილი ტექსტი, გამოიცა ქართული ბიბლიის სავსებით დამაკმაყოფილებელი ტექსტი. 1884 წლის გამოცემა წარმოადგენს ცუდად გადაბეჭდილ XVIII საუკუნის ბიბლიის ტექსტს... არ ვამბობ იმას, რომ რუსები აფერხებდნენ ქართული ძეგლების შესწავლას და საერთოდ ხალხის განათლებას, მაგრამ გარწმუნებთ, რომ საეგზარქოსომ, როგორც მმართველმა სისტემამ, არ შექმნა პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ განათლების, ცოდნის, ინტერესის გაღვივებას მშობლიური

საეკლესიო სიძველეების შესასწავლად და ა. შ.“ („Я не говорил, что католикосы издавали Библии и богослужебныя книги, я говорил лишь, что между ними были люди ученые, известные своими литературными трудами. Но даже в XVIII столетия, при отсутствии всяких удобств для издания хорошаго библейскаго текста, была издана довольно удовлетворительная грузинская Библия. Изданная же в 1884 году есть в основном скверная перепечатка издания XVIII столетия. Я не говорил, что русские препятствовали изучению грузинских памятников и вооб щепросвещению народа, но утверждаю, что экзархат, как система управления, не создал условий, благоприятствующих развитию грамотности, знаний, любознательности к изучению памятников родной церковной старины и т. д.“) **(Церковныя Ведомости №51-52, 1906: 85).**

ქართველმა მეცნიერმა ალექსანდრე ცაგარელმა გაიხსენა, რომ ეგზარქოს იოანიკეს (1877-1822 წ.წ.) მან სთხოვა, ბიბლიის გამოცემის დროს ეხელმძღვანელათ ათონის X საუკუნის ქართული ხელნაწერით, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართველ მეცნიერს მაშინ არავინ მოუსმინა **(Церковныя Ведомости №51-52, 1906: 85).** კამათი ამ საკითხის ირგვლივ კვლავ გაგრძელდა. რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილებას ნიკო მარმა ასეთი რამ ამცნო: „ქართველებს არ ამზადებენ ასეთი სამუშაოსათვის. ჩემთან მოდის მრავალი ქართველი, რათა გაეცნოს ქართულ წყაროებს. სომეხი მოწაფეები მრავლად მყავს და ისინიც გულმოდგინედ მუშაობენ. რატომ? იმიტომ, რომ მათ აქვთ ის, რაც ქართველებს არ აქვთ: ეკლესიის ავტონომია, სკოლები და სხვადასხვა საგანმანთლებლო დაწესებულებები, სადაც ინერგება სიყვარული საკუთარი სამშობლოსა და ძეგლებისადმი“ („Грузины не подготовлены для таких работ. Ко мне, напр., идут немногие грузины для специальнаго ознакомления с грузинскими источниками, а армян учеников у меня много и они усердно работают. Почему? Потому, что у них есть то, чего нет у грузин: автономный церковный строй, школы и разныя просветительныя учреждения, в которых насаждается любовь к родной старин и ея памятникам“ **(Церковныя Ведомости №51-52, 1906: 85).** ამ სიტყვებით დაასრულა ნიკო მარმა თავისი გამოსვლა.

უსამღვდელოესმა თავმჯდომარემ რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების სხდომის მუშაობა დახურულად გამოაცხადა. მეორე განყოფილებამ შემდეგი დადგენილება მიიღო: ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენებაში საქართველოს

საეგზარქოსოს მმართველობისადმი წაყენებული ბრალდებები უარყოფილ იქნეს როგორც უსაფუძვლო.

რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების 1906 წლის 17 ნოემბრის სხდომაზე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხთან დაკავშირებით მიმდინარე პოლემიკამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ჭეშმარიტება: რუსი სამღვდელოება და რუსი მეცნიერები არად აგდებდნენ ქართველ მღვდელმთავართა და მეცნიერთა არგუმენტირებულ მოსაზრებებს და ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ არ ეცნოთ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების უკანონობა და, აქედან გამომდინარე, არ დასმულიყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი.

1906 წლის 24 ნოემბერს მუშაობა გააგრძელა რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილებამ (სექციამ). კრება გაიხსნა საღამოს 7 საათზე ყოვლადუსამღვდელოესი **ნიკანდრის** თავმჯდომარეობით. კრებას ესწრებოდნენ: ყოვლადსამღვდელო **სტეფანე** – მოგილევის ეპისკოპოსი, ყოვლადსამღვდელო **ლეონიდი** – იმერეთის ეპისკოპოსი; დეკანოზები: **პ. ი. სოკოლოვი, ტ. ი. ბუტკევიჩი, ი. ი. ვოსტორგოვი, ა. პ. მალცევი, ი. ი. კოიალოვიჩი;** პროფესორები: **ი. ს. ბერდნიკოვი, ნ. ა. ზაოზერსკი, ნ. ი. ივანოვსკი, კ. დ. პოპოვი, ა. ი. ალმაზოვი, ი. ი. სოკოლოვი, ა. ი. ბრილიანტოვი, ვ. პ. შეინი, ნ. ი. მარი და ა. ა. ცაგარელი.** სხდომას ასევე ესწრებოდნენ უწმიდესი სინოდის კანცელარიის ხელმძღვანელი. **პ. გრიგოვსკი**, უწმიდესი სინოდისა და კანცელარიის ბუღალტერი **ვ. ფ. ტრელინი.** სხდომა ჩატარდა სინოდის სამეცნიერო საბჭოს დარბაზში.

უსამღვდელოესმა ნიკანდრმა სხდომაზე მყოფთ შესთავაზა ემსჯელათ დეკანოზ ტ. ი. ბუტკევიჩის მოხსენების ძირითად თეზისებზე. ეს მოხსენება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს ეხებოდა. უსამღვდელოესმა თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეთ სთხოვა სიმშვიდის შენარჩუნება და წესრიგის დაცვა მომხსენებელთან კამათის დროს **(Церковныя Ведомости №51-52, 1906: 86).** ქართველმა მეცნიერმა ნიკო მარმა წინასწარ ითხოვა, რომ პირველ რიგში მოესმინათ ტ. ი. ბუტკევიჩის მოხსენების მისეული შეფასება, რაც სხდომის მიერ რუსი დეკანოზის პიროვნების შეფასების მცდელობად იქნა მიჩნეული **(Церковныя Ведомости №51-52, 1906: 87).** კრებაზე მყოფმა რუსმა საერო და სასულიერო პირებმა უსამღვდელოესი თავმჯდომარის მხარდაჭერით ნიკო მარს არ მისცეს უფლება, პირველი წარმდგარიყო როგორც მომხსენებელი და

სიტყვა დეკანოზ ტ. ი. ბუტკევიჩის დაუთმეს. რუსმა დეკანოზმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიასთან დაკავშირებული საკითხი შემდეგნაირად ამოაყალიბა:

1. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია თუ დამოუკიდებელი მმართველობა დაკანონდა 488 წელს ანტიოქიის ეკლესიის მიერ. ეს ფაქტი დადასტურდა მსოფლიოს სხვა პატრიარქების მიერ და მეხუთე (553 წ.) და მეექვსე (680 წ.) მსოფლიო საეკლესიო კრებების მიერ. 751 წელს საქართველოს ეკლესია ანტიოქიის პატრიარქ თეოფილაქტეს დროს გათავისუფლდა ანტიოქიის ეკლესიისაგან.

2. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დამადასტურებელი საბუთები საეჭვოა და დაზუსტებას საჭიროებს. ამტკიცებენ, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია დააკანონა ანტიოქიის 488 წლის კრებამ, რომელიც არასოდეს შემდგარა. შემდეგში არარსებული ანტიოქიის კრების დადგენილება უცვნიათ მსოფლიოს სხვა პატრიარქებსა და მეხუთე და მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრებებს. ყველაფერი ეს დაგვირგვინებულა ანტიოქიაში 751 წელს გამართულ ადგილობრივ საეკლესიო კრებაზე. ყოველივე ზემოთქმულს არ აქვს არანაირი საფუძველი. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია არის მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფი. საკითხის ისე გადაწყვეტა, როგორც დაჟინებით ამტკიცებენ ქართველი მეცნიერები, კანონიკურადაც შეუძლებელია. ის, რომ ანტიოქიის საპატრიარქოს გადაწყვეტილება დადასტურებულია მსოფლიო საეკლესიო კრებებით – ეს გასაგებია. მაგრამ რა საჭირო იყო მსოფლიო საეკლესიო კრებების მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ხელახალი დადასტურება – ეს უკვე გაუგებარია. შემდეგ ანტიოქიის ადგილობრივმა საეკლესიო კრებამ საბოლოოდ დაადასტურა ორი მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილება. ეს უკვე რაღაც არაბუნებრივია **(Церковныя Ведомости №51-52, 1906: 87–88).**

ტ. ი. ბუტკევიჩის მოხსენების მოსმენის შემდეგ პროფესორმა ნიკო მარმა კვლავ ითხოვა სიტყვა: „აქ, განაცხადა მან, საუბრობს ადამიანი, რომელსაც არავითარი წარმოდგენა არ აქვს საქართველოს ეკლესიაზე. მე განვიხილე მისი წიგნი და ახლა ჩემი მოსმენაც კი არ სურთ“ („Здесь, заявляет он, говорит лицо, не имеющее представления о Грузинской Церкви. Я разобрал его книгу, а теперь не хотят меня слушать…“) **(Церковныя Ведомости №51-52, 1906: 88).** ნიკო მარის გამოსვლის შემდეგ უსამღვდელოესმა თავმჯდომარემ გადაწყვიტა მოესმინათ ქართველი მეცნიერისათვის, მაგრამ ამავე დროს ბოლომდე უნდა მოესმინათ რუსი დეკანოზის მოხსენების ძირითადი

თეზისებისათვისაც. პროფესორი ი. ი. სოკოლოვი აღმოჩნდა ის ერთადერთი ადამიანი, რომელმაც აღიარა, რომ დეკანოზ ტ. ი. ბუტკევიჩის მოხსენება შეიცავდა მრავალ შეცდომასა და უზუსტობას **(Церковныя Ведомости №51-52, 1906: 88).** ამიტომ, რუსი მეცნიერის აზრით, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო მოესმინათ ნიკო მარისათვისაც. სხდომაზე მყოფი რუსი საერო და სასულიერო პირები მოითხოვდნენ წესრიგის დაცვას. საბოლოოდ, რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების სხდომის გადაწყვეტილებით მოხსენების კითხვა განაგრძო ტ. ი. ბუტკევიჩმა. მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ საქართველოს პირველ კათოლიკოსს ხელი დაასხა ანტიოქიის პატრიარქმა ევსტათიმ. ანტიოქიის პატრიარქ თეოფილაქტეს (741-751) დროს კი ქართველებმა მიიღეს უფლება, თავად ეკურთხებინათ კათოლიკოსი, რომელსაც ღვთის ნებით და საეკლესიო კრების წესით გამოარჩევდნენ. პატრიარქ თეოფილაქტეს დროს ხელი დაასხეს კათოლიკოს იოანეს. ქართველებს ანტიოქიის წმიდა ტახტისათვის უნდა გადაეხადათ 1000 დრაჰკანი. დეკანოზმა ტ. ი. ბუტკევიჩმა აღნიშნული ფაქტებიდან ასეთი დასკვნა გამოიტანა: „საკითხავია, რომელი ავტოკეფალიით სარგებლობენ ქართველები? კათოლიკოსი ვალდებულია, საკუთარ ლოცვებში მოიხსენიოს ანტიოქიის პატრიარქი, ყოველწლიურად უხადოს მას 1000 დრაჰკანი. ანტიოქიის პატრიარქს შეუძლია გამოიყენოს თავისი ძალაუფლება, თუ საქართველოს ეკლესიაში აღმოაჩენდა უწესრიგობასა და ერესს. აქედან ირკვევა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია დაფუძნებული იყო გაუგებრობაზე. ისმის კითხვა: რით განსხვავდება ეს ავტოკეფალია საქართველოს საეგზარქოსოს მმართველობისაგან? მხოლოდ იმით, რომ ეგზარქოსები არა კათოლიკოსებად, არამედ არქიეპისკოპოსებად იწოდებიან და რომ ინიშნებიან წმიდა სინოდის მიერ და არ ხდება მათი არჩევა თავად საქართველოს ეკლესიის მიერ“ („Какою автокефалиею пользовались грузини? Католикос обязан возносить в молитвах имя антиохийскаго патриарха, ежегодно платить ему подат по 1000 драконов, – патриарх обнаруживает свою власть над грузинскою церковью в случае появления в ней безпорядков и ереси. Оказывается, что представление о былой автокефалии Грузинской Церкви основывается на недоразумении. Спрашивается, чем эта автокефалия отличается от экзаршескаго управления Грузинскою Церквию в наше время? Единственно тем, что экзархи именуются не католикосами, а архиепископами и что они назначаются Святейшим Синодом, а не избираются самою Грузинскою Церквию“) **(Церковныя Ведомости №51-52, 1906: 89).** ტ. ი. ბუტკევიჩი მოხსენებაში შეეხო ასევე არაბი მიქაელ ბრეკის (XI საუკუნე)

ცნობებს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის თაობაზე. მიქაელ ბრეკის ცნობებში საუბარი იყო საქართველოს ორ კათოლიკოსზე (იმერეთისა და მცხეთის). მიქაელ ბრეკის ცნობა ემთხვეოდა ანტონ II-ის ცნობებსაც, სადაც ის ასევე საუბრობდა საქართველოს ორ კათოლიკოსზე. ანტონ II-ის უწყების თანახმად, მას შემდეგ, რაც წმიდა ნინომ საქართველო გააქრისტიანა, მართლმადიდებლურ რწმენაზე მოაქცია მეფე და მისი ოჯახიც, სწორედ მირიან მეფის დროს საფუძველი ჩაეყარა საქართველოს ეკლესიას. მეფემ იმპერატორ კონსტანტინეს სთხოვა ღვთისმსახურების გამოგზავნა ქართლში, მოინათლა სამეფო კარი და ქართლის მოსახლეობა. ტ. ი. ბუტკევიჩმა გააგრძელა ანტონ II-ის ცნობის კომენტირება. რამდენიმე წლის შემდეგ მეფე ვახტანგ გორგასალმა საფუძველი ჩაუყარა საკათოლიკოსო და სამოციქულო ტაძარს, სადაც ეკურთხა კათოლიკოსი უწმიდესის ტიტულით. იმ დროიდან მოყოლებული, ბიზანტიის პატრიარქისა და მსოფლიო კრებათა გადაწყვეტილებით, საქართველოს პატრიარქს მიენიჭა დამოუკიდებლობა. რუსმა დეკანოზმა ანტონ II-ის ეს ცნობა თავის სასარგებლოდ გამოიყენა და მიიჩნია, რომ საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია უბოძა უმაღლესმა საერო ხელისუფალმა – ვახტანგ გორგასალმა. დეკანოზმა ტ. ი. ბუტკევიჩმა მოხსენებაში მოიშველია ქართველი ისტორიკოსის პლატონ იოსელიანის ცნობები, რომლის თანახმადაც, საქართველოს ეკლესიის ანტიოქიის საპატრიარქოსაგან გამოყოფა მოხდა არა ანტიოქიის პატრიარქის გადაწყვეტილებით, არამედ იმ მიზეზით, რომ გეოგრაფიული სიშორე ართულებდა საქართველოს ეკლესიისა და ანტიოქიის ეკლესიის ურთიერთობას. რუსი დეკანოზი თვლიდა, ეს კიდევ ერთხელ ადასტურებდა იმას, რომ საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭება მოხდა საერო ხელისუფლის მიერ და ამას შეეგუა ანტიოქიის პატრიარქი. ტ. ი. ბუტკევიჩი მოხსენებაში შეეხო საქართველოს ეკლესიის თაობაზე არსებულ ბალსამონის ცნობებს. ამ ცნობების თანახმად, იგი თვლიდა, რომ საქართველოს ეკლესიას ბოძებული ჰქონდა ავტოკეფალია, რომელიც არ ათავისუფლებდა მას ანტიოქიის პატრიარქისაგან. ამავე დროს ეს ავტოკეფალია ბოძებული იყო საქართველოს ეკლესიისათვის არა საეკლესიო კრების, არამედ სინოდის დადგენილებით. ტ. ი. ბუტკევიჩმა აღნიშნა, რომ ეს ცნობა არის არა უტყუარი ფაქტი, არამედ გადმოცემა, რომელსაც ბალსამონამდე მიუღწევია. ამ ცნობით დაამთავრა დეკანოზმა ბუტკევიჩმა თავისი გამოსვლა **(Церковныя Ведомости №51-52, 1906: 89–90).**

სიტყვა დაუთმეს ქართველ მეცნიერ ნიკო მარს, რომელმაც სხდომაზე წაიკითხა თავისი მოხსენება. ნიკო მარმა პროტესტი გამოთქვა რუსი დეკანოზის ტ. ი. ბუტკევიჩის მოხსენებასთან დაკავშირებით. მან არამართებულად მიიჩნია, სეპარატისტებად მოეხსენებინათ ის პირები, რომლებიც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს იცავდნენ რუსეთის საეკლესიო კრების მეორე განყოფილების სხდომაზე **(Церковныя Ведомости №51-52, 1906: 90).** ნიკო მარის მოხსენების განხილვისას რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების სხდომის თავმჯდომარემ ნიკანდრმა განაცხადა, რომ ქართველი მეცნიერი ძალიან ღრმად ერეოდა მეორე განყოფილების მუშაობის პროცესში. რაც შეეხება ტ. ი. ბუკტევიჩს, მან ნიკო მართან პოლემიკაში ჩართვა ზედმეტად მიიჩნია: „ჩემი მოხსენების ქუასი-კრიტიკული განხილვის შემდეგ, რომელიც წარმოდგენილი იყო ახლა მარის მიერ, ზედმეტად მიმაჩნია, სერიოზულად ვუპასუხო. პასუხს ის არ იმსახურებს. პროფესორი მარი ეხება მხოლოდ ჩემს პიროვნებას და არა ჩემს მოხსენებას“ („На ქუასი-критический разбор моего доклада, прочитанный сейчас Марром, я считаю излишним серьезно отвечать. Такого ответа он не заслуживает. Проф. Марр касается только моейличности, а не моего доклада“) **(Церковныя Ведомости №2, 1907: 91).** პოლემიკაში ჩაერთო უსამღვდელოესი სტეფანეც, რომელიც ფიქრობდა, რომ ნიკო მარმა არ შეაფასა ტ. ი. ბუტკევიჩის მოხსენება. მოგილევის ეპისკოპოსს მიაჩნდა, რომ ქართველი მეცნიერი შეეხო მოხსენების მხოლოდ ერთ ნაწილს და მცდარი შეხედულებების გამორკვევას დაუთმო დრო. უსამღვდელოესი სტეფანე ითხოვდა, ავტორიტეტული ქართველი მეცნიერების ნააზრევზე დაყრდნობით საბოლოოდ გარკვეულიყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი. ასეთ ავტორიტეტებად კი მას კალისტრატე ცინცაძე და გიორგი ჟორდანია მიაჩნდა. მოგილევის ეპისკოპოსი თვლიდა, რომ გიორგი, ჟორდანია იყო გამორჩეული პიროვნება და ამიტომაც გაუგებარი იყო, რატომ არ ანიჭებდნენ იქ მყოფი ქართველი მეცნიერები მის შრომებს მნიშვნელობას **(Церковныя Ведомости №2, 1907: 92).** ნიკო მარმა განმარტა, რომ აუცილებელი იყო სამეცნიერო გამოცემისა და სამეცნიერო წყაროს ერთმანეთისაგან გამიჯვნა. თუ ქართველი მეცნიერები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის გადასაწყვეტად ჟორდანიას გამოცემით იხელმძღვანელებდნენ, საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივიდოდნენ, რომ არავითარი საფუძველი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის არ არსებობდა **(Церковныя Ведомости №2, 1907: 92–93).**

ამ ფაქტთან დაკავშირებით ალექსანდრე ცაგარელმა აღნიშნა, რომ ხშირად არასწორად სარგებლობდნენ წყაროებით თვით ბერძნებიც კი. ალექსანდრე ცაგარელი თვლიდა, რომ ასეთ შემთხვევაში უმჯობესი იქნებოდა ქართულ ენაზე არსებული პირველწყაროების გამოყენება **(Церковныя Ведомости №2, 1907: 93).** უსამღვდელოესმა თავმჯდომარემ განაცხადა, წარმოედგინათ, თუ რის საფუძველზე ითხოვდნენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას. ალექსანდრე ცაგარელმა აღნიშნა, რომ ავტოკეფალიის საკითხის გადასაწყვეტად აუცილებელი იყო ქართული, ბერძნული, არაბული წყაროების ერთმანეთთან შეჯერება. ეპისკოპოსმა ლეონიდმა საყვედური გამოთქვა დეკანოზ ტ. ი. ბუტკევიჩის მიმართ, რადგან მან თავისი მოხსენების შედგენის დროს არ ისარგებლა სანდო წყაროებით. ქართველი მღვდელმთავრის აზრით, მას თავისუფლად შეეძლო ესარგებლა ი. ი. სოკოლოვის წერილით. ტ. ი. ბუტკევიჩის მოხსენებაში ნახსენები ბალსამონის განმარტება არ შეესაბამებოდა ორიგინალს. ტექსტის დედანი კი მოყვანილი ჰქონდა ი. ი. სოკოლოვს **(Церковныя Ведомости №2, 1907: 93).** თავად ი. ი. სოკოლოვიც თვლიდა, რომ ბალსამონის ცნობები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის თაობაზე სავსებით დამაჯერებელი და ავტორიტეტული იყო. ბალსამონის ბერძნული ცნობიდან ჩანდა, რომ ივერიის ეკლესია ავტოკეფალურ და თავისუფალ ეკლესიად იწოდებოდა. ივერიის ეკლესია მოხსენიებული იყო ისეთი ავტოკეფალური ეკლესიების გვერდით, როგორებიც იყო კვიპროსისა და ბულგარეთის ეკლესიები. ი. ი. სოკოლოვს არ დაუმალავს ის, რომ ბალსამონის ცნობის შესახებ ტ. ი. ბუტკევიჩის მოხსენებაში მოყვანილი თარგმანი არაზუსტი იყო **(Церковныя Ведомости №2, 1907: 93–94).** თავის მხრივ დეკანოზ ტ. ი. ბუტკევიჩს მიაჩნდა, რომ არ იყო აუცილებელი ბალსამონის ბერძნული ტექსტის გამოყენება. რუსი დეკანოზი თვლიდა, რომ ქართველები სარგებლობდნენ ისეთი ავტოკეფალიით, რისი კანონიკური საფუძველიც მათ არასდროს ჰქონიათ **(Церковныя Ведомости №2, 1907: 93).** ალექსანდრე ცაგარელმა ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საქართველოს ეკლესიას ჰქონდა ისეთივე ავტოკეფალია, როგორიც ჰქონდათ კვიპროსისა და ბულგარეთის ეკლესიებს. ქართველმა მეცნიერმა ასევე გაიხსენა საქართველოს ადგილობრივი ეკლესიის მიერ ანტონ I-ის გასამართლების ფაქტიც ანტიოქიის პატრიარქის მონაწილეობის თვინიერ **(Церковныя Ведомости №2, 1907: 94).**

რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების სხდომის თავმჯდომარემ მოითხოვა, საბოლოოდ გარკვეულიყო, თუ რა ფორმით და რის საფუძველზე ებოძა საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია. ამასთანავე, უსამღვდელოესმა ნიკანდრმა უფლება მისცა დეკანოზ ტ. ი. ბუტკევიჩს, დაესრულებინა მოხსენება და ესაუბრა იმაზე, თუ როგორ მოხდა საქართველოს ეკლესიის შეერთება რუსეთის ეკლესიასთან. რუსმა დეკანოზმა აღნიშნა, რომ ქართველი ისტორიკოსები ამ მოვლენას დაპყრობას უწოდებდნენ, რაც არასწორი იყო **(Церковныя Ведомости №2, 1907: 94).**

კამათი კვლავ დეკანოზ ტ. ი. ბუტკევიჩისა და ნიკო მარის მოხსენების თაობაზე გაგრძელდა. სხდომაზე მყოფი რუსი სამღვდელოება და პროფესორები თვლიდნენ, რომ ნიკო მარის მოხსენებამ საქმის ვითარება არ შეცვალა. ქართველმა მეცნიერმა საკითხის გადასაჭრელად ახალი არაფერი თქვა. ნიკო მარის მოხსენების მიმართ განსაკუთრებით კრიტიკული იყო ა. ი. ალმაზოვი. მისი აზრით, ქართველი მეცნიერის მოხსენებაში „ელემენტარული სამეცნიერო კრიტიკის არქონა“, „სრული უცოდინარობა საგნისა“ და „ცხადად გამოუსადეგარი ფაქტები“ ფიგურირებდა **(Церковныя Ведомости №2, 1907: 95).** პოლემიკაში ალექსანდრე ცაგარელი ჩაერთო და აღნიშნა, რომ დეკანოზ ტ. ი. ბუტკევიჩის მოვალეობა იყო გარკვეულიყო იმ ფაქტებში, რომლებიც უსამღვდელოესმა კირიონმა და უსამღვდელოესმა ლეონიდმა დაასახელეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დასასაბუთებლად. რუსი დეკანოზი კი ამის ნაცვლად ცდილობდა, დაემტკიცებინა საეკლესიო საკითხის პოლიტიკურ, სეპარატისტულ ნიადაგზე აღმოცენება. ალექსანდრე ცაგარელმა აღნიშნა, რომ თუ სხდომაზე მყოფი პირებიც ამ აზრს იზიარებდნენ, მაშინ იგი იმედოვნებდა, რომ მათი უმრავლესობა მეორე განყოფილების სხდომის მუშაობაში მონაწილეობას აღარ მიიღებდა. ამ შემთხვევაში საკითხის გარკვევა უკვე საერო ხასიათს შეიძენდა და არა საეკლესიოს **(Церковныя Ведомости №2, 1907: 95).** სხდომის მსვლელობასა და პოლემიკაში უსამღვდელოესი სტეფანეც ჩაერთო. მოგილევის ეპისკოპოსს აინტერესებდა, რამდენად შეძლებდნენ ქართველები ავტოკეფალიის გავრცობასა და საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის აღდგენას, თუ ეს უფლება მათ მიენიჭებოდათ. ეპისკოპოსმა სტეფანემ სხდომაზე მყოფთ აცნობა, რომ მას წაკითხული ჰქონდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური მოწყობის პროექტი. მოგილევის ეპისკოპოსი თვლიდა, რომ რეფორმა დაფუძნებული იყო იმ ვარაუდზე, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს ეკლესიისათვის მისი ყოფილი

მიწების დაბრუნებას ან თანხის გამოყოფას თავიანთი ქონების ღირებულების სანაცვლოდ. უსამღვდელოესი სტეფანე თვლიდა, რომ აუცილებლად უნდა მიემართათ წმიდა სინოდის ობერპროკურორისათვის, რათა მას მინისტრთა სათათბიროში გაერკვია შემდეგი საკითხი: თანახმა იქნებოდა თუ არა ხელისუფლება, ფულადი სახსრები გაეღო საქართველოს ეკლესიისათვის იმ შემთხვევაში, თუ მოხდებოდა ავტოკეფალიის ცნობა. ეპისკოპოსი სტეფანე თვლიდა, რომ თუ ხელისუფლება დათანხმდებოდა საქართველოს ეკლესიისათვის თანხების გაცემას, მაშინ ასეთ ავტოკეფალიას დიდი სიხარულით შეხვდებოდნენ ქართველები. ასე რომ არ მომხდარიყო, მაშინ დღის წესრიგში დგებოდა შემდეგი საკითხის გარკვევაც: თანახმა იქნებოდა თუ არა ქართველი ერი, საკუთარი სახსრებით მიეღო ავტოკეფალია და საკუთარი სამწყსოს მართვა სახელმწიფოს მატერიალური მხარდაჭერის გარეშე განეხორციელებინა **(Церковныя Ведомости №2, 1907: 95–96).** უსამღვდელოესმა თავმჯდომარემ ეპისკოპოს სტეფანეს აცნობა, რომ ამ საკითხის გარკვევა მათ მოვალეობაში არ შედიოდა და კვლავ დეკანოზ ტ. ი. ბუტკევიჩის მოხსენების კითხვის გაგრძელების გადაწყვეტილება მიიღო.

რუსი დეკანოზის მოხსენების მოსმენის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ წარადგინა გეგმა, რომლის მიხედვითაც გაგრძელდებოდა სხდომები. გეგმის თანახმად, პირველ რიგში უნდა განეხილათ ნიკო მარის მოხსენება, რასაც უნდა მოჰყოლოდა ალექსანდრე ცაგარელის მოხსენების განხილვა, დაბოლოს, უნდა მოესმინათ ი. ი. სოკოლოვისათვის. ამით დასრულდებოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერების საკითხის ისტორიული კუთხით განხილვა. აუცილებელი იყო საკითხის კანონიკური ასპექტით გადაწყვეტა. მოხსენების შედგენას ვინ აიღებდა თავის თავზე, ჯერ უცნობი იყო. პროფესორი ა. ი. ალმაზოვი ითხოვდა, რომ ამ საკითხს პრაქტიკული კუთხითაც მისდგომოდნენ **(Церковныя Ведомости №2, 1907: 97).** საბოლოოდ, უსამღვდელოესმა თავმჯდომარემ სხდომას გააცნო უწმიდესი სინოდის გადაწყვეტილება, რომელიც ეხებოდა საეკლესიო საქმეების მოწყობას კავკასიაში. უწმიდესმა სინოდმა გადაწყვიტა:

1. ჩამოყალიბდეს განსაკუთრებული საბჭო, რომელიც განიხილავს საეკლესიო საქმეების მოწყობას საქართველოს საეგზარქოსოში შემდეგი შემადგენლობით: მოსკოვის მიტროპოლიტი ვლადიმირი, კიევის მიტროპოლიტი ფილარეტი, საქართველოს ყოფილი ეგზარქოსი და ახლანდელი ვლადიმირის მთავარეპისკოპოსი ნიკონი, ორიოლის ყოფილი და ახლანდელი სოხუმის ეპისკოპოსი კირიონი და იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი.

2. განსაკუთრებულ საბჭოს დაევალა, მიეღო ზომები საეკლესიო მმართველობის გარდაქმნისა და სასულიერო სკოლების მოწყობის შესახებ. განიხილეს საქართველოს საეგზარქოსოში საეკლესიო საქმეების მოწყობის თაობაზე არსებული ყველა საკითხი.

3. უწმიდესმა სინოდმა მხედველობაში მიიღო შემდეგი: ა) ცალკეული ეპარქიის ეპისკოპოსები დამოკიდებულნი არიან სინოდალურ კანტორაზე. მათ წინ არ ეღობებათ არანაირი სააღმსრულებლო ორგანო, რომლის მეშვეობითაც შეუძლიათ განახორციელონ მათზე დაკისრებული საეკლესიო კანონები და მოქმედი ხელისუფლების გადაწყვეტილებები. მათ რჩებათ მხოლოდ ხელდასხმის, დანიშვნის ან გადაყვანის, გარიცხვის ან დროებითი ღვთისმსახურების აკრძალვის უფლება; ბ) საეგზარქოსოს ზოგიერთ სასწავლებელში სასკოლო საგნების სწავლება საჭიროებს მკაცრ გადახედვას. არასაკმარისი ყურადღება ექცევა მშობლიური ენის სწავლებას დაწყებით კლასებში; გ) სასულიერო სასწავლებლებში არასაკმარისი ყურადღება ეთმობა საეკლესიო-ქართული ენისა და, საერთოდ, ადგილობრივი ენის სწავლებას, რის გამოც მრევლი ხშირად მოუმზადებელი და გაუნათლებელია.

4. დაევალოს ადგილობრივ კომისიას, მონაწილეობა მიიღოს განხილვაში, რომელიც სინოდალური კანტორის მოვალეობის შეზღუდვას ეხება, ამავე დროს, მოიძებნოს თანხები, რომლებიც საეგზარქოსოში საეკლესიო მმართველობის გარდაქმნას მოხმარდება.

5. დაევალოს სასწავლო დაწესებულების მრევლს, დაჩქარდეს საეგზარქოსოში საეკლესიო სკოლების დაარსების საქმე.

6. სლავური ენის ნაცვლად საეკლესიო სკოლებში გაძლიერდეს ქართული ენისა და ადგილობრივ საგალობელთა სწავლება, იზრუნონ აღსაზრდელთა მომზადებისათვის, რათა მათ შეძლონ ადგილობრივ ენაზე ქადაგება, გაეცნონ ღვთისმსახურების აღსრულების წესებს ადგილობრივ საღვთისმსახურო ენაზე.

7. სკოლაში განათლების მიღების შემდეგ ეკლესიის მწყემსმა უნდა შეძლოს ღვთისმსახურებისა და ქადაგების ადგილობრივ ენაზე შესრულება.

8. ჩამოყალიბდეს კომისია ბიბლიის თარგმანის შესასრულებლად და გამოსაცემად. მრევლის მოთხოვნისამებრ, გამოიცეს საეკლესიო-საღვთისმსახურო წიგნები და საგალობელთა კრებული.

9. სინოდის ობერ-პროკურორმა დაამყაროს კავშირი კავკასიის მხარის მეფისნაცვალთან, საქართველოს საგზარქოსოში შეიტანოს დოკუმენტები საეკლესიო მმართველობის გარდაქმნასთან დაკავშირებით.

10. ბრძანება დაეგზავნოს საქართველოს ეგზარქოსს, სასწავლო კომიტეტს, სასწავლო დაწესებულებებს, ხელმძღვანელებს გადაეცეს ამონაწერი. საქართველოში გაიგზავნოს ზემოგამოთქმული მოსაზრებები და ეკლესიის გარდაქმნისათვის საჭირო თანხები **(Церковныя Ведомости №2, 1907: 97–98).**

პროფესორ ა. ი. ალმაზოვს მიაჩნდა, რომ უწმიდესი სინოდის ეს დადგენილება ძალიან მნიშვნელოვანი იყო საკითხის პრაქტიკული კუთხით გადასაჭრელად. ამიტომაც ითხოვა, რომ ამ ბრძანების ნიმუშები სხდომაზე მყოფი პირებისათვის გადაეცათ. ქართველმა მეცნიერმა ალექსანდრე ცაგარელმა ითხოვა მოესმინათ, თუ როგორ შეხვდნენ უწმიდესი სინოდის გადაწყვეტილებას ქართველი ეპისკოპოსები – უსამღვდელოესი კირიონი და უსამღვდელოესი ლეონიდი. გასარკვევი იყო, ეთანხმებოდნენ კი ისინი უწმიდესი სინოდის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას **(Церковныя Ведомости №2, 1907: 99).**

უსამღვდელოესმა თავმჯდომარემ, სხდომაზე მყოფი პირების სურვილის თანახმად, წაიკითხა ეპისკოპოს კირიონის აზრი, რომელიც შემდეგი შინაარსის იყო:

1. ეკლესიაში არსებული უწესრიგობა, რომელსაც მოჰყვა ურწმუნოების გაძლიერება და რელიგიის დაცემა ქართველ ერში, არ შეიძლება აღმოიფხვრას იმ საშუალებით, რომელიც უწმიდესი სინოდის მიერ იქნა შემუშავებული.

2. პროექტის გაცნობა გვარწმუნებს, რომ ის სინამდვილეში შორეულ და არცთუ ისე სახარბიელო მდგომარეობას ეხება. ახალი პროექტი, რომელიც გულისხმობს საქართველოს ეკლესიის დანაწევრებას დამოუკიდებელ ერთეულებად, ასუსტებს მათ შორის საუკუნოვან ეროვნულ კავშირს. აღნიშნული პროექტი სპობს იმ შესაძლებლობას, რომ ქართველმა მღვდელმთავრებმა ერთობლივად განიხილონ ისეთი საეკლესიო საკითხები, როგორებიცაა: ადგილობრივი საეკლესიო კრების მოწვევა, საეპისკოპოსო კანდიდატის გამორჩევა, საეკლესიო აღმზრდელობა და განათლება, საეკლესიო-საღვთისმსახურო წიგნებისა და სანოტო წიგნების ბეჭდვა, საეკლესიო საგანმანათლებლო ცენტრების გახსნა, მგალობელთა და მეფსალმუნეთა სკოლის დაარსება, სტამბის მოწყობა, სანთლის ქარხნისა და ეპარქიების მისიის ორგანიზება და ყველა ის საერთო

ხასიათის საკითხი, რომელთა გადაწყვეტის უფლებამოსილება არ აქვს ადგილობრივ ეპარქიას და არ არის მისი კომპეტენციის საკითხი.

3. ახლანდელ დროს, როდესაც ხელმწიფის ნებით განდიდებულია სამეფო ტახტი, ვიმედოვნებთ, რომ წმიდა ეკლესიის კეთილდღეობის სახელით რუსეთს გადაცემული საქართველოს ეკლესია არ იქნება მოკლებული თავისუფლებას – მიეცემა უფლება, მოიწყოს თავისი ეროვნული ეკლესია, კანონიკურ საწყისებზე აღადგინოს ავტოკეფალია კათოლიკოსით სათავეში, რითაც თავიდან იქნება აცილებული საეკლესიო განხეთქილება რუს და ქართველ ერებს შორის.

4. საერო დაწესებულების გარდაქმნა არ წარმოადგენს ისეთ სირთულეს, როგორც რეფორმა საეკლესიო მმართველობაში. ბოლო შემთხვევაში გადაულახავი დაბრკოლებაა ემსახურო კანონიკურ დადგენილებას, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს ადამიანმა და ამავე დროს აუცილებელია საეკლესიო ტრადიციის დაცვა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირი შეიმუშავებდა საუკეთესო გეგმას ეკლესიის უკეთესად მოსაწყობად საქართველოში, ამ საუკეთესო გეგმას ამ პირობებშიც კი არ ექნებოდა სათანადო გავლენა. შეიქმნებოდა გეგმის ხშირი ცვლილებების აუცილებლობა, რაც ყოველთვის გახდებოდა საყვედურების მიზეზი.

5. ერთადერთი ხსნაა ქართველი ხალხის მიერ თავისუფლად არჩეული საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარი – კათოლიკოსი, რომელსაც, როგორც ერის მწყემსს და უმაღლესი სიმართლის ჭეშმარიტ მსახურს, შეუძლია მშობლიური ეკლესიის წყლულების მოშუშება. მხოლოდ ამ გზით დაიბრუნებს საქართველოს ეკლესია სრულ ძალაუფლებას, თავისუფლებას, რომელიც მას უფლისაგან ებოძა და ნაყოფიერ გავლენას მოახდენს ქართველი ერის ცხოვრების ყველა სფეროზე **(Церковныя Ведомости №2, 1907: 99).**

ამის შემდეგ წაკითხული იქნა ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ყოვლადსამღვდელო ლეონიდმა განაცხადა: ეპისკოპოს კირიონის მოხსენება, საქართველოს საეგზარქოსოს განცხადება, ქართული ბეჭდვითი ლიტერატურა ადასტურებს, რომ საეკლესიო მმართველობაში არსებული უწესრიგობის ძირითადი მიზეზი უნდა ვეძებოთ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური წყობის სინოდალური მმართველობით ჩანაცვლებაში. ეს განცხადებები თავის თავში ატარებს ურყევ მრწამსს მორწმუნე ქართველობისა. ამ განცხადებების შინაარსი კარგადაა

ცნობილი განსაკუთრებული კომისიისათვის, რომელიც საქართველოში საეკლესიო საქმეების მოწყობას ხელმძღვანელობს. როგორც ჩანს, კომისიამ რატომღაც გვერდი აუარა და ყურადღება არ მიაქცია უმნიშვნელოვანეს საკითხს – საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნას, რომელიც განცხადებაში იყო მოცემული. კომისიამ არ გააშუქა ეკლესიის ვითარება და არ გამოთქვა თავისი შეხედულება ამ საკითხთან დაკავშირებით. კომისიის მიერ მიღებული დადგენილება ადასტურებს იმას, რომ რწმენის, სინდისისა და ეკლესიის თავისუფლებით დაუბრკოლებლივ სარგებლობენ საქართველოს მეზობლები – სომხები, კათოლიკეები, მაჰმადიანებიც კი.

ეჭვის შეტანა იმ სამართლიანობასა და კანონიერებაში, რომლითაც საქართველოს ეკლესია ცდილობს დაიბრუნოს თავისი ავტოკეფალური უფლება, მას შემდეგ, რაც მისი ავტოკეფალია ზეპირად დაადასტურა ი. ი. სოკოლოვმა, ვგონებ, არის არა მხოლოდ უსაფუძვლო, არამედ აშკარა დანაშაული საქართველოს ეკლესიის წინაშე.

არსებული ოქმებით რეკომენდირებული რჩევები ფორმალობაა მხოლოდ, რომელიც ვერ მოაშუშებს საქართველოს ეკლესიის ჭრილობებს და არ გამოიწვევს თანაბარ კმაყოფილებას მორწმუნეთა შორის; მით უმეტეს, რომ არ არსებობს გარანტია იმისა, რომ ერთი წლის შემდეგ გაცემული არ იქნება საწინააღმდეგო განკარგულება **(Церковныя Ведомости №2, 1907: 100).**

ამით დასრულდა რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების 1906 წლის 24 ნოემბრის სხდომა. უსამღვდელოესმა ნიკანდრმა მომავალი კრების მონაწილეებს შესთავაზა წარედგინათ მასალები საქართველოს საეგზარქოსოში მართლმადიდებელი მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ. თავმჯდომარეს ასევე აინტერესებდა საქართველოში არსებული ეკლესიებისა და მონასტრების რაოდენობაც. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოხსენების შედგენა დაევალა ვ. ფ. ტრელინს. საქართველოს ეკლესიის საკითხის პრაქტიკული კუთხით განხილვა დაევალა დეკანოზ ი. ი. ვოსტორგოვს, კანონიკური კუთხით – მ. ა. ოსტროუმოვს და ი. ს. ბერდნიკოვს. ქართველ მეცნიერებს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერების საკითხი უნდა გაეშუქებინათ ისტორიული თვალსაზრისით.

1906 წლის 1 დეკემბერს მუშაობა გააგრძელა რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილებამ (სექციამ). კრება გაიხსნა ყოვლადუსამღვდელოესი ნიკანდრის თავმჯდომარეობით. კრებას ესწრებოდნენ: ყოვლად სამღვდელო **სტეფანე** –

მოგილევის ეპისკოპოსი, ყოვლადსამღვდელო **ლეონიდი** – იმერეთის ეპისკოპოსი; დეკანოზები: **პ. ი. სოკოლოვი, ი. ი. ვოსტორგოვი, ა. პ. მალცევი, ი. ი. კოიალოვიჩი;** მღვდელი **ტ. ვ. კოზლოვსკი;** პროფესორები: **ი. ს. ბერდნიკოვი, ნ. ა. ზაოზერსკი, ტ. ი. ბუტკევიჩი, ნ. ნ. გლუბოკოვსკი, ი. ს. პალმოვი, კ. დ. პოპოვი, ი. ვ. პოპოვი, ა. ი. ალმაზოვი, ი. ი. სოკოლოვი, ა. ი. ბრილიანტოვი, ვ. პ. შეინი, მ. ა. ოსტროუმოვი, ნ. ი. მარი და ა. ა. ცაგარელი.** სხდომა გაგრძელდა საღამოს ათ საათამდე.

უსამღვდელოესი თავმჯდომარის მოთხოვნის საფუძველზე მოსმენილი იქნა ნიკო მარის მოხსენება – „ნარკვევი საქართველოს ეკლესიის უძველესი ეპოქიდან". მოხსენება დაწერილი იყო საგანგებოდ საეკლესიო კრების წინარე თათბირისათვის. ნიკო მარმა აღნიშნა, რომ მართებული იქნებოდა მოხსენების დაწყება ქართული ლიტერატურის მიმოხილვითა და წყაროების კრიტიკული ანალიზით, მაგრამ დროის სიმცირე ქართველ მეცნიერს ამის საშუალებას არ აძლევდა. ნიკო მარი თვლიდა, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის მეცნიერულად გადაწყვეტა ძალიან რთული იყო. ეს საკითხი რთული იყო იმდენად, რამდენადაც იგი საქართველოს ეკლესიის ისტორიის დიდ პერიოდს მოიცავდა – საეკლესიო ცხოვრების ასახვიდან ბოლო დრომდე **(Церковныя Ведомости №3, 1907: 108).** მიუხედავად ამ სიძნელისა, მოხსენების ავტორს მიაჩნდა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის თაობაზე საკმაო რაოდენობის წერილობითი წყაროები არსებობდა, რომლებიც იმ ფაქტს ადასტურებდნენ, რომ უკვე უძველესი დროიდან საეკლესიო-ლიტერატურული მოღვაწეობა საქართველოში ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. მოხსენების ავტორს არ დავიწყებია აღენიშნა ის სიძნელეები, რომლებსაც ქართველი მართლმადიდებლები წააწყდნენ სომხებთან, სირიელებთან და სპარსელ ცეცხლთაყვანისმცემლებთან რელიგიური დაპირისპირების დროს. ნიკო მარმა აღნიშნა, რომ ქართველებსა და სომხებს შორის მომხდარი საეკლესიო განხეთქილების შემდეგ ქართველებმა გადადგეს პირველი ნაბიჯები საბერძნეთის (ბიზანტიის – გ. ბ.) ეკლესიასთან დაახლოების მიზნით **(Церковныя Ведомости №3, 1907: 109).** ნიკო მარი ქართული ლიტერატურული ძეგლების მიმოხილვის შემდეგ შეეცადა გადაეჭრა ორი ამოცანა. იგი თავის მოხსენებაში ცდილობდა დაედასტურებინა შემდეგი: 1) საქართველოს ეკლესიის იერუსალიმური წარმოშობის საკითხი; 2) მოციქულ ბართლომეს მიერ საქართველოს განათლების (გაქრისტიანების) ფაქტი. ნიკო მარმა აღნიშნა: „პირველი ქართული ტაძრები

საქართველოში შენდებოდა იერუსალიმური წმიდანების სახელზე, როგორიც იყო, მაგალითად, წმიდა სტეფანე, ასევე იერუსალიმური სიწმიდეების სახელზე, როგორიც იყო სიონი და ჯვარი. საქართველოში ძირითადად იერუსალიმური სიწმიდეები არსებობდა. ეს სიწმიდეები მდებარეობს მცხეთაში, რომლებიც დაკავშირებულია წმიდა ნინოს მოღვაწეობასთან. რაც შეეხება მცხეთის ჯვრის კულტს, ის იერუსალიმიდან იღებს სათავეს და წმიდა ნინოს ცხოვრების ქართულ რედაქციებზე ბევრად ძველია. მცხეთის სიწმიდეებს, წმიდა ნინოს მოღვაწეობასთან ყოველგვარი კავშირის გარეშე, ეთაყვანებოდნენ ქართველებიც და სომხებიც. საქართველოს უძველეს ეკლესიას ჰქონდა საგანგებო დღესასწაული ჯვრის საპატივსაცემოდ, ჯვრის განსაკუთრებული ღვთისმსახურება, რომელიც შემონახულია ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში. ქართულ ენაზეა შემორჩენილი ჯვრის უძველესი საგალობელიც. წმიდა ჯვრის დღესასწაულთან დაკავშირებით ქართულ ლოცვებში 15 თუ 16 სექტემბერს მოიხსენებენ იერუსალიმის პატრიარქ ევსტოხიასს (544-563 წ. წ.). რა თქმა უნდა, შეიძლება არსებობდეს განსაკუთრებული მიზეზი, რითაც აიხსნება ქართულ ლოცვებში იერუსალიმის პატრიარქების მოხსენიება, მაგრამ ამის საპირისპიროდ შეგვიძლია ვთქვათ ისიც, რომ არც ერთ ძველ სიაში, არც ერთ საერთო ლოცვაზე არ არსებობს ანტიოქიის პატრიარქების სპეციალური მოხსენიება. იერუსალიმის ეკლესიასთან საქართველოს ეკლესიას აკავშირებდა შობის აღნიშვნა 6 იანვარს და არა 25 დეკემბერს. ქართული სალიტურგიო ძეგლები წერენ, რომ ქართველებმა კი მიიღეს შობის აღნიშვნის რომაული ტრადიცია 25 დეკემბერს, მაგრამ, მსგავსად იერუსალიმის ეკლესიისა, ინარჩუნებდნენ ძველ საეკლესიო ტრადიციას, რომელიც, როგორც იმ ეპოქის მემკვიდრეობა, დღემდეა შემონახული სომხურ ეკლესიაში. ამ მხრივ ძალიან საინტერესოა ძეგლი, რომელიც ახლახანს დაბეჭდა მღვდელმა კორნელი კეკელიძემ: „Чтение о праздниках Благовощения и Раждества, Сретения и Крещения, написанное в Иерусалим правоправным царем Юстинианом“. ასეთი ძეგლების გამო ენა კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ საქართველოს ეკლესიას 6 იანვარს შობის აღსანიშნავად მოუწია დიდხანს ბრძოლა. ეს კიდევ ერთხელ ძირს უთხრის საქართველოს ეკლესიის ანტიოქიის ეკლესიაზე დამოკიდებულების შესახებ არსებულ ლეგენდას. როგორც ცნობილია, ანტიოქიის (კონსტანტინოპოლის) ეკლესია პირველია აღმოსავლეთში და ჯერ კიდევ 376 წელს აღნიშნავდა შობას რომაული ტრადიციის მიხედვით. მაშინ სრულიად გაუგებარია, თუ

როგორ ინარჩუნებდა საქართველოს ეკლესია ამდენ ხანს სხვა ეკლესიის წესწყობილებას, რომელიც თითქოს მოწყობილი იყო ანტიოქიის პატრიაქის მიერ დადგენილი მწყემსმთავრით **(Церковныя Ведомости №3, 1907: 111–113).** რაც შეეხება მოციქულ ბართლომეს მიერ საქართველოს განათლების (გაქრისტიანების) საკითხს, ამასთან დაკავშირებით ქართველ მეცნიერს თავისი მოსაზრება ჰქონდა. ნიკო მარი თვლიდა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანობა იქადაგა მოციქულმა ბართლომემ, ხოლო დასავლეთ საქართველოში კი – ანდრია პირველწოდებულმა.

მოხსენების ავტორმა თავის ნარკვევში ყურადღება გაამახვილა საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ სამონასტრო კერებზე და მათ მნიშვნელობაზე. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო იყო შავი მთა და იქ მოღვაწე ქართველი ბერების ცხოვრება **(Церковныя Ведомости №3, 1907: 119).**

ნიკო მარი მოხსენებაში შეეხო საქართველოს ეკლესიის იერუსალიმური წარმოშობის საკითხს. მან აღნიშნა, რომ საზოგადოებაში და მწერლობაში უკვე დამკვიდრებული იყო აზრი საქართველოს ეკლესიის ანტიოქური წარმოშობის თაობაზე, რასაც ადასტურებდა ეფრემ მცირისა და ნიკონ შავმთიელის მოწმობები. ნიკო მარი წერდა, რომ ამ მოწმობების გარდა, არც ერთი საბუთი, არც ერთი წყარო არ ადასტურებდა საქართველოს ეკლესიის ანტიოქური წარმოშობის ფაქტს. პირიქით, ყოველივე მათ საპირისპიროდ მეტყველებდა **(Церковныя Ведомости №3, 1907: 121–122).**

ქართველმა მეცნიერმა მოხსენებაში დიდი დრო დაუთმო გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებას და უკვე საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს: გიორგი მთაწმიდელის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერების საკითხის დაცვას ანტიოქიის პატრიარქთან კამათის დროს. ნიკო მარი წერს: „გიორგი მთაწმიდელის დასაბუთებას დღემდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. წმიდა მამის ცნობა ჩვენ ახლა გვაინტერესებს სხვა თვალსაზრისითაც. ეს მოწმობა ადასტურებს იმის, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას უძველეს ეპოქაშიც ჰყავდა არაკეთილმოსურნეები, მათ შორის ანტიოქიის ეკლესიაშიც. მიუხედავად ამისა, ზუსტად გიორგი მთაწმნდელის ეპოქაში, უმეცარი დოკუმენტების ზეგავლენით, ისტორიამ დააყენა საკითხი, ხელახლა დადასტურებულიყო არა მარტო კათოლიკოსის არჩევის უფლების ქონა, არამედ საქართველოს ეკლესიის სრული ავტოკეფალური თავისუფლების არსებობა.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ხელახალი დადასტურება, შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკურ მოვლენებზე იყო პასუხი. საქართველოს ეკლესიის შიგნით არავითარი მდგომარეობა და საჭიროება არ იყო იმისათვის, რომ მას ანტიოქიისათვის მიემართა. საქართველოს ეკლესია საუკუნეებით ადრე სარგებლობდა დამოუკიდებლობით. იმ ფაქტს, რომ საქართველოს ეკლესია თავისუფალი და ავტოკეფალური იყო, მოწმობს თეოდორე ბალსამონიც (1186-1203 წ.წ.) პატრიარქ პეტრეს (1053-1057 წ.წ.) დროს ანტიოქიის საეკლესიო კრების დადგენილების მიხედვით. ამ საკითხში მის ავტორიტეტს ვერ უარყოფენ. საქართველოს ეკლესიისათვის ბალსამონის ხუთსტრიქონიან ტექსტს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე საქართველოს ეკლესიის მართლმადიდებლობის სასარგებლოდ მრავალსაუკუნოვანი საგმირო მოღვაწეობის გადმოცემას. ეს მოწმობა, შეიძლება ითქვას, რომ გადამწყვეტიცაა. მართალია ისიც, რომ ბალსამონის მოწმობა თავისუფალი არ არის ანტიოქური ტენდენციისაგან. ჩანს, რომ თითქოს ბალსამონიც იზიარებდა ანტიოქიის პატრიარქის მეთაურობას საქართველოს ეკლესიაზე, მაგრამ უფრო ძლიერია მოწმობა საქართველოს ეკლესიის თავისუფლების თაობაზე პატრიარქ პეტრესა და საეკლესიო კრების დადგენილების დროიდან“ **(Церковныя Ведомости №3, 1907: 124–125).**

ნიკო მარი ცდილობდა, სხვადასხვა ფაქტით კიდევ ერთხელ დაედასტურებინა საქართველოს ეკლესიის იერუსალიმური წარმოშობის საკითხი. ქართველი მეცნიერი თვლიდა, რომ ამ აზრის დამკვიდრება გართულდა სხვადასხვა მიზეზით. ქართველებმა დაიწყეს ახალი საფუძვლის ძებნა, რითაც ისინი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერებას დაადასტურებდნენ. ნიკო მარი თვლიდა, მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ IX საუკუნეში მთელი საქართველოს ეკლესია, და არა მისი რომელიმე ნაწილი, გახდა თვითმმართველი, ე. ი. ავტოკეფალური. „საქართველოს ეკლესია ყოველთვის მართლმადიდებლურ საფუძველზე იდგა. ჯერ კიდევ ადრეულ ეპოქაში, როდესაც მართლმადიდებლური იმპერია ხატმებრძოლეობის გამო კრიტიკულ ვითარებაში აღმოჩნდა, საქართველო აღმოსავლეთში იყო იმ მცირე ოაზისთა შორის, სადაც ბიზანტიის ხატმებრძოლეობას გამოქცეული მართლმადიდებლები თავს აფარებდნენ... საქართველოს ეკლესიის მმართველობა დიდი ხნის მანძილზე ქართველთა ხელში იყო. ეკლესიას სათავეში ჰყავდა არჩეული პირი, სახელდებით „კათოლიკოსი“ **(Церковныя Ведомости №3, 1907: 124–126).**

ქართველი მეცნიერი თვლიდა, რომ საქართველოს ეკლესია უძველესი დროიდან სარგებლობდა თვითმმართველობით, ქართველი მწყემსმთავარი კი VII საუკუნის ბოლოს იერარქიულად დამოუკიდებელი იყო. ნიკო მარის აზრით, საქართველოს ეკლესიის იერარქიული ორგანიზება VII საუკუნის ბოლოს უკვე დასრულებული იყო. საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის გაზრდამ კი გამოიწვია მისი ინტერესების მსოფლიო პატრიაქების ინტერესებთან შეჯახება. ქართველ მეცნიერს მიაჩნდა, რომ VIII საუკუნეში ნამდვილად იყო შესაძლებელი, წამოჭრილიყო საქართველოს კათოლიკოსის უფლებების გარკვევის საკითხი, რაც თავისთავად წამოაყენებდა ავტოკეფალიის საკითხსაც. ნიკო მარი მოხსენებაში ცდილობდა აეხსნა, თუ რატომ მიმართა საქართველოს ეკლესიამ ანტიოქიის ეკლესიას ავტოკეფალიის ხელმეორედ დადასტურების მიზნით: „არსებობს ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რითაც შეიძლება აიხსნას საქართველოს ეკლესიის ანტიოქიის ეკლესიაზე დამოკიდებულების საკითხი. საქმე ისაა, რომ საკითხი, რომელიც მაშინვე ითხოვდა გადაწყვეტას, მასე მერე წამოიჭრა, რაც კონსტანტინოპოლის ეკლესია ხატმბრძოლთა გავლენის ქვეშ აღმოჩნდა (728-744 წლები). საქართველოს ეკლესიას, სურდა თუ არ სურდა, უნდა მიემართა ანტიოქიის პატრიარქისათვის. და აქ, ანტიოქიაში, მართლმადიდებლობისათვის მძიმე წუთების დროს, საქართველოს ეკლესიამ ანტიოქიის საეკლესიო კრების მიერ თავისი ავტოკეფალიის დასტური მიიღო. საეკლესიო კრების აქტები არ შემორჩენილა. ამ კრების თაობაზე იციან როგორც ქართველებმა, ისე ანტიოქელებმა, ბერძნებმა, არაბებმა და სხვებმაც. ჩვენამდე მოღწეული წყაროები სამასი წლით ჩამორჩება მოვლენებს. XI საუკუნეში გვიანდელი ქართულ-ანტიოქიური ურთიერთობები დაიწყო შავ მთაზე ქართველ და ანტიოქელ ბერებს შორის. სიმართლეს შეეფერება ისიც, რომ წყაროებში ხანდახან ვხვდებით ანაქრონიზმს, ტენდენციურ მოწმობებს, მშრალ ფაქტებს, რომლებიც საეკლესიო კრების დადგენილებების ფაქტობრივი მასალაა. მოწმობა იტყობინება: „კონსტანტინე კოპრონიმის (741-775 წ.წ.) იმპერატორობისა და თეოფილაქტეს პატრიაქობის (745-751 წ.წ.) დროს კათოლიკოსის საკითხთან დაკავშირებით ანტიოქიაში მოვიდნენ ქართველი ელჩები. ანტიოქიის პატრიარქმა თეოფილაქტემ ეპისკოპოსებთან ერთად ქართველებს უბოძა „პროტრეპტიკონი", ე. ი. ნების დამრთველი წერილი, რათა მათი სამწყსოს ეპისკოპოსებიდან, საეკლესიო კანონების თანახმად, მომხდარიყო ღვთისაგან ცხებული და ეპისკოპოსების მიერ არჩეული კათოლიკოსის ხელდასხმა. ჩვენ

ვერ ვპოულობთ რეალურ-ისტორიულ საფუძველს, რომ ეჭვი შევიტანოთ კრების დადგენილებაში. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერება იმდენად ნათელია, რომ ზედმეტად მივიჩნიე ამ მოწმობის კომპრომეტირება“ **(Церковныя Ведомости №3, 1907: 126).** ნიკო მარი თვლიდა, რომ სწორედ ამ მოწმობას ეყრდნობოდნენ ეფრემ მცირეც და ნიკონ შავმთელიც, როდესაც თვლიდნენ, რომ საქართველოს ეკლესია ანტიოქური წარმოშობის იყო. ქართველი მეცნიერის მოხსენება ძალიან მნიშვნელოვან და მრავალრიცხოვან საკითხს შეიცავს, საბოლოოდ კი ნიკო მარმა ასეთი დასკვნა გამოიტანა: 1) „Грузинская Церковь зародилась и сложилась вне влияния великой имперской церкови на основе древней апостольской проповеди и Иерусалимских церковных преданий в реальных условиях развития древняго христианства на Востоке.

2) К концу VI века Грузинская Церковь, пользующаяся уже исключительно родным грузинским языком, является правомочною управлять своими делами соборе и обладает вполне законченною иерархическою организациею, во главе которой стоит выборный католикос, на Востоке эквивалентный показатель автокефальности по нормам древней восточной церкови, внеримской империи и вне сферы ея влияния.

3) Придвинутая ходом своего развития в VIII-м веке имперской церкови, автокефальная Грузинская Православная Церковь сам ищет санкции своей автокефалии по нормам имперской церкви, что и происходит в половине VIII-го века Атиохии, так как в Византии в это время церковь была в руках врагов православия, иконоборцев.

4) Пользуясь независимостью и самоуправлением дома и в монастырских колониях в святых местах, управляя с VIII-го века и православными эпархиями Армении, к половине XI-го века цветущая Грузинская Церковь столкнулась с притязаниями антиохийской церкови и церковною политикою греческих императоров. Притязания антиохийской патриархии возбуждались грузино-антиохийскими отношениями на Черной горе, а церков ная политика византийцев питалась видами на православныя эпархии Армении, входившия в состав грузинскаго католикоса. И только эти вне-церковныя властолюбивыя или политическия тенденции внешних сил могли выдвинуть в XI-м веке вопрос об автокефалии Грузинской Церкви, который и был разрешен соборе окончательно в пользу грузин при патриарх Петре в той же Антиохии.

5) Грузинская Церковь не только впоследствии, после этого вторичнаго соборнаго подтверждения, но и раньше пользовалась полною свободою, управлялась, имея законодательный органв по местных грузинских соборах и выражая свои особенности в

церковном зодчестве и вообще искусстве, в церковном пении, в церковных праздниках и в других национальных проявлениях церковной жизни в неуклонном согласовании с догмами православия и с прогрессом великой (греческой) церкви“ **(Церковныя Ведомости №3, 1907: 141).**

ამით დაასრულა ნიკო მარმა თავისი მოხსენება. მოხსენების წაკითხვის შემდგომ გამოცხადდა შესვენება, რის შემდეგაც აზრთა გამოთქმის საშუალება მიეცა ყველას. ნიკო მარის მოხსენების მთავარი მოპასუხე დეკანოზი ტ. ი. ბუტკევიჩი იყო, რომელიც ვრცლად გამოეხმაურა მას. ტ. ი. ბუკტევიჩის გამოსვლას სრულად წარმოვადგენთ: „პირადად მე დიდად მადლიერი ვარ ნ. მარის ვრცელი მოხსენების გამო, რომლისგანაც ბევრი საინტერესო რამ შევიტყვე. ვაღიარებ გულწრფელად: მე მეტს ველოდი მისგან. ამ განყოფილების პირველი სხდომის დროს ნიკო მარი შეგვპირდა, რომ ის გაგვაცნობდა უძველეს არაბულ, სპარსულ, ქართულ, სომხურ და სხვაენოვან წყაროებს, რომლებსაც პირდაპირი კავშირი ექნებოდათ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიასთან. მაგრამ თავის მოხსენებაში მას ასეთი რამ არ გაუკეთებია. ამაზე ძალიან ვწუხვარ, მით უმეტეს, რომ იმ სამეცნიერო აპარატით, რითაც ის სარგებლობს, მას სურდა მოეხდინა რადიკალური გადატრიალება ყოველივე იმაში, რაც აქამდე ჭეშმარიტებად მიაჩნდათ ქართველ ისტორიკოსებს. მისი მოხსენების დასკვნებიდან გამომდინარე, ნაცარტუტად იქცევა უსამღვდელოესი ლეონიდის „პასუხები“ და ეპისკოპოს კირიონის ოთხი ცნობილი მოხსენება, ასევე ჟორდანიას ისტორიული გამოკვლევა და ქართველი არქეოლოგისა და ისტორიკოსის იოსელიანის ისტორიული შრომები. თუ ვერ დავიჯერებთ იმას, რასაც პროფესორი მარი ამტკიცებს, მაშინ საჭირო აღარ არის დავუბრუნდეთ ქართველი ეპისკოპოსების მსჯელობებს და მოხსენებებს. იცვლება თავად საქართველოს უძველესი ეკლესიის ისტორიის სქემაც. დღემდე, ქართველი ისტორიკოსების გამოკვლევებზე დაყრდნობით, ჩვენ წარმოგვედგინა, რომ ქრისტეს სჯულის პირველი მქადაგებელი კავკასიასა და, საერთოდ, საქართველოში იყო წმიდა მოციქული ანდრია პირველწოდებული; რომ შემდგომ იმპერატორ კონსტანტინესა და მირიან მეფის დროს საქართველოში ქრისტიანობა გაავრცელა წმიდა ნინომ; რომ ანტიოქიის პატრიარქმა ევსტათიმ მონათლა მეფე და ქართველი ერი, რის გამოც საქართველოს ეკლესია დაექვემდებარებოდა ანტიოქიის ეკლესიას. ახლა კი პროფესორი მარი ცდილობს, საქმე სხვაგვარად წარმოვიდგინოთ: ის მიისწრაფის, რათა დაამტკიცოს, რომ პირველი მქადაგებელი საქართველოში იყო მოციქული ბართლომე, რომ

ქართველებმა ქრისტეს რწმენა მიიღეს არა ანტიოქიიდან, არამედ პირდაპირ იერუსალიმიდან. იმ მოსაზრებას, რომ საქართველოს ეკლესია დამოკიდებული იყო ანტიოქიაზე, ნიკო მარი უწოდებს ლეგენდას, რადგანაც არსად პოულობს ანტიოქიის პატრიარქის ლოცვებში მოხსენების კვალს. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის არსებობას ის უკვე VI საუკუნეში მოიაზრებს. მისი თქმით, VIII საუკუნეში ქართველები ცდილობდნენ, მიეღოთ ფორმალური სანქცია თავიანთი ეკლესიის ავტოკეფალიისათვის, მაგრამ კონსტანტინოპოლში იმ დროს ხატმებრძოლეობა იყო. სწორედ ეს გახლდათ მიზეზი, რის გამოც ქართველებმა ანტიოქიას მიმართეს. ვაღიარებ, რომ არასაკმარისი საფუძვლის გარეშე მიჭირს დავშორდე ჩემს ძველ მოსაზრებებს, რომლებიც მართებულად მიმაჩნდა. ცნობილი ქართველი ისტორიკოსების აზრი, მათ შორის უსამღვდელოესი კირიონისა და ლეონიდის, იოსელიანისა და ჟორდანიას მოსაზრებები, უფრო მართებულად და სარწმუნოდ მიმაჩნია, ვიდრე პროფესორ ნიკო მარის დღევანდელი მოსაზრება. მზად ვარ გამოვიდე პირველების სასარგებლოდ. გულღიად უნდა ვთქვა, რომ ნიკო მარის მოხსენებას არანაირი სამეცნიერო მნიშვნელობა არ აქვს. ვერც მეთოდები და ვერც მის მიერ გამოტანილი დასკვნები ვერ უძლებენ კრიტიკას. პროფესორი მარი უარყოფს ისტორიული ხასიათის უწყებებს: ქართულ გადმოცემებს, – ამბობს ის, – ჩვენი დაკმაყოფილება არ ძალუძთ. ისინი ეკუთვნიან გვიანდელ პერიოდს. ერთი უწყების თანახმად, ქართველთა განმანათლებლად მიჩნეულია წმიდა ნინო, ხოლო მეორე გადმოცემის თანახმად – წმიდა გრიგოლი, რომელიც სომხეთის განმანათლებელიც იყო. არის კი პროფესორი მარი საკუთარი თავის ერთგული ამ შემთხვევაში? არა. იგი უარყოფს ამ გადმოცემებს, მაგრამ ის სინამდვილეში მათ ეყრდნობა. იგი უპირატესობას ანიჭებს უფრო ნაკლებად სანდო თქმულებას და ამგვარად ამტკიცებს, რომ საქართველოში ქრისტეს რჯულის პირველი მქადაგებელი მოციქული ბართლომე იყო. მაგრამ რის საფუძველზე? რომელი ისტორიული წყაროდან ისესხა ეს ცნობა? როგორც ცნობილია, ქართველი ისტორიკოსები ეყრდნობოდნენ იმ ცნობას, რომლის მიხედვითაც, საქართველოს განმანათლებელი ანდრია პირველწოდებული იყო. ეს გადმოცემა მიმაჩნია უფრო სარწმუნოდ და უფრო დამაჯერებლად. ამას იმეორებს რუსული მატიანეებიც. ასე შემორჩა ეს ამბავი ორი ერის – ქართველებისა და რუსების მეხსიერებაში. ის წყაროები, რომლებსაც პროფესორი მარი ეყრდნობა, მითიური ხასიათით გამოირჩევა, რის გამოც მათ არ მიანიჭეს რაიმე

მნიშვნელობა ჩვენთვის ცნობილმა ისტორიკოსებმა. ეს წყაროები – ქართველ წმიდათა ცხოვრება, რბილად რომ ვთქვათ, ლეგენდაა მხოლოდ. რა თქმა უნდა, წმიდათა ცხოვრებაც შეიძლება შეიცავდეს საინტერესო ისტორიულ მასალას, მაგრამ ამისათვის საჭიროა ვაჩვენოთ, თუ რა საისტორიო წყაროზე დაყრდნობით იყო შედგენილი თავად ეს წმიდანთა ცხოვრებანი. მკვლევარი, სწავლული ყოველთვის ცხოვრებიდან უნდა მივიდეს პირველწყარომდე, თუ მართლაც მას სურს სამეცნიერო მიზნებისათვის ისარგებლოს იმ ისტორიული მასალით, რომელსაც ის შენიშნავს წმიდანთა ცხოვრებაში, რასაც საერთოდ არ აკეთებს პროფესორი მარი... მე არ უარვყოფ სამყაროზე ზეციურ გავლენას, მაგრამ მეცნიერების სახელით და სარწმუნოებისადმი პატივისცემით, ვთვლი, რომ აუცილებელია, კრიტიკულად მივუდგეთ იმ ლიტერატურულ ძეგლებს, რომლებიც მოგვითხრობენ რაიმე სასწაულებრივ მოვლენებზე. ამავე დროს, სწავლულის ნდობას იმსახურებს მხოლოდ ის ისტორიული ცნობები, რომლებიც არ შეიცავენ რაიმე დაუჯერებელს, რაიმეს ჯანსაღი აზრის საწინააღმდეგოს და უტყუარ ისტორიულ ცნობებს. ერთ-ერთი ცხოვრება, რომელსაც ნიკო მარი ეყრდნობა, შეიცავს სავსებით დაუშვებელ და გამოგონილ ამბავს. ცხოვრებაში ნათქვამია, რომ გიორგი სასწაულთმოქმედის თხოვნით მოუტანეს პატრიარქს წიგნი ანდრია პირველწოდებულის მიმოსვლის თაობაზე, რითაც მან საბოლოოდ ბოლო მოუღო არსებულ გაუგებრობას. რა წიგნია ეს და სადაა ის ახლა? ის რომ ოდესმე არსებულიყო, არ დაიკარგებოდა, ქრისტიანები მოკრძალებით მოეკიდებოდნენ მას, იმ მოკრძალებით, რა მოკრძალებითაც ქრისტიანები პავლე მოციქულის შესახებ არსებულ ცნობებს ეპყრობოდნენ. შეიძლება კი ნამდვილმა სწავლულმა სერიოზული მნიშვნელობა მიანიჭოს ლეგენდებს, რომლებითაც გაჯერებულია ნიკო მარის მოხსენება? შეიძლება კი მის დასკვნებს სამეცნიერო ღირებულების პრეტენზია ჰქონდეს? ერთადერთი, რისთვისაც პროფესორი მარი ჩვენი მხრიდან ყურადღებას იმსახურებს, ეს არის ეფრემ მცირის თაობაზე არსებული მოწმობა. ნიკო მარი ამ მოწმობის გამო თავს მესხმოდა ჩემი ბროშურის კრიტიკის დროს. ახლა კი იგი თავის მოხსენებაში უკვე კატეგორიულად აცხადებს, რომ ეფრემ მცირისა და ნიკონის წყაროები საეჭვოა. ეჭვი არ მეპარება, რომ პროფესორ მარს სურდა, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის კვლევისას ესარგებლა სამეცნიერო გამოკვლევებით, მაგრამ ამ განზრახვას განხორციელება არ ეწერა. საქართველოს ეკლესიის იერუსალიმიური წარმომავლობის ფაქტი მან დაასაბუთა იმით, რომ

საქართველოში ეკლესიები აგებული იყო იერუსალიმის წმიდანების სახელებზე. ასევე ეს მოვლენა დასაბუთებული იყო ჯვრის განსაკუთრებული პატივისცემით საქართველოში, რომელიც იერუსალიმური წარმომავლობის არის და მცხეთის ჯვარსაც უწოდებენ. ქრისტიანებიდან ვინ არ სცემს პატივს იერუსალიმის სალოცავებს? მაგრამ რა დასკვნა შეიძლება გაკეთდეს აქედან? ის ფაქტი, რომ ქართველები განსაკუთრებულ პატივს ჯვარს სცემენ, შეიძლება სხვა მიზეზითაც აიხსნას: ქართველი ისტორიკოსები (იოსელიანი) იმეორებენ გადმოცემას, რომლის თანახმადაც, კონსტანტინე დიდმა მეფე მირიანს საჩუქრად გამოუგზავნა ძელი ცხოველის ნაწილი და სამსჭვალი, რომლითაც გოლგოთაზე ჯვარს აცვეს მაცხოვარი. ამითაც შეიძლება აიხსნას ქართველების მიერ ჯვრის განსაკუთრებული თაყვანისცემა. ჩვენ ახსნას არ ეწინააღმდეგება ის ვითარებაც, რომ ქართველებმა სხვა წმიდა ნაწილებთან ერთად გაყიდეს ეს სიწმიდეებიც. როგორც ცნობილია, ეს წმიდა ნაწილები ახლა მოსკოვში, მიძინების ტაძარში ინახება. ახლა გეკითხებით: რა დაამტკიცა და რას მიაღწია ნიკო მარმა თავისი რთული გამოკვლევით? სრულიად არაფერი. მან იმ კარის შემტვრევა გადაწყვიტა, რომელიც უკვე მთლიანად ღია იყო. ის ამტკიცებს იმას, რასაც არავინ უარყოფდა და უარყოფს. ნიკო მარი ცდილობს, დაამტკიცოს, რომ იყო დრო, როდესაც საქართველოს ეკლესია სარგებლობდა ფაქტიური ავტოკეფალიით. ამას არც არავინ უარყოფდა და არც არავინ უარყოფს. საკითხი იმაში კი არ მდგომარეობს, სარგებლობდა თუ არა საქართველოს ეკლესია ფაქტობრივი ავტოკეფალიით, არამედ იმაში, რომ ჰქონდა კი საქართველოს ეკლესიას კანონიკური უფლება და საფუძველი ასეთი ავტოკეფალიისათვის? ამ საკითხის გადასაწყვეტად ნიკო მარმა არაფერი მოიმოქმედა. საკითხი დარჩა იმ მდგომარეობაში, რომელშიც მანამდე იყო. უფრო მეტიც, ნიკო მარმა ეს საკითხი კიდევ უფრო გაართულა. მან ისტორიული მოვლენების მითიური ანალიზი მოგვცა. მე მხედველობაში მაქვს ის ამბავი, რომ VIII საუკუნეში ქართველებს თავიანთი ავტოკეფალიის დასადასტურებლად მიუმართავთ ანტიოქიისათვის, რადგან იერუსალიმში მაშინ ხატმებრძოლეობა იყო გაბატონებული. რა ნიშნავს ეს? ზღაპარია თუ ისტორიული მოთხრობა? რომელ წყაროებშია საუბარი ამის თაობაზე? რომელ უძველეს ავტორს ეყრდნობა ნიკო მარი? არც არავის. მის მიერ მოთხრობილი ამბავი მისი ვარაუდია და ისიც უხეირო. თუ მართლაც დავუშვებთ, რომ ქართველებმა ხატმბრძოლობის მიზეზით ვერ მიმართეს კონსტანტინოპოლს, მაშინ რატომ არავის მოუვიდა თავში აზრი: ანტიოქიაში, დამასკოში

არ იყო ხატმბრძოლობა? და რა უცნაური განზრახვაა: ქართველებმა ქრისტიანობა იერუსალიმის ეკლესიიდან მიიღეს და საკუთარი ეკლესიის ავტოკეფალიის მიღებას ცდილობდნენ კონსტანტინოპოლისგან. საქართველოში ქრისტიანული რწმენა იერუსალიმიდან გავრცელდა, მაგრამ ეკლესიის მართვა-გამგებლობას, უფროსობას ქართველები თითქოს ანტიოქიის პატრიარქს აძალებდნენ. ასეთი რამის გაგება არ შემიძლია. ასეთი რამ ეკლესიის ისტორიაში არ ყოფილა. დაბოლოს, პროფესორმა მარმა უმნიშვნელოდ წარმოადგინა ყველაფერი ის, რასაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის გადასაწყვეტად რაიმე სერიოზული საფუძველი გააჩნდა. ვსაუბრობ ბალსამონის ცნობების თაობაზე. ჩემს თვალში მის მოწმობას საქართველოს ეკლესიის შესახებ გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ექნება, ვინაიდან ის არ გამორიცხავს საქართველოს ეკლესიისათვის ისეთი ავტოკეფალიის მინიჭების შესაძლებლობას, რაც ეკლესიის ნახევრად დამოუკიდებელ მართვას გულისხმობს. XI საუკუნეში ეფრემ მცირეც საუბრობდა ამაზე. როგორც არ უნდა დამარწმუნოს ღირსეულმა ივან ივანოვიჩმა (სოკოლოვმა), რომ ბალსამონის ცნობაში სიტყვა „ლეღეტე“ უნდა გავიგოთ როგორც მითითება რომელიმე ისტორიულ წყაროზე, რომლისგანაც მწერალმა თავისი ცნობები გადმოიღო, ყოველთვის იმ აზრზე ვიქნები, რომ ეს სიტყვა ნიშნავს „ამბობენს“. ახლა კი ნიკო მარი ამტკიცებს იმას, რომ საქართველოს ეკლესიას საფუძველი იერუსალიმიდან ჩაეყარა, რითაც საბოლოოდ ბღალავს ბალსამონისადმი ნდობას. ბალსამონი ადასტურებდა იმას, რომ საქართველოს ეკლესია თავიდან ანტიოქიის პატრიარქს ექვემდებარებოდა და რომ სწორედ ანტიოქიის პატრიარქმა პეტრემ უბოძა საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია. ცხადია, თუ დავუჯერებთ პროფესორ მარს, მაშინ ბალსამონის არ უნდა ვირწმუნოთ. პროფესორი მარი ნდობას უკარგავს ორი ძველი მწერლის – ეფრემ მცირისა და ნიკონის ცნობას. ორივე მათგანი ირწმუნება: მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკლესიას ბოძებული ჰქონდა ავტოკეფალია, აუცილებელი იყო ლოცვებში ანტიოქიის პატრიარქის მოხსენიება. პროფესორი მარი კი გვარწმუნებს, რომ არსად არ არის იმის კვალი, რომელიც ლოცვებში ანტიოქიის პატრიარქის მოხსენიების ფაქტს დაადასტურებდა. ვისი ვირწმუნოთ: ნიკონის, ეფრემის თუ მარის? ეფრემისა და ნიკონის ცნობები იმსახურებს უფრო მეტ ნდობას, ვიდრე მარის. ავტოკეფალურ ეკლესიებში, საერთოდ უძველესი ტრადიციების თანახმად, პირველი ეპისკოპოსი ღვთისმსახურების დროს იხსენიებდა აღმოსავლეთის ყველა პატრიარქის სახელს. ამიტომაც ვფიქრობ,

საქართველოს ეკლესია ნამდვილად ავტოკეფალური რომ ყოფილიყო, საქართველოს კათოლიკოსი აუცილებლად მოიხსენებდა ანტიოქიის პატრიარქს. პროფესორი მარის რწმუნება უცნაურად და ძნელად ასახსნელად მეჩვენება. ნუთუ ვერ უნდა დავუშვათ ის ფაქტი, რომ საქართველოს კათოლიკოსი ძალიან დაუდევრად ეპყრობოდა თავისი იურიდიული და ზნეობრივი მოვალეობის აღსრულებას?.. გარწმუნებთ, რომ პროფესორ მარის მოხსენება არაფრით გვეხმარება, მივუახლოვდეთ საკითხის გადაწყვეტას: ჰქონდა კი საქართველოს ეკლესიას რაიმე კანონიკური საფუძველი იმისათვის, რათა ავტოკეფალური ყოფილიყო. ვიტყვი უფრო მეტსაც: პროფესორმა მარმა თავისი ახლანდელი მოხსენებით მხოლოდ მეცნიერულად გაგვირთულა საკითხის გადაწყვეტა“ **(Церковныя Ведомости №3-4, 1907: 142–147).** ამ სიტყვებით დაამთავრა დეკანოზმა ტ. ი. ბუტევიჩმა თავისი გამოსვლა. ცხადი იყო, რომ რუსი დეკანოზის გამოსვლას ნიკო მარი უპასუხოდ არ დატოვებდა. რუსი მეცნიერები ნიკო მარს ბრალს სდებდნენ წყაროების არცოდნაში, უზუსტობებსა და ანაქრონიზმში. ბრალდებების გაქარწყლება კი კვლავ ნიკო მარს უხდებოდა. რუსი მეცნიერებიდან ყველაზე გამორჩეულად ისევ და ისევ დეკანოზი ი. ი. ვოსტორგოვი აქტიურობდა, რომელმაც არც ნიკო მარის ეს მოხსენება დატოვა უკომენტაროდ. ი. ი. ვოსტორგოვმა ნიკო მარის მოხსენებიდან შემდეგი დასკვნა გამოიტანა: 1. „გაირკვა, რომ საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია ფაქტობრივად ჰქონდა, მაგრამ კანონიკური საფუძველი ამისათვის არ გააჩნდა. ამაში კი დღემდე ეჭვი არავის ეპარებოდა. 2. გაირკვა, რომ კათოლიკოსის წოდება საქართველოს პირველ იერარქებს კანონიკურად არ ჰქონდათ მინიჭებული, იგი სინამდვილეში ნასესხები და სომხების მიბაძვით თვითნებურად ჰქონდათ გადმოღებული. საქართველოს პირველ იერარქს არანაირი კანონიკური საფუძველი არ გააჩნდა იმისათვის, რომ ასეთი ტიტული ჰქონოდა. მას არ შეეძლო ეს წოდება გადმოეღო აღმოსავლეთიდან, სადაც ასეთი ტიტული არ არსებობდა. ჩვენ ხომ ვიცით, რომ პირველად IV და VI მსოფლიო საეკლესიო კრებათა დადგენილებით გაჩნდა „პატრიარქისა“ და „მსოფლიო პატრიარქის“ წოდება და ტიტული. ამიტომაც სრულიად სწორი იყო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, უწმიდესი სინოდის დადგენილებით, 1753 წელს რუსეთში ანტონ I-ს უარი ეთქვა წოდებულიყო კათოლიკოს-პატრიარქად. აღნიშნული მოხსენებიდან ვხედავთ, რომ ავტოკეფალიის, როგორც რაღაც ფასეულის და აუცილებლის მოთხოვნა, ქართველებს არ შეუძლიათ... უნდა აღვნიშნოთ, რომ ნიკო მარის მოხსენების შემდეგ ფასი ეკარგება

ყველა არგუმენტს, რომელიც ეპისკოპოსების კირიონისა და ლეონიდის მოხსენებებში იყო წარმოდგენილი...“**(Церковныя Ведомости №4, 1907: 148).**

პროფესორმა ა. ი. ალმაზოვმა ინტერესი გამოთქვა ბალსამონის ცნობასთან დაკავშირებით. ქართველმა მეცნიერმა ალექსანდრე ცაგარელმა რუს პროფესორებსა და სამღვდელოებას შესთავაზა ეთარგმნათ ბალსამონის ცნობები. უსამღვდელოესმა ნიკანდრმა მიმართა პროფესორ ი. ი. სოკოლოვს, გამოეთქვა თავისი აზრი ბალსამონის ცნობებთან დაკავშირებით. ი. ი. სოკოლოვი ის ერთადერთი ადამიანი იყო, რომელიც თვლიდა, რომ ბალსამონის ცნობებიდან არ შეიძლებოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერების გამაქარწყლებელი დასკვნის გამოტანა. ი. ი. სოკოლოვმა არ დამალა ის ფაქტიც, რომ ბალსამონის მოწმობის რუსული და ბერძნული თარგმანი არ შეესაბამებოდა ერთმანეთს **(Церковныя Ведомости №4, 1907: 149).** პროფესორ ი. ი. სოკოლოვს არ დაეთანხმნენ რუსი კოლეგები. რუსი მეცნიერი ა. ი. ალმაზოვი თვლიდა, რომ ბალსამონის ცნობები ნათელს არ ჰფენდა საქმის ვითარებას, რადგან იგი არ მიუთითებდა წყაროებს, რომლებსაც იგი ეყრდნობოდა. ა. ი. ალმაზოვი თვლიდა, რომ ასეთი წყაროები არ არსებობდა **(Церковныя Ведомости №4, 1907: 149).** რუს მეცნიერს კვლავ ი. ი. სოკოლოვი შეეკამათა. ბალსამონის ასეთი საქციელი მან ასე ახსნა: „ეს დოკუმენტები არავის აქვს მითითებული, რადგან ისინი არ შემორჩენილან” **(Церковныя Ведомости №4, 1907: 149).** რუსეთის საეკლესიო კრების მეორე განყოფილების სხდომაზე ნ. ნ. გლუბოკოვსკი აღმოჩნდა ერთადერთი პროფესორი, რომელმაც დადებითად შეაფასა ნიკო მარის მოხსენება. რუს მეცნიერზე ნიკო მარის მოხსენებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ნ. ნ. გლუბოკოვსკიმ ნიკო მარის მოხსენების ისტორიული ნაწილი სრულიად დამაჯერებლად მიიჩნია. რუსი მეცნიერი იმაშიც ეთანხმებოდა ნიკო მარს, რომ ქრისტიანობის პირველი ნერგი საქართველოში იერუსალიმიდან მომდინარეობდა, თუმცა თვლიდა, რომ იყო სხვა „წყაროდან მომდინარე სხვა ნაკადულებიც“. თუმცა პროფესორმა ნ. ნ. გლუბოკოვსკიმ ისიც განაცხადა, რომ ნიკო მარის მოხსენებაში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიკურობის დასაბუთება მას სარწმუნოდ არ მიაჩნდა (**Церковныя Ведомости №4, 1907: 149).**

სხდომის დასასრულს ნიკო მარს კვლავ მიეცა საშუალება, სიტყვით გამოსულიყო. ქართველმა მეცნიერმა ისევ თავის მოხსენებაში დასმული საკითხების თაობაზე ისაუბრა. კერძოდ, მან აღნიშნა: „ძალიან მადლიერი ვარ ამ ორატორის (იგულისხმება ნ. ნ.

გლუბოკოვსკი – გ. ბ.), რადგან მან სწორად გაიგო ჩემი მოხსენება. ჩემი მოვალეობა იყო, დამედგინა მხოლოდ ის, რომ საქართველოს ეკლესია ფაქტობრივად ავტოკეფალური იყო უხსოვარი დროიდან. რაც შეეხება კანონიკური კუთხით დოკუმენტების მოტანას, მათი წარმოდგენა ვერ მოვასწარი. ამისათვის საჭირო იყო არქივში დოკუმენტების მოძიება. მითხარით, სად არის დოკუმენტების დედნები, რომლებიც საქართველოს ეკლესიის მდგომარეობას ეხება ქრისტიანობის პირველივე საუკუნეებიდან? ისინი არსებობენ, მაგრამ ძალიან მცირე რაოდენობით. ჩემს მოხსენებაში მსურდა, ისტორიული თვალსაზრისით გამემიჯნა საეჭვო არასაეჭვოსაგან. ის, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია VIII საუკუნემდე არსებობდა, მგონი, აღარ წარმოადგენს დავის საგანს. საკითხის ტერიტორიული კუთხით აღარ დავინტერესებულვარ. ჩემი აზრით, თანამედროვე დოკუმენტების უმრავლესობა უნდა ვეძებოთ ბერძნულ (ბიზანტიის – გ. ბ.) ეკლესიაში. თუმცა, უძველესი იმპერიის (ბიზანტიის – გ. ბ.) ინტერესებიდან გამომდინარე, შეიძლება იმის დამტკიცებაც, რომ საქართველოს ეკლესია არ არსებობდა“ **(Церковныя Ведомости №4, 1907: 149–150).** ამით დაასრულა ნიკო მარმა თავისი გამოსვლა. უსამღვდელოესმა თავმჯდომარემ კამათი ნიკო მარის მოხსენების გარშემო შეწყვეტილად გამოაცხადა და რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების 1906 წლის 1 დეკემბრის სხდომაც ასე დასრულდა.

1906 წლის 5 დეკემბერს მუშაობა გააგრძელა რუსეთის საელესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილებამ (სექციამ). კრება გაიხსნა ყოვლადუსამღვდელოესი ნიკანდრის თავმჯდომარეობით. კრებას ესწრებოდნენ: უსამღვდელოესი ანტონი – ვოლინის ეპისკოპოსი, ყოვლადსამღვდელო **სტეფანე** – მოგილევის ეპისკოპოსი, ყოვლადსამღვდელო **ლეონიდი** – იმერეთის ეპისკოპოსი, ყოვლადსამღვდელო **კირიონი** – სოხუმის ეპისკოპოსი; დეკანოზები: **ტ. ი. ბუტკევიჩი, ი. ი. ვოსტორგოვი, ა. პ. მალცევი, ი. ი. კოიალოვიჩი**; პროფესორები: **თ. ი. ტიტოვი, ი. ს. ბერდნიკოვი, ნ. ა. ზაოზერსკი, ნ. ნ. გლუბოკოვსკი, ი. ს. პალმოვი, კ. დ. პოპოვი, ა. ი. ალმაზოვი, ი. ი. სოკოლოვი, ა. ი. ბრილიანტოვი, მ. ა. ოსტროუმოვი, ნ. ი. მარი და ა. ა. ცაგარელი;** მღვდელი **ტ. ვ. კოზლოვსკი.**

უსამღვდელოესმა თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის 5 დეკემბრის სხდომაზე მოსმენილი იქნებოდა მხოლოდ მოხსენებები,

ხოლო პოლემიკა არ გაიმართებოდა. მეორე განყოფილების სხდომაზე მოხსენებებით ალექსანდრე ცაგარელი, ალექსანდრე ხახანაშვილი და ი. ი. სოკოლოვი წარსდგნენ. ალექსანდრე ცაგარელმა რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის 5 დეკემბრის სხდომაზე შემდეგი მოხსენება წაიკითხა: **„XVII-XVIII საუკუნეების ოფიციალური საბუთებით საქართველოს (ივერიის) ეკლესიის ავტოკეფალიის დამოწმება“.** აღნიშნული მოხსენება ძალზე მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ ალექსანდრე ცაგარელს მოხსენებაში XVII-XVIII საუკუნეების ყველა მნიშვნელოვანი საბუთი აქვს მიმოხილული, რითიც კიდევ ერთხელ დასტურდება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის არსებობის კანონიერება (როდესაც ალექსანდრე ცაგარელი თავის მოხსენებაში საქართველოს სამეფოს ახსენებს, ყოველთვის იგულისხმება ქართლ-კახეთის სამეფო – გ. ბ.). მოხსენების ავტორმა აღნიშნა, რომ თითქოს გაბატონებული იყო მოსაზრება, რომლის თანახმადაც, საქართველო რუსეთთან შეერთებამდე (1801 წლამდე – გ. ბ.) არა მარტო „ფიზიკურად“, არამედ „სულიერადაც“ დაკნინებული იყო. ქართველმა მეცნიერმა იმ ფაქტზეც ისაუბრა, რომ იყო მცდელობები, ფიზიკურად და სულიერად დაკნინებულ საქართველოს მხსნელად რუსეთი გამოეცხადებინა“. ალექსანდრე ცაგარელი მიიჩნევდა, რომ ამ მოსაზრების გაქარწყლება ძალიან მარტივად შეიძლებოდა. საკმარისი იყო, ადამიანი საქმის არსს ბოლომდე გასცნობოდა, რომ ასეთ დასკვნას იგი ვეღარ გამოიტანდა. ამის დამადასტურებელი მტკიცებულებები კი მრავლად მოიპოვებოდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის ამსახველ დოკუმენტებში.

მოხსენებაში ქართველმა მეცნიერმა რამდენიმე საბუთი მიმოიხილა, რომელიც საქართველოს ეკლესიის, კათოლიკოს-პატრიარქისა და სამღვდელოების მდგომარეობას წარმოაჩენდა XVII-XVIII საუკუნეებში, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც საქართველოში სპარსეთი (ირანი) და ოსმალეთი (თურქეთი) ბატონობდნენ. ალექსანდრე ცაგარელი აღნიშნავდა, რომ იმ პერიოდის 13 ოფიციალური საბუთი იყო დაბეჭდილი. ეს საბუთები ძირითადად წარმოადგენდნენ სპარსეთის (ირანის) შაჰებისა და ოსმალეთის (თურქეთის) სულთნების ფირმანებს, რომლებიც რუსული თარგმანებითურთ კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებში იყო დაცული. ქართველი მეცნიერის აზრით კი, უმთავრესი მაინც ის იყო, რომ: „ყველა ამ სპარსული და თურქული ფირმანით დასტურდება, რომ საქართველოში ოდითგანვე არსებობდა საეკლესიო ტრადიციები, საქართველოს ეკლესია სარგებლობდა უფლებებით და უპირატესობებით არჩეული

კათოლიკოსით სათავეში. არსად არ არის მინიშნებაც კი იმის თაობაზე, რომ საქართველოს ეკლესია დამოკიდებული იყო გარე ხელისუფალზე. ხალხი – ეპისკოპოსები, სამღვდელოება, ირჩევდა კათოლიკოსს, რომელსაც შაჰი ან სულთანი ამტკიცებდა“ **(Церковныя Ведомости №4, 1907: 161).** ალექსანდრე ცაგარელმა კიდევ ერთ მნიშვნელოვან მოვლენაზე გაამახვილა ყურადღება. მოხსენებაში იგი წერს: „1750 წლამდე თურქეთი და სპარსეთი დროდადრო იპყრობდნენ საქართველოს არა სახელშეკრულებო უფლებით, არამედ დამპყრობლის ანუ გამარჯვებულის უფლებამოსილებით. ხშირად, რათა საქართველოს ყურადღება რუსეთისადმი მოედუნებინათ, სპარსეთი მისი მეფეებისგან მაჰმადიანობის აღიარებას ითხოვდა ხოლმე. მაგრამ, რაც მთავარია, ეს მოთხოვნა არ ეხებოდა საქართველოს ეკლესიის უფლებებს და პრივილეგიებს. ასე მოიქცნენ ოდესღაც არაბებიც. დიდი შეღავათები ეკლესიის მიმართ განსაკუთრებით მონღოლებმა შემოიღეს, რომლებმაც ქრისტიანული ეკლესია და სამღვდელოება სახელმწიფო გადასახადებისაგან გაათავისუფლეს. ამავე XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან (1747 წლიდან, როდესაც გარდაიცვალა სპარსეთის შაჰი ნადირი) ქართლ-კახეთის სამეფოები, რომლებიც დაიყვნენ XV საუკუნის მეორე ნახევრიდან, არა მარტო ხელახლა გაერთიანდნენ ერთ ძლიერ სახელმწიფოდ, არამედ ქართველი მეფეების – თეიმურაზისა და ერეკლეს მეშვეობით დაიპყრეს სპარსეთის ორი სახანო – განჯისა და ერევნის; მათ საქართველო მტკიცედ ფლობდა 1795 წლამდე, ე. ი. მძვინვარე აღა-მაჰმად-ხანის ლაშქრობამდე, რომელმაც თბილისი ძირფესვიანად დაანგრია და თავდასაცავად რუსეთს ერთი ჯარისკაციც კი არ გამოუგზავნია... ასე რომ, რუსეთთან ხელშეკრულების დადების დროს, 1783 წელს, საქართველოს სამეფო სრულიად თავისუფალი იყო როგორც სასულიერო, ასევე სამოქალაქო სფეროში“ **(Церковныя Ведомости №4, 1907: 160).**

ქართველ მეცნიერს თავის მოხსენებაში არაერთი მნიშვნელოვანი თემა აქვს მიმოხილული. შემდეგი საკითხი, რაც ასევე იმსახურებს ყურადღებას, 1771 წელს ერეკლე II-ის მიერ შემუშავებული რუსეთთან დასადები მფარველობითი ხელშეკრულების პროექტია. ალექსანდრე ცაგარელმა მიუთითა იმ მუხლზე, რომელიც ითვალისწინებდა კათოლიკოსის უფლების შეუზღუდაობას და, რომლის თანახმადაც, ეკლესიის მწყემსმთავარი „უცვალებელად“ რჩებოდა. ქართველმა მეცნიერმა ისიც აღნიშნა, რომ 1801 წელს პეტერბურგში ჩასული ქართველი ელჩები გამოცხადნენ სამინისტროში (საგარეო საქმეთა კოლეგიაში) და წარადგინეს დაწვრილებითი ნოტა ქართლ-კახეთის

სამეფოს რუსეთის მფარველობაში მიღების თაობაზე. ამ ნოტის მეექვსე პუნქტი ეძღვნებოდა საქართველოს ეკლესიის მდგომარეობას. ირკვეოდა, რომ ქართველებს წარმოდგენაც არ ჰქონიათ იმ გეგმის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს კათოლიკოსის ეგზარქოსით ჩანაცვლებას **(Церковныя Ведомости №5, 1907: 163).** ქართველი მეცნიერი მოხსენებაში შეეხო ასევე მთავარმართებელ ალექსანდრე ტორმასოვის ინიციატივას, რომლის თანახმადაც, 1810 წელს კათოლიკოსი ანტონ II რუსეთში გაიწვიეს. ამ უკანონო ქმედებას ალექსანდრე ცაგარელი ასე გამოეხმაურა: „არც წმიდა სინოდის „მოხსენებებში“ და, მით უფრო, არც გენერალ ტორმასოვის „წარდგინებაში“ ერთი მინიშნებაც არ არის ისეთი საეკლესიო კანონების არსებობაზე, რომლებიც ერთ თვითმმართველ ეკლესიას დაუქვემდებარებს მეორე ასეთივე უფლების მქონე ეკლესიას. ისინი განიხილავენ საკითხს ძალზე მარტივად: რადგანაც საქართველო სამოქალაქო უფლებებით დაექვემდებარა რუსეთს, მაშასადამე, საეკლესიო ურთიერთობაშიც უნდა დაემორჩილოს რუსეთის ეკლესიის წმიდა სინოდს. სინოდის ასეთი განკარგულება არღვევს მთელ რიგ ზოგად საეკლესიო კანონებს, რომლებიც მკაცრად მიუთითებენ საეკლესიო ოლქების, პატრიარქების, ეპისკოპოსებისა და თვით სამღვდელოების უფლებებისა და პრივილეგიების ხელშეუხებლობაზე მათსავე სამრევლოებისაგან... პავლე I-ის 1801 წლის 18 იანვრისა და ალექსანდრე I-ის 12 სექტემბრის მანიფესტებში დადასტურებულია საქართველოში სამოქალაქო მმართველობის შემოღება. მათში არც ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი საქართველოს ეკლესიის შეერთებაზე და დაქვემდებარებაზე რუსეთის ეკლესიისადმი. პირიქით, ალექსანდრე I-ის მანიფესტში ნათქვამია, რომ „თვითოეული დარჩების უპირატესობათა თანა მდგომარეობისა თვისისათა, თავისუფლად და შეუხებლად სარწმუნოებისა და საკუთრისა თვისისა თან“ („Каждой пребудет при преимуществах состояния своего, при свободном отправлении своей веры и при собственности своей неприкосновенно“). წმიდა სინოდის ამ არაკანონიერი განკარგულებით დარღვეული იქნა არა მარტო მსოფლიო და ადგილობრივი კრების კანონები, არამედ საქართველოს ეკლესიის განჩინებები. შებღალული იქნა საქართველოს სამოქალაქო კანონები, რომლებიც მოქმედებდნენ საქართველოში რუსეთის სენატის დადგენილებით, დამტკიცებულით უმაღლესი ხელისუფლების მიერ, სახელდობრ, ვახტანგ VI-ის სჯულდებისა, რომელშიც მოცემული იყო „საკათოლიკოსო კანონების“ მთელი განყოფილება – ისინი დაწვრილებით

განსაზღვრავდნენ საქართველოს ეკლესიისა და სამღვდელოების მდგომარეობას, უფლებებსა და უპირატესობებს. საქართველოს ავტოკეფალურ საეკლესიო ოლქს რუსეთის ეკლესია თავისი განკარგულებით ვერც დაიქვემდებარებდა და ვერც შეიერთებდა; მით უმეტეს, ამას ვერ განახორციელებდა სამოქალაქო ხელისუფლება. ამ შემთხვევაში, უსათუოდ აუცილებელი იყო სრულიად საქართველოს (ივერიის) ეკლესიისა და ხალხის ერთობლივი კრების გადაწყვეტილება, ანუ უმაღლესი სასულიერო პირის, სამღვდელო დასისა და საერო პირების თანხმობა, ამასთან ერთად აუცილებელი იყო მსოფლიო საეკლესიო კრების ნებართვა, რომლის წევრიც ივერიის ეკლესია IV საუკუნიდანაა“ **(Церковныя Ведомости №5, 1907: 164).** ფაქტობრივად, ალექსანდრე ცაგარელმა თავის მოხსენებაში ნათლად დაადასტურა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებით დარღვეული იქნა მსოფლიო საეკლესიო კრებათა დადგენილებები და საქართველოს საეკლესიო კრებების მიერ მიღებული განჩინებები, ქართული საეკლესიო სამართალი, საქართველოს ეკლესიაში დამკვიდრებული ტრადიციები. ქართველმა მეცნიერმა მიუთითა იმ კრებებსა და იმ კანონებზეც, რომელთა დარღვევაც საქართველოს ეკლესიასთან მიმართებით მოხდა. ესენია: ქალკედონის კრების მე-5 და მე-17 კანონები, ანტიოქიის კრების მე-4 კანონი, მოციქულთა კანონების 34-ე მუხლი, პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილების მე-6 მუხლი, მეორე მსოფლიო საეკლესიო კრების მე-2 და მე-3 კანონები და კართაგენის საეკლესიო კრების მე-8 კანონი. მთელი XIX საუკუნის მანძილზე საქართველოს ეკლესიის ადგილობრივი კრებების მოწვევის შეწყვეტა ეწინააღმდეგებოდა: მოციქულთა კანონების 37-ე, ნიკეის კრების მე-5, ანტიოქიის კრების მე-20, ქალკედონის კრების მე-9, კართაგენის კრების მე-17(27), 73(84)-ე, 76(87)-ე, 95(106)-ე, ტრულის კრების მე-8, ნიკეის მეორე კრების მე-6 და ლაოდიის კრების მე-40 კანონებს. ისინი მოითხოვდნენ საეკლესიო კრების მოწვევასა და მათზე ეპისკოპოსების დასწრებას **(Церковныя Ведомости №5, 1907: 165).** ეს დარღვევები მხოლოდ ის მცირე ჩამონათვალია, რომლებზეც ალექსანდრე ცაგარელმა მიუთითა თავის მოხსენებაში. ქართველი მეცნიერი შეეხო საეკლესიო ტრადიციების უარყოფის ფაქტსაც, რის შესახებაც წინა სხდომებზე ვრცლად ისაუბრეს ეპისკოპოსმა კირიონმა და ეპისკოპოსმა ლეონიდმა.

მოხსენების ბოლოს ალექსანდრე ცაგარელმა ისაუბრა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიულ, კანონიკურ და პრაქტიკულ მნიშვნელობაზე. ქართველმა

მეცნიერმა სამივე თვალსაზრისით დაასაბუთა და კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება მოხდა უკანონოდ და სამართლიანობა ითხოვდა კანონიერების აღდგენას. საკითხის პრაქტიკული კუთხით გადაწყვეტა საქართველოს ეკლესიის სასარგებლოდ ალექსანდრე ცაგარელმა ძალიან მარტივად და ამავე დროს საკმაოდ დამაჯერებლად ახსნა. რუსი მეცნიერები და სამღვდელოება ქართველთა წინააღმდეგ იყენებდნენ იმ ფაქტს, რომ საქართველოს ტერიტორია დასახლებული იყო სხვადასხვა ტომით (ხალხებით – გ. ბ.). ამ მოვლენით ცდილობდნენ ისინი საკუთარი გადაწყვეტილების გამართლებას. მათი აზრით, ავტოკეფალიის მინიჭება საქართველოს ეკლესიისათვის ეთნიკურ დაპირისპირებას გამოიწვევდა. ქართველმა მეცნიერმა კი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აუცილებლობა პრაქტიკული კუთხით ასე ახსნა: „რადგან ივერიის ეკლესია ოდითგანვე ითვლებოდა ერთიან და განუყოფელ ეკლესიად, ამიტომ მთელ ამ საეკლესიო ოლქში უნდა იყოს ერთი კათოლიკოსი: 1. სივრცე მეტად მცირეა, ორი-სამი გუბერნიის ოდენა; 2. ასეთია სურვილი სასულიერო პირებისა და მოსახლეობისა; 3. საქართველოში რუსეთთან შეერთებამდე ყოველთვის იყო ერთი კათოლიკოსი; 4. ორი კათოლიკოსის შენახვა მეტად ძვირი დაჯდება; 5. იყო დრო, როდესაც საქართველოშიც იყო ორი კათოლიკოსი. ეს გამოწვეული იყო საქართველოს დაქუცმაცებით სამ სამეფოდ და რამდენიმე დამოუკიდებელ სამთავროდ, რომელთა მეფეებსაც სურდათ, ჰყოლოდათ დამოუკიდებელი ეკლესიის მმართველი თავისსავე სამეფოში. საქართველოს საეკლესიო ოლქის მოსახლეობის მრავალტომობრივი (მრავალეროვანი – გ. ბ.) შემადგენლობა არავითარ შემთხვევაში არ იქნება ავტოკეფალიის მინიჭებისათვის დაბრკოლება, რადგან არც ძველად იყო შემაფერხებელი, როდესაც საქართველოში, როგორც ახლა, სხვადასხვა ტომის ხალხები ცხოვრობდნენ“ (**Церковныя Ведомости №5, 1907: 168).** ასე დაასრულა ალექსანდრე ცაგარელმა თავისი პირველი მოხსენება. კამათი მოხსენების ირგვლივ რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის 5 დეკემბრის სხდომაზე არ შემდგარა.

ალექსანდრე ცაგარელის გამოსვლის შემდეგ რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების 5 დეკემბრის სხდომაზე ალექსანდრე ხახანაშვილი შემდეგი მოხსენებით წარსდგა – **„საქართველოს ეკლესიისა და განათლების მდგომარეობა XVIII საუკუნეში“.** მოხსენების ავტორმა მცირე ზომის ნაშრომში შეძლო მთლიანად მიმოეხილა განათლების საკითხი საქართველოში. ალექსანდრე ხახანაშვილმა

აქაც ყურადღება გაამახვილა ეკლესიის როლზე და სამონასტრო კერებზე, სადაც აქტიურად მიმდინარეობდა საეკლესიო-საგანმანთლებლო მოღვაწეობა. ალექსანდრე ხახანაშვილმა მოხსენებაში ისაუბრა იმ აღმოსავლურ და დასავლურ ტენდენციებზე, რომლებიც ქართულ ლიტერატურაში მეტ-ნაკლებად აისახებოდა. მიუხედავად ამისა, მოხსენების ავტორი თვლიდა, რომ საქართველოში განათლება ვითარდებოდა „ეროვნული სულისა და ეროვნული ტრადიციების შესაბამისად", რომელმაც თავის უმაღლეს საფეხურს „ოქროს ხანად" წოდებულ პერიოდში (X საუკუნიდან XIII საუკუნის დასაწყისამდე – გ. ბ.) მიაღწია. ქართველ მეცნიერს ოქროს ხანის უმაღლეს გამოვლინებად შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი" მიაჩნდა. ამავე დროს, მოხსენებაში ალექსანდრე ხახანაშვილმა წარმოადგინა პოლიტიკური ძნელბედობით გამოწვეული საგანმანათლებლო სირთულეებიც. მოხსენების ავტორს მიაჩნდა, რომ XVIII საუკუნეში მონღოლთა, სპარსელთა, თურქთა და ლეკთა შემოსევებისგან დასუსტებული საქართველო თავისი დიდების აღდგენას ერეკლე II-ს უნდა უმადლოდეს, კულტურული თვალსაზრისით კი – ვახტანგ VI-ს.

მოხსენებაში ალექსანდრე ხახანაშვილი შეეცადა, არც ერთი კულტურული მოღვაწე არ დაეტოვებინა უყურადღებოდ. მან თითოეული მათგანის მოღვაწეობის თაობაზე და მათი ნაშრომების მნიშვნელობაზე ისაუბრა. ქართველ მეცნიერს ამ თვალსაზრისით არც საქართველოს მეფეები დავიწყებია. ალექსანდრე ხახანაშვილმა მიმოიხილა თეიმურაზ I-ის (1591-1663), არჩილ მეფის, ვახტანგ VI-ის (1675-1737) კულტურული მოღვაწეობა. მოხსენების ავტორმა განსაკუთრებით დიდი დრო დაუთმო ვახტანგ VI-ის მოღვაწეობას და ქართული სტამბის დაარსების მნიშვნელობას **(Церковныя Ведомости №5, 1907: 170–174).** ამ მოხსენებით დაასრულა ალექსანდრე ხახანაშვილმა რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის 5 დეკემბრის სხდომაზე გამოსვლა.

სხდომა გაგრძელდა **ი. ი. სოკოლოვის** მოხსენებით – **„საქართველოს ეკლესია XVIII საუკუნეში".** ი. ი. სოკოლოვი, რომელიც, წესით, საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭების წინააღმდეგ უნდა გამოსულიყო, საკუთარი კვლევებისა და დასკვნების საფუძველზე ივერიის ეკლესიის ავტოკეფალიის დამცველად იქცა. რუსი მეცნიერის მოხსენებას დასაწყისშივე ახლავს ასეთი შენიშვნა: „ამ ისტორიული ნარკვევის ძირითადი ამოცანაა, მოკლედ მიმოიხილოს საქართველოს ეკლესიის ზოგადი მდგომარეობა საქართველოს რუსეთთან შეერთების წინა პერიოდში. ეს კი იმას

გულისხმობს, რომ წინამდებარე ნარკვევში მოცემული კერძო საკითხი შემდგომში შეიძლება გამოყენებული იყოს უფრო ვრცელი გამოკვლევისათვის. ავტორს არც საფუძველი და არც უფლებამოსილება არ ჰქონდა, უფრო განევრცო თავისი შრომა. იმ შემთხვევაში, თუ მეორე განყოფილებას დასჭირდება საქმის უფრო ვრცლად წარმოდგენა, ავტორი ამასაც აღასრულებს. სწორედ მეორე განყოფილების დავალებით შედგა ეს მოხსენება და ამ შემთხვევაშიც ძირითადი მოთხოვნა იყო, რომ მოკლედ, ნარკვევის სახით წარმოდგენილიყო საქართველოს ეკლესიის ისტორიის მიმოხილვა, რომელსაც საერთო ხასიათი უნდა ჰქონოდა. მოხსენების ობიექტურობაში ეჭვის შეტანა არ უნდა იყოს არავის მიზანი და სურვილი, რადგან ნარკვევი ისტორიულ საბუთებზეა დაფუძნებული. ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ავტორის შეხედულებები არანაირი ეჭვის საფუძველს არ წარმოადგენენ“ **(Церковныя Ведомости №6, 1907: 175).**

ამით უკვე ცხადი იყო, თუ რა გამოხმაურება ექნებოდა ი. ი. სოკოლოვის მოხსენებას რუსი კოლეგების მხრიდან. ზემოთ უკვე ითქვა, რომ ნარკვევი წარმოადგენს საქართველოს საერო და საეკლესიო ცხოვრების მოკლე მიმოხილვას. აი, როგორ აფასებს რუსი მეცნიერი საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას: „თითქმის მთელი XVIII საუკუნის მანძილზე საქართველოს პოლიტიკური ვითარება მეტად მძიმე იყო. ამ საუკუნეში ქვეყნის ისტორია უწყვეტ მარტიროლოგიას, განუწყვეტელ ომებზე თხრობას, ურთიერთგაუტანლობას, ქალაქებისა და სოფლების გაუკაცრიელებას, ქართულენოვანი მოსახლეობის მასიურ ხოცვას წარმოადგენს. საქართველო შეუსვენებლივ იწვის, სისხლისაგან იცლება, იდევნება ხალხი. სპარსელები და თურქები ურთიერთმონაცვლეობით ეჯიბრებიან ერთმანეთს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს დაუფლებისათვის – იმორჩილებენ ხან ქართლს, ხან კახეთს და ხანაც იმერეთს. არც ქვეყნის დედაქალაქი, თბილისი, გადაურჩა საბედისწერო მოვლენებს. ცეცხლითა და მახვილით ნადგურდებოდა ქალაქები, ისპობოდა მოსახლეობა“ **(Церковныя Ведомости №6, 1907: 175).**

ი. ი. სოკოლოვმა მოხსენების პირველ ნაწილში მიმოიხილა საქართველოს პოლიტიკური ვითარება XVIII საუკუნეში, მეორე ნაწილი კი მთლიანად ეკლესიის მდგომარეობის აღწერას დაუთმო. რუსი მეცნიერის აზრით, ცხადი იყო, რომ ქვეყნის პოლიტიკური ვითარება აისახებოდა საეკლესიო ცხოვრებაზეც, რადგან ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის მჭიდრო კავშირი არსებობდა: „საქართველოს ეკლესიის საერთო

მდგომარეობა XVIII საუკუნის განმავლობაში ასევე მეტად მძიმე იყო, რადგან ის მჭიდრო კავშირში იყო ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის დამყარებულ ურთიერთობასთან... ერთის გაჭირვება მეორეზე აისახებოდა. აქედან გამომდინარე, ეკლესიაც სპარსელებთან და თურქებთან გაუთავებელი ომებისაგან, ლეკებისა და ოსების თარეშისაგან განიცდიდა არანაკლებ შეჭირვებას. ამასთან ერთად, ეკლესიაზე დიდი გავლენა ჰქონდა შინაშლილობასა და გათიშულობას. ყველაფერთან ერთად ამ არეულ ეპოქაში ეკლესიამ მთელი თავისი ქონებაც დაკარგა. ტაძრები და მონასტრები მთლიანად მოისპო. ეკლესიის მრევლს სამღვდელო დასთან ერთად დაუნდობლად ანადგურებდნენ“ **(Церковныя Ведомости №6, 1907: 176).** რუსი მეცნიერის ამ შეფასებიდან კარგად ჩანს ის სირთულეები, რომელთა დაძლევაც საქართველოს ეკლესიას მოუხდა. ამ ფონზე ი. ი. სოკოლოვი შეეცადა წარმოედგინა ეკლესიისა და სახელმწიფოს კავშირი, რომლის დამადასტურებელი მაგალითები უხვად იყო მოცემული საისტორიო წყაროებში. რუსმა მეცნიერმა ამ კუთხით შეაფასა ვახტანგ VI-ის მოღვაწეობა. იგი თვლიდა, რომ ვახტანგ VI, როგორც ღვთისმოშიში ადამიანი, ბევრს ზრუნავდა ეკლესიის კეთილდღეობისათვის. გამეფებისთანავე მან საკათოლიკოსო ტახტზე აღადგინა კათოლიკოსი ნიკოლოზი, რომელიც უსამართლოდ იყო განდევნილი ერეკლე I ნაზარ-ალი-ხანის დროს. ვახტანგ VI-ის ინიციატივით განახლდა ტაძრები და მონასტრები, მანვე უბოძა უძრავი ქონება ეკლესიას და მისი თაოსნობით თბილისში სტამბა დაარსდა, სადაც იბეჭდებოდა სამღვდელთმსახურო და საღვთისმეტყველო წიგნები. ი. ი. სოკოლოვის აზრით, ვახტანგ VI-ის დროს მოწესრიგდა ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა, განისაზღვრა კათოლიკოსის მდგომარეობა **(Церковныя Ведомости №6, 1907: 176).** რუსი მეცნიერი ასე აფასებს ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის პერიოდს: „საერთოდ ვახტანგ VI ცდილობდა მოეშუშებინა ის ჭრილობები, რომლებიც ეკლესიას გაუთავებელი ომებითა და ქვეყნის შიგნით არსებული მუდმივი შუღლისაგან მიადგა. იგი ეკლესიის დიდი შემწე და დამცველი იყო. ასევე ზრუნავდა იმისთვისაც, რომ ამ უკანასკნელს მუდამ ჭეშმარიტი გზით ევლო და არსებულ მდგომარეობაში ყოველთვის სწორი არჩევანი გაეკეთებინა. მეფე, შეძლებისდაგვარად, მისდამი დასახულ ამ უდიდეს ამოცანებს ახორციელებდა და ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა ყველაფერი მოესწრო თავისი არცთუ ისე ხანგრძლივი და სრული აშლილობის ხანას დამთხვეული მეფობის ჟამს. ბოლოს ხელმწიფე ტახტსაც და ხარისხსაც შეელია ეკლესიისადმი თავისი

ერთგულების გამო, რადგანაც სპარსეთის შაჰის მოთხოვნას, განდგომოდა ქრისტიანობას, ცივი უარით უპასუხა“ („Вообще, Вахтанг VI стремился уврачевать раны, нанесенныя церкви в период военных бур и междоусобных браний, был покровителем ея и защитником, заботился об установлении боле или мение правильнаго течения разнообразной церковной жизни. Он отчасти и осуществил свою громадную задачу, насколько это возможно было сделать в непродолжительное и полное тревог царствование. Вахтанг и престола лишился за свою преданность Церкви, так как отказался исполнить требование персидскаго шаха отречься от веры Христовой“) **(Церковныя Ведомости №6, 1907: 176–177).**

ი. ი. სოკოლოვმა ვახტანგ VI-ის შემდეგ მისი შემდგომი ხელისუფლის, იესეს მეფობაზე ისაუბრა. მოხსენებაში მან აღნიშნა, რომ ეკლესიის მდგომარეობა იესეს ხელმწიფობისას ძალზე გაუარესდა: „მაჰმადიანი მეფე არამც თუ ეკლესიის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნავდა, არამედ იმასაც კი ართმევდა, რაც ებადა ეკლესიას“ **(Церковныя Ведомости №6, 1907: 177).** რუსმა მეცნიერმა ქრონოლოგიურად მიმოიხილა საქართველოს ეკლესიის ვითარება XVIII საუკუნეში და აღნიშნა, რომ სპარსელებთან, თურქებთან, ლეკებთან გაუთავებელმა ომებმა საქართველოს ეკლესია დიდ უბედურებასა და განსაცდელში ჩააგდო. ვითარება არ შეცვლილა არც XVIII საუკუნის 30-იან წლებში. მძიმე იყო საქართველოს ეკლესიის ხვედრი. ი. ი. სოკოლოვი აღნიშნავს, რომ ვითარება იმდენად რთული იყო, რომ ახალციხის ფაშას სიონის ტაძრის მეჩეთად გადაკეთების მცდელობაც კი ჰქონია. მხოლოდ ბოლნისის მიტროპოლიტის დომენტისა და თავად გივი ამილახვრის, ასევე სხვა საერო და სასულიერო პირთა მცდელობის შემდეგ ახალციხის ფაშამ ხელი აიღო ამ საშინელ გაზრახვაზე **(Церковныя Ведомости №6, 1907: 178).** ი. ი. სოკოლოვმა მოხსენებაში ასეთი სახის არაერთი მაგალითი დაასახელა. სამწუხაროდ, საქართველოს ეკლესიის ისტორიაში ამგვარი ფაქტები მრავლად მოიპოვებოდა. რუსი მეცნიერის აზრით, საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა შედარებით შემსუბუქდა ერეკლე II-ის დროს, მაგრამ ისიც დროებით. ი. ი. სოკოლოვმა მოხსენებაში მიმოიხილა ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის საეკლესიო პოლიტიკა და მათ მიერ გატარებული საეკლესიო რეფორმები. იგი თვლიდა, რომ გიორგი XII ცდილობდა, ერეკლე II-ის მსგავსად გულუხვი ყოფილიყო საქართველოს ეკლესიასთან მიმართებით, ამიტომაც გადასცემდა ეკლესიას მამულებს. რუს მეცნიერს არ დავიწყებია დასავლეთ საქართველო და იქ არსებული რთული ვითარება.

პოლიტიკური სირთულე აისახებოდა საეკლესიო ცხოვრებაზეც. ი. ი. სოკოლოვი თვლიდა, რომ თურქების ბატონობამ ძლიერ შეაფერხა საეკლესიო ცხოვრება და ეკლესიის ყოფა დასავლეთ საქართველოშიც. თუმცა, მიუხედავად ამ სირთულეებისა, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ყოველთვის არსებობდა ურთიერთკავშირი, სადაც სახელმწიფოს მეთაური მეფე იყო, ხოლო ეკლესიისა – კათოლიკოსი **(Церковныя Ведомости №6, 1907: 181–182).** რუსმა მეცნიერმა მოხსენებაში ისაუბრა ქართველი ხელმწიფების დამოკიდებულებაზე საქართველოს ეკლესიისადმი. ი. ი. სოკოლოვმა აღნიშნა, რომ ქართველი მეფეები ყოველთვის იყვნენ ეკლესიის მფარველები და დამცველები, რასაც არაერთი ისტორიული დოკუმენტი მოწმობდა. ი. ი. სოკოლოვი ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოარჩევდა ვახტანგ VI-ს, თეიმურაზ II-ს, ერეკლე II-ს, სოლომონ I-სა და სოლომონ II-ს. თუმცა მას არ დავიწყებია საქართველოს ისტორიაში არსებული სხვა ფაქტებიც, რომლებიც საპირისპიროს მეტყველებდნენ. რუსმა მეცნიერმა მოხსენებაში იესესა და დავით-იმამ-ყული-ხანის (1706-1722) საქმიანობაზეც ისაუბრა, რომლებიც მართლმადიდებლობის დევნით და ეკლესია-მონასტრების შევიწროებით გამოირჩეოდნენ **(Церковныя Ведомости №6, 1907: 183).** მან ისიც აღნიშნა, რომ იყო დრო (XVIII საუკუნის დასაწყისი – გ. ბ.), როდესაც ქართული ტაძრები თბილისში ჯვრის და სამრეკლოს გარეშე იყო დარჩენილი **(Церковныя Ведомости №6, 1907: 183).** ი. ი. სოკოლოვმა ნარკვევში მიმოიხილა საქართველოს კათოლიკოსების საქმიანობა და ისაუბრა მათ მიერ გატარებულ მნიშვნელოვან საეკლესიო რეფორმებზე. რუსმა მეცნიერმა თავის ნაშრომში ყურადღება დაუთმო კათოლიკოს ანტონ I-ის მოღვაწეობას და რუსეთში მისი გაწვევის ფაქტს. საბოლოოდ, ი. ი. სოკოლოვის მოხსენების შემდეგაც მაინც კვლავ აქტუალური რჩებოდა შემდეგი საკითხი: კეთილდღეობდა თუ არა საქართველოს ეკლესია რუსეთთან შეერთების დროისათვის?

ი. ი. სოკოლოვმა თავისი ნაშრომით ფაქტობრივად ამომწურავად მიმოიხილა XVIII საუკუნეში საქართველოს ეკლესიის, კათოლიკოს-პატრიარქის, სასულიერო დასისა და ზოგადად საეკლესიო ცხოვრების მდგომარეობა. მისი ნაშრომი კიდევ ერთხელ ადასტურებდა, რომ საქართველოში საეკლესიო ცხოვრება XVIII საუკუნეში ღრმა რყევებს განიცდიდა, ივერიის ეკლესია უკვე საკმაოდ დასუსტებული იყო, როდესაც საქართველო რუსეთის შემადგენლობაში შევიდა: „Господствующим же мотивом церковной жизни в Грузии был упадок, который преемственно отмечается и в местных

исторических источниках нашей эпохи. О нем говорится в прошении епископов и представителей народа Петру Великому (1724 г.), в гуджарах (1736 и 1798 г.г.), в официальном донесении католикоса Антония II русскому правительлству (1801 г.). В таком состоянии Грузинская Церковь перешла и в управление русских экзархов“ **(Церковныя Ведомости №6, 1907: 190).** ამ სიტყვებით დაასრულმა ი. ი. სოკოლოვმა თავისი მოხსენება.

რუსეთის საეკლესიო კრების 1906 წლის 5 დეკემბრის სხდომაზე, როგორც ითქვა, პოლემიკა არ გამართულა. ქართველი მეცნიერის, ალექსანდრე ცაგარელისა და რუსი მეცნიერის, ი. ი. სოკოლოვის მოხსენებების თაობაზე პოლემიკა რუსეთის საეკლესიო კრების 1906 წლის 8 დეკემბრის სხდომაზე შედგა.

1906 წლის 8 დეკემბერს მუშაობა განაგრძო რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილებამ (სექციამ). კრება გაიხსნა საღამოს 7 საათზე ყოვლადუსამღვდელოესი ნიკანდრის თავმჯდომარეობით. კრებას ესწრებოდნენ: უსამღვდელოესი **ანტონი** – ვოლინის მთავარეპისკოპოსი, ყოვლადსამღვდელო **სტეფანე** – მოგილევის ეპისკოპოსი, **კირიონი** – სოხუმის ეპისკოპოსი, **ლეონიდი** – იმერეთის ეპისკოპოსი; დეკანოზები: **პ. ი. სოკოლოვი, ტ. ი. ბუტკევიჩი, ი. ი. ვოსტორგოვი, ა. პ. მალცევი, თ. ი. ტიტოვი, ი. ი. კოიალოვიჩი;** პროფესორები: **ი. ს. ბერდნიკოვი, მ. ა. ოსტროუმოვი, ნ. ნ. გლუბოკოვსკი, ნ. ი. ივანოვსკი, ა. ი. ალმაზოვი, ი. ი. სოკოლოვი, ა. ი. ბრილიანტოვი, ი. ს. პალმოვი, პ. ბ. მანსუროვი, ნ. ი. მარი და ა. ა. ცაგარელი.** სხდომას ასევე ესწრებოდნენ უწმიდესი სინოდის კანცელარიის ხელმძღვანელი **ს. პ. გრიგოვსკი,** უწმიდესი სინოდისა და კანცელარიის ბუღალტერი **ვ. ფ. ტრელინი.** სხდომა ჩატარდა უწმიდესი სინოდის სამეცნიერო საბჭოს დარბაზში.

უსამღვდელოესმა ნიკანდრმა სხდომაზე მყოფთ შესთავაზა, ემსჯელათ ი. ი. სოკოლოვის მოხსენების შესახებ, რომელიც მან რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის 1906 წლის 1 დეკემბრის სხდომაზე წაიკითხა. ამ მოხსენების მიმართ არაერთი შენიშვნა გამოთქვეს როგორც ქართველმა, ასევე რუსმა მეცნიერებმა. დეკანოზი ტ. ი. ბუტკევიჩი ი. ი. სოკოლოვის მოხსენების იმ ნაწილს შეეხო, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ კათოლიკობის მიღებისათვის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ს, საქართველოს საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით, ჩამოართვეს უსამღვდელოესის ხარისხი. დეკანოზმა ტ. ი. ბუტკევიჩმა აღნიშნა, რომ უწმიდესი სინოდის არქივის 1755-1757 წლებით დათარიღებულ ცნობებში არსად იყო მითითება არც ანტონ I-ის

გასამართლებისა და არც სასულიერო ხარისხის ჩამორთმევის შესახებ. რუსმა მეცნიერმა ისიც აღნიშნა, რომ ანტონ კათოლიკოსს, წაყენებული ბრალდების თანახმად, ან საქართველოს დატოვება, ან კათოლიკოსის წოდების დათმობა ევალებოდა. ამის შემდეგ საქართველოს მწყემსმთავარი სპარსეთში გაიქცა, სადაც მას ძალიან ცივად შეხვდნენ. 1755 წელს ანტონი ასტრახანში ჩადის, 1756 წელს კი იგი უკვე პეტერბურგშია. კათოლიკოს-პატრიარქს აქაც თავის მართლება მოუწია **(Церковныя Ведомости №7, 1907: 190).** რუსმა მეცნიერმა ყველა ის საბუთი ჩამოთვალა, რომლებითაც ანტონ I რუსეთის წმიდა სინოდის წინაშე წარდგა: 1) იერუსალიმისა და ანტიოქიის პატრიარქების სიგელები, რომლებშიც მას კათოლიკოსად მოიხსენიებდნენ; 2) საქართველოს მეფის თეიმურაზის წერილი, რომელშიც იგი ანტონს უწოდებს „უწმიდესს და უდიდესს მწყემსმთავარს“ და სთხოვდა ლოცვაში მოხსენიებას; 3) რუსი ეპისკოპოსის იოსების მიწერილობის ასლი, რომელშიც იგი საყვედურს უცხადებდა იმ სასულიერო პირებს, რომლებიც ღვთისმსახურების დროს აღარ იხსენიებდნენ ანტონ I-ს, როგორც საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარს **(Церковныя Ведомости №7, 1907: 190).** ასე შეეცადა რუსეთში ჩასული კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I თავისი ტიტულის დაცვას. დეკანოზმა ტ. ი. ბუტკევიჩმა გაიხსენა ის სათხოვარი წერილი, რომლითაც ანტონ I-მა მიმართა რუსეთის ეკლესიის უწმიდეს სინოდს და იმპერატორ ელისაბედს. ანტონ I წერდა: „გულითადად გთხოვთ, რომ უფლება მომცეთ აღვასრულო ღვთისმსახურება ჩემი წოდების შესაბამისად... ასევე უბრძანოთ, გამომიყონ ადგილი, როგორც აქაურ მღვდელმთავარს, რათა საეკლესიო კრებებსა და საერო თავყრილობებზე ხარისხის მიხედვით ვიდგე; არ ვითხოვ პირველობას, არამედ ჩემი წოდების მიხედვით განმამწესეთ მათ შორის“ („прошу усерднейше дозволить мне по сану моему священнодействовать... и повелеть назначить место, как с здешними архиереи в соборных церквах и в публичних собраниях мие по степени становиться, не требуя никакого первенства, но чтобы по сану маему вместить меня между ними“)“ **(Церковныя Ведомости №7, 1907: 191).** საქმიდან არ ჩანს, ანტონ I-ის ამ თხოვნაზე მიღებული იქნა თუ არა რაიმე დადგენილება, თუმცა რუსმა მეცნიერმა აღნიშნა, რომ ერთი წლის შემდეგ, 1757 წელს, ანტონ I-მა რუსეთის ეკლესიის უწმიდეს სინოდს კვლავ მიმართა თხოვნით: „ვიმეორებ ჩემს წინა თხოვნას, რომ დამიტოვოთ ჩემი წოდება და სათანადო ტიტული, რის გარეშეც ჩემი აქ ცხოვრება იქნება ღირსებადაკარგული...“ („повторяю свое прежде поданное доношением прошение об оставлении при моем сане имеющихся и надлежащих

мне титулов, без чего и житие мое здесь будет мне-де безславным“)“ **(Церковныя Ведомости №7, 1907: 191).**

უწმიდეს სინოდში შეისწავლეს ყველა ცნობა, რომლებიც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურობას ადასტურებდა და აღმოაჩინა, რომ არც ერთ მსოფლიო თუ ადგილობრივ საეკლესიო კრებაზე საქართველოს ეკლესია ავტოკეფალურად არ იხსენიებოდა. რაც შეეხებოდა ამ ეკლესიის „პირველი ეპისკოპოსის“ ტიტულს, ცნობილი იყო, რომ ეს ტიტული – „კათოლიკოს-პატრიარქი“ – თავისთავად ნიშნავდა „მსოფლიო პატრიარქსაც“. ასეთი ტიტული კი, ტ. ი. ბუტკევიჩის თანახმად, ეკუთვნოდა მხოლოდ კონსტანტინოპოლის პატრიარქს. ტ. ი. ბუტკევიჩი ასკვნიდა, რომ ანტონ კათოლიკოსს „პირველი ეპისკოპოსის“ ტიტული არც ერთი საეკლესიო კრების დადგენილების თანახმად არ ჰქონია ბოძებული **(Церковныя Ведомости №7, 1907: 191).** ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უწმიდესმა სინოდმა და იმპერატორმა დაადგინეს, რომ ანტონი I მოეხსენებინათ არა კათოლიკოსად, არამედ „ქართლის, კახეთის, ალავერდისა და ზედა ივერიის მთავარეპისკოპოსად“. ამ ტიტულის მატარებელს უპირატესობა საქართველოში მოღვაწე ყველა ეპისკოპოსთან შედარებით და არა რუსეთში მყოფ მაღალსამღვდელოებაზე ჰქონდა. უწმიდესმა სინოდმა ქართველ მღვდელმთავარს საცხოვრებლად არა პეტერბურგი, არამედ მოსკოვი ურჩია, თუმცა, რუსული ენის არცოდნის გამო, კათოლიკოსს სამი წლის მანძილზე არ მისცეს ღვთისმსახურების უფლება. დეკანოზ ტ. ი. ბუტკევიჩის აზრით, ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა უწმიდესი სინოდისათვის, რათა ქართველი მღვდელმთავრის საკითხი შეესწავლა. როდესაც უწმიდესი სინოდი დარწმუნდა ანტონ I-ის უდანაშაულობაში, 1757 წელს იგი ვლადიმირის ეპარქიის მღვდელმთავრად განაწესა. ოთხი წლის შემდეგ, ქართველთა თხოვნით, ანტონ I კვლავ დაბრუნდა საქართველოში, როგორც კათოლიკოსი **(Церковныя Ведомости №7, 1907: 192).**

რუსი დეკანოზის აზრით, მნიშვნელოვანი იყო გაერკვიათ, თუ რომელ საეკლესიო კრებაზე განსაჯეს ანტონ I. ქართველი პატრიარქის საკითხს გამოეხმაურა ი. ი. სოკოლოვი. მან სხდომაზე მყოფთ ასეთი რამ უამბო: „როდესაც საქართველოში გავრცელდა ცნობა ანტონ I-ის კათოლიკეობისაკენ გადახრის თაობაზე, მცხეთაში მოიწვიეს საეკლესიო კრება, რომელსაც თეიმურაზი და ერეკლე ესწრებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კათოლიკოსი უარყოფდა მისთვის წაყენებულ ბრალდებას, მას მაინც ჩამოართვეს საკათოლიკოსო ტიტული და აუკრძალეს

ღვთისმსახურება. 1756 წელს ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა საეკლესიო კრება შედგა, სადაც კათოლიკოსი ინანიებდა თავის საქციელს და ითხოვდა ძველი ხარისხისა და ტიტულის დაბრუნებას. ანტონის დაჟინებული თხოვნისა და მონანიების შემდეგ კრებამ მას ღვთისმსახურების უფლება დაუბრუნა. პირველად (იგულისხმება აკრძალვის შემდეგ - გ. ბ.) ანტონ კათოლიკოსმა 1756 წელს წირვა ქ. გორში აღავლინა. მალე თეიმურაზ მეფის თხოვნით ანტონ I რუსეთში ჩავიდა, სადაც უკვე მან უწმიდეს სინოდს მიმართა. სინოდმა გადაწყვიტა, ანტონი გამოეცადა ჭეშმარიტ სარწმუნოებაში, რისთვისაც მას ქართულ და რუსულ ენებზე მოუწია რწმენის სიმბოლოს – მრწამსის დაწერა. ამით რუსეთის უწმიდესი სინოდი საბოლოოდ დარწმუნდა ანტონის უდანაშაულობაში და ის ვლადიმირის კათედრაზე განაწესა“**(Церковныя Ведомости №7, 1907: 192).**

დეკანოზ ტ. ი. ბუტკევიჩის აზრით, თავად ანტონ კათოლიკოსი თვლიდა, რომ ცნობა მისი სამღვდელო ხარისხიდან ჩამოქვეითების შესახებ საშინელი ჭორი იყო, რაც წყევლას უფრო ჰგავდა. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანი იყო მცხეთის საეკლესიო კრების დადგენილების შინაარსის გარკვევა, თუ ეს დადგენილება ნამდვილად არსებობდა **(Церковныя Ведомости №7, 1907: 192).**

რუს მეცნიერთან პოლემიკაში უსამღვდელოესი **კირიონი** ჩაერთო. დასაზუსტებელი იყო მრავალი ფაქტი. ქართველი მღვდელმთავრის აზრით, ანტონ I არასდროს ყოფილა სპარსეთში. ამრიგად, ცნობა მისი სპარსეთში გაქცევის შესახებ სიმართლეს არ შეესაბამებოდა. ეპისკოპოს კირიონის აზრით, 1755 წელს მცხეთის საეკლესიო კრების დადგენილება ხელმისაწვდომი იყო იმდენად, რამდენადაც ეს დადგენილება ქართულ და რუსულ ენებზე დაიბეჭდა. ქართველმა მღვდელმთავარმა ანტონ I-სთვის ღვთისმსახურების აკრძალვის საკითხიც განიხილა და აღნიშნა, რომ საქართველოს კათოლიკოსს წირვა-ლოცვის ჩატარების უფლება მხოლოდ გორში ჰქონდა, მცხეთაში ღვთისმსახურების აღვლენა მას არ შეეძლო **(Церковныя Ведомости №7, 1907: 192).** ი. ი. სოკოლოვის მოხსენების მიმართ გარკვეული შენიშვნები გამოთქვა **ნიკო მარმაც.** მისი აზრით, შეუძლებელი იყო დუმილი ისეთი საკითხების ირგვლივ, როგორებიც იყო: 1) საგანმანათლებლო ცხოვრება XVIII საუკუნის საქართველოში, 2) საქართველოში საეკლესიო ცხოვრების მოშლა დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ეპოქის შემდეგ. ნიკო მარმა შეაფასა ი. ი. სოკოლოვის მოხსენებაში გამოთქმული აზრი

იმის თაობაზე, რომ საქართველოში მძიმე პოლიტიკური მდგომარეობა იყო და საეკლესიო ცხოვრებაც დაღმავლობას განიცდიდა. ქართველ მეცნიერს მიაჩნდა, რომ ეს საკმაოდ მოძველებული თეორია ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებდა. ნიკო მარმა საქართველოს ისტორიიდან არაერთი ფაქტი გაიხსენა, რომლებიც საქართველოს სხვა სახელმწიფოებთან მეგობრობას ადასტურებდა. ნიკო მარმა სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით დაასახელა თანამედროვე წყარო, რომელშიც ასახული იყო საქართველოს კავშირი ეგვიპტესთან. როგორც ჩანს, აღნიშნული წყარო 1439 წელს იერუსალიმში სომხურ ენაზე იყო შესრულებული. ქართველი მეცნიერი ვრცლად შეეხო. ი. ი. სოკოლოვის მოხსენების იმ ნაწილის, რომელიც საქართველოს ეკლესიის მდგომარეობას ასახავდა. ნიკო მარი აღნიშნავდა: „დიდი სიამოვნებით ვისმენდი ი. ი. სოკოლოვის მოხსენების იმ ნაწილს, რომელიც ასახავდა მუსლიმი ხელისუფლების, თურქებისა და სპარსელების დამოკიდებულებას საქართველოს ეკლესიისადმი. მუსლიმებს, რა თქმა უნდა, არ მოუსპიათ საქართველოს ეკლესიის ინსტიტუტი, მაგრამ პოლიტიკურმა წნეხმა, დამანგრეველმა შემოსევებმა, გაუთავებელმა ომებმა, მათ შორის შინაომებმაც, დიდი დაღი დაასვა საქართველოს ეკლესიის ყოფას. მუსლიმთა სარწმუნოებრივი პროზელიტიზმი საქართველოს ეკლესიას საშინელი გამოცდის წინაშე აყენებდა. საერთოდ, საქართველო სულიერად დაგლახაკებული იყო, მაგრამ რას მოწმობს ყოველივე ეს, თუ არა იმას, რომ საქართველოს ეკლესიამ რთული ცხოვრების გზას განვლო... ვიმეორებ, მოხსენების ამ ნაწილს დიდი სიამოვნებით ვისმენდი და მოვისმენდი კიდევ უფრო დიდი სიამოვნებით, რომ ერთნაირად და თანაბრად ყოფილიყო წარმოდგენილი ის, თუ რითი ცოცხლობდნენ მაშინ ადამიანები, რა მოთმინებით საზრდოობდნენ ქართველები, რა აძლევდათ მათ არნახულ სულიერ სიმტკიცესა და გამძლეობას, ვინ იყვნენ ის ქართველები, რომელთა შთამომავლებისგანაც თანამედროვე საქართველოს ეკლესია შედგება? ამით ხომ არ სურთ, დაგვარწმუნონ იმაში, რომ რუსი მეცნიერების პროგრამების შედეგია თელავის სემინარია?“ **(Церковныя Ведомости №7, 1907: 194).**

ნიკო მარი შეეხო რუსი მეცნიერის მოხსენების იმ ნაწილსაც, რომელშიც საუბარი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ეკლესიებზე იყო (მცხეთის საპატრიარქოსა და ლიხთ-იმერეთისა და აფხაზთა საპატრიარქოზე- გ. ბ.). ი. ი. ვოსტორგოვი ითხოვდა, რომ გარკვეულიყო, არსებობდა თუ არა რაიმე კავშირი ამ ორ ეკლესიას შორის როგორც

ძველ, ასევე მომდევნო პერიოდში **(Церковныя Ведомости №7, 1907: 194).** ნიკო მარი თვლიდა, რომ ეს საკმაოდ რთული საკითხი იყო და ამაზე ი. ი. სოკოლოვს თავის მოხენებაში პასუხი არ გაუცია. ქართველი მეცნიერი მიიჩნევდა, რომ ეს საკითხი პირველწყაროებზე დაყრდნობით ნაწილობრივ ივანე ჯავახიშვილს ჰქონდა გამოკვლეული. რაც შეეხებოდა საქართველოს ეკლესიის მდგომარეობას, ქართველი მეცნიერი თვლიდა, რომ თურქებისა და სპარსელების მუდმივი ჩარევა საქართველოს სახელმწიფოს ცხოვრებაში სრულად აისახებოდა საეკლესიო ყოფაშიც. მიუხედავად ამისა, ქართველი სასულიერო პირები ყოველთვის ცდილობდნენ საეკლესიო წესრიგის დაცვას. ნიკო მარმა მიუთითა იმ მრავალ დოკუმენტზე, რომლებიც ადასტურებდა საეკლესიო საკითხების გადაწყვეტას ადგილობრივ საეკლესიო კრებებზე. რომელიმე საეკლესიო კათედრის გაუქმება ან გაფართოება ყოველთვის მეფისა და კათოლიკოსის ბრძანებით ხდებოდა. მაგალითები მეფის თვითნებური ქმედების თაობაზე ნაკლებად მოიპოვებოდა. ნიკო მარის აზრით, კათოლიკოსების თვითნებური ქმედებების გამოსარკვევად სათანადო დოკუმენტები იყო შესასწავლი **(Церковныя Ведомости №7, 1907: 195).**

ი. ი. სოკოლოვის მოხსენებაში ჭყონდიდელის თანამდებობის დახასიათების მცდელობას ვხვდებით. ნიკო მარმა არც ეს საკითხი დატოვა უყურადღებოდ. მისი აზრით, რუსი მეცნიერი თავის მოხსენებაში ჭყონდიდელის თანამდებობის დახასიათებისას მთლიანად ანტონ ფურცელაძის მოსაზრებას ეყრდნობოდა, რომლის თანახმადაც, ჭყონდიდელი არ მართავდა არც ერთ ეპარქიას და პირდაპირ მეფეს ექვემდებარებოდა; მისი მოვალეობა ქვრივ-ობლებზე ზრუნვა და სასამართლოს წინაშე მათი ინტერესების დაცვა იყო **(Церковныя Ведомости №7, 1907: 196).** ქართველი მეცნიერი ი. ი. სოკოლოვის მოსაზრებას მცდარად მიიჩნევდა და ამ საკითხთან დაკავშირებით მთლიანად ივანე ჯავახიშვილის აზრს იზიარებდა. ნიკო მარი აღნიშნავდა: „ჭყონდიდელი, პირველ რიგში, ჭყონდიდის მთავარეპისკოპოსი იყო, მაგრამ ამავე დროს ჭყონდიდელი სამეფო კარის პირველი ვეზირი და კანცლერი გახლდათ. ეს წოდება მას დავით აღმაშენებლის დროს ებოძა. პირველი ვეზირის წოდებით ჭყონდიდელი სამეფო თათბირს ესწრებოდა. ის თავმჯდომარეობდა საქართველოს სამეფო კარის მინისტრთა სათათბიროს, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა სახელმწიფოში ომის ან მშვიდობის გამოცხადება. ჭყონდიდელის მოვალეობაში საერთო სახელმწიფოებრივი ხასიათის ღონისძიებების გატარება შედიოდა, მხოლოდ მას შეეძლო

მინისტრთა სათათბიროს დადგენილების გამოქვეყნება, რადგანაც ჭყონდიდელი უმაღლესი ხელისუფალის თანხმობის შესაბამისად გასცემდა ბრძანებებს. ჭყონდიდელს ექვემდებარებოდა მთელი სახელმწიფო კანცელარია. საქართველოს ეკლესიასთან დაკავშირებული საკითხები თუ მოხსენებები მისი მეშვეობით გადაეცემოდა საერო ხელისუფალს. ასე იყო ნორმალურ პირობებში, მაგრამ საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგ ჭყონდიდელმა თავისი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა დაკარგა და ჩვეულებრივი მიტროპოლიტის ფუნქცია შეიძინა...“ **(Церковныя Ведомости №7, 1907: 196).**

ი. ი. სოკლოვის მოხსენებაში არ დარჩენილა თითქმის არც ერთი საკითხი, რომლებსაც ქართველი მეცნიერი არ შეხებოდა და თავისი მოსაზრება არ გამოეთქვა. შემდეგი საკითხი, რომელსაც ნიკო მარი შეეხო, ასევე ფრიად მნიშვნელოვანი იყო. ნიკო მარმა მიმოიხილა საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა XVIII საუკუნეში. მისი აზრით, ყვაოდა თუ არა საქართველოს ეკლესია რუსეთთან შეერთების დროისათვის – ეს საკითხი რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის სხდომებზე არასწორად იყო დასმული. საკითხის ასეთი ფორმულირება გამართლებელი არ იყო მაშინ, როდესაც ქართველები ცდილობდნენ თავიანთი პოლიტიკური ბედის რუსეთთან დაკავშირებას და ამით საკუთარი პოლიტიკური თავისუფლების მოსპობისაკენ დგამდნენ ნაბიჯს. ნიკო მარის აზრით, ძალიან მარტივი იყო ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. თუმცა ტორმასოვი, ციციანოვი და სხვა გენერლებიც თვლიდნენ, რომ უკვე XVIII საუკუნის საქართველოში ინტელექტუალური და საეკლესიო ცხოვრება აღარ არსებობდა. ნიკო მარი აღნიშნავდა: „არც ერთ ამ ღირსეულ პიროვნებას აზრადაც არ მოსვლია, გამოერკვია XVIII საუკუნის ქართული ლიტერატურული ძეგლები, მათი არსებობა ხომ ფაქტია. სწორედ მათი საშუალებით გაირკვეოდა საქართველოს საეკლესიო ცხოვრების რეალური სურათი რუსეთთან შეერთების დროისათვის, ნათელი მოეფინებოდა მის დადებით და უარყოფით მხარეებს“ **(Церковныя Ведомости №7, 1907: 196).** ნიკო მარმა, დროის სიმცირის გამო, აღარ ისაუბრა ქართულ სასულიერო მწერლობაზე, განათლების და აღმზრდელობით სისტემებზე, ბიბლიოთეკებზე, გადამწერთა სკოლებსა და საგამომცემლო საქმიანობაზე. იგი შედარებით ვრცლად განათლების საკითხს შეეხო. ქართველი მეცნიერი აღნიშნავდა: „შეეფერება კი სრულ რეალობას ი. ი. სოკოლოვის მოხსენებაში აღნიშნული საკითხი სასულიერო-საგანმანათლებლო სისტემის

მდგომარეობის შესახებ საქართველოს რუსეთთან შეერთების დროისათვის? პირდაპირ გიპასუხებთ, რომ სავსებით არ შეესაბამება სინამდვილეს ი. ი. სკოლოვის მოხსენების ეს ნაწილი და ამ პასუხის საილუსტრაციოდ მხოლოდ რამდენიმე საკითხს შევეხები. როდესაც ი. ი. სოკოლოვმა სულხან-საბა ორბელიანის სახელი ახსენა, შემოიფარგლა მხოლოდ იმით, რომ ეს ეპოქა მიჩნეული იყო ვერცხლის ეპოქად, როდესაც იწერებოდა უფრო მაღალი დონის ლიტერატურული ქმნილებები; დიდი ყურადღება ეთმობოდა თელავის სემინარიას, რომელიც რუსულ ყაიდაზე იყო დაარსებული და სადაც ყვაოდა მთელი რიგი მეცნიერებები, მათ შორის ფილოსოფიაც. ნიკო მარმა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ი. ი. სოკოლოვის მოხსენების შემდეგ ისეთი აზრი შეიქმნა, თითქოს ქართველები თელავის სემინარიის დაარსებამდე XVIII საუკუნის საქართველოში ფილოსოფიას არ იცნობდნენ, თუმცა საქმე სულ სხვაგვარად იყო. ამ დროისათვის უკვე არსებობდა არისტოტელეს ფილოსოფიური ქმნილებებისა და სხვა ფილოსოფოსთა ნაშრომების ქართული თარგმანები, რომლებიც განათლებული საქრისტიანოსათვის სავალდებულო საგანთა რიცხვში შედიოდა. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ ქართული თარგმანების უმეტესობა, თუ მთელი სია არა, რომლებიც XVII-XVIII საუკუნეებს მოიცავს. სწორედ ეს თარგმანებია დასტური იმისა, რომ საქართველოში ჯერ კიდევ თელავის სემინარიის დაარსებამდე დიდი ხნით ადრე შეიმჩნეოდა ფილოსოფიური სწავლების აღორძინება. XI-XII საუკუნეებში ქართველები არა მარტო თვითონ ეწეოდნენ ფილოსოფიურ მოღვაწეობას, არამედ თავად იყვნენ მონაწილენი ცნობილი ბიზანტიური რენესანსისა, რომელიც იოანე იტალოსისა და მიქაელ ფსელოსის სახელთან არის დაკავშირებული. ამ ეპოქას ეკუთვნის პროკლე დიადოხოსის, იოანე პეტრიწისა და სხვათა თარგმანები. ამ ეპოქიდან შემორჩა იოანე ორბელიანის საინტერესო წერილები, რომლებიც დეტალურად წარმოაჩენენ ფილოსოფიური სწავლების აღორძინების გზას საქართველოში. ამ ცნობებში არაფერია ნათქვამი რუსულ, ლათინურ, პოლონურ თუ სხვა გავლენაზე. ქართული ფილოსოფიის აღორძინება დაკავშირებული იყო XVIII საუკუნეში მიმდინარე გრამატიკულ-ლექსიკურ საქმიანობასთან. შემოვიფარგლები მხოლოდ სულხან-საბა ორბელიანისა და მისი ლექსიკონის დასახელებით... აღარაფერს ვამბობ ქართველ სწავლულთა ხელით შესრულებულ სამუშაოზე, რომლებიც აგროვებდნენ და გამოსაცემად ამზადებდნენ წმიდა წერილის ტექსტებს. ამ ეპოქამ მოგვცა ახალი ჰაგიოგრაფიული ძეგლები, უძველეს

წმიდანთა ცხოვრებების ახალი რედაქციები. XVIII საუკუნეში ჩნდება ახალი ლიტერატურული სახეობა – მოგზაურობები. ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა არქიეპისკოპოს ტიმოთეს „მოგზაურობა“, რომელმაც მრავალი ფასეული საეკლესიო-არქეოლოგიური ცნობა შემოინახა. XVIII საუკუნისათვის დამახასიათებელი იყო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნიშანი: საეკლესიო ლიტერატურის პოპულარიზაციის მიზნით, ყველა მწერალი, მეფე იქნებოდა ის თუ სასულიერო პირი, ცდილობდა თხზულებები , არა მხოლოდ მარტივი ენით, არამედ სალექსო ფორმითაც შეექმნა. ლექსად ხორციელდებოდა წმიდა წერილის არა მხოლოდ ცალკეული თავების გამოცემა, არამედ მთლიანი წიგნისაც კი. მეფე თეიმურაზ I, არჩილი, თეიმურაზ II და სხვანიც ასეთი შინაარსის მქონე ლექსებით არიან ცნობილნი. მრავალრიცხოვანია იმ პოეტთა რიცხვიც, რომლებიც წმიდა წერილის თემაზე წერდნენ. ეს ჟანრი XVIII საუკუნეში დაინერგა და XIX საუკუნეშიც გადავიდა. დავით გურამიშვილმაც ხომ ბიბლიურ თემაზე დაწერა არაერთი ლექსი: „ტირილი ღვთისმშობლისა“, „ტირილი ადამისა“, „სწავლა მოსწავლეთა“ და სხვა. ასეთი პოეტების სათვალავი უამრავია. მრავალრიცხოვანია მათი ქმნილებებიც... აღარაფერს ვამბობ იმ მოწამეთა „ცხოვრებების“ გამოცემაზე, რომელთა რიცხვსაც ვერ მოვთვლით. ქართველებს, თავიანთი ცხოვრების წესით, ლიტერატურის მეშვეობით მუსლიმებში ქრისტიანული ნათლის შეტანა სურდათ. ამგვარად ცდილობდნენ წინააღმდეგობა გაეწიათ ისლამის ქადაგებისათვის საქართველოში. ამ მიზნით ქართველების მიერ სპარსულ ენაზე ითარგმნა „ახალი აღთქმა“. ქართველებმა ოსურ ენაზე შექმნეს წმიდა წერილის თარგმანიც. ისლამის გავრცელებას ებრძოდნენ ქართველები საკმაოდ მისაღები და მსუბუქი ლექსის ფორმითაც. ეს საქმე თავის თავზე იტვირთა XVIII საუკუნის ცნობილმა საეკლესიო მოღვაწე იაკობ შემოქმედელმა. ქართველი საეკლესიო მოღვაწეები არცთუ მცირე ძალისხმევით ებრძოდნენ კათოლიკობის პროპაგანდას საქართველოში. იაკობ დუმბაძემ იმდენს მიაღწია, რომ მომძლავრებულ კათოლიკე მისიონერებს გურია და იმერეთი დაატოვებინა. ლათინთა სარწმუნოების წინააღმდეგ იბრძოდა იგი (1724-1735). კათოლიკოსი ბესარიონი, ისვე როგორც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქები, ცნობილი იყო თავისი სამწერლობო საქმიანობით. როგორც ჩანს, 1697 წელს მას უნდა გადმოეწერა ეგვიპტის მონასტრის განაწესი. დიდი ალბათობაა იმისა, რომ მას ეკუთვნის ქართველ წმიდანთა ცხოვრების ახალი რედაქციებიც. არაჩვეულებრივია მისი ნაშრომი

„გრდემლი“ („Грдемли“), რომელშიც ნათლადაა უარყოფილი კათოლიკური რწმენის ჭეშმარიტება. დიდ ინტერესს იწვევს კათოლიკოს ანტონ I-ის შრომებიც, რომელთა მიხედვითაც კარგად ჩანს, რომ კათოლიკოსი მდიდარი ქართული ძეგლებით სარგებლობდა. ნამდვილად გვაქვს დამოუკიდებელი ცნობები იმის თაობაზე, რომ 1770-1780 წლებში ანტონ კათოლიკოსმა მცხეთის საპატრიარქო ბიბლიოთეკაში 7000 ქართულ ხელნაწერს მოუყარა თავი. საერთოდ, როდესაც საქმე ანტონ კათოლიკოსის ცხოვრებას ეხება, იქვე მისი სარწმუნოებრივი სიმყარის თაობაზეც ისმის საკითხი. ასე რჩებოდა შეუმჩნეველი ის ფაქტი, რომ ანტონ კათოლიკოსი თავად იყო სხვა აღმსარებლობის, მათ შორის ლათინურის, ერთ-ერთი მოწინააღმდეგე. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ანტონ I-ის აპოლოგეტურ-პოლემიკური ტრაქტატი „მზამეტყველება“... ერთხელ, ეგზარქოს პავლეს დროს (1882-1887), წამოიჭრა საკითხი კათოლიკეობასთან ბრძოლის თაობაზე. საქმე იმპერატორ ალექსანდრე III-მდეც მივიდა. იმპერატორმა საქმე წმიდა სინოდს გადასცა. ეგზარქოსმა პავლემ კი, ანტონ კათოლიკოსის ტრაქტატის გარდა, ქართულ ენაზე ლათინთა რწმენის წინააღმდეგ არსებულ სხვა ნაშრომს ვერ მიაგნო. ეს ნაშრომი იმ ეპოქაში იყო დაწერილი, როდესაც ფიქრობდნენ, რომ ქართული საეკლესიო მწერლობა რუსულ ლიტერატურასთან შედარებით ღარიბი იყო, და რომ საქართველოში ინტელექტუალური ცხოვრების ერთადერთი გამოვლინება რუსულ ყაიდაზე დაარსებული თელავის სემინარია გახლდათ. ეს კიდევ ცოტაა. საქართველოს ეგზარქოსმა კათოლიკოს ანტონის ტრაქტატის გამოსაცემად მატერიალური საშუალება ვერ მოიძია. აი, რა უთხრა ეგზარქოსმა პავლემ გორის ეპისკოპოს ალექსანდრეს: „გააგზავნეთ ეს წიგნი და დაბეჭდეთ ისე, რომ არ შეაწუხოთ სახელმწიფო და არ ითხოვოთ ამისათვის ფული“. გორის ეპისკოპოსმა ალექსანდრემ თავისი თანხებით გამოსცა ანტონ I-ის ნაშრომი კარბელაშვილის რედაქციით... რაც შეეხება თელავის სემინარიას. საერთოდ შეცდომა იქნება იმაზე ფიქრი, რომ XVIII საუკუნეში ქართველთა გონებრივი ინტერესის წრე შემოიფარგლებოდა იმ სემინარიის პროგრამით, რომელიც იყო შემუშავებეული თანამედროვე რუსულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაყრდნობით. რა თქმა უნდა, ქართველები ამ კუთხითაც დიდ იმედებს ამყარებდნენ რუსეთზე. ქართველები ფიქრობდნენ, რომ რუსეთის მეშვეობით ეზიარებოდნენ ევროპულ განათლებას და რომ რუსეთი უკვე დიდი ხანია სარგებლობდა ევროპული ცივილიზაციის ნაყოფით, რითიც „აკულტურებდა“ თავის ცოდნას. ამიტომაც იყო, რომ ქართველები თავდაპირველად

დიდი სიხარბით დაეწაფნენ იმ ცოდნას, რომელსაც რუსეთის საგანმანათლებლო დაწესებულებები იძლეოდნენ და შეეცადნენ მათ გადმონერგვას თავიანთ ქვეყანაშიც. ასე რომ, თელავის სემინარიის დაარსებაც ნაწილობრივ ამ დაუცხრომელი სურვილის გამოვლინება იყო. ქართველები განსაკუთრებით ჩქარობდნენ, განადგურებისაგან ეხსნათ წინაპართა სასულიერო ცხოვრების მემკვიდრეობა, აგროვებდნენ და გამოსცემდნენ მათ, რადგანაც ფიქრობდნენ, რომ ეს იყო საუკეთესო საშუალება შემდგომი განვითარებისათვის. ამ კუთხით დიდი შრომა გასწია თელავის სემინარიის რექტორმა ალექსი მესხიშვილმა, რომელიც საუკეთესო კალიგრაფოსთა ტრადიციასაც აგრძელებდა. ასე რომ, გონებრივი ინტერესის ნაპერწკალი არ ჩამქარალა XVIII საუკუნის საქართველოში. ეს ნაპერწკალი მხოლოდ საქართველოს საეგზარქოსოს მიერ დაარსებულ სასწავლებლებში დაიშრიტა“ **(Церковныя Ведомости №7, 1907: 197–203).**

ასე დაასრულა თავისი სიტყვა ნიკო მარმა. ცხადი იყო, რომ მის გამოსვლას რუსი მეცნიერების მხრიდან გამოხმაურება მოჰყვებოდა. ნიკო მარს, პირველ რიგში, მოხსენების ავტორმა ი. ი. სოკოლოვმა უპასუხა. რუსი მეცნიერი თავის მართლებას შეეცადა და აღნიშნა, რომ მისი მოხსენების თემას არ წარმოადგენდა განათლების საკითხი საქართველოში და რომ ის მხოლოდ საერთო ისტორიული მოვლენების მოკლედ ასახვით შემოიფარგლა. რაც შეეხებოდა ჭყონდიდელის თანამდებობას, ი. ი. სოკოლოვის აზრით, მისი ხსენება მხოლოდ ეპოქიდან გამომდინარე სჭირდებოდა, რისთვისაც ანტონ ფურცელაძის ცნობები სრულიად საკმარისი იყო. ი. ი. სოკოლოვმა ნიკო მარის შენიშვნები არ გაიზიარა. რუსი მეცნიერი თვლიდა, რომ ამ საკითხებთან დაკავშირებულ კამათს აზრი არ ჰქონდა, რადგან ეს არ წყვეტდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს. ი. ი. სოკოლოვმა თავის მართლება ასე დაასრულა: „ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ თუ ჩემს საერთო ხასიათის მცირე მოხსენებაში ვერ შევძელი აღმეწერა XVIII საუკუნის საქართველოს გონებრივი ცხოვრების სრული სურათი, ის არც ნიკო მარის სპეციალურ მოხსენებაში იყო ნაჩვენები. საბოლოოდ, რამდენადაც ეს ხელმისწავდომი იყო დამწყები ქართველოლოგისათვის, შევისწავლე საქართველოს ეკლესიის შესახებ არსებული რამდენიმე ძეგლი. სხვა მხრივ კი არ არსებობს არავითარი საფუძველი იმისათვის, რათა ვაღიაროთ ერთი პირის მონოპოლია საეკლესიო ქართველოლოგიაში“(„Скажу лишь, что если я в своем кратком очерке общаго характера, по самому существу своей задачи, не мог дать полную картину умственной

жизни грузин в XVIII в., то ея нет и в специальном докладе профессора Н. Я. Марра. Наконец, насколько доступно начинающему грузинологу, мною опрошены и некоторые памятники грузинской церковной истории, а с другой стороны, нет решительно никаких оснований признавать церковную грузинологию монополией одного лица“)“ **(Церковныя Ведомости №7, 1907: 204–205).** ნიკო მარისათვის რუსი მეცნიერის ეს პასუხი მოულოდნელი აღმოჩნდა. იგი თვლიდა, რომ ი. ი. სოკოლოვი ვერ შეისწავლიდა საქართველოს ეკლესიის საკითხთან დაკავშირებულ ძეგლებს, რადგან მათი უმეტესობა გამოცემულიც კი არ იყო **(Церковныя Ведомости №7, 1907: 205).** ი. ი. სოკოლოვის მოხსენებას უსამღვდელოესი ლეონიდიც გამოეხმაურა: „აუცილებლად მიმაჩნია, ნიკო მარის მშვენიერ სიტყვას დავუმატო შემდეგი, რომ XVIII საუკუნის საქართველოს ეკლესიის ცხოვრების ამსახველი ფაქტები ი. ი. სოკოლოვის მიერ არ არის გამოკვლეული, რის გამოც მოხსენება არ ასახავს რეალობას. საქართველოს ეკლესია XVIII საუკუნეში, მისი სიღარიბის მიუხედავად, სრულებითაც არ წარმოადგენდა ისეთ დაუძლურებულ ორგანიზმს, რომ მისთვის სასიკვდილო განაჩენი გამოეტანათ. ჩვენამდე მოღწეული სარწმუნო წყაროებიდან ჩანს, რომ XVIII საუკუნეში საქართველოს ეკლესიას სახარებისეული სწავლების დამნერგავის და გამავრცელებლის ბაირაღი ბოლომდე ეჭირა. მაგალითად, მანგლისის ეპისკოპოსმა წმიდა იოანემ, რომელიც სიონის ტაძარშია დასაფლავებული, ნათლობის საიდუმლოს აზიარა ინგუშეთისა და დაღესტნის მკვიდრნი, წარმოშობით ქართველმა არქიეპისკოპოსმა გაიმ (გაიოზ არქიმანდრიტი-გ.ბ.) მონათლა არა მარტო ათასობით ოსი, არამედ ოსურ ენაზემრავალი ნაშრომი თარგმნა. საქართველოს ეკლესია XVIII საუკუნეში არც მწიგნობრულ საქმიანობას ჩამორჩებოდა. შემონახულია ცნობა იმის თაობაზე, რომ მარტყოფის მონასტერში მღვდელ ქრისტეფორე კეჟერაშვილის მიერ აღწერილი იყო 7400-მდე საღვთისმეტყველო წიგნი. პროფესორ ი. ი. სოკოლოვის შენიშვნა, რომ თელავისა და თბილისის სასულიერო სემინარების დახურვის შემდეგ საქართველოს ეკლესია სკოლების გარეშე დარჩა, არაა მართებული. საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის ცხოვრების აღწერიდან ჩანს, რომ თბილისის ეკლესიებთან არსებობდა სკოლები, სადაც მოსწავლეებს დაწყებითი განათლებისათვის საჭირო საგნების გარდა ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების საფუძვლებს ასწავლიდნენ. რუსი მეცნიერის მიერ ითქვა, რომ XVIII საუკუნეში მოღვაწე მრავალმა ქართველმა სასულიერო პირმა არ იცოდა სახარების კითხვა და არც ესმოდათ წმიდა წერილის არსი. უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ დღესაც მრავალი სასულიერო

პირი არ მალავს იმას, რომ არ იცის სახარების კითხვა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს სასულიერო პირები გაუნათლებლები არიან და ვერ არჩევენ ანბანს თუ სახარებაში დაწერილ სიტყვებს. სახარების კითხვის ცოდნა გარკვეული წესების გათვალისწინებას გულისხმობს. ამ წესების გააზრება თხოულობს საკმარის მუსიკალურ სმენადობას, სტრიქონისა და სტრიქონზედა ნიშნების ცოდნას. სახარება ისე თვალსაჩინოდ და მოკრძალებით უნდა იქნეს წაკითხული, რომ ქრისტიანთა გული ჭეშმარიტი სწავლების მოსასმენად აავსოს. შეიძლება ასეთი ცოდნა არ ჰქონდათ საქართველოში მოღვაწე რამდენიმე სასულიერო პირს, მაგრამ ეს არ ნიშნავ იმას, რომ სამღვდელონი საკუთარი გაუნათლებლობის გამო ვერ კითხულობდნენ სახარებას. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ ქართველმა სასულიერო პირებმა არ იცოდნენ წერა-კითხვა, სამწუხაროდ, ეს არ იყო მხოლოდ საქართველოს ეკლესიის რეალობა. ეს მოვლენა უცხო არ იყო არც რუსეთის, არც სერბეთის, არც რუმინეთისა თუ საბერძნეთის ეკლესიებისთვისაც. აი, რას წერს ამ საკითხთან დაკავშირებით ცნობილი რუსი ისტორიკოსი გლუბინსკი: „ჩვენ გვაქვს დამადასტურებელი წერილობითი თუ ზეპირი ცნობები, რომ გაუნათლებელ სასულიერო პირებს ჯერ კიდევ ჩვენი წინაპრებიც მოესწრნენ. XIX საუკუნის პირველ მეოთხედში გაუნათლებელი სასულიერო პირების არცთუ ისე მცირე რაოდენობა იყო, რომლებსაც ღვთისმსახურების წესი ზეპირად ჰქონდათ ნასწავლი. ასე რომ, ეს მოვლენა საერთოა თითქმის ყველა მართლმადიდებელი ეკლესიისათვის და გაუგებარია, რატომაა ასე მწვავედ აღსანიშნავი ეს ფაქტი მხოლოდ საქართველოს ეკლესიასთან მიმართებით. ბოლოს თავს უფლებას მივცემ და ი. ი. სოკოლოვს მივმართავთ კითხვით, თუ რით უნდა აიხსნას XVIII საუკუნეში (როგორც კი ქართველ ერს შედარებით მშვიდი ცხოვრების საშუალება მიეცა) ღირსეული საეკლესიო მწერლების, განათლებული მქადაგებლების, არაჩვეულებრივი მგალობლების არსებობა, მაშინ, როდესაც XIX საუკუნეში გარეგნული სიმშვიდის მიღმა აღარ ისმოდა ცოცხალი ქადაგებები, საეკლესიო გალობა, ეკლესიები მთელი ათეული წლებით დარჩნენ საღვთისმსახურო წიგნების გარეშე. საეკლესიო ლიტერატურა არსებობას წყვეტს, მთელ საქართველოში საეკლესიო ცხოვრება ქრება და რჩება მხოლოდ უსულგულო გარეგნული მხარე, მოკლებული ყოველგვარ სულიერებას“ **(Церковныя Ведомости №7, 1907: 206).** ეპისკოპოს ლეონიდთან კამათში ჩაერთო მოხსენების ავტორი, რომელსაც განსხვავებული შეხედულებები ჰქონდა საქართველოში და მისი ეკლესიის წიაღში მიმდინარე

პროცესებთან დაკავშირებით. ცხადი იყო, ი. ი. სოკოლოვი ქართველი სასულიერო პირებისა თუ სწავლულების მოსაზრებას არ იზიარებდა და თავისი შეხედულების დამკვიდრებას ასე ცდილობდა: „ჩემს მოსაზრებას ვერ შეარყევს ეპისკოპოს ლეონიდის მითითებები იმის თაობაზე, რომ ათასობით ინგუში და ოსი განანათლეს ქართველმა მისიონერებმა. ეს მოვლენა არაა დადასტურებული და არც საქართველოს ეკლესიის შინაურ საზოგადოებრივ ურთიერთობებს ეხება. საღვთისმსახურო წიგნებზე ჩემს მოხსენებაში მრავალია ნათქვამი. უცნაურია იმაზე საუბარი, რომ საეკლესიო გალობა საქართველოში არასოდეს ჩამქრალა. ეპისკოპოს ლეონიდის მტკიცება იმის თაობაზე, რომ თბილისისა და თელავის სემინარების დახურვის შემდეგ ქართველებს ჰქონდათ სკოლა, სადაც ღვთისმეტყველებასა და ფილოსოფიას ასწავლიდნენ, ეწინააღმდეგება ანტონ II-ის ოფიციალურ განცხადებას რუსეთის ხელისუფლებისადმი, რომ ასეთი სკოლები XVIII საუკუნის ბოლოს საქართველოში არ ყოფილა. უსამღვდელოესი ლეონიდის მიერ სახარების კითხვასთან დაკავშირებით აღნიშნული განმარტება იგივეა, რაც ადრე ითქვა ანტონ ვოლინის მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით, ხოლო იმის აღნიშვნას, რომ ანალოგიური ვითარება იყო რუსეთის ეკლესიაში, საქმესთან არანაირი კავშირი არ აქვს. რაც შეეხება ეპისკოპოს ლეონიდის პათეტიკურ შეკითხვას, უმჯობესი ხომ არ იქნებოდა თუ ამ კითხვაზე პასუხს თავად ორატორისგან მოვისმენდით. შეკითხვა არალოგიკურია და არც ჩემს მოხსენებას უკავშირდება. საბოლოოდ არც იმას ვამტკიცებ, რომ განათლება საქართველოში სრულიად დაეცა. დაწყებითი სკოლები იყო, მაგრამ საშუალო სკოლები არ ყოფილა“(**Церковныя Ведомости №7, 1907: 206–207).**

ასეთ პასუხს არ გაუკვირვებია ქართველი მღვდელმთავარი, მაგრამ საინტერესო იყო, თუ რატომ თვლიდა ი. ი. სოკოლოვი დაწყებით სკოლებად ისეთ სასწავლებლებს, სადაც ფილოსოფია და ღვთისმეტყველება ისწავლებოდა. რუსი მეცნიერის აზრით, ამ ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტები არ არსებობდა. პოლემიკაში უსამღვდელოესი კირიონიც ჩაერთო. სოხუმის ეპისკოპოსმა აღნიშნა, რომ საშუალო სკოლების არსებობა იმ დროის აქტებში ოფიციალურად იყო დადასტურებული. უსამღვდელოესმა კირიონმა დაასახელა ის სასწავლებლები, რომლებიც იმ დროს ფუნქციონირებდა. ესენი იყო: თელავის, თბილისისა და მცხეთის სემინარიები. პროფესორ ი. ი. სოკოლოვის აზრით, ეპისკოპოს კირიონის საუბარში ქრონოლოგიური შეუსაბამობაა, რადგან XVIII საუკუნის ბოლოსათვის თელავისა და თბილისის სემინარიები უკვე დაკეტილი იყო. ი. ი.

სოკოლოვის მოსაზრების გამყარებას დეკანოზი ტ. ი. ბუტკევიჩი შეეცადა. რუსმა მეცნიერმა აღნიშნა, რომ არსებობდა ფაქტები, იმის თაობაზე, რომ მიტროპოლიტებიც კი წერის უცოდინარობის გამო ხელის მოწერას ჯვრის დასმით ადასტურებდნენ. ტ. ი. ბუტკევიჩმა გაიხსენა ტორმასოვის მიწერილობა გოლიცინისადმი, რომელიც მაშინ რუსეთის წმიდა სინოდის ობერ-პროკურორი იყო. ტორმასოვი იტყობინებოდა, რომ ქართველი სასულიერო პირების უმრავლესობა სრული უვიცი იყო, უამრავი მაგალითი იყო დასახელებული იმისა, რომ სასულიერო პირებმა საერთოდ არ იცოდნენ წერა **(Церковныя Ведомости №7, 1907: 207).** დეკანოზ ტ. ი. ბუტკევიჩს ალექსანდრე ცაგარელი ასე გამოეხმაურა: „ტორმასოვი რა ასეთი ავტორიტეტია ამ საკითხში? რის საფუძველზე წერს იგი ასე? ის არ იცნობდა მხარეს და არც მის მდგომარეობას. პლატონ იოსელიანი წერს, რომ უკანასკნელი მეფე გიორგი XII სტუმრობდა თბილისში არსებულ სახალხო სკოლებს, რომელთა რაოდენობაც XVIII საუკუნის ბოლოსათვის 400-მდე აღწევდა („Тормасов что за авторитет в этом вопросе? На основании чего он так пишет? Он не знал края и его состояния. Пл. Иоселиани пишет, что последний царь Георгий XII иногда посещал народныя школы в Тифлисе, которых в конце XVIII века было до 400“)“ **(Церковныя Ведомости №7, 1907: 207–208).** ნიკო მარი დაეთანხმა ალექსანდრე ცაგარელს. რუსი მეცნიერების მხრიდან არ წყდებოდა კონტრარგუმენტების წამოყენება, ქართველი საერო და სასულიერო პირებიც არ თმობდნენ საკუთარ პოზიციებს. პოლემიკაში კვლავ უსამღვდელოესი კირიონი ჩაერთო: „როგორ შეიძლება, ტორმასოვს ქართველი სასულიერო პირების განათლების შესახებ ემსჯელა? ხომ არ თვლიდა ის გაუნათლებლად ყველა იმას, ვინც რუსულად კითხვა არ იცოდა?“ („Как мог судить Тормасов о просвещении грузинскаго духовенства? Не считал ли он безграмотными всех, кто не знал читать по-русски?“)“ **(Церковныя Ведомости №7, 1907: 208).** კამათმა ამ საკითხთან დაკავშირებით საკმაოდ მწვავე ხასიათი მიიღო. სხდომის თავმჯდომარემ, უსამღვდელოესმა ნიკანდრმა მოითხოვა, კამათი შეწყვეტილიყო. ალექსანდრე ცაგარელი კიდევ ერთი ბრალდების გარკვევას ითხოვდა. დეკანოზი ტ. ი. ბუტკევიჩი თავის ბროშურაში საქართველოს კათოლიკოს ანტონ II-ს საეკლესიო ქონების გაფლანგვაში სდებდა ბრალს. ქართველი მეცნიერის აზრით, უნდა გარკვეულიყო, თუ რის საფუძველზე ხდებოდა ბრალის წაყენება. სხდომის თავმჯდომარე და რუსი საერო და სასულიერო პირები ამ ბრალდების განხილვის წინააღმდეგნი იყვნენ. ეპისკოპოს კირიონისა და ალექსანდრე ცაგარელის დაჟინებული თხოვნის შემდეგ უსამღვდელოესმა

თავმჯდომარემ გადაწყვიტა, რომ ალექსანდრე ცაგარელს ამ ბრალდების თაობაზე განცხადება დაეწერა, რომელიც რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის სხდომების ჟურნალს დაერთვოდა. დეკანოზმა ტ. ი. ბუტკევიჩმა კი პირობა დადო, რომ შესწორებას შეიტანდა ამ ბრალდებასთან დაკავშირებით **(Церковныя Ведомости №7, 1907: 208).** მიუხედავად ამისა, დეკანოზი ი. ი. ვოსტორგოვი არ წყვეტდა ბრალდებებს კათოლიკოსის-პატრიარქ ანტონ II-ის მიმართ. სწორედ ამიტომ უსამღვდელოესმა კირიონმა საჭიროდ ჩათვალა, მოკლედ ესაუბრა მაშინდელ სამიწათმოქმედო სისტემაზე, რომელიც ბიზანტიიდან იღებდა სათავეს. ეპისკოპოსი კირიონი აღნიშნავდა: „ზოგიერთ მწერალს, რომელიც არასაკმარისად იცნობდა საქართველოს ეკლესიის ძველ წეს-განგებას, მის რეალურ ყოფას და საუკუნეების მანძილზე ბრძოლით გამომუშავებულ წესებს, არასწორად ესმის იმ საეკლესიო-საადგილმამულო უფლებების არსი, რომელთა საფუძველზეც საქართველოს ეკლესიის იერარქები მამულებს დასამუშავებლად და გამოსაყენებლად გადასცემდნენ. ისინი ძალიან ცდებიან, როდესაც თვლიან, რომ მამულების ასეთი გაცემა ძალაუფლების ბოროტად გამოყენებასა და საეკლესიო ქონების გაძარცვას გულისხმობს. რომ არ ყოფილიყო ქართველი იერარქების მზრუნველობა, შეძლებდა კი საქართველოს ეკლესია შეენარჩუნებინა დიდი რაოდენობის უძრავ-მოძრავი ქონება XIX საუკუნის დასაწყისში, მუსლიმთა მიერ ქვეყნის აოხრების მიუხედავად?.. თუ დეკანოზ ტ. ი. ბუტკევიჩს სურს, იცოდეს, თუ როდის ხდებოდა დიდი რაოდენობის საეკლესიო მიწების გაყიდვა, მაშინ ვურჩევდი, მიემართა უფრო ნაცნობი პერიოდისათვის – ეგზარქოსობის დროისათვის (1843–1869 წწ.), როდესაც ნამდვილად, თითქმის კაპიკების ფასად, გაიყიდა საქართველოს ეკლესიის კუთვნილი მამულები“ („Некаторые писатели, недостаточно ознакомленные с древними грузинскими церковными установлениями, с их истинным духом и веками выработанными у нас бытовыми явлениями, неправильно понимают и изясняють смысл тех земельно-правовых иерарчи грузинской Церкви раздавали имения для обработки и пользования. Они сильно заблуждаются, считая указанный способ раздачи церковных имений за злоупотребление властью и расхищение церковнаго достояния. Если бы не берехливыя руки наших духовных иерархов, то грузинская церков разве сохранила бы такое громадное каличество недвижимых имений к началу XIX века, не смотря на частыя разорения страны мусульманами… Если о. Прот. Буткевич желает знать точно время распродажи громадных и ценных именний Грузинской церкви, то советуем ему обратиться к более близкому нам

экзаршескому периоду (1843-1869), когда действительно почти за безценок были запроданы грузинския церковныя имения казне) (**Церковныя Ведомости №7, 1907: 210).** ალექსანდრე ცაგარელი კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს შეეხო. ქართველმა მეცნიერმა დააზუსტა ტ. ი. ბუტკევიჩის ბროშურაში მოტანილი ცნობები წმიდა ნინოს ჯვართან დაკავშირებით. არსებობდა უტყუარი ცნობა იმის შესახებ, რომ ქართველებმა პავლე I-ს გულითადად სთხოვეს, წმიდა ნინოს ჯვარი საქართველოში დაებრუნებინათ. მან კი ქართველ ელჩებს ურჩია, ამ თხოვნით ი. ა. ბაგრატიონისათვის მიემართათ, რადგან ჯვარი მასთან ინახებოდა. ასეც მოიქცნენ ქართველი ელჩები, რომლებსაც თავადი ჭავჭავაძე ხელმძღვანელობდათ. წმიდა ნინოს ჯვარი საქართველოში დაბრუნდა საკუთრების უფლებით **(Церковныя Ведомости №7, 1907: 210).** უსამღვდელოესმა კირიონმა აღნიშნა, რომ წმიდა ნინოს ჯვრის ისტორია დაწვრილებით იყო მოთხრობილი ქართულ და სომხურ წყაროებში: „ჩვენთვის ცნობილია, 318 წლიდან მოყოლებული თუ სად და რამდენი ხნის მანძილზე იყო წმიდა ნინოს ჯვარი. თუმცა ამ შემთხვევაში უნდა ვიცოდეთ, როდის წააბრძანეს ის რუსეთში და რა ვითარებაში იქნა ჯვარი დაბრუნებული საქართველოში. 1749 წელს მიტროპოლიტმა რომანმა, რომელიც ქართლის ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენელი და ერეკლე II-ის მომდურავი იყო, ანანურის ეკლესიიდან ჩუმად აიღო წმიდა ნინოს ჯვარი და მეფე ბაქარს გადასცა, რომელიც იმ დროს მოსკოვში იმყოფებოდა. იქიდან ჯვარი ნოვგოროდის გუბერნიის იმ მამულში გადაიტანეს, რომელიც ვახტანგ VI-ს ეკუთვნოდა. თეიმურაზ II, ერეკლე II, გიორგი XII და სასულიერო პირები ცრემლით შესთხოვდნენ ვახტანგ VI-ის შთამომავლებს, დაებრუნებინათ საქართველოსთვის ძვირფასი სიმდიდრე, მაგრამ ამაოდ. წმიდა ნინოს ჯვარი 52 წელი ინახებოდა ლისკოვში (Лысков). რუსეთთან საქართველოს ნებაყოფლობითი შეერთების შემდეგ (1801 წ.) საქართველოს მმართველად დანიშნული პეტრე კოვალენსკი თანაუგრძნობდა ივერიის ერს და მათი სიწმიდის დაბრუნების სურვილს. პეტრე კოვალენსკიმ 1801 წლის 8 ოქტომბერს სათხოვარი წერილით მიმართა იმპერატორ ალექსანდრე I-ს. კოვალენსკი იწერებოდა, რომ აუცილებელი იყო წმიდა ნინოს ჯვრის დაბრუნება საქართველოში. ვახტანგ VI-ის შვილიშვილმა, გიორგი ალექსანდრეს ძემ, 1801 წელს ჯვარი იმპერატორ ალექსანდრე I-თან მიაბრძანა და შემდეგი რესკრიპტი მიიღო: „თავადო გიორგი ალექსანდრეს ძევ!.. ვიცი, რამდენად ძვირფასი და წმიდაა ქართველებისათვის წმიდა ნინოს ჯვარი და ვიცი მათი

სურვილიც. ვიძლევი ჯვრის დაბრუნებისა და მისი დაბრძანების ნებართვას თბილისის საკათედრო ტაძარში...“ აი, ეს არის მოკლე, მაგრამ ნამდვილი ამბავი, რომელიც უტყუარ დოკუმენტებზეა დაფუძნებული. საინტერესოა, რომელ წყაროებში იპოვა ცნობა დეკანოზმა ტ. ი. ბუტკევიჩმა ქართველების მიერ წმიდა ნინოს ჯვრის გაყიდვის თაობაზე“? **(Церковныя Ведомости №7, 1907: 211).**

ეპისკოპოსმა კირიონმა განაგრძო საუბარი დეკანოზ ტ. ი. ბუტკევიჩის მოხსენებაში არსებულ მთელ რიგ უზუსტობებზე. სხდომის თავმჯდომარემ მიიჩნია, რომ ქართველი ეპისკოპოსი ძალიან წვრილმან დეტალებზე საუბრობდა და ამიტომ ძირითადი საკითხის განხილვას შორდებოდა. საუბარი იყო ი. ი. სოკოლოვის მოხსენების თაობაზე და არა დეკანოზ ტ. ი. ბუტკევიჩის ბროშურის გამო.

უსამღვდელოესმა თავმჯდომარემ სხდომაზე შესვენება გამოაცხადა. შესვენების შემდეგ რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირს უსამღვდელოესი ანტონი (ვოლინის არქიეპისკოპოსი) და დეკანოზი ი. ი. სოკოლოვი გამოაკლდნენ. სხდომის გახსნის შემდეგ ეპისკოპოსმა ნიკანდრმა საუბარი დეკანოზ ტ. ი. ბუტკევიჩის მოხსენების შესახებ შეწყვეტილად გამოაცხადა. სოხუმის ეპისკოპოსს კირიონს კი მთელი რიგი უზუსტობების გამორკვევა სურდა. სხდომაზე მყოფი რუსი სასულიერო და საერო პირების აზრი ორად გაიყო. ნაწილი ითხოვდა, რომ ქართველი მღვდელმთავრისათვის შენიშვნების გამოთქმის საშუალება მიეცათ. პროფესორ ა. ი. ალმაზოვის აზრით, ეპისკოპოს კირიონის თხოვნა საქმეს არ ეხებოდა. რუსი მეცნიერის სიტყვებმა ნიკო მარი აიძულა, სხდომა დაეტოვებინა: „არაერთხელ მოვისმინე, რომ ჩემს მოხსენებას საქმესთან არავითარი შეხება არ ჰქონდა. თუ ეს ასეა, აქ ზედმეტი ვარ და მივდივარ“ („Я неоднократно слышу заявления, что мои доклады не имеют отношения к делу. Поэтаму я здесь – лишний. Я удаляюсь)” **(Церковныя Ведомости №7, 1907: 212).** ასე დატოვა განაწყენებულმა ქართველმა მეცნიერმა რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის 1906 წლის 8 დეკემბრის სხდომა. რუსმა მეცნიერებმა ეპისკოპოს კირიონის თხოვნის დაკმაყოფილების საკითხი კენჭისყრაზე დააყენეს. მისი შედეგების თანახმად, ორი ხმის უპირატესობით (9 ხმა 7 ხმის წინააღმდეგ), ქართველ მღვდელმთავარს სხდომაზე გამოსვლის უფლება მისცეს **(Церковныя Ведомости №7, 1907: 213).** უსამღვდელოესმა თავმჯდომარემ დღის წესრიგის დაცვა ითხოვა. სიტყვა დეკანოზ ნ. ნ. გლუბოკოვსკის ეკუთვნოდა. რუსმა მეცნიერმა სხდომაზე მყოფთ შეახსენა, რომ წვრილმან დეტალებზე

კამათით გადასაწყვეტ საკითხს კიდევ უფრო შორდებოდნენ და რომ, პირველ რიგში, ამ საკითხის განხილვა საეკლესიო წყაროების შედარებით უნდა დაეწყოთ **(Церковныя Ведомости №7, 1907: 217).** ნ. ნ. გლუბოკოვსკიმ სხდომაზე წაიკითხა პროფესორ ვ. ვ. ბოლოტოვის შეფასება, რომელიც გ. გამრეკელის საკანდიდატო შრომას „საქართველოს ეკლესიის უძველესი ისტორია“ ეხებოდა. მასში ვკითხულობთ: „ახლო წარსულში სომეხი ისტორიკოსებისა და, კერძოდ, მოვსეს ხორენაცის შრომები სრული ნდობით სარგებლობდა სხვადასხვა მკვლევართან. მოვსეს ხორენაცის ცნობები დაადასტურეს ბერძენ-რომაელი მწერლების ისეთმა ცნობებმა, რომელთა ჭეშმარიტებაშიც ეჭვს ვერავინ შეიტანდა. მაგრამ პროფესორ ალფრედ ფონგუტშმიდტის ისტორიულმა ალღომ ამ უკანასკნელს უკარნახა, რომ ყველასათვის „მისაბაძად“ გამხდარმა ხორენაცმა თავის დაწერილ ისტორიაში ძალიან ბევრი სიცრუე თქვა. ამის შემდეგ ფონგუტშმიდტმა დაასკვნა, რომ „მოვსეს ხორენაცის ნიღბის ქვეშ“ ვიღაც სომეხი ისტორიკოსი წერდა, რომელიც 634-642 წლებში ცხოვრობდა, რის შემდეგაც სომეხი მწერლის დიდება შეილახა. მაგრამ განა შეიძლება ითქვას, რომ ქართულ საისტორიო ძეგლებში დაცული ცნობები ჭეშმარიტებას შეესაბამება? ასე, მაგალითად, სპარსი სასანიდი მეფეების დედაქალაქად „ქართლის ცხოვრებაში“ ბაღდადია მოხსენიებული. „მოქცევაი ქართლისაიც“ სრულიად იზიარებს „ქართლის ცხოვრების“ ცნობას, თუმცა ცნობილია, რომ ბაღდადის შენება მხოლოდ 762 წელს დაიწყეს. მაშასადამე, ორივე ქართული ძეგლი წინ უსწრებს იმ ჩანაწერებს, რომლებიც XVIII საუკუნის მიწურულსაა შედგენილი. ამის შემდეგ სავსებით გასაგებია, რომ ქართული ძეგლების ისტორიული ფასეულობების დამცველები იძულებულნი არიან დაამტკიცონ, რომ რედაქტორმა თავისი უადგილო განმარტებით ჩრდილი მიაყენა „ქართლის ცხოვრებასა“ და მსგავსი ძეგლების უტყუარობის საკითხს. რა თქმა უნდა, იგი ცხოვრობდა 762 წლის შემდეგ, მაგრამ ხელთ ჰქონდა უძველესი ჩანაწერები... ქართული ცნობების უტყუარობის დამცველები ვალდებულნი არიან, წარმოადგინონ მტკიცებულებები, რომ, მიუხედავად „ბაღდადისა“, რომელიც ისტორიასთან შეუსაბამოდ ქართული ძეგლის ფურცლებზე გვხვდება, „ქართლის ცხოვრებასა“ და „მოქცევაი ქართლისაიში“ საქართველოს ისტორიის ფაქტები მოცემულია მართებულად და, რომ მგავსი უხეში ანაქრონიზმი შემდეგში აღარ გვხვდება. თუმცა მსგავსი მტკიცებულებების გადმოცემა არცთუ ისე იოლი საქმეა.

პირველ რიგში, ქართული ისტორიული ძეგლები, როგორც ჩვენთვის ცნობილია, საუკუნის მოვლენებზე საუბრისას თვეების დასახელების დროს იყენებს მხოლოდ რომაულ სახელებს. სხვათა შორის, საქართველოს მეზობელ ქვეყნებში – სომხეთსა და კაბადოკიაში სპარსული ტიპის კალენდარი არსებობდა... სავარაუდო იყო, რომ საქართველოში, არმაზის კულტის თაყვანისმცემელ ქვეყანაში, შემოღებული ყოფილიყო სპარსული კალენდარიც, მაგრამ თუკი უგულებელვყოფთ ამ მოსაზრებას, არ უნდა დავივიწყოთ, რომ IV-V საუკუნეებში თარიღები თვით კონსტანტინოპოლშიც რომაული კალენდრით აღინიშნებოდა, რომელსაც კანცელარიებშიც კი ძლივს იგებდნენ. ჩვეულებრივ, განათლებული ხალხისათვის თვეების რომაული დასახელება მაკედონურ ენაზე ითარგმნებოდა. თითქოს დაუჯერებელიცაა, რომ საქართველოს, რომელსაც კავშირი ჰქონდა ბერძნულ და რომაულ (ლათინურ) კულტურასთან, IV საუკუნეში უკვე გააჩნდა რომაული მზის კალენდარი და, ამასთანავე, თვეების რომაული და არა მაკედონური დასახელება.

მეორე მხრივ, როცა ქ. შ. 65 წელს პომპეუსმა მითრიდატესთან ომის დროს იბერიელთა მეფე დაამარცხა, ბერძენ-რომაელი მწერლები დროდადრო იხსენიებდნენ იბერთა სამეფოს და მათვე შემოგვინახეს იბერიის 12 მეფის სახელიც (ρνάβ ζος, Μιθρι ά ης, ρ μάνης, Μιθρι ά ης, Β ιλέως...). თავის მხრივ, არც რომაელ იმპერატორებს აინტერესებდათ იბერიასთან ურთიერთობა და, შესაბამისად, ეს საკითხიც არასოდეს განიხილებოდა. გამარჯვებული იმპერატორების - დიოკლეტიანესა და გალერიუსის მოთხოვნით, დამარცხებული სპარსეთის შაჰი ნერსე უნდა დასთანხმებოდა მათ შორის დადებული ზავის (298 წლის ნისიბინის ზავი) მიხედვით დამატებითი პუნქტის არსებობას, რომლის თანახმადაც, ქართლის მეფეს ხელისუფლების დამადასტურებელი სამეფო ნიშნები რომაელთაგან უნდა მიეღო. დიდი ხნის შემდეგ, 365 წელს, რომაელთათვის არახელსაყრელი პირობებით დადებული ზავის დროსაც, სპარსელ ხელისუფალთ არ მიეცათ იმისი უფლებაც კი, რომ იბერიის მეფისათვის სამეფო ნიშნები გადაეცათ. „ქართლის ცხოვრება“ კი ყოველივე ამაზე რატომღაც დუმს... V საუკუნეში, 446 წლიდან 499 წლამდე, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, საქართველოში ვახტანგ გორგასალი მეფობდა. ამ ეპოქის ფონზე ეს მოარული ზღაპარი ნათელს ჰფენდა ისტორიას. თვითონ ვახტანგ გორგასლის პიროვნება ლეგენდარულია. მის ცხოვრებაში ყველაფერი ლეგენდით არის მოსილი: ლეგენდარულია მისი ნახევრად თათრული

სახელი, ლეგენდარულია მისი სახელოვანი ომები (ინდოეთშიც კი), რომელთა წარმოებისათვის ისტორიაში არანაირი მიზეზი არ ყოფილა და საერთოდ ასეთი ომები არც ყოფილა; ლეგენდარულია მისი ტრიუმფალური სვლა იერუსალიმის მოსალოცად, სადაც მას დიდებული ამალა ჩაჰყვა; ლეგენდარულია მისი თანამედროვე სპარსეთის შაჰი ხოსრო. VI საუკუნის პირველ მეოთხედში, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, საქართველოს ისტორიაში რაიმე მნიშვნელოვანი ფაქტი არ მომხდარა. 528 წლიდან იბერიაში მშვიდობიანად მეფობენ ვახტანგის ვაჟი დაჩი და შვილიშვილი ბაკური. სინამდვილეში კი ამ დროს იბერია ყოფნა-არყოფნის ზღვარზე იდგა. თავი რომ დაეხსნა კავადის ძალმომრეობისაგან და ქრისტიანული აღმსარებლობაც შეენარჩუნებინა, მეფე გურგენმა დაახლოებით 522 წელს თავისი სამეფო ბიზანტიის იმპერატორ იუსტინე I-ს დაუქვემდებარა, რაც „ქართლის ცხოვრებაში“ არ იხსენიება. მაგრამ, სანამ ბიზანტიელთა დამხმარე ძალა გამოჩნდებოდა, სპარსეთის ჯარი უკვე შემოსული იყო ბიზანტიის ტერიტორიაზე. „ქართლის ცხოვრება“ კვლავ დუმს იმავე გურგენზე, რომელმაც 571 წელს იბერია ჩამოაცილა სპარსეთს და ბიზანტიის მეფის იუსტინე II-ის ქვეშევრდომობაში შეიყვანა... ყველა ამ უზუსტობის გათვალისწინებით, შესაძლებელია კი, რომ ასეთი წერილობითი ძეგლი მივიჩნიოთ ისტორიულ წყაროდ? საქართველოს უძველესი პერიოდის მეცნიერულად დასაბუთებული ისტორიის დაწერისას „ქართლის ცხოვრებისა“ და მსგავსი ტიპის წყაროების გამოყენებისას უნდა ვიყოთ ძალიან ფრთხილები და არ უნდა ვენდოთ მათში დაცულ ცნობებს.

მაგრამ ზემონახსენები ძეგლები საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესწავლისათვის პირველწყაროებს წარმოადგენენ. მათში არა მარტო მეფეთა სახელებია დაცული, არამედ ეპისკოპოსებისა და შემდგომში იბერიის ეკლესიის კათოლიკოსთა სახელებიც. და თუკი ამ ძეგლებმა ქართველ მეფეთა სახელები სრულად არ შემოგვინახეს, სანდო იქნება მათში მოცემული ეპისკოპოსების სახელთა ჩამონათვალი? ბერძენი ავტორები არსად არ მოიხსენიებენ საქართველოს ერთი ეპისკოპოსის სახელსაც კი. აღნიშნულიდან გამომდინარე, „ქართლის ცხოვრების“ მიერ მოცემული საეკლესიო მოვლენების სიზუსტის შემოწმება ბიზანტიელი ისტორიკოსების შრომებთან შედარების გარეშე შეუძლებელია... „ქართლის ცხოვრებაში“ იბერიის ექვსი ეპისკოპოსია მოხსენიებული: იოანე, იობი, იაკობი, ილია, სიმონი, იოანე . სტატისტიკური შედარება თავისთავად ცხადყოფს იმ ფაქტს, რომ „ქართლის ცხოვრების“ სია მთლიანად

არაზუსტია. ასეთია, მაგალითად, მობიდანი, საქართველოს მეცხრე ეპისკოპოსი, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, წარმოშობით სპარსი იყო, უდიდესი ცოდვილი, რომელიც სხვის დასანახად მართლმადიდებლობდა.

სამწუხაროდ, ბატონი გამრეკელოვი წმიდა ნინოს ცხოვრების შეფასებისას არ იცნობდა სტატია „ გატჰანგელოს“-ს. „წმიდა ნინოს ცხოვრების“ სრული აღწერისას, შესაძლოა, აღინიშნოს შემდეგი:

ა) ამ ყველაფერს საფუძვლად უდევს იგივე ამბავი, რომელიც რუფინუსმა აღწერა „ბაკურის სიტყვაში“ („Bacurius, gentis ipsiusrex“), ბერძენი საეკლესიო ისტორიკოსები იმეორებენ და ისტორიულ სიმართლეს შეესაბამება.

ბ) სომხური მწერლობის გავლენის შედეგად ამ საფუძვლის არსი შედარებით რთულდება: რომ უბრალო ტყვე ქალი, წმ. რიფსიმეს ერთ-ერთი მიმდევართაგანი, საქართველოს განმანათლებლად არის მიჩნეული.

გ) კიდევ უფრო რთულდება საქმე, როცა რუფინუსთან ვეცნობით ლეგენდას ზაბილონის შესახებ, რომელიც საერთოდ შეუძლებელია, რომ ამ ამბავთან დაკავშირებულ ცნობად წარმოვიდგინოთ, რადგან იგი V საუკუნის ნახევრისათვის გამოჩნდა.

დ) დაბოლოს, გაუგებარია თხრობა იუდაური კოლონიის შესახებ, თითქოს, ოდესღაც, დიდი ხნის წინ, ებრაელები დასახლებულან საქართველოში.

ჩემი აზრით, იბერიის განმანათლებელი ტყვე იყო ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ მას სახელად ნინო ერქვა, ამის საწინააღმდეგოდ ჩვენ არაფერი ცნობა არ გაგვაჩნია. დასაშვებია ისიც, რომ „ნინო“ არის სახეცვლილი ფორმა სახელი „ნონა“-სი. ეს უკანასკნელი კი კაბადოკიაშიც ფართოდ იყო გავრცელებული. წმიდა ნინოს კაბადოკიური წარმოშობის საწინააღმდეგო ფაქტებს ვერაფერს ვხედავ. 1895 წლამდე რაიმე საფუძველი ეჭვისათვის არ არსებობდა, რომ მეფეს, რომლის დროსაც ქართველებმა ქრისტიანობა მიიღეს, მირიანი ერქვა. თუმცა 1895 წელს პეტრე იბერის სირიულმა „ცხოვრებამ“ შეარყია გაბატონებული მოსაზრება. პეტრე იბერი გადაჭრით ასაბუთებს, რომ მისი პაპა დედის მხრიდან „დიდებული ბაკური“ ქართველთა პირველი მეფე იყო, რომელმაც ქრისტიანობა აღიარა და თავისი ხალხი ღვთის მოშიშობასა და სიყვარულს აზიარა. ძნელი დასაშვებია, რომ თვითონ პეტრემ არ იცოდა, თუ რომელი მეფის დროს გაქრისტიანდა საქართველო, და რომ იგი ცრუობდა

თავისი პაპის შესახებ. თუკი სირიულ „ცხოვრებაში“ მოყვანილ გენეალოგიურ ხაზს თაობების მიხედვით გამოვთვლით, დავასკვნით, რომ დიდი ბაკური 333 წლისათვის „ძალ-ღონის გაფურჩქვნის“ წლებში უნდა ყოფილიყო. საქმე იქამდე მიდის, რომ ქრისტიანობა ქართველებმა ბაკურის დროს მიიღეს. სახელი ბაკური არშაკიდების დინასტიის წარმომადგენლებში ხშირად გვხვდება, სწორედ იმ დინასტიაში, რომელიც სპარსელ სასანიდებს ექვემდებარებოდა. დასაშვებია, რომ ქართული სამეფო გვარი (დინასტია), რომლის წარმომადგენელიც ბაკური იყო, წარმოშობით არშაკიდებისაგან მოდიოდა, ანდა თავისი პოლიტიკური ტრადიციებით თანაუგრძობდა მათ. სპარსელთა გავლენამ საქართველო იქამდე მიიყვანა, რომ ბაკურის გარდაცვალების შემდეგ სამეფო გვირგვინი გადაეცა მირვანს-მირიანს, რომელიც სხვა მოდგმისა იყო, პოლიტიკურად კი უფრო სასანიდებისაკენ იხრებოდა. „პეტრე იბერის ცხოვრებიდან“ არ ჩანს, რომ ბაკურის მემკვიდრე მისი ვაჟი იყო. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, მირიანი იყო პირველი ხოსროიანიც და სასანიდიც, რომელმაც სამეფო ტახტი დაიკავა, მაგრამ ბაკური, რომლისგანაც ნამდვილად მოისმინა რუფინუსმა ქართლის გაქრისტიანების ამბავი, ნამდვილად იყო ამ ხალხის მეფე. 380 წლისათვის იგი ბიზანტიის სამეფო კარზეა და მათ ემსახურება. ყოველივე ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ერთ-ერთ სამეფო გვარს – ბაკურის სახლს - IV საუკუნის შუა ხანებში ჩამოერთვა მეფობის უფლება. ქრისტიანობის გამყარებასთან ერთად მირიანის მომხრეებმა მას სხვა დამსახურებებთან ერთად ტენდენციურად მიაწერეს საქართველოში ქრისტიანობის შემომღების სახელიც. აქვე აღვნიშნავ ერთ მცირე დეტალსაც, რომელიც ასევე საინტერესოა. თუკი რუსები, თავისდა საუბედუროდ, დაუშვებდნენ და არ შეინახავდნენ „გარდასულ წელთა ამბავს“ და რუსეთში ქრისტიანობის გავრცელებაზე არსებული ყველა ცნობა დაიკარგებოდა, ის ფაქტი, რომ კიევსა და ნოვგოროდში კათედრალური ტაძრები ატარებდნენ წმიდა სოფიას სახელს, მკვლევრებს იმის საშუალებას აძლევდა, რომ ასეთ დასკვნამდე მისულიყვნენ: სახარების ნათელმა რუსეთში კონსტანტინეპოლიდან შემოაბიჯა, იმ ეპოქაში, როდესაც კონსტანტინოპოლის ეკლესიაში თაყვანს სცემდნენ წმიდა სოფიას. მცხეთის საკათედრო ტაძარი თორმეტი მოციქულის სახელს ატარებს. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ იგი ჯერ კიდევ იმ დროს დაფუძნდა, როცა კონსტანტინოპოლის ეკლესიაში თორმეტ მოციქულს სცემდნენ თაყვანს. წმიდა სოფიას ცოტა მოგვიანებით მიაქციეს ყურადღება. აქედან გამომდინარე, კონსტანტინეპოლის ეკლესიის უპირველეს

ტაძარსაც ამავე სახელით მოიხსენიებდნენ. ერთი რამ კი ცხადია, რომ ისეთი წყაროდან, როგორიც „ქართლის ცხოვრებაა“, იბერიის მოქცევის ზუსტი თარიღის განსაზღვრა ცოტა ნაადრევია.

ქართველები სარგებლობენ ორი ანბანით: საეკლესიო (ხუცური) და საერო (მხედრული) ანბანით, რომლებიც ერთმანეთისგან ცალკეული ასოების მოხაზულობით განსხვავდება. ეს სხვაობა მეტისმეტად დიდია. ბატონი გამრეკელოვიც იზიარებს ქართველი მეცნიერების იმ მოსაზრებას, რომ საქართველოში პირველად მხედრული ანბანი შემოიღეს, ხოლო ქრისტიანობის შემოღების შემდეგ - სასულიერო პირებმა, იმისათვის, რომ მოსახლეობა წარმართული ლიტერატურული ძეგლების კითხვისაგან ეხსნათ, ხმარებაში ხუცური ანბანი შემოიტანეს. ეს დაპირისპირება უძველეს ქართულ წარმართულ დამწერლობასთან უკანასკნელის სრული განადგურებით დამთავრდა. ამ ჰიპოთეზიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართული ანბანი მესროპის სომხურ ანბანზე უძველესია. აქედან გამომდინარე, საქართველოს ეკლესია არაფრით თვლის თავს ვალდებულად სომხურ ეკლესიასთან მიმართებაში. საქმის ამ სახით წარმოდგენა ნაკლებად დამაჯერებლად მეჩვენება: არსებული ანბანის წინააღმდეგ ბრძოლა და მისი შეცვლა ახლით ქართველებს შორის ქრისტიანობის გავრცელებისათვის ერთგვარ დაბრკოლებას წარმოადგენდა. ამ ჰიპოთეზას აქვს მეორე მხარეც. ქართველი პალეოგრაფების ავტორიტეტული შეხედულებით, მხოლოდ მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისში შეიმჩნევა მხედრულის ხუცურისაგან ჩამოყალიბების პირველი ნიშნები. უდავოა, რომ მხედრული ხუცურისგან განვითარდა, ისევე როგორც რუსული სამოქალაქო დამწერლობა საეკლესიო სლავურისაგან. ისტორიული კავშირი ქრისტიანობამდელ მხედრულსა და ამ მხედრულს შორის, რომელსაც დღეს ვიყენებთ, გაწყვეტილია. დასაშვებია, რომ ქრისტიანობამდელი მხედრულის არც ერთი ნიმუში არ არის შემორჩენილი. მაშასადამე, ჩვენთვის არაა ცნობილი, თუ რა სახის იყო უკვე გამქრალი მხედრული. ამიტომაც არანაირი საფუძველი არ არსებობს, რომ დავასკვნათ ხუცური დამწერლობის ქრისტიანობამდელი მხედრულისაგან ჩამოყალიბება. რაც შეეხება მეორე საკითხს, ქართული ანბანის დამოკიდებულებას სომხურთან, უნდა გამოითქვას შემდეგი მოსაზრებები:

1. ხუცური ანბანის შემქმნელები არ მოქმედებდნენ როგორც უბრალო გადამწერები (ასლის გადამღებები). მათ ბერძნულიდანაც კი გადმოიღეს ასოების მოხაზულობა;

2. ქართული ასოების დამთხვევა სომხურთან არც ისე უმნიშვნელოა ამ სადავო საკითხის გადაწყვეტის დროს“ **(Церковныя Ведомости №7, 1907: 214–221).**

ნ. ნ. გლუბოკოვსკიმ ვ. ვ. ბოლოტოვის ნაშრომს შემდეგი შენიშვნები დაურთო:

ა) ვ. ვ. ბოლოტოვი თავის გამოხმაურებაში პირდაპირ ამბობს: „ქართული ენა სავსებით არ მესმისო“. ამასთანავე, მისი მოსაზრებანი უდავოდ მნიშვნელოვანია და ბევრ რამეში ნ. მარის მოსაზრებებს ემთხვევა. ე. ი. სამეცნიერო მუშაობაში შეიძლება დიდ შედეგებსაც მიაღწიო მაშინაც კი, როცა სპეციალურად არ შეისწავლი ქართულ ენას. რა თქმა უნდა, თუკი ენა გეცოდინება, უფრო უკეთესი იქნება. ეს თავისთავად გამორიცხავდა იმ არადელიკატურ გამონათქვამებს, რომლებიც მეორე განყოფილების სხდომაზე გაჟღერდა ეპისკოპოს ლეონიდის სიტყვაში. აი, სადამდე მივედით. დაბეჯითებით გვდებენ ბრალს ზემოთქმულის შესახებ ისინიც კი, რომლებიც სპეციალურ მოხსენებაში უპირატესობას რუსულ გამოცემას ანიჭებენ“ **(Церковныя Ведомости №7, 1907: 221).** ნ. ნ. გლუბოკოვსკის მოსაზრებას უსამღვდელოესი კირიონი გამოეხმაურა. მან აღნიშნა, რომ წაკითხული ჰქონდა ჯანაშვილის ნაშრომი და იქ ვერაფერი ნახა ისეთი, რაც „ქართლის ცხოვრების“ ღირსებას შელახავდა. ქართველი მღვდელმთავარი თვლიდა, რომ პროფესორი ბოლოტოვი საქართველოს ისტორიის საკითხებთან დაკავშირებით მთლიანად პატკანოვის მოსაზრებებს ეყრდნობოდა, განსაკუთრებით კი წმიდა ნინოს ცხოვრებასთან დაკავშირებით. ბოლოტოვი თვლიდა, რომ სახელი ნინო დამახინჯებული ფორმა იყო რომაული სახელი ნონასი. უსამღვდელოესი კირიონის აზრით კი, „ნინო“ უძველესი ქართული წარმართული ღვთაება „ურ-ნინოს“ სახელი იყო. ეპისკოპოსი კირიონი ქართველებსა და ქალდეაში მცხოვრებთა ურთიერთობასაც შეეხო. ქართველი მღვდელმთავარი თვლიდა, რომ ეს ურთიერთობა დიდი ხნის წინ არსებობდა, რაც წმიდა ნინოს ცხოვრებაშიც აისახა. სწორედ აქ შემთხვევით არ იყო ნახსენები ქალდეველთა ღვთაების ითრუჯანის სახელი. ქართველი ეპისკოპოსი წერს: „წმიდა ნინოსადმი მიმართული მირიან მეფის სიტყვა: „მითხარი, რომელი ღვთაებრივი ძალით კურნავ შენ ყოველგვარ სნეულებას? იქნებ ჩვენი ღმერთების – არმაზისა და ზადენის შვილიცა ხარ, რომლებიც სახელგანთქმულნი

არიან მთელ ქვეყანაზე?“ – ეს ხომ არ მიუთითებს ქართული უძველესი წარმართული ღვთაებების პანთეონის არსებობაზე, სადაც უნდა ვეძებოთ ჩვენი წმიდანების სახელების წარმოშობის საფუძველი... ქალდეაში ჩატარებულმა გათხრებმა, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს უძველესი ისტორიისათვის, გვიჩვენა, რომ ჩვენი წინაპარი ქალდეველები შემდეგ ღვთაებებს სცემდნენ თაყვანს: **ურ-ნინოს, ურ-ბაუს, ურ-რაბის.** ცხადია, რომ **ურ-რაბი, ნინო** და **ბაუ** ღვთაებათა სახელები ყოფილა“ („И слова царя Мириана, обращенныя к св. Нине «скажи, какою божественною силою исцеляешь ты всякия недуги? Не дочьли ты богов наших, Армаза или Задена, прославенных во всем мире?... не указывают-ли на древний пантеон язычников-грузин, в котором следует искать основания для определения происхождения имени нашей просветительницы... Раскопки в Халдее, имеющия громадное значение для начальной истории Kзартвел (грузин) показывают, что у наших предков Kзалдов ятились божества: Ур-Нина, Ур-Бау. Ур-раб и Нина и Бау название божеств) ’ **(Церковныя Ведомости №7, 1907: 221).** უსამღვდელოესი კირიონის ამ მოსაზრებამ პოლემიკა გამოიწვია რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების სხდომაზე. ცხადი იყო, რომ რუსი მეცნიერები ბოლოტოვის მოსაზრების დასაცავად გამოვიდოდნენ. საკამათოდ იქცა წმიდა ნინოს სახელის წარმომავლობის საკითხი. განსაკუთრებით კი ა. ი. ბრილიანტოვი და ნ. ნ. გლუბოკოვსკი აქტიურობდნენ **(Церковныя Ведомости №7, 1907: 222).** პოლემიკაში კვლავ ეპისკოპოსი კირიონი ჩაერთო. მან აღნიშნა, რომ ბოლოტოვის მოსაზრებას ქართული ხელნაწერების თაობაზე საქართველოს ეკლესიის საკითხთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. ქართველმა მღვდელმთავარმა არ დამალა ისიც, რომ ბოლოტოვის მოხსენებაში საქართველოს ეკლესიის შესახებ მოყვანილი ცნობები არ შეეფერებოდა სინამდვილეს. ამიტომაც მისი მსჯელობები საქართველოს ეკლესიის თაობაზე არ შეიძლებოდა სიმართლედ მიჩნეულიყო **(Церковныя Ведомости №7, 1907: 222).** უსამღვდელოესმა თავმჯდომარემ კამათი ამ საკითხთან დაკავშირებით შეწყვეტილად გამოაცხდა და სიტყვა გადასცა ი. ს. პალმოვს, რომელმაც რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე წაიკითხა მოხსენება, სლავთა მართლმადიდებელი ეკლესიისა და მისი ავტოკეფალიის შესახებ. ავტორი შეეცადა, გარკვეული ანალოგიები წარმოედგინა სლავურ-კონსტანტინოპოლის ეკლესიასა და რუსეთ-საქართველოს ეკლესიებს შორის **(Церковныя Ведомости №7, 1907: 223).** უდავო იყო ის, რომ ეს საკითხიც პოლემიკას გამოიწვევდა. ალექსანდრე ცაგარელმა უკომენტაროდ არ დატოვა რუსი მეცნიერის ეს

მცდელობა და აღნიშნა: „არ ვედავები ი. ს. პალმოვს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ არ არსებობს სრული ანალოგია სლავურ ეკლესიასა და კონსტანტინოპოლის ეკლესიის ურთიერთობაში, ისევე როგორც რუსეთის ეკლესიასა და საქართველოს ეკლესიის ურთიერთობაში. სლავურმა ეკლესიამ აღმოსავლური ბერძნული ეკლესიისგან მიიღო საწყისი და დიდხანს იყო მასზე დამოკიდებული. ქართველებს კი სხვა ურთიერთობა ჰქონდათ რუსეთის ეკლესიასთან და არც მისგან მიუღია საქართველოს ქრისტიანობა. ისინი უკვე მოსულები იყვნენ მეცხრე ჟამზე, როდესაც რუსეთის ეკლესიას, მოსულს მეთერთმეტე ჟამზე, შეხვდნენ, როგორც უფროსები. საქართველოსა და რუსეთის ეკლესიებს შორის უნდა იყოს ძმური დამოკიდებულება“ **(Церковныя Ведомости №7, 1907: 223).** პროფესორი ი. ს. პალმოვი თავისი ნათქვამის გამართლებას შეეცადა. მან აღნიშნა, რომ სხვა ეკლესიის ისტორიის ფონზე შესაძლებელი იყო იმ ისტორიული პერიპეტიების დანახვა, რაც ავტოკეფალიის მინიჭებისათვის იყო საჭირო. რუსი მეცნიერის აზრით, ისტორია, როგორც წარსულის მასწავლებელი, ორგანულ კავშირში იყო აწმყოსთან. მან არამართებულად მიიჩნია ა. ა. ცაგარელის მითითება იმის შესახებ, რომ საქართველოს ეკლესიას მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნია, რადგან თვლიდა, რომ ისტორიაში უამრავი მაგალითი იყო იმისა, თუ როგორ მოიცვა შედარებით ახალგაზრდა მართლმადიდებელმა ეკლესიამ თავის ტერიტორიაზე არსებული უძველესი ადგილობრივი ეკლესია **(Церковныя Ведомости №7, 1907: 224).** აღნიშნულ საკითხს შედარებით ვრცლად გამოეხმაურა რუსი მეცნიერი თ. ი. ტიტოვი: „ვფიქრობ, შედარებითი მეთოდი მიზანშეწონილი და მოსახერხებელია იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც ჩვენ წინაშე დგას. ჩვენ გვეკითხებიან: შესაძლებელია თუ არა, რომ საქართველოს საეგზარქოსოს მიენიჭოს ავტოკეფალია და თუ შესაძლებელია, რა პირობებში? მაშინ როგორ არ უნდა ვკითხოთ ისტორიკოსებს იმის შესახებ, იყო თუ არა წარმოდგენილი ასეთი ფაქტები სხვა მართლმადიდებელ ეკლესიების ცხოვრებაში და თუ იყო, რა გზით ხდებოდა მათი გადაწყვეტა. პროფესორმა ი. ს. პალმოვმა დაასახელა რამდენიმე მაგალითი სლავთა მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიიდან, თუ როგორ მიენიჭათ ამ ეკლესიებს ავტოკეფალია. უარყოფენ იმ ფაქტს, რომ რუსეთისა და საქართველოს ეკლესიებს შორის ისეთივე დამოკიდებულება იყო, როგორიც ბერძნულ და სლავურ ეკლესიებს შორის. ბერძნულ და სლავურ ეკლესიებს შორის ისეთივე დამოკიდებულება იყო, როგორც სულიერ დედასა და სულიერ შვილს შორის.

საქართველოს ეკლესიასთან მიმართებით კი საქმე სულ სხვაგვარადაა, რადგან საქართველოს ეკლესია უძველესია რუსეთის ეკლესიასთან შედარებით. არ ვაპირებ იმის განხილვას, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს წლებისა და ათწლეულების სიმრავლეს ავტოკეფალიის საქმეში. სასურველია, რომ ავტოკეფალიის ბუნება ამ მხრივ გამორკვეული იყოს სპეციალისტ კანონისტების მიერ. ი. ს. პალმოვის მიერ ჩამოთვლილ მაგალითებს შემიძლია დავამატო კიდევ ერთი მაგალითი რუსეთის ეკლესიის ისტორიიდან: ყველასთვის ცნობილია, რომ ავტოკეფალიის საკითხს ადგილი ჰქონდა ჩვენი ეკლესიის ისტორიაშიც. არსებობს აზრი, რომ რუსეთის ეკლესიამ, თავის წარმოქმნისთანავე, მიიღო ავტოკეფალური საეპისკოპოსოს არსებობის უფლება. ეს აზრი გაზიარებული იყო თითქმის ყველა რუსი ეკლესიის ისტორიკოს მკვლევრის მიერ. ცხადია, რომ რუსეთის ეკლესია ავტოკეფალური იყო უკვე დიდი ხნის წინ. უკვე წმიდა ვლადიმირის დროს და მის უახლეს მემკვიდრეებშიც ჩვენ რუსეთის ეკლესიის მწყემსთავარს მიტროპოლიტის ხარისხში მყოფს ვხედავთ, რომელიც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსა და უდიდეს პატრიარქს ექვემდებარებოდა. რუსეთის ეკლესიის მისწრაფება ავტოკეფალიის მოსაპოვებლად უკვე ძალიან ადრე გამოვლინდა. არ დავწვრილმანდები იმის გამო, თუ როგორ გახდა რუსეთის ეკლესია ავტოკეფალური. აღვნიშნავ მხოლოდ იმას, რომ რუსეთის ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვების სურვილი გენეტიკურად იყო დაკავშირებული რუსეთის პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების სურვილთან, ისევე როგორც რუსეთის ეკლესიის მცდელობა იყო დაკავშირებული ავტოკეფალიის გასამყარებლად რუსეთის სახელმწიფოს თანდათანობით გაძლიერებასთან და დამოუკიდებლობის მოპოვებასთან. XV საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთის ეკლესია უკვე ავტოკეფალურია, მაგრამ ფაქტობრივად და არა იურიდიულ-კანონიკურად. აქაც არ დავასახელებ იმ რთულ საკითხებს, რომლებიც რუსეთის ეკლესიის ავტოკეფალიას ეხებოდა. ყოველ შემთხვევაში რუსეთის ეკლესიაში შემორჩენილი არ იყო მსოფლიო საპატრიარქოს მიერ ბოძებული რუსეთის ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების დალოცვითი წერილი (ასეთი წერილი არც XVII საუკუნიდან შემორჩენილა), რის გარეშეც რუსეთის ეკლესიის ავტოკეფალია ვერ იქნებოდა იურიდიულად დაკანონებული. კანონიკურად ჩვენი ეკლესია ავტოკეფალური გახდა მხოლოდ XVII საუკუნის ბოლოს საპატრიარქოს დაარსებასთან ერთად. ჩვენივე ხალხის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ რუსეთის ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭების

საკითხის განხილვამ ძალზე მშვიდად და წყნარად ჩაიარა. უმთავრესი მოტივი, რის გამოც რუსეთის ეკლესიას ავტოკეფალია ეკუთვნოდა, იყო შემდეგი: 1. რუსეთსა და საბერძნეთის ეკლესიებს შორის საკმოდ გართულებული მუდმივი და უწყვეტი კავშირი, რასაც კიდევ უფრო ართულებდა ტერიტორიული სიშორე. ეს სიშორე უფრო საგრძნობი გახდა მას შემდეგ, რაც რუსებსა და ბერძნებს შორის თურქები ჩადგნენ. ამ მიზეზით ხანდახან ათეული წლებით შეწყდა რუსული სახელმწიფოსა და რუსეთის ეკლესიის ურთიერთობა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან. 2. როდესაც საუბარი რუსეთის ეკლესიის ავტოკეფალიას ეხებოდა, იქვე აღინიშნებოდა რუსეთის სახელმწიფოს დამოუკიდებლობა, როგორც ერთადერთი დამოუკიდებელი მართლმადიდებელი სახელმწიფოსი მსოფლიოში, ხოლო რუსეთის იმპერატორი (მეფე) – ერთადერთი დამცველი მართლმადიდებლობისა. 3. უხერხული იყო, რუსეთის ეკლესიას თავის პირველ იერარქად ჰყოლოდა ბერძენი წარმომავლობის პიროვნება. რუსეთის ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭების დროს უმთავრესი იყო მსოფლიოს კონტანტინოპოლის საპატრიარქოსა და აღმოსავლეთის პატრიარქების კურთხევა და თანხმობა. ყოველივე ზემოთ თქმულიდან დავასკვნით, რომ რუსეთის ეკლესიის ავტოკეფალიისათვის აუცილებელი იყო რუსი ხალხის პოლიტიკური დამოუკიდებლობა და რუსეთის ეკლესიის სიძლიერე თავისი დამოუკიდებელი მმართველობის გაფართოების დასამყარებლად. კანონიკური ავტოკეფალიის არსებობისათვის ძირითადი მოტივი იყო იმ პატრიარქის (საპატრიარქოს) თანხმობა, რომლის გამგებლობაშიც რუსეთის ეკლესია იმყოფებოდა, ასევე სხვა აღმოსავლეთის პატრიარქების თანხმობა და კურთხევა. სწორედ ეს ფაქტები უნდა გავითვალისწინოთ მაშინაც, როდესაც საქმე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს ეხება“**(Церковныя Ведомости №7, 1907: 224–226).**

ამ სიტყვებით დაასრულა პროფესორმა თ. ი. ტიტოვმა თავისი გამოსვლა. უსამღვდელოესმა კირიონმა რუსი მეცნიერის არც ეს გამოსვლა დატოვა უყურადღებოდ. ქართველი მღვდელმთავრი კარგად იცნობდა ბულგარეთის ეკლესიის ისტორიას და ვერ ხედავდა რაიმე ანალოგიას საქართველოს ეკლესიასა და რუსეთის ეკლესიის ურთიერთობაში. თავისი სიტყვების დასადასტურებლად ეპისკოპოსმა კირიონმა ბულგარეთის ეკლესიის თაობაზე მცირე მოხსენება წაიკითხა: „ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ მეოთხედში ბულგარეთში სრული წყვდიადი მეფობდა. ნაციონალური

თვითშეგნება ბულგარელებში ჩაკვდა. ბულგარელების ხელახლა გამოღვიძება მოხდა ლათინური პროპაგანდის დაწყებითა და პროტესტანტული მისიის ამოქმედებით. მათ ბულგარელებისათვის სასწავლო დაწესებულებები გახსნეს და ახალგაზრდებს პარიზსა და რომში აგზავნიდნენ სწავლის სრულყოფისათვის. ასე იწყებოდა ბულგარელების ნაციონალური გამოღვიძება. მათ, გარეგანი ბიძგის წყალობით, გაიხსენეს თავიანთი დიდებული წარსული და ეროვნული ეკლესიის ისტორიაც. ბულგარელებმა პატრიარქობის აღსადგენად პირველად რუსეთის ხელისუფლებას 1853 წელს მიმართეს. მათ მიერ ორქიდიის ავტოკეფალიის აღდგენას არავითარი კავშირი არ ჰქონდა მათ ეროვნულობასთან. სწორედ ამიტომ ავტოკეფალიის მოსაპოვებლად წამოყენებული არგუმენტები არასაკმარისი აღმოჩნდა. ორქიდიის საპატრიარქო ტახტმა, უფრო ზუსტად კი იუსტინიანე პირველის საპატრიარქო ტახტმა, ავტოკეფალია მიიღო მხოლოდ იმპერატორ იუსტინიანეს სურვილითა და თანხმობით. მსოფლიოს V საეკლესიო კრების საქმეებში არც ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი აღნიშნული საეპისკოპოსოს ავტოკეფალიის აღიარებაზე. საქმე სულ სხვაგვარად იყო. ცნობილია, რომ მსოფლიოს VI საეკლესიო კრებასაც კი არ უცვნია ამ კათედრის დამოუკიდებლობა. ჩამოთვლილ ავტოკეფალურ ეკლესიებს შორის არ იხსენიება ორქიდიის ეკლესია. როდესაც იმპერატორმა იუსტინიანემ დააარსა იუსტინიანე პირველის საეპისკოპოსო, ბულგარელი ხალხი ჯერ კიდევ არ სახლობდა ბულგარეთის ნახევარკუნძულზე. იუსტინიანეს გარდაცვალებიდან 100 წლის შემდეგ აქ ბულგარელთა პოლიტიკურმა ცხოვრებამ იწყო ჩამოყალიბება. ბულგარელები კი ამ დროისათვის კვლავ წარმართები იყვნენ, არ ითხოვდნენ არც ეკლესიასა და არც საეკლესიო იერარქიის არსებობას. პირიქით, მათ დაარბიეს იუსტინიანე I-ის საეპისკოპოსო კათედრა და მოსპეს მისი სამწყსო. მიუხედავად იმისა, რომ ორქიდიის საეპისკოპოსო კათედრას არ ჰქონდა საეკლესიო კრების მიერ მინიჭებული ავტოკეფალიის კანონიკური სანქცია, დე-ფაქტო ის მაინც დამოუკიდებელი იყო. არ შემიძლია დავეთანხმო ივანე სავიჩევს, თითქოს ორქიდიის საეპისკოპოსოს შეერთება კონსტანტინოპოლის ეკლესიასთან იძულებით მოხდა, იმდენად, რამდენადაც წერილობითი ძეგლები და ისტორიული ცნობები სხვა რამეზე მიუთითებს. ორქიდიის საეპისკოპოსო გაუქმდა, რადგანაც ის ვაჭრობის საგნად იქცა, მუდმივად ჰქონდა გადაუხდელი ვალები და ვერ ინარჩუნებდა მმართველობის კანონიკურ წესრიგს. ასეთ რთულ ვითარებაში მთავარეპისკოპოსმა არსენმა და ექვსმა

მიტროპოლიტმა მთელი ხალხის სახელით 1767 წელს მსოფლიო პატრიარქ სამუელს გადასცეს ავტოკეფალიის უარყოფის ცნობა და თხოვნა, რომ ორქიდიის საეპისკოპოსო თავის გამგებლობაში შეეყვანა. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსა და ბულგარელების ძმური დამოკიდებულების სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ იყო შემთხვევები, როდესაც სლავები იკავებდნენ მსოფლიო საპატრიარქო ტახტს, ხოლო მას შემდეგ, რაც საქართველოში ეგზარქოსობა შემოიღეს, არც ერთი ეგზარქოსი არ იყო ქართველი წარმომავლობისა, არც ერთ მათგანს არ ჰქონდა მიღებული მთავარეპისკოპოსის ტიტული“ **(Церковныя Ведомости №7, 1907: 226–227).** რუსი მეცნიერი ი. ს. პალმოვი შეეცადა უსამღვდელოესი კირიონის ცნობებში გარკვეული შესწორებების შეტანას. იგი თვლიდა, რომ ქართველი მღვდელმთავარი შეცდომაში იყო შეყვანილი. უსამღვდელოესი კირიონის შენიშვნა ეხებოდა მხოლოდ იუსტინიანე პირველის კათედრას, რომელიც იმპერატორ იუსტინიანეს დროს 535 წელს დაარსდა, ხოლო ორქიდიის საეპისკოპოსო კათედრა – X საუკუნის ბოლოს, როგორც ბულგარეთის სლავური საპატრიარქოს გაგრძელება. ამიტომაც, რუსი მეცნიერის აზრით, ლოგიკური იყო, რომ V და VI მსოფლიო საეკლესიო კრებებზე ამის თაობაზე არაფერი იყო ნათქვამი. ი. ს. პალმოვი მთავარეპისკოპოს არსენის ნაბიჯს არანებაყოფლობით ქმედებად მიიჩნევს. რუსი მეცნიერის აზრით, ეს გადაწყვეტილება თურქებისა და ბერძნების მხრიდან მუდმივმა ზეწოლამ განაპირობა. სლავების მიერ კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ტახტის დაკავების ფაქტს ი. ს. პალმოვი ასე ხსნის: „არ ვიცი არც ერთი ბულგარელი, რომელსაც ალექსანდრიის საპატრიარქო ტახტი ეკავა, მაგრამ ვიცი რამდენიმე შემთხვევა, როდესაც სლავებს (არ აქვს მნიშვნელობა, ბულგარელები იყვნენ ისინი თუ სერბები) ეკავათ და ახლაც უკავიათ ესა თუ ის კათედრები კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში. თვითონ სისტემა იყო ისეთი, რომ სლავური წარმომავლობის იერარქებს არ ჰქონდათ არანაირი როლი საპატრიარქოს მმართველობაში... ეპარქიებში კი, სადაც ქართველები სახლობდნენ, ეგზარქოსთა გარდა, ყველა მაღალსამღვდელო ქართველი იყო და არც ქართული ენა იდევნებოდა ეკლესიიდან“ („Я не знаю ни одного сознательнаго болгарина, который занимал патр. Александрийскую катедру, но знаю несколько случаев, когда славяне (безразлично, болгары или сербы) занимали, да и в настоящее время занимают те или другия архиерейския катедры в константинопольском патриархате. Но целая система была такова, что иерархи славянскаго происхождения не играли никакой роли в управлении патриархатом. В епархиях с грузинским населением, кроме экзархов, все архиереи были

грузины, священники грузины, да и грузинский язык не подвергался гонениям в церкви и пр.“)“ **(Церковныя Ведомости №7, 1907: 228).** აღნიშნულ საკითხზე პოლემიკამ ეპისკოპოსი კირიონი შემდეგ დასკვნამდე მიიყვანა: ი. ს. პალმოვი და რუსეთის საეკლესიო კრების მეორე განყოფილების სხდომაზე მყოფი პირები არასწორად აყენებდნენ განსახილველ საკითხს: საქმე ეხებოდა საქართველოს ეკლესიისათვის არა ავტოკეფალიის ბოძებას, არამედ მის აღდგენას **(Церковныя Ведомости №7, 1907: 228).**

რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის თავმჯდომარე ნიკანდრმა მადლიერება გამოხატა ი. ს. პალმოვის მიმართ, რადგან ის არ იყო სხდომის წევრი, მაგრამ მაინც თავის თავზე აიღო ვალდებულება და წარმოადგინა მოხსენება. დისკუსია რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის 8 დეკემბრის სხდომაზე აღარ გაგრძელებულა. სხდომა დაიხურა საღამოს 11 საათზე.

თავი IV. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის თაობაზე გადაწყვეტილების მომზადება და მიღება

1906 წლის 12 დეკემბერს მუშაობა განაგრძო რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილებამ (სექციამ), რომელსაც თავმჯდომარეობდა ლიტვისა და ვოლინის მთავარეპისკოპოსი, მაღალსამღვდელო **ნიკანდრი**. კრებას ესწრებოდნენ: უსამღვდელოესი **სტეფანე** - მოგილევის ეპისკოპოსი; დეკანოზები: **ი. ი. ვოსტორგოვი, ი. ი. კოალოვიჩი, ტ. ი. ბუტკევიჩი;** მღვდელი **ტ. ვ. კოზლოვსკი;** პროფესორიები: **თ. ი. ტიტოვი; ა. ი. ბრილიანტოვი, მ. ა. ოსტროუმოვი, ნ. ნ. გლუბოკოვსკი, ი. ი. სოკოლოვი, ა. ი. ალმაზოვი, ი. ს. ბერდნიკოვი, ი. ს. პალმოვი, ნ. ა. ზაოზერსკი, ნ. ი. ივანოვსკი.** სხდომის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ ასევე რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორის თანაშემწე **ა. პ. როგოვიჩი** და სინოდალური კანცელარიის მმართველი **ს. პ. გრიგორევსკი.** სხდომა გაგრძელდა საღამოს თერთმეტ საათამდე. ეს იყო ერთადერთი სხდომა, რომელსაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის განხილვისას არ ესწრებოდა არც ერთი ქართველი მღვდელმთავარი და მეცნიერი.

სხდომაზე მოისმინეს აშკარა ანტიქართული განწყობილების პროფესორის **ა. ი. ალმაზოვის** მოხსენება, რომელშიც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი კანონიკური კუთხით იყო განხილული **(Церковныя Ведомости №8, 1907: 224).** უსამღვდელოესმა **ნიკანდრმა** დამსწრეთ შესთავაზა ემსჯელათ ამ მოხსენების თაობაზე. პროფესორ **ნ. ა. ზაოზერსკი** არ იზიარებდა ა. ი. ალმაზოვის მოხსენებაში წარმოდგენილ დასკვნებს. პროფესორი ნ. ა. ზაოზერსკის მოხსენება ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა იმის გამო, რომ რუსი მეცნიერი აშკარად დაუპირისპირდა ანტიქართული განწყობილების რუს სასულიერო პირებსა და მეცნიერებს. ზემოაღნიშნულის გამო პროფესორ ნ. ა. ზაოზერსკის გამოსვლის ტექსტს თითქმის სრულად წარმოვადგენთ:

„ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის თაობაზე, როგორიც არის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, არ მაქვს უფლება, გამოვთქვა მხოლოდ ჩემი ისტორიული მოსაზრება, რომელსაც ექნება ისეთი ღირებულება, როგორსაც ეს მეტად საყურადღებო საკითხი მოითხოვს მისი კანონიკური თვალსაზრისით გაშუქებისათვის.

ჩემი მიზნიდან გამომდინარე, შევეცდები უპირველესად ის საეკლესიო კანონმდებლობა და საეკლესიო-ისტორიული პრაქტიკა მიმოვიხილო, რომელიც ამ საკითხის გადასაწყვეტად არის აუცილებელი. შემდგომში ამ მასალებს გამოვიყენებ იმ მოვლენების შესაფასებლად, რომლებიც საქართველოს ეკლესიის ისტორიისათვის არის დამახასიათებელი და უხვად არის მოყვანილი დეკანოზ **ტ. ი. ბუტკევიჩის, ნ. ი. მარის, ი. ი. სოკოლოვისა** და **ა. ა. ცაგარელის** მოხსენებებში.

მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც თავისი დამაარსებლის ჭეშმარიტებისა და სამოციქულო წერილის ერთგული მცველია, ერთობ შემწყნარებლურად ეპყრობა ეკლესიის ცალკეული ნაწილების თავისუფალ ქმედებებს, კერძოდ, ავტოკეფალიის მქონე ეკლესიების მოღვაწეობას, კიცხავს ერთის მეორეზე ბატონობას, ისევე როგორც საერო ხელისუფლების ქედმაღლობას.

„სხვადასხვა ადგილობრივი ეკლესიების დამოუკიდებლობას, – ამბობს უსამღვდელოესი ნიკოდომოსი, - რომლებიც ქმნიან ერთიან მსოფლიო ეკლესიას, გააჩნია თავისი საფუძველი როგორც წმიდა წერილში, ასევე ყველაზე ადრინდელ საეკლესიო საკანონმდებლო აქტებში. ეკლესიის დამაარსებელმა თავის მოციქულებს მოუწოდა, ექადაგათ სახარება ყველა ერისათვის, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი წყობისა. მოციქულებმაც სხვადასხვა ქვეყანაში დააარსეს ეკლესიები, დაადგინეს მოძღვრები, რომლებსაც უფლება მისცეს, ადგილობრივი საზოგადოებრივი პირობებისათვის შეეთავსებინათ რელიგიური ურთიერთობები. და, ამრიგად, უკვე მოციქულთა სიცოცხლეშივე მოხდა რამდენიმე ეკლესიის დაარსება სრული დამოუკიდებელი მმართველობით. ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო საეკლესიო კრებები საკანონმდებლო თანმიმდევრობით ამტკიცებენ ადგილობრივი ეკლესიების კერძო უფლებებს, ტრადიციებსა და დამოუკიდებლობას. იგივე კრებები კანონებზე დაყრდნობით მიუთითებენ იმაზე, თუ რაში ვლინდება ადგილობრივი ეკლესიების დამოუკიდებლობა. კერძოდ: ა) ერთი ეკლესიის იერარქიული დამოუკიდებლობა მეორე ეკლესიისადმი (III მსოფლიო საეკლესიო კრების მე-8 კანონი); ბ) ერთი ეკლესიის იერარქიული უფლებები, უპირატესობა სხვებთან შედარებით (I მსოფლიო საეკლესიო კრების მე-7 კანონი და IV მსოფლიო საეკლესიო კრების 28-ე კანონი); გ) ადგილობრივი ეკლესიებისათვის დამახასიათებელია ტრადიციები და ადათ-წესები. თუმცა ადგილობრივ ეკლესიებს, აღიარების მიუხედავად, ნებას არ აძლევენ: ა) ჩამოაყალიბონ სარწმუნოებაში ახალი

სწავლებები, ანდა უგულებელყონ საერთო სწავლებები (III მსოფლიო საეკლესიო კრების მე-7 კანონი, ტრულის კრების 1-ლი კანონი); ბ) მმართველობისას უარი თქვან მსოფლიო ეკლესიის ძირითად კანონებზე (ტრულის კრების მე-2 კანონი, VII მსოფლიო საეკლესიო კრების 1-ლი კანონი); გ) შემოიტანონ რაიმე სიახლე სწავლებებში, რადგან, რაც დადგინდა მოციქულთა ხანიდან, ის ეკლესიამ საუკუნეთა განმავლობაში შემოინახა (ტრულის კრების მე-13, 28-ე, 29-ე, 32-ე, 55-ე, 56-ე, 81-ე კანონები); დ) დაარღვიონ დანარჩენი ეკლესიების მიმართ არსებული სულიერი ერთობა; ე) ხელყონ სხვა ეკლესიების უფლებები და ტრადიციები.

კერძოდ, უკვე არსებული ადგილობრივი ეკლესიებისათვის ავტოკეფალიის მინიჭებასა და ადგილობრივი ეკლესიიდან იმ ნაწილის გამოყოფას, რომელიც შეადგენს დამოუკიდებელ, თვითმმართველ ეკლესიას, კანონიკურ წეს-განგებასა და საეკლესიო-ისტორიულ პრაქტიკაში გააჩნია შემდეგი საფუძვლები:

ა) უძველესი ადათ-წესები;

ბ) ეროვნული და პოლიტიკური განცალკევებები.

კანონიკური კანონმდებლობით, უძველესი ადათ-წესები წარმოადგენენ ადგილობრივი ეკლესიების უპირატესობას, რომელთა ხელყოფაც, სხვა მეზობელი ადგილობრივი ეკლესიების მხრიდან, დაუშვებელია. აღსანიშნავია განწესებაც, რომელიც შემდეგ მონაცემებს მოიცავს:

ა) პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების მე-6 კანონი გადმოგვცემს: „ძველი წესი დაცული იყოს ეგვიპტეში, ლიბიასა და პენტაპოლისში, რათა მათზე ვრცელდებოდეს ალექსანდრიის ეპისკოპოსის ხელისუფლება. მსგავსი ტრადიცია არის რომის ეკლესიაში, ანტიოქიასა და სხვა ეპარქიებშიც (სამთავროებში), იქ დაცულია რომელიმე ეკლესიის უპირატესობა. მხოლოდ უძველესი ტრადიციების დაცვით უნდა მოხდეს აქ მოხსენიებული მღვდელმთავრების უპირატესობის შენარჩუნება. კანონში არ არის ნახსენები ის მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც პირდაპირ მიუთითებს ამ ეკლესიების მოციქულებრივ წარმოშობაზე. ამ კანონის მიხედვით, საკმარისია მხოლოდ უძველესი ადათ-წესები. სხვათა შორის, ეს უპირატესობაც მეტად მნიშვნელოვანია. ამავე საეკლესიო კრების მე-7 კანონი გვატყობინებს, რომ: „რადგან ჩვეულებით დამტკიცებული და უფლისაგან დადგენილია, რომ პატივი მიეგოს ელიის (იერუსალიმის) ეპისკოპოსს, ამიტომ ამ ქალაქს შეურყევლად ჰქონდეს მიტროპოლიტის პატივი“. ამ ტექსტში კანონის

არსი ერთობ გაუგებარია. ფაქტია, რომ მიტროპოლიტის ხარისხი (უფლებები) უნდა ჰქონდეს პალესტინის კესარიის ეპისკოპოსს, რომლის შემადგენლობაში შედის იერუსალიმის კათედრაც. მაგრამ ამ უკანასკნელის ეპისკოპოსმა კვლავაც უნდა შეინარჩუნოს ღირსების უპირატესობა. აქ ჩვეულებით დამტკიცებულმა და ზეციდან მოცემულმა ამ ადათ-წესმა უშუალოდ მსოფლიო საეკლესიო კრების განწესებაზეც კი იმოქმედა, გარკვეული უპირატესობაც კი მიიღო, როცა საქმე ეხებოდა მიტროპოლიტის ხელისუფლებას.

ამ კანონების ძალის უფრო ნათლად გარკვევისათვის, პირველ რიგში, ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ გარემოებას, თუ როგორი ენერგიულობით ეხებოდა და გამოთქვამდა თავის მოსაზრებებს ამ უძველესი ადათ-წესების შესახებ ორივე მსოფლიო საეკლესიო კრება. საქმე ის იყო, რომ ბერძნულ-რომაული იმპერიის ურთიერთშეთანხმებით მოხდა ადმინისტრაციული ოლქების ახალი გადანაწილება (პრეფექტურები, დიოცეზები და პროვინციები). ეს ყოველივე ადმინისტრაციული მმართველობის გაუმჯობესებისათვის მოხდა. თუმცა კი, პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, ხშირი იყო ადმინისტრაციულ ოლქებად დაყოფაც. ეს კი თანდათანობით ათანაბრებდა რომაელთა მიერ დაპყრობილი ხალხების ეთნოგრაფიულ განსხვავებებს. ორივე მსოფლიო საეკლესიო კრებას ჰქონდა მცდელობა, განეხორციელებინა ახალი ადმინისტრაციული დაყოფა საეკლესიო მმართველობისათვის. ნიკეის კრებამ დაადგინა ახალი პროვინციული ოლქი–**ეპარქია** მიტროპოლიტით სათავეში. მეორე მსოფლიო საეკლესიო კრებამ კი, თავის მხრივ, უფრო ვრცელი ოლქი შექმნა, რომელშიც რამდენიმე სამიტროპოლიტო–**დიოცეზი** შევიდა ეგზარქოსით სათავეში. აქვე აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით ეს ორივე მსოფლიო საეკლესიო კრება ძალზე ფრთხილად მოქმედებდა, რათა არანაირად არ მომხდარიყო იმ კათედრების უპირატესობის დარღვევა, რაც მათ დიდი ხნის წინ მოიპოვეს და თავიდანვე ფლობდნენ მას. ასე რომ, ზემონახსენები ბერძნულ-რომაული იმპერიის პოლიტიკური დაყოფა არასდროს ყოფილა საეკლესიო დაყოფასთან სრულ თანხვედრაში. ასეთი ფაქტი იშვიათად ხდებოდა,

მაგრამ მაშინაც კი ოდითგანვე არსებული თვითმმართველი ეკლესიები თავის უფლებებს ამ ახალი ცენტრალიზებული დაყოფის შემდეგაც ინარჩუნებდნენ. ორივე მსოფლიო საეკლესიო კრება გამოირჩეოდა ძველი ადათ-წესებისადმი ღირსეული მოპყრობით და სამომავლოდ ყველას შეახსენებდა, რომ: „დაცული ყოფილიყო ძველი ტრადიციები!“ მომდევნო საეკლესიო კრებებში მონაწილე მამები დიდი სიწმიდით იცავდნენ ამ მცნებებს.

ბ) ამ მიმართებით აღსანიშნავია მსოფლიო ეკლესიის კანონმდებლობის შემდეგი ცნობები. მესამე მსოფლიო საეკლესიო კრების მე-8 კანონში ვკითხულობთ: „კვიპროსელმა ეპისკოპოსებმა (**რიგინორი, ზენონი** და **ევაგრე**) ეფესოს კრებას წარუდგინეს სიტყვიერი და წერილობითი საჩივარი იმის თაობაზე, რომ კვიპროსზე ანტიოქიის ეპისკოპოსი ხელდასხმას ბედავდა, რაც საეკლესიო წესებსა და წმიდა მამათა კანონებს ეწინააღმდეგებოდა. მაშინ, როდესაც, საეკლესიო კრების განჩინების თანახმად, კვიპროსელ ეპისკოპოსებს თავად, დამოუკიდებლად უნდა ჰქონოდათ თავისივე ეპისკოპოსების ხელდასხმის უფლება. ეს წესი უცვლელად დაცული უნდა ყოფილიყო სხვა ოლქებსა და ეპარქიებში. საეკლესიო კანონი გვამცნობს:

„ნურც ერთი ეპისკოპოსი ნუ მიიტაცებს სხვა ეპარქიას, რომელიც თავდაპირველადვე და ძველთაგანვე მას არ ემორჩილებოდა და არ იყო მისი წინამორბედი ეპარქიის მმართველთა გამგებლობის ქვეშ, და თუკი ვინმე მიიტაცებს და იძულებით დაიმორჩილებს სხვა ეპარქიას, იგი გადაყენებული უნდა იქნეს, რათა არ მოხდეს მამათა კანონის დარღვევა და მღვდელმთავრებში თავი არ იჩინოს საერო მთავრობისმოყვარეობამ, ამპარტავნებამ და მედიდურობამ. ყველაზე მცირე, არ დავკარგოთ ის თავისუფლება, რომელიც თავისი სისხლით გვიბოძა უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ და რომელმაც ამ გზით იხსნა მთელი ადამიანების მოდგმა“. ამ კანონების განმარტებისას ბალსამონი ასე ხსნის ანტიოქიის ეპისკოპოსის მცდელობის მოტივებს: „რომის იმპერიიდან დიდი ანტიოქიის გამოყოფამდე რომაელი იმპერატორი აქ აგზავნიდა საკუთარ ხელისუფალს. თავის მხრივ კი ანტიოქიიდან კუნძულ კვიპროსზე იგზავნებოდა

სამხედრო მოხელე, როგორც იმპერატორისადმი დაქვემდებარებულ ქვეყანაში. ხოლო რაც შეეხება კვიპროსელ ეპისკოპოსებს, მათი ხელდასხმა (კურთხევა) და მართვა-გამგეობა ადგილზევე ხორციელდებოდა დამოუკიდებლად. როდესაც ანტიოქიის მაშინდელმა ეპისკოპოსმა განიზრახა, განეხორციელებინა ქიროტონია კვიპროსის ეკლესიებში იმ საბაბით, რომ ანტიოქიის მმართველი თავის სამხედრო მოხელეს აგზავნიდა კუნძულზე, როგორც მისადმი დაქვემდებარებულ ქვეყანაში, მაშინ კვიპროსელმა ეპისკოპოსებმა ყოველივე ეს ეფესოს საეკლესიო კრებას მოახსენეს. კრებამაც, თავის მხრივ, ამ საკითხს ყურადღება მიაქცია და მათი თანდასწრებით დაადგინა: კვიპროსზე ეპისკოპოსები, კანონისა და ყველა უძველესი ტრადიცის დაცვით, დამოუკიდებლად უნდა ხელდასხმულიყვნენ. ეს წესი ასევე დაცული უნდა ყოფილიყო სხვა ოლქებსა და ეპარქიებში".

ჩვენ ვხედავთ მოყვანილი კანონის ზუსტ განმარტებას და ამ კერძო შემთხვევაში პირველი და მეორე მსოფლიო საეკლესიო კრებების მიერ საეკლესიო დავის გადასაწყვეტად გამოყენებულ კანონებს: როდესაც ანტიოქიის ეპისკოპოსმა კვიპროსის ეკლესიის მიმართ გადაამეტა თავის უფლებებს, კვიპროსელმა ეპისკოპოსებმა მესამე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე თავისი ეკლესიის დამოუკიდებლობა დაიცვეს და ეს მხოლოდ ძველ წეს-ჩვეულებებზე დაყრდნობით შეძლეს. თავის მხრივ, მესამე მსოფლიო საეკლესიო კრებამაც აღიარა ეს ერთადერთი საშუალება სადავო საკითხის გადასაწყვეტად. მესამე მსოფლიო საეკლესიო კრებამ ერთხმად დაგმო ანტიოქიის ეპისკოპოსის ქმედების გამამართლებელი მოსაზრება, რომ იგი კვიპროსის მიმართ მხოლოდ სამოქალაქო უპირატესობას ფლობდა. ეს იყო იმ თავისუფლების ხელყოფა, რომელიც თვით უფალი იესო ქრისტესაგან ებოძა ხალხს.

მესამე მსოფლიო საეკლესიო კრებამ ყველას გასაგონად განაცხადა: ადგილობრივი ეკლესიების თვითმმართველობა, როგორც მართლმადიდებლობის ძირითადი პრინციპი, მომავალშიც უნდა იყოს აღიარებული და დაცული, და თითოეულმა ოლქმა და ეპარქიამ ზუსტად უნდა აღასრულოს ეს უძველესი წეს-ჩვეულებები.

ასე რომ, კვიპროსის ეკლესიამ დაიცვა თავისი დამოუკიდებლობა ძველი ტრადიციების საფუძველზე.

გ) არანაკლებ საყურადღებოა ერთი ადგილობრივი ეკლესიის დამოუკიდებლობის დაცვის ფაქტი მეორე ადგილობრივი ეკლესიისაგან, რომელიც პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების კანონებზე დაყრდნობით მოხდა. თუმცა ამ მოვლენის ამსახველ ფაქტებს სასამართლო საქმეების სახით ჩვენ ვხვდებით კართაგენის კრების მამების ეპისტოლეში რომის პაპის ცელესტინისადმი. დავა ორ ადგილობრივ ეკლესიას - კართაგენსა და რომს შორის წარმოიქმნა შემდეგი მიზეზით: „**აპიარი,** ერთ-ერთი ეპისკოპოსის მღვდელი, რომელიც კართაგენის ეკლესიას ექვემდებარებოდა, არ დაემორჩილა თავისი ეკლესიის განაჩენს და მფარველობისათვის რომის მიერ დადგენილ ეპისკოპოს **ზოსიმეს** მიმართა, რომელმაც ყურად იღო აპიარის თხოვნა და კრებაზე დელეგატები გააგზავნა – ეპისკოპოსი **ფავსტიანე** და მღვდელი **ფილიპე** - იმ მიზნით, რომ კართაგენის კრებას კვლავ გადაეხედა აპიარის საქმისათვის. კართაგენის კრების მამებმა ამჯერად დათმობა ამჯობინეს და რომის ეპისკოპოსის მოთხოვნა აღასრულეს: მისი დელეგატების თანდასწრებით ხელახლა გადაისინჯა აპიარის საქმე. საქმის განხილვისას აპიარმა აღიარა უმძიმესი დანაშაულებები, რის შემდეგაც მას კრებამ მღვდლობის უფლება საბოლოოდ ჩამოართვა. მართალია, კართაგენში შეკრებილმა მამებმა ეს ერთგვარი დათმობა დაუშვეს, მაგრამ, ამის მიუხედავად, მკაცრად და დაწვრილებით განიხილეს რომის ეპისკოპოსის მეორე მოთხოვნაც – გადასინჯულიყო ნიკეის კრების კანონები.

თუკი ჩვენ ვიკითხავთ, თუ რას ემყარებოდნენ კართაგენის კრების მამები, როცა ასე მტკიცედ იცავდნენ საკუთარ დამოუკიდებლობას, პასუხი მხოლოდ ერთია: ძველ ტრადიციებს! კართაგენის კრების მამების სიტყვებში აღსანიშნავია ეკლესიის ტრადიციების ეროვნულობის დასაბუთების მცდელობა, რომლის დაცვაც ყველას დაავალა (უანდერძა) ნიკეის კრებამ. მან თავის დროზე

გონივრულად და სამართლიანად აღიარა, რომ როგორი სახის საქმეებიც არ უნდა წამოიჭრას, ისინი უნდა განიხილონ და აღასრულონ ადგილებზე“.

ზემომოტანილი ისტორიული ექსკურსის შემდეგ პროფესორი ნ. ა. ზაოზერსკი უფრო კონკრეტულ საკითხებს ეხება:

„თუკი ადგილობრივი ეკლესიის ხანდაზმულობა უკვე არსებული ავტოკეფალიისათვის საკმარის კანონიკურ საფუძველს წარმოადგენს, მაშინ ადგილობრივი ეკლესიის გარკვეული ნაწილის ეროვნული ანუ პოლიტიკური გამოცალკევება უკვე ემსახურება ახლადჩამოყალიბებული ეკლესიის გამორჩეულობას. როგორც სლავური, ასევე ჩვენი, მშობლიური ეკლესიის ისტორია გვიდასტურებს, რომ ზუსტად ეს საფუძველი მოქმედებდა, როდესაც მათ ავტოკეფალურობას ადგენდნენ. როცა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მისიონერები სლავებს შორის ქრისტიანობას ავრცელებდნენ, მათ ყველგან (აქაც და იქაც) დააარსეს საეპისკოპოსო კათედრა, რომელიც, რა თქმა უნდა, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს შემადგენლობაში შევიდა და, თავის მხრივ, პატრიარქიც სრულ დაქვემდებარებაში ამყოფებდა მათ: აკურთხებდა და თუ საჭირო იყო, სჯიდა კიდეც. მაგრამ შემდეგ ეროვნულმა სიძლიერემ, ენითა და ზნე-ჩვეულებით უცხო, თავის სულიერ განმანათლებლებთან და წინამძღვრებთან მძიმე ურთიერთობამ, რა თქმა უნდა, მოამწიფა საეკლესიო თვითმმართველობის იდეა... კონსტანტინოპოლელი პატრიარქებიც ჯეროვნად აფასებდნენ ამ განზრახვის კანონიკურობას, რაც თვითმმართველი ეკლესიების ჩამოყალიბებას გულისხმობდა. თუმცაღა, თუკი ზოგჯერ, სინამდვილეში, არცთუ ისე იოლად თმობდნენ თავის საპატრიაქოს უფლებებს ამა თუ იმ ნაწილზე, ეს რაიმე კანონიკური პრინციპიდან კი არ მომდინარეობდა, არამედ უბრალოდ არ სურდათ თავიანთი მმართველობის დათმობა...

აი, ასეთია კანონიკური და საეკლესიო-ისტორიული საფუძვლები, რომლებიც აუცილებელია გავითვალისწინოთ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის განხილვისას“.

მოხსენების დასასრულს პროფესორმა ნ. ა. ზაოზერსკიმ უმთავრესი კითხვა დასვა და ამ კითხვაზე პასუხიც თვითონვე გასცა:

„კანონიკურია კი ამჟამინდელი მართლმადიდებელი ქართველების სწრაფვა საკუთარი ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვებისათვის?

საქმე გვაქვს არა ახალი ავტოკეფალური ეკლესიის დაარსებასთან, არამედ უძველესი დამოუკიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენასთან. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია არა ორი ან სამი, ყველაზე მცირე, შვიდი საუკუნის მანძილზეც კი იყო ავტოკეფალური, კათოლიკოსით სათავეში. მთელი ამ დროის განმავლობაში, ყველანაირი გამოცდის მიუხედავად, იგი თავგამოდებით იცავდა მართლმადიდებლურ აღმსარებლობას. საქართველოს სამოციქულო ეკლესია გამდიდრდა მშობლიურ ენაზე არსებული წმიდა წერილის, საღვთისმსახურო წიგნების, კანონიკური მწერლობის, წმიდათა ცხოვრების, ბიზანტიური მწერლობის უამრავი თარგმანების საშუალებით. საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ეროვნული ტრადიციები შეიმუშავა, რომლებიც საღვთისმსახურო წეს-ჩვეულებებს და შიდა მართვის წესებს ეხებოდა, გულმოდგინედ იცავდა თავისი სიწმიდეებისა და კეთილმსახურების გადმოცემებს, რისი მატარებელნიც მათი წმიდა მამები იყვნენ. ეს კი განსაკუთრებული საეკლესიო მდგომარეობაა, რომელიც ეროვნულ ზნე-ჩვეულებებზე დაყრდნობით ჩამოყალიბდა, რომლებიც, ჩვენი შეხედულებით, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის სასარგებლოდ კიდევ უფრო ძლიერ მეტყველებს, ვიდრე მისივე მრავალსაუკუნოვანი წარსული.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიას რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიასთან ასწლოვანი დაქვემდებარების მანძილზე სათავეში ეგზარქოსები ედგნენ. ეგზარქოსები წმიდად და თავგამოდებით ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას, ემსახურებოდნენ ენითა და ზნე-ჩვეულებით უცხო ხალხს. აქ არ შევეხებით და არ დავიწყებთ ეგზარქოსების ნაყოფიერი მსახურების შეფასებას, არამედ დავსვამთ უფრო მნიშვნელოვან კითხვებს: თვითონ თუ იყვნენ ეგზარქოსები კმაყოფილნი საკუთარი მოღვაწეობით? დაუახლოვდნენ თუ არა ისინი უცხოტომელ მრევლს? აქვე შეიძლება ამ კითხვის სხვა კუთხითაც დასმა: იყო კი კმაყოფილი ეგზარქოსების მრევლი მათი მოღვაწეობით? დადებითი პასუხის გაცემა ამ კითხვებზე მეტად რთულია, რადგან

თუკი საქმე კარგად მიდიოდა, მაშინ როგორ შეიძლება ავხსნათ ეგზარქოსების ასეთი ხშირი ცვლა და მათი ისევ რუსეთში დაბრუნება...

დაბოლოს, ქართველებისა და რუსების ეროვნული განსხვავებულობა მეტად ხელის შემშლელია იმისათვის, რომ 5-6 წლის განმავლობაში რუს ეპისკოპოსს შეძლებოდა ქართველ მრევლთან დაახლოება. საქართველოს ეკლესიის ასწლოვანი დამოკიდებულება რუსეთის ეკლესიისადმი არასოდეს დამთავრებულა თანხმობით. საეკლესიო მშვიდობის სახელით წარმატება მოჰყვებოდა შემდეგ ნაბიჯს – რუსეთის ეკლესიას უარი რომ ეთქვა დედობრივი მეურვეობის აღსრულებაზე საქართველოს ეკლესიის მიმართ, ამასთანავე, მისთვის დაებრუნებინა თვითმმართველობის უფლება, როგორსაც ფლობდნენ სხვა ადგილობრივი ეკლესიები და კანონიკურად სარგებლობდნენ მრავალი საუკუნის განმავლობაში...“ **(Церковныя Ведомости №8, 1907: 244–249).**

ასე დაასრულა თავისი სიტყვა რუსმა პროფესორმა ნ. ი. ზაოზერსკიმ. სხდომაზე მყოფთა აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით ორად გაიყო: პროფესორი **ა. ი. ალმაზოვი** პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების მე-6 და მე-7 კანონების დამოწმებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არამართებულად მიიჩნევდა, რადგანაც თვლიდა, რომ ამ კანონების ბერძნული ტექსტი სხვაგვარად იკითხებოდა **(Церковныя Ведомости №8, 1907: 249).** პროფესორმა ნ. ა. ზაოზერსკიმ სხდომაზე მყოფთ შეახსენა, რომ იგი საეკლესიო კანონებს მხოლოდ ბერძნულ ენაზე კითხულობდა, ამიტომ შეცდომა გამორიცხული იყო **(Церковныя Ведомости №8, 1907: 249).** პროფესორ ა. ი. ალმაზოვს სხვა შენიშვნებიც ჰქონდა კოლეგის მოხსენების მიმართ. კერძოდ, იგი თვლიდა, რომ ეკლესიაში ტრადიციებს ორ კატეგორიად ყოფდნენ, რაც მათი მოქმედების ხანგრძლივობით იყო გამოწვეული. პირველი კატეგორიის ტრადიციებს მიეკუთვნებოდა ის წეს-ჩვეულებები, რომლებიც ქრისტიანობასთან ერთად გაჩნდა, ხოლო მეორე კატეგორიას ისინი, რომლებიც შედარებით გვიან პერიოდში ჩამოყალიბდა. პროფესორი ა. ი. ალმაზოვი თვლიდა, რომ ნ. ა. ზაოზერსკის მიერ მსგავსი მაგალითის დასახელება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის გადაჭრის დროს არასწორი იყო, რადგან თავდაპირველი წეს-ჩეულებები საქართველოს ეკლესიას არ გააჩნდა. პროფესორ ა. ი. ალმაზოვის აზრით, არანაირი რელიგიურ-ზნეობრივი პრინციპი არ გააჩნდა იმ გადმოცემასაც, რომელიც საქართველოში ანდრია პირველწოდებულის შემოსვლას

ეხებოდა, რომლის დასაბუთებაც, რუსი მეცნიერის აზრით, არავის შეეძლო. ა. ი. ალმაზოვს მიაჩნდა, რომ ავტოკეფალიის მოპოვება ყოველთვის დამოკიდებული იყო მოსახლეობის პოლიტიკურ მზადყოფნაზე **(Церковныя Ведомости №8, 1907: 249).** რუსი მეცნიერების პოლემიკაში თავისი ანტიქართული განწყობილებით ცნობილი პროფესორი **ი. ს. პალმოვიც** ჩაერთო. მან აღნიშნა, რომ ავტოკეფალიის მინიჭებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პოლიტიკურ და ეთნოგრაფიულ პრინციპებსაც. აქედან პირველი, ე. ი. პოლიტიკური პრინციპი, ისტორიაში უფრო მეტად იყო მიღებული და გამართლებული **(Церковныя Ведомости №8, 1907: 249).** დისკუსიაში პროფესორმა **ი. ი. სოკოლოვმაც** მიიღო მონაწილეობა. ი. ი. სოკოლოვმა თავისი შეხედულება, თუ რატომ ვერ იქნებოდა საქართველოს ეკლესია ავტოკეფალური, ასე ჩამოაყალიბა:

„ სრულიად ვეთანხმები ა. ი. ალმაზოვს იმაში, რომ XI საუკუნემდე საქართველოს ეკლესია არ ფლობდა სრულ კანონიკურ ავტოკეფალიას. ეს ეკლესია IV საუკუნეში აღმოცენდა, ხოლო სრული ავტოკეფალია საბოლოოდ XI საუკუნეში მიიღო, რასაც ბალსამონიც ადასტურებს. ვერ დავეთანხმები ა. ი. ალმაზოვს იმაში, რომ თითქოს საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალია შემთხვევით მიიღო. ჩვენს კრებებზე დეტალურად დადასტურდა, რომ ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობა ყოველთვის წინ უძღვის ეკლესიის ავტოკეფალიას. საქართველოშიც ზუსტად ასე მოხდა. კანონიკური ავტოკეფალიის მინიჭებისთანავე (ე. ი. XI საუკუნეში) საქართველომ არა მარტო დიდ პოლიტიკურ ძლიერებას მიაღწია, არამედ ხელსაყრელი პირობები გაუჩნდა ეკლესიური ცხოვრებისათვის. ჯერ კიდევ IX საუკუნეში საქართველოს ეკლესიას თავისი წინამძღოლის თავისუფლად არჩევის უფლება ჰქონდა, ხოლო უკვე XI საუკუნეში საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარმა, კათოლიკოსმა, მიიღო დე ფაცტო მართვისა და სამართლის უმაღლესი უფლებები. იგი, ამასთანავე, თავმჯდომარეობდა საეკლესიო კრებებს. მისი ძალაუფლება ვრცელდებოდა ბევრ მღვდელმთავარზეც. უდავოა, დე ფაცტო საქართველოს ეკლესია ავტოკეფალური გაცილებით უფრო ადრე იყო, ვიდრე XI საუკუნეში თავის დამოუკიდებლობას კანონიკურად მიიღებდა. საქართველოს როგორც პოლიტიკური, ისე საეკლესიო მდგომარეობა გვიჩვენებს, რომ მისი ავტოკეფალურობა არ იყო შემთხვევითი. ამასთანავე, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, ჩემი აზრით, იყო სრული, მსგავსადვე სხვა ეკლესიების ავტოკეფალიისა... სხვათა შორის, ეს მტკიცდება XIV საუკუნეში ივერიის კათოლიკოსისადმი

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიმართვის ფორმულირებით. ბიზანტიელი მწერალი კოდინი გვამცნობს მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიების წინამძღოლების ტიტულატურებს, რომლებთანაც ბიზანტიის საპატრიარქოს, საეკლესიო საქმეებიდან გამომდინარე, ურთიერთობა ჰქონდა. მათ რიცხვში მითითებული იყო ივერიის ეკლესიის წინამძღოლიც, რომლის ტიტულიც, ბიზანტიური ტრადიციით, ოფიციალურად შემდეგი სახით არის წარმოდგენილი: „უნეტარესი მთავარეპისკოპოსი, სრულიად ივერიის კათოლიკოსი, სული წმიდით საყვარელი ძმა და თანამოღვაწე ჩვენი საქმისა". მიმაჩნია, რომ ავტოკეფალური ეკლესიების წინამძღოლებს შორის საქართველოს კათოლიკოსის მოხსენიება მის თანასწორ უფლებას ადასტურებს" **(Церковныя Ведомости №8, 1907: 249–250).**

ა. ი. ალმაზოვმა, რომელიც ამ სხდომაზე თავგამოდებით ებრძოდა ქართველ სამღვდელოებასა და მეცნიერებს, თავისი შეხედულება გამოთქვა კათოლიკოსის უფლებების შესახებ: „საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის წარმოშობასთან დაკავშირებით კვლავ ძველ შეხედულებაზე ვრჩები, ხოლო რაც შეეხება კათოლიკოსის უფლებათა გავრცელებას, ვიზიარებ ფორმალურ თვალსაზრისს... როდესაც ვსაუბრობ საქართველოს ეკლესიის არასრულ ავტოკეფალიაზე, აქ ვგულისხმობ იმას, რომ საქართველოს ეკლესიაში ანტიოქიის პატრიარქზე ლოცვა არასოდეს შეწყვეტილა. ეს კი ძალზე ბევრს ნიშნავს. ანტიოქიის პატრიარქის მორალურ-ზნეობრივი ავტორიტეტის აღიარება უკვე ადასტურებს საქართველოს ეკლესიის მასზე დამოკიდებულების ფაქტს. რაც შეეხება ტიტულის ფორმულირებას, ეს თავისთავად არაფერს ნიშნავს, ეს ჩვეულებრივი პატივისცემის გამოვლინებაა, რომელსაც სხვა მიმდინარეობის ეკლესიებშიც ვხვდებით" **(Церковныя Ведомости №8, 1907: 250).**

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საეკლესიო კრებაზე ცხარე პოლემიკა გაიმართა თვით რუს მეცნიერებს შორის. როგორც გამოირკვა, ვერც რუსი საეკლესიო იერარქები და მეცნიერები თანხმდებოდნენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის თაობაზე. თითოეულ მათგანს საკუთარი შეხედულება ჰქონდა და მათ ასაბუთებდნენ კიდეც. პროფესორ ა. ი. ალამაზოვის მოპასუხედ ი. ი. სოკოლოვი გამოვიდა, რომელიც შემდეგი კონტრარგუმენტებით წარდგა მეორე განყოფილების სხდომაზე:

„ჩემი აზრით, არ არსებობს საკმარისი ისტორიული საფუძველი იმის დასადასტურებლად, რომ საქართველოს ეკლესიაში ანტიოქიის პატრიარქზე ლოცვა

არასოდეს შეწყვეტილა. უდავოა, რომ ქართულ ტაძრებში ანტიოქიის პატრიარქის მოხსენიება ღვთისმსახურებისას ხდებოდა XI საუკუნის შემდეგაც. ამ მოვლენის საფუძველი კი იყო ანტიოქიაზე არა საქართველოს ეკლესიის კანონიკური დაქვემდებარება, არამედ კათოლიკოსებსა და პატრიარქებს შორის რწმენის ერთიანობა და ძმური ურთიერთკავშირის განმტკიცება. ამ მოვლენას, განსაკუთრებით აღმოსავლეთის ეკლესიებში, პრაქტიკულად, ჩვენთანაც კი აქვს ადგილი. იმას კი ერთსულოვნად ვეთანხმები, რომ საქართველოს ეკლესია აღიარებდა ანტიოქიის პატრიარქის მორალურ ავტორიტეტს. მაგრამ არც ეს ნიშნავს საქართველოს ეკლესიის კანონიკურ დაქვემდებარებას ანტიოქიის პატრიარქისადმი XI საუკუნის შემდეგ. ასე, მაგალითად, როგორც ბიზანტიურ ეპოქაში, ასევე ამჟამადაც კონსტანტინოპოლის პატრიარქი მართლმადიდებლურ აღმოსავლეთზე მორალური ავტორიტეტის უპირატესობით სარგებლობს. მას მრავალჯერ მიუღია მონაწილეობა ანტიოქიის, იერუსალიმისა და ალექსანდრიის პატრიარქების არჩევისას, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს აღმოსავლეთის ეკლესიების დამოკიდებულებას (დაქვემდებარებას) კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსადმი. სინამდვილეში კი ეს არის გაჭირვებისას აღმოჩენილი ძმური დახმარება და თანადგომა. მიმაჩნია, რომ XI საუკუნეში საქართველოს ეკლესიის ურთიერთობა ანტიოქიის პატრიარქთან იყო წმინდა მორალური, ყოველგვარი ფორმალური დამოკიდებულების გარეშე. დაბოლოს, ეკლესიათა წინამძღოლების ტიტულები, რომლებიც კოდინთანაა დასახელებული, მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიებს მიეკუთვნებიან, ამიტომაც მოცემულ შემთხვევაშიც არ შეიძლება საქართველოს ეკლესიის შედარება სხვა მიმდინარეობის ეკლესიებთან“ **(Церковныя Ведомости №8, 1907: 251).**

აღნიშნულმა საკითხმა რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე საკმაოდ მწვავე კამათი გამოიწვია. რუსი მეცნიერები და სასულიერო პირები საკუთარი შეხედულებების დაცვასა და დამკვიდრებას ცდილობდნენ. პროფესორმა **ა. ი. ბრილიანტოვმა** სცადა გაებათილებინა ქართველი ეპისკოპოსებისა და მეცნიერების არგუმენტები. მან თავისი მოსაზრება საკმაოდ ვრცლად წარმოადგინა: „ვფიქრობ, ზოგადად თანამედროვე საეკლესიო ცხოვრებაში საკითხების გადაწყვეტა არ შეიძლება ძალდატანებით... ისტორიისათვის აუცილებელია განმარტების მიცემა... უპირველეს ყოვლისა, საეკლესიო ცხოვრებაში წარმოქმნილი პრაქტიკული საკითხების გადაჭრისას,

აუცილებელია, ეკლესიის კეთილდღეობიდან გამომდინარე, ჩემი აზრით, ვიხელმძღვანელოთ ამა თუ იმ დადგენილებით. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შემთხვევაში, შესაძლებელია ითქვას, რომ თუკი ქართველებს მომავალში ექნებათ ავტოკეფალია, ის არა მარტო შეუსაბამობაში იქნება საეკლესიო მოთხოვნებთან, არამედ ზიანის მოტანაც შეუძლია და სწორედ ამიტომ მისი გაუქმებაც გამართლებულია. სხვა მხრივ თუკი ისტორიული მონაცემებით გამოვლინდება, რომ ავტოკეფალია არასდროს ჰქონია მინიჭებული, მაგრამ ეკლესიის კეთილდღეობისათვის აუცილებლობას წარმოადგენს, მაშინ იგი უნდა შემოვიღოთ“.

პროფესორმა **ი. ს. პალმოვმა** თავის მოხსენებაში ავტოკეფალიის საკითხი განმარტა ადგილობრივი სლავური ეკლესიების მაგალითზე. რუსი მეცნიერის მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ ამა თუ იმ ეკლესიის ავტოკეფალია ჩამოყალიბდა ეთნოგრაფიული გამოცალკევებისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის საფუძველზე. პროფესორმა **თ. ი. ტიტოვმა** კი ეს მოვლენა რუსეთის ეკლესიის ისტორიიდან გამომდინარე დაადასტურა. თუმცა ძველი დროის ეკლესიის ისტორია ცხადყოფდა, რომ სახელმწიფოს ტერიტორიაზე რამდენიმე ავტოკეფალური ეკლესიის არსებობა სრულიად შესაძლებელი იყო. ეს შესაძლებელია ამჟამადაც.

ამავე დროს ისტორია გადმოგვცემს უკვე სხვა, საკმაოდ ძლიერსა და საწინააღმდეგო ავტოკეფალიის პრინციპს, რომელიც საორგანიზაციო საწყისს წარმოადგენდა ძველ ეკლესიაში. კერძოდ, იყო მუდმივი სწრაფვა ცენტრალური საეკლესიო ხელისუფლებისაკენ. ეს კი მოცემული იყო დასავლეთში რომის პაპის, ხოლო აღმოსავლეთში კი – კონსტანტინოპოლის პატრიარქის სახით. ყველა სხვა ეპისკოპოსებზე რომისადმი დაქვემდებარებული ეპისკოპოსების დაწინაურება, ძველადაც და ახლაც, განსაკუთრებული ისტორიული მიზეზებით აიხსნებოდა. დასავლეთში პაპის ხელისუფლებისათვის შეეცადნენ მოეძებნათ დოგმატური საფუძველიც კი. ხოლო აღმოსავლეთში კონსტანტინოპოლის პატრიარქის განსაკუთრებული მდგომარეობა დამტკიცდა საეკლესიო კანონებით. დასავლეთში პაპიზმი ძირითადად უნდა ყოფილიყო ყველა სხვა ეკლესიისათვის ავტოკეფალიის ჩამორთმევის უფლებამოსილი, გარდა რომის ეკლესიისადმი დაქვემდებარებული ეკლესიებისა. რაც შეეხება აღმოსავლეთს, აქ კი მას შემდეგ, რაც ალექსანდრიისა და ანტიოქიის პატრიარქები ყოველგვარი უფლების გარეშე (დაკარგეს ყოველგვარი მნიშვნელობა) დარჩნენ, მათი ეკლესიები,

კონსტანტინოპოლის ეკლესიის ცენტრალიზაციის საერთო ფონზე, ავტოკეფალურობის პრინციპით რაღაცნაირად თავისებურ გამონაკლისს წარმოადგენენ.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ბერძნულ „ავტოკეფალიას“ სხვადასხვა სახის ფორმა გააჩნია, რომლებიც დადგენილი იყო ადმინისტრაციულ-იერარქიული განმასხვავებელი ხარისხების მიხედვით:

1) აღმოსავლეთში იყვნენ „ავტოკეფალური“ ეპისკოპოსები. ავტოკეფალია ეპისკოპოსებს მათი მიტროპოლიტების დაქვემდებარებისაგან ათავისუფლებდა. ამასთანავე, ისინი იღებდნენ მთავრეპისკოპოსის წოდებას. დროთა განმავლობაში მათი რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა, შემდგომში ყველანი წოდებრივად თითქმის მიტროპოლიტებსაც გაუთანაბრდნენ. ყოველივე ამის მიუხედავად, მსგავსი ავტოკეფალია არსებითად არაფრით ეწინააღმდეგებოდა ცენტრალიზაციის იდეას და მის უმაღლეს გამოვლინებას – ბიზანტიის პატრიარქს, პირიქით, მას ერთგვარად ხელსაც უწყობდა. ასე რომ, ავტოკეფალური ეპისკოპოსები თავისუფლდებოდნენ მიტროპოლიტებისაგან და პატრიარქებთან ურთიერთობისაკენ მიისწრაფოდნენ, ხდებოდნენ მისი უშუალო ხელქვეითნი, რითაც პატრიარქის მნიშვნელობას კიდევ უფრო აძლიერებდნენ.

2) ავტოკეფალური სამიტროპოლიტოს მაგალითს კვიპროსის ეკლესია წარმოადგენს, რომელიც ანტიოქიის საპატრიარქოს დაქვემდებარებისაგან V საუკუნეში გათავისუფლდა. ზოგიერთმა ეპისკოპოსმა თავისუფლება მიიღო და შემდგომში აყვანილი იქნა კიდეც პატრიარქის ხარისხში. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს კვიპროსის ეკლესიის ავტოკეფალია, რადგანაც იგი მესამე მსოფლიო საეკლესიო კრების განხილვის საგანი გახდა. საჭიროა აღინიშნოს, რომ მესამე მსოფლიო საეკლესიო კრებას ანტიოქიის პატრიარქი და მისი წარმომადგენლები არ ესწრებოდნენ. იოანე ანტიოქიელმა თავის ეპისკოპოსებთან ერთად საგანგებო კრება ჩაატარა. ამიტომაც არაა ცნობილი იმის თაობაზე, თუ რას იტყოდნენ ანტიოქიელები, მესამე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე რომ ყოფილიყვნენ (და არც ის, რაც თავის კრებაზე განაცხადეს).

შემდგომში ალექსანდრე ანტიოქიელი თავის მიმოწერაში პაპ ინოკენტისადმი (415 წ.) ამტკიცებდა სწორედ იმის საპირისპიროს, რაზედაც საუბარი იყო მესამე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე. სახელდობრ, რომ კვიპროსის ეკლესია ანტიოქიის ეპისკოპოსზე დამოკიდებული IV საუკუნემდე იყო და მხოლოდ ამის შემდეგ, როცა არიოზის მიმდევრებთან დავა წარმოიშვა, კვიპროსის ეპისკოპოსებმა შეწყვიტეს

ანტიოქიასთან საქმიანი ურთიერთობა. საერთოდ ეს საკითხი აშკარად ბნელ ფერებშია მოცული. სხვათა შორის, ნიკეის კრების ე. წ. არაბულ კანონებში, შესაძლებელია, ანტიოქიური წარმოშობის ძეგლში, საუბარია იმის თაობაზე, რომ კვიპროსის ეპისკოპოსები მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში მიმართავდნენ ანტიოქიის პატრიარქს. კერძოდ, თუკი მათი მიტროპოლიტი გარდაიცვლებოდა ზამთარში, მაშინ კვიპროსელებს უფლება ჰქონდათ, თვითონ აერჩიათ და დაედგინათ თავიანთი მიტროპოლიტი, რადგან ამ დროს ანტიოქიასთან კავშირი გაძნელებული იყო, მაგრამ, ამასთანავე, მათ მიერ შერჩეული კანდიდატურა მაინც უნდა ჩასულიყო ანტიოქიის პატრიარქთან საბოლოო დამტკიცებისათვის. ყოველ შემთხვევაში, ანტიოქიის პატრიარქები გამუდმებით ფიქრობდნენ, თუ როგორ დაებრუნებინათ კვიპროსის ეკლესია თავიანთ დაქვემდებარებაში. თუმცა V საუკუნის მეორე ნახევარში კუნძულზე წმ. მოციქულ ბარნაბას წმიდა ნაწილების გახნას, რომელიც კვიპროსის ეკლესიის დამაარსებლად ითვლებოდა, შეეძლო კვიპროსის ეკლესიის ავტოკეფალიის გადარჩენა. კონსტანტინოპოლმა ეს ავტოკეფალია მაშინვე აღიარა, რომელიც ტრულის კრებაზე 39-ე კანონით დამტკიცდა. მესამე მსოფლიო საეკლესიო კრების მე-8 კანონით კვიპროსის ეკლესიის ავტოკეფალია მტკიცდება რაღაც გარკვეულ საფეხურამდე: კვიპროსელმა ეპისკოპოსებმა **(რიგინოსმა, ზენონმა** და **ევაგრემ)** ეფესოს კრებას წარუდგინეს სიტყვიერი და წერილობითი საჩივარი იმის შესახებ, რომ ანტიოქიის ეპისკოპოსი საეკლესიო წესთა და წმიდა მამათა კანონის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა, როდესაც ბედავდა კვიპროსზე ხელდასხმას“. ასე რომ, პასუხიმგებლობა აქ ეკისრება იმ სამ ეპისკოპოსს, რომლებიც ეფესოს კრების წინაშე განცხადებით წარდგნენ, მაგრამ, ფაქტობრივად, საქმე როგორც არ უნდა წარმართულიყო, უკვე აღნიშნულ მესამე მსოფლიო საეკლესიო კრების მე-8 კანონს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მათ ავტოკეფალია უმტკიცდებოდათ ყოველგვარი ეთნოგრაფიული და პოლიტიკური საფუძვლის გარეშე მხოლოდ ერთ, უძველეს ტრადიციაზე დაყდნობით, რომელიც გამოხატავდა საერთო ვითარებას: „ეს წესი დაცული უნდა იყოს სხვა ოლქთა და ეპარქიათა მიმართაც“.

ნურც ერთი ეპისკოპოსი ნუ მიიტაცებს სხვა ეპარქიას (თავის ძალაუფლებას ნუ განავრცობს), რომელიც თავიდანვე და ძველთაგანვე მას არ ემორჩილებოდა და არ იყო მის წინამორბედ ხელისუფალთა გამგებლობის ქვეშ. თუკი ვინმემ გაბედა და მიიტაცა

და იძულებით დაიმორჩილა სხვისი ეპარქია, იგი მაშინვე გათავისუფლებული უნდა იყოს, რათა არ დაირღვეს მამათა კანონები და მღვდელმთავრებში ფეხი არ მოიკიდოს საერო ხელისუფლებისათვის დამახასიათებელმა ამპარტავნებამ და მედიდურობამ და არ დავკარგოთ ის, ყველაზე მცირე, თავისუფლება, რომელიც უფალმა იესო ქრისტემ, ყოველი ადამიანის მხსნელმა, თავისი სისხლით გვიბოძა.

მაგრამ ეს ფაქტი მაინც არ ეწინააღმდეგება ეკლესიაში ცენტრალიზებული ქმედების დაწყებას. ეს უკანასკნელი არა მარტო ცხოვრებაში განხორციელდა, არამედ კანონების სანქცირების უფლებაც კი მიიღო. სულ ორი წელიც არ იყო გასული ეფესოს კრების შემდეგ, რომელმაც დაამტკიცა კვიპროსის მიტროპოლიტის დამოუკიდებლობა ანტიოქიის პატრიარქისაგან, რომ ქალკედონის კრებამ 28-ე კანონით აქამდე ჰერაკლიის მიტროპოლიტისადმი დაქვემდებარებული 28 მიტროპოლიტი და 3 დიოცეზი კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსს მარტო იმიტომ გადასცა, რომ იგი იყო დედაქალაქის, ახალი რომის ეპისკოპოსი. ამ ორი აშკარად სრულიად შეუთავსებელი დადგენილების ერთიმეორესთან გათანაბრება (შერიგება) ძალიან გაძნელდა, რადგანაც ერთ-ერთს საფუძვლად თავისუფლების იდეა უდევს, მეორე კი ცენტრალიზაციის ფაქტს ადასტურებს, რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება ისტორიულად აუცილებელი სარგებლის მომტანიც ყოფილიყო. მათივე ჭეშმარიტი მნიშვნელობის გაგება მხოლოდ მათი წარმოშობის ისტორიის გაცნობით შეიძლება. ჩემი აზრით, აღნიშნულ შემთხვევაში, ვერც კანონებიდან და ვერც ისტორიიდან რაიმე უკვე გარკვეულ, აუცილებელ მითითებებს ვერ ამოვიღებთ. თანამედროვე საეკლესიო ცხოვრებაში აუცილებელია ის გამოვიყენოთ, რაც ყველაზე მეტად შეესაბამება თანამედროვე ეკლესიის კერძო მოთხოვნილებებს“.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ პროფესორი ი. ს. პალმოვი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს შეეხო და განაცხადა:

„საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მისი ურთიერთობა ანტიოქიის საპატრიარქოსთან ჯერჯერობით უამრავ გაურკვევლობას შეიცავს. პროფ. **ნ. ი. მარმა** არაერთხელ მოინდომა ამ ფაქტის მეცნიერულად შესწავლა. არადა, არაფერია შეუძლებელი იმაში, რომ საქართველოს ეკლესია თავიდანვე ნამდვილად იყო ანტიოქიისაგან დამოუკიდებელი, ისევე როგორც ასურულ-სპარსული ეკლესიაც თავისუფალი იყო, როგორც ეს **ვ. ვ. ბოლოტოვის**

გამოკვლევებით დადგინდა. მაგრამ შემდეგ შეითხზა ლეგენდები, რომლებიც ეყრდნობოდნენ ანტიოქიისა და იერუსალიმის ურთიერთობებს. იგივე შეიძლებოდა მომხდარიყო საქართველოს ეკლესიის შემთხვევაშიც, თუმცა აქ, სხვა მხრივ, შესაძლოა, ანტიოქიასთან სინამდვილეში მეტ-ნაკლებად ახლო ურთიერთობა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, ავტოკეფალია შემდგომში უთუოდ გადაეცათ მათ ამა თუ იმ მდგომარეობის გათვალისწინებით.

მაგრამ, ვფიქრობ, შეუძლებელია ამჟამად სასურველად ვაღიაროთ ჩვენი საპატრიარქოს აღდგენა, თუმცა კი რუსეთის ეკლესიაში იგი ადრეც იყო. საკითხი უკავშირდება უმაღლეს ორგანოებს: სრულიად რუსეთის საეკლესიო კრებასა და უწმიდეს სინოდს. საქართველოს ეკლესიის რუსეთის ეკლესიისაგან უცილობელი გამოყოფა და დამოუკიდებლობა პრაქტიკულად შესაძლებელია, ამასთანავე, სასურველიც არის და სასარგებლოც... ერთი რამ კი ცხადია, ამ საკითხის გადაწყვეტა არის მხოლოდ და მხოლოდ საერო ხელისუფლების მოვალეობა. საეკლესიო თვალთახედვით, მნიშვნელოვანია გაირკვეს, ქართველები ავტოკეფალიის მიღების შემდეგ მიიღებენ თუ არა რუსეთის ეკლესიის საერთო კრების მუშაობაში მონაწილეობას. თავისთავად ეს სასურველიც იქნება, რადგანაც ორივე ეკლესია ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე მდებარეობს და მისივე წყალობით სრული შესაძლებლობა და ყველა პირობაა იმისათვის, რათა ორგანიზაცია გაეწიოს საერთო კრებებსაც. ამასთანავე, თუკი საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლები მონაწილეობას მიიღებენ ამ კრებების მუშაობაში, მაშინ რატომ უნდა იყოს შეუძლებელი ის, რომ ისინი ითანამშრომლებენ წმიდა სინოდთან, რომელიც საეკლესიო კრების მიერ არჩეულ ორგანოს წარმოადგენს და საეკლესიო საქმეებს შუალედურ პერიოდში ერთი კრებიდან მეორე კრების მოწვევამდე განაგებს. საქართველოს ეკლესიის ადგილობრივი მოთხოვნების დაკმაყოფილება, მგონია, შესაძლებელს გახდის იმ სახის დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, როგორის მიცემასაც რუსეთის საეკლესიო ხელისუფლება მომავალში საეკლესიო ოლქებისათვის გეგმავდა, შესაძლებელია, თავისი შეხედულებისამებრ, ზოგიერთი დამატებით ეპისკოპოსის არჩევის უფლებით“.

პროფესორმა ი. ს. პალმოვმა ისარგებლა იმ ფაქტით, რომ ეპისკოპოსი კირიონი და ლეონიდი, ასევე ქართველი მეცნიერები სხდომას არ ესწრებოდნენ და განაცხადა:

„სამწუხაროდ, თვითონ ქართველები, რომლებიც ავტოკეფალიას ითხოვდნენ, დღეს ჩვენ გვერდით არ არიან და თუკი ისინი აქ იქნებოდნენ, სასურველი იყო მათგან პირადად მოგვესმინა, თუ როგორი ურთიერთობა სურთ ავტოკეფალიის მიღების შემდეგ რუსეთის ეკლესიასა და სახელმწიფოსთან, როგორი სახისაა მათი პროექტი და რატომ უნდა დაკმაყოფილდნენ მხოლოდ სრული გამოცალკევებით“ **(Церковныя Ведомости №8, 1907: 251-256).**

ამ კითხვით დაასრულა რუსმა მეცნიერმა თავისი გამოსვლა. რუსეთის საეკლესიო კრების მეორე განყოფილების სხდომის თავმჯდომარე გამოეხმაურა კოლეგის შეკითხვას და აღნიშნა, რომ ქართველებს მართლაც ჰქონდათ შედგენილი ავტოკეფალიის აღდგენის პროექტი და მცირედითაც კი არ კმაყოფილდებოდნენ **(Церковныя Ведомости №8, 1907: 256).** პროფესორმა **ა. ი. ბრილიანტოვმა** სხდომაზე მყოფთ კიდევ ერთხელ შეახსენა ქართველების მოთხოვნა, მაგრამ რატომღაც ჩათვალა, რომ ქართველმა სასულიერო პირებმა თავიანთი მოთხოვნა მხოლოდ ზოგადი ფორმით წარმოადგინეს და არ განმარტეს, თუ როგორ მოიქცეოდნენ მომავალში. აშკარა იყო, რომ რუსი სულიერო პირებისათვის და მეცნიერებისათვის ქართველი მეცნიერებისა და სამღვდელოების დამაჯერებელი არგუმენტები, საკმარისი არ აღმოჩნდა **(Церковныя Ведомости №8, 1907: 256).**

პროფესორმა **ნ. ნ. გლუბოკოვსკიმ** სხდომას გააცნო ის შენიშვნები, რომლებიც **ნ. ა. ზაოზერსკის** მოხსენების თაობაზე ჰქონდა. კონკრეტულად ნ. ნ. გლუბოკოვსკიმ აღნიშნა: „1) პროფესორი ნ. ა. ზაოზერსკი ეკლესიებისათვის ავტოკეფალიის მინიჭებისას ემყარება მათი მოციქულებრივი წარმოშობის პრინციპს. რა თქმა უნდა, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია ამ საქმისათვის, მაგრამ, თავისთავად, ეს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი... ეკლესიების მოციქულებისაგან დაარსების ფაქტის გვერდით კანონიკური ავტოკეფალია არის მოგვიანო და მეორეხარისხოვანი... ასე რომ, მოციქულებრივი წარმოშობა და მითითებული ეკლესიების ადგილმდებარეობა სრულებით არ წამოადგენს ავტოკეფალიის დაარსებისა და აღდგენის საფუძველს. 2) პროფესორი **ნ. ა. ზაოზერსკი** მიუთითებდა ეთნოგრაფიულ პრინციპზე, რისთვისაც მხოლოდ მოციქულთა 34-ე კანონს ეყრდნობოდა. მე დაწვრილებით არ შევეხები ამ საკითხს, მაგრამ შემდეგს მაინც შეგახსენებთ, რომ დასახელებული კანონი არაერთხელ იქნა განხილული რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის პირველსა და მეორე განყოფილებაში,

სადაც მსჯელობა ყველა საკითხისაგან დამოუკიდებლად ყოველგვარი სახის ავტოკეფალიის თაობაზე მიმდინარეობდა. მაშინ გამოირკვა, რომ კომპეტენტური ავტორიტეტები, მათ შორის, ჩვენ გვერდით მყოფი პროფესორები **ნ. ს. სუვოროვი** და **ე. ე. გოლუბინსკი** მტკიცედ გამოთქვამდნენ აზრს ეთნოგრაფიული გაგებისათვის, რომელიც გამოყენებულია მოციქულთა 34-ე კანონში ტერმინით - ἔθνο, ხოლო პროფესორი **ნ. ა. ზაოზერსკი** თავისი ეთნოგრაფიული ინტერპრეტაციით ჭეშმარიტად დარჩა „დიად მარტოობაში“ და ახლა კვლავ კამათი ამ გამორკვეულ საკითხზე ზედმეტი და უშედეგოა“ (**Церковныя Ведомости №8, 1907: 256**).

პროქართულ პოზიციაზე მდგომ ნ. ა. ზაოზერსკის არ დაეთანხმა თავისი ანტიქართული განწყობილებით განსაკუთრებით ცნობილი დეკანოზი **ტ. ი. ბუტკევიჩიც.** მისი აზრით, პროფესორმა ნ. ა. ზაოზერსკიმ უსამართლო შენიშვნა გამოთქვა რუსეთის ეკლესიის მიმართ, როდესაც იგი საქართველოს ეკლესიის შეერთების საკითხს შეეხო. ტ. ი. ბუტკევიჩის აზრით, რუსმა მეცნიერმა საკითხი ისე წარმოადგინა, თითქოს ეს მხოლოდ კავკასიის მთავრმართებლის **ალექსანდრე ტორმასოვისა** და საქართველოს პირველი ეგზარქოსის **ვარლამის (ერისთავის)** გადაწყვეტილება ყოფილიყო და რომ ეს ფაქტი საერო და სასულიერო პირების გვერდის ავლით მოხდა. „როგორც ცნობილია, ავტოკეფალია ენიჭება პატრიარქისა და საეკლესიო კრების (იგულისხმება მსოფლიო საეკლესიო კრება - გ. ბ.) გადაწყვეტილებით. საეკლესიო კრების (იგულისხმება მსოფლიო საეკლესიო კრება - გ.ბ.) მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია არასოდეს ყოფილა სანქცირებული. ყველაზე მეტი რაც შეიძლება ითქვას, ისაა, რომ ანტიოქიის პატრიარქმა უსიტყვოდ აღიარა მისი თვითმყოფადობა. რაც შეეხება საქართველოს ეკლესიის დაქვემდებარებას რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდისადმი, ყველაფერი ასე მოხდა: როდესაც საქართველოს (იგულისხმება ქართლ-კახეთის სამეფო - გ. ბ.) მეფე გიორგი XII-მ საქართველოს რუსეთთან შეერთება ითხოვა, იმპერატორმა პავლე I-მა, თავის მხრივ, უწმიდეს სინოდს დაავალა, რომ წარმოედგინა პროექტი საქართველოსა და რუსეთის ეკლესიის ურთიერთობის თაობაზე. სამი თვის შემდეგ იმპერატორმა უწმიდესი სინოდის ერთ-ერთი გავლენიანი წევრისაგან, ნოვგოროდის მიტროპოლიტ **ამბროსისაგან,** პირდაპირ მოითხოვა, დაუყოვნებლივ შეედგინათ ზემოაღნიშნული პროექტი. პროექტი ერთ დღეში მომზადდა. იმპერატორ პავლე I-ის სიკვდილმა დროებით შეაყოვნა ეს საქმე. ამის შემდეგ გავიდა 11 წელი. საქართველოს

კათოლიკოსმა ანტონ II-მ საეკლესიო ქონებიდან გაფლანგა მილიონნახევარი მანეთი. სახელმწიფომ სინოდის ობერ-პროკურორ **გოლიცინს** მოსთხოვა ახსნა-განმარტება ამ ფაქტის გამო, რის შემდეგაც გაირკვა, რომ საქართველოს ეკლესია არანაირ ურთიერთობას არ ამყარებდა უწმიდეს სინოდთან და არც ჰქონდა ამის სურვილი. ამის შემდგომ იმპერატორმა ალექსანდრე I-მა სინოდს უბრძანა, რომ მისთვის წარედგინათ მოხსენება საქართველოს ეკლესიის რუსეთის საეკლესიო მმართველობისადმი დაქვემდებარების თაობაზე. გოლიცინმა, თავის მხრივ, ამავე მიზეზით მოსთხოვა ტორმასოვსა და მთავარეპისკოპოს ვარლამს, გამოეთქვათ თავიანთი აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით. ამავე დროს, მისი უმაღლესობის ბრძანებით, საქართველოს ეკლესიის საქმეების მოწესრიგებისათვის სინოდში გამოიძახეს ქართველთა კათოლიკოსი ანტონ II. იგი დაესწრო უწმიდესი სინოდის ორ კრებას და ხელი მოაწერა პირველ ორ პროექტს. ამრიგად, საქართველოს ეკლესიის რუსეთის ეკლესიისადმი დაქვემდებარების საქმეში არა მარტო ტორმასოვი იღებდა მონაწილეობას, არამედ კათოლიკოსი ანტონიც და მიტროპოლიტი ვარლამიც“ **(Церковныя Ведомости №8, 1907: 257-258).**

აღნიშნულ კამათში ცნობილი ქართველთმოძულე დეკანოზი **ი. ი. ვოსტორგოვიც** ჩაერთო. ცხადი იყო, რომ ი. ი. ვოსტორგოვი საკმაოდ ვრცლად წარმოადგენდა საკუთარ შეხედულებებს. მოგვყავს ი. ი. ვოსტორგოვის გამოსვლის სტენოგრაფიული ჩანაწერის უმეტესი ნაწილი:

„პროფესორი მარი თავის მოხსენებებში გვიმტკიცებდა, რომ X საუკუნემდე ივერიის ეკლესია „იმპერიული“ (ბიზანტიის იმპერიის - გ. ბ.) ეკლესიის გავლენის სფეროში არ იყო მოქცეული. იგი იყო ავტოკეფალური... ამ დრომდე, თითქოსდა, ბიზანტიაში მცხეთელი კათოლიკოსის შესახებ არაფერი იყო ცნობილი. **ა. ი. ალმაზოვმა** ამის თაობაზე გაოცება გამოხატა, რადგანაც, განა შესაძლებელი იყო, რომ ბერძნულ წყაროებში არ ყოფილიყო მოხსენიებული მცხეთის კათოლიკოსი, თუკი ის სინამდვილეში არსებობდა. ა. ი. ალმაზოვის გაოცება საფუძვლიანიც კი იყო, რადგანაც თვითონ მცხეთა კარგად იყო ცნობილი ბერძნებისათვის, რაც კარგად შეინიშნება, სხვათა შორის, უძველეს ძეგლებში. ამჟამად ხელთ არარსებული ცნობების გამო, არ შემიძლია მოვიყვანო ქვებზე არსებული წარწერები, ისტორიული თარიღები და ა. შ. მაგრამ საერთო მითითებებისა და ფაქტების საიმედოობაზე პასუხისმგებლობას ვიღებ. მცხეთის მოპირდაპირე მხარეს, მთაზე, დღემდე შემორჩენილია ტაძარი, ჯვრის საყდარი,

რომელიც აშენებულია ტიპური ბერძნული არქიტექტურით და წარმოადგენს ბერძნული ხელოვნების უძველესი ნუმუშის ტაძარს საქართველოში“ **(Церковныя Ведомости №8, 1907: 257).**

ამ შესავლის შემდეგ ი. ი. ვოსტოგოვმა საკმაოდ საჩოთირო საქმე იდო თავს. რუსი დეკანოზი ქართული მატიანეებისა და სხვა წყაროების ანალიზი წარმოადგინა:

„ქართული მატიანის მოწმობით, ტაძრის (იგულისხმება მცხეთის ჯვარგუმბათოვანი ტაძარი - გ. ბ.) აშენება, რომელიც VI საუკუნის დასასრულით თარიღდება, თავიდანვე მიეწერება გუარამ კურაპალატს (ეს ფაქტი ნათლად მიუთითებს საქართველოს ურთიერთობაზე ბიზანტიის საიმპერატორო კართან). მშენებლობა დასრულდა მისი მემკვიდრეების მიერ მომდევნო VII საუკუნეში. **ბროსეს** სიტყვებით, ბიჭვინთის ტაძრის შემდეგ (შავი ზღვის სანაპიროზე) ის ყველაზე ძველია საქართველოში და აშენებულია ბერძნების მიერ. ამასთანავე, ქართული მატიანის ცნობები ემთხვევა მაშინდელი საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის ამბებს. მატიანის მითითებით, საქართველო მართლაც იმყოფებოდა ბიზანტიასთან ვასალურ კავშირში. ტაძრის ქვის წარწერებზე მითითებულია მაშენებლების ვინაობა, რომლებიც ბიზანტიურ ტიტულებს ატარებდნენ (Ипата и Патриция). ყოველივე ამის შემდეგ როგორ შეიძლება ითქვას, რომ ბიზანტიაში არ იცოდნენ კათოლიკოს-პატრიარქის ვინაობა?“**(Церковныя Ведомости №8, 1907: 257-258).**

ამ დემაგოგიური კითხვის შემდეგ დეკანოზი ი. ი. ვოსტორგოვი, რომელიც საკითხის ღრმად ცოდნის დემონსტრირებას ცდილობდა, შემდეგი კითხვები დასვა:

„განა ჯერ კიდევ იმპერატორ ადრიანეს დროიდან მცხეთის ახლოს, არმაზში უკვე არ იდგა რომის გარნიზონი? განა ქართველ მეფეებს რომში არ იბარებდნენ და რომისაგან არ იღებდნენ სამეფო ნიშნებს? განა პომპეუსმაც უკვე არ იცოდა საქართველო, სადაც გზები გაჰყავდა, ხიდებს აშენებდა და ა. შ.?“ ასეთი კითხვების დასმით რუსი დეკანოზი ცდილობდა, საკითხის ღრმა და საფუძვლიანი განხილვა პუბლიცისტურ სტილში გადაეყვანა და მსმენელზე ეფექტი მოეხდინა **(Церковныя Ведомости №8, 1907: 258**).

მცხეთის ჯვარგუმბათოვანი ტაძრის შემდეგ ი. ი. ვოსტორგოვი ახტალის ტაძარს შეეხო და მისი ისტორიის თავის სასარგებლოდ გამოყენება სცადა:

„შემდეგ იყო ახტალის ტაძარი, როგორც ფიქრობდნენ, ის აშენებულია ბიზანტიელი იმპერატორის მიერ VII-VIII საუკუნეში. ასევე სამთავისისა და ნიქოზის ტაძრის მაშენებლებიც ბერძნები არიან. ამრიგად, ა. ი. ალმაზოვი ამ თვალსაზრისით სრულიად მართალია“. ცხადია, დეკანოზ ი. ი. ვოსტორგოვს ქართველ ეპისკოპოსთა და მეცნიერთა სხდომაზე არყოფნის გამო ვერავინ შეეკამათებოდა და დაუსვამდა შემდეგ კითხვას: ან ა. ი. ალმაზოვი ან თვით ი. ი. ვოსტორგოვი რა ავტორიტეტებს წარმოადგენდნენ ასეთი მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრისათვის **(Церковныя Ведомости №8, 1907: 258).**

დეკანოზი ი. ი. ვოსტორგოვი, ცხადია, ძალზე გაღიზიანებული იყო პროფესორ ნ. ა. ზაოზერსკის პროქართული პოზიციის გამო და, ცხადია, უპასუხოდ არ დატოვებდა მისთვის არასასურველი რუსი მეცნიერის არგუმენტებს:

„პროფესორ ნ. ა. ზაოზერსკის მოხსენების შემდეგ უნდა მოგახსენოთ, რომ თუკი ავტოკეფალიის არსებობის საფუძვლად სამოციქულო პრინციპსა და უძველეს ტრადიციებს მივიღებთ, მაშინ რუსეთის ეკლესია ამდენ ხანს რატომ არ იყო ავტოკეფალური? ხოლო თუკი საკმარისია ეთნოგრაფიული განსაკუთრებულობა და ქრისტიანობის მოციქულებრივი წარმოშობის გადმოცემა, მაშინ რატომ არ შეიძლება აფხაზებისათვის, ამ განსაკუთრებული ხალხისათვის, ავტოკეფალიის მინიჭება, რომლებიც სიმონ კანანელმა გაანათლა, რომლის საფლავსაც და ტაძარზეც მიუთითებენ ძველ ნიკოპოლში, სადაც ამჟამად ახალი ათონი მდებარეობს. არ დაგვავიწყდეს ის ფაქტიც, რომ აფხაზებს კათოლიკოსიც ჰყავდათ. პროფესორი ზაოზერსკი რუსეთის ეკლესიას საქართველოს ეკლესიის დედად მიიჩნევს. აი, ეპისკოპოსი **კირიონი** კი თავის ნაწერებში რუსეთის ეკლესიას საქართველოს ეკლესიის უმცროს დას უწოდებს, ხოლო ეპისკოპოსი **ლეონიდი** კი როგორც უფროსს დას ისე იხსენიებს. ასეთ ქაოსში ანალოგიების მიხედვით ნათესაური ხარისხების დადგენა და შემდეგ რაიმეს გადაწყვეტა მეტად რთულია. აი, დედისა და შვილის ურთიერთობისას უნდა ითქვას, რომ თუკი ქალიშვილს მიეცემა დამოუკიდებლობა, იმას წინასწარ განწირულად ჩავთვლი და დაღუპვასაც ვუწინასწარმეტყველებ. უმჯობესია, დედას შვილი მუდამ გვერდით ჰყავდეს და არსად გაუშვას, რადგანაც ეს ნაბიჯი მკვლელობაზე უარესია. რა დაემართებოდა, მაგალითად, სპარსეთში ასურულ-ქალკედონურ ეკლესიას, სადაც 1898 წლამდე მხოლოდ სამი მღვდელმთავარი იყო, თუკი ის მართლმადიდებლობას შეუერთდებოდა და სრული

ავტოკეფალია გადაეცემოდა? თვალნათლივ ჩანს, რომ არ შეიძლება მხედველობიდან გამოგვრჩეს ის ზიანი, რომელიც საქართველოს ეკლესიას შეიძლება მიადგეს ავტოკეფალიის მიღების შემდეგ". როგორც ვხედავთ, დეკანოზ ვოსტორგოვს საფუძვლიანი განათლება არ გააჩნდა, მაგრამ დიდი დემაგოგი იყო და შეეძლო აუდიტორიაზე გავლენის მოხდენა. მით უმეტეს, რომ სხდომას არც ქართველი ეპისკოპოსები და არც ქართველი მენციერები არ ესწრებოდნენ. ეს კი ი. ი. ვოსტორგოვს საშუალებას აძლევდა, სიცრუე სიმართლედ წარმოედგინა **(Церковныя Ведомости №8, 1907: 258).**

რუსმა დეკანოზმა ჩათვალა, რომ ყველაფერი არგუმენტირებულად მოიყვანა და მთელი კატეგორიულობით განაცხადა:

„ვამტკიცებ და ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ საქართველოში საეკლესიო საქმე ავტოკეფალიის მინიჭების შემდეგ დაიღუპება. სპარსეთში საეკლესიო საქმე სრულ გაპარტახებამდე მივიდა მას შემდეგ, რაც საეკლესიო დისციპლინა სრულიად დაეცა და ეპისკოპოსს სამღვდელოებამ აშკარა დაუმორჩილებლობა გამოუცხადა... დაბეჯითებით ვამბობ, რომ საქართველოს საკათოლიკოსოში მღვდლები შეწყვეტენ ეპისკოპოსისადმი მორჩილებას, ყველაფერი უთანხმოებაში გადაიზრდება. ასე რომ, ჩვენ ავტოკეფალიით მოვამზადებთ საქართველოში საეკლესიო ცხოვრების რღვევას, დასაბამს მივცემთ ოპოზიციას, შიდააშლილობას ეკლესიაში, რაც არ შეწყდება რუსეთის ეკლესიასთან ურთიერთობის მოგვარების შემდეგაც. ამის შეჩერება შეუძლებელი იქნება. ეს კი დაქუცმაცებას გამოიწვევს. ჩვენ ხელთ გვაქვს ერთი დღემდე საიდუმლოდ შენახული, მაგრამ მეტად ცნობილი ფაქტი: კავკასიის მეფისნაცვალმა გრაფმა **ვორონცოვ-დაშკოვმა** ზუსტად ნახევარი წლის წინ უწმიდეს სინოდს ტელეგრამით აცნობა, რომ იმერეთის სასულიერო დასმა, რომელიც აუცილებლად საჭიროებდა დახმარებას, ეპისკოპოს **ლეონიდს** მორჩილებაზე უარი განუცხადა. მე კარგად ვიცნობ იმერეთის სამღვდელოების ყრილობის დადგენილებებს, რომლებშიც წარმოდგენილია პროექტი ეპისკოპოსების შემდგომ უფლებებზე. იმერეთის სამღვდელოებას სურს ეპისკოპოს ლეონიდის უფლებების შეკვეცა, რომ მას მხოლოდ ხელდასხმა შეეძლოს. აღსანიშნავია, რომ ამ კრების მუშაობაში სამღვდელო დასის გვერდით მრევლიც იღებდა მონაწილეობას. ეს ყველაფერი კი ავტოკეფალიის მინიჭებამდე ხდებოდა... საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, ვიმეორებ, საქართველოში საეკლესიო ცხოვრების დაღუპვას

გამოიწვევს. რაც შეეხება ავტოკეფალიის პოლიტიკურ მხარეებსა და მოტივებს (სხვა მოტივები, ჩემი შეხედულებით, ამ საქმეში სრულებით არ არის), მათ შეფასებას ამჯერად არ დავიწყებ“. ცხადია, ამ შემთხვევაშიც დეკანოზი ი. ი. ვოსტორგოვი სასურველს რეალობად წარმოაჩენდა და ქართველი სამღვდელოებისა და ქართველი მრევლის დაშინებას ცდილობდა. რაც შეეხება იმერეთის სამღვდელოების კრების ამბების ინტერპრეტირებას, რუსი დეკანოზი ჩქმალავს იმ ფაქტს, რომ იმერეთის სამღვდელოება საქართველოს ეგზარქოსისა და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის პოლიტიკით იყო უკმაყოფილო და ეპისკოპოსი ლეონიდე ამ შემთხვევაში არაფერ შუაში იყო **(Церковныя Ведомости №8, 1907: 258-259).**

თავისი სიტყვის დასასრულს დეკანოზი ი. ი. ვოსტორგოვი კიდევ ერთხელ შეეცადა საქართველოსა და რუსეთის ისტორიის ღრმა ცოდნისა და მოვლენათა ანალიზის უნარის დემონსტრირებას:

„დეკანოზ **ტ. ი. ბუტკევიჩის** მოხსენების შესახებ უნდა ითქვას, რომ საქართველოს შემოერთების საკითხი 1801 წელს სახელმწიფო საბჭოში ხმათა უმცირესობით წარადგინეს. კრების ერთ-ერთი მონაწილე იქ მყოფთ უხეშად შეეკამათა, მისი იქ წარმოთქმული სიტყვა შეიძლება წინასწარმეტყველებადაც კი მივიჩნიოთ. მან სავსებით ნათლად გათვალა საქართველოს 60-წლიანი ომი კავკასიის მთიელებთან და იქ არსებული დღევანდელი აშლილობა. ამრიგად, უდავოა, რომ შემოერთება რუსი ხელმწიფისა და რუსი ხალხის დიდი წყალობა იყო და გამონაკლისიც იქნა დაშვებული. ამით კი აღიარეს აღმოსავლეთზე რუსეთის როლი, რაც კარგად აისახა ალექსანდრე I-ის მანიფესტში, რომელიც საქართველოს შემოერთების დროს გამოიცა“ **(Церковныя Ведомости №8, 1907: 259).** ასე დაასრულა ი. ი. ვოსტორგოვმა თავისი გამოსვლა. ამ შემთხვევაშიც დეკანოზ ი. ი. ვოსტორგოვისათვის ამოსავალი იყო ოფიციალური დოკუმენტი - იმპერატორ ალექსანდრე I-ის 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების თაობაზე. მანიფესტში საქართველოს ისტორია და საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორია უხეშადაა გაყალბებული, ხოლო ტექსტი ცინიკურად და ქართველი ერისადმი შეურაცხმყოფელი ტონით არის დაწერილი. მანიფესტის ავტორი ფაქტობრივად დასცინის ქართველ ერს და ამტკიცებს, რომ ქართველობას ვერაფერი იხსნიდა, აზიაში ხმაგასმენილი მათი სიმამაცეც კი.

ყოველივე ამის მიუხედავად, ალექსანდრე I-ის მანიფესტი ი. ი. ვოსტორგოვისათვის უმაღლესი ჭეშმარიტება იყო.

რუსეთის საეკლესიო კრების 1906 წლის 12 დეკემბრის სხდომაზე შესვენება გამოცხადდა, რის შემდეგაც ზემოაღნიშნულ საკითხებზე კვლავ გაგრძელდა მსჯელობა. პროფესორმა **ნ. ნ. გლუბოკოვსკიმ** სიტყვა ითხოვა და სხდომაზე მყოფთ თავისი შენიშვნები წარუდგინა: 1)„ ჩემთვის, პირველ რიგში, სრულიად გაუგებარია, რატომ და რისთვის იმოწმებენ მოციქულთა გამოთქმას (გალატელთა, III, 28, V, 6) და პირველ ორმოცდამეათე დღეს მომხდარ მოვლენებს. ეს ყველაფერი ჩვენ მიერ განსახილველ საკითხს, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას, არ ეხება. თუკი მოციქულთა აღნიშნულ ნათქვამს პირდაპირი მნიშვნელობით გავიგებთ, მაშინ საქმე გვექნება უცნაურ აბსურდთან, რომ, თითქოს წმიდა პავლეს სწავლებით, ქრისტიანობაში ისპობა სქესობრივი სხვაობა, ამასთანავე, საფუძველშივე ნადგურდება ყოველგვარი ეროვნულობა, ავტოკეფალურობისაკენ სწრაფვა. უამისოდ არავის ექნება ადგილი ზეცაში (შეადარეთ: მათე, XXII, 30; მარკოზი, XII, 25; ლუკა, XX, 34-36), როცა დადგება ერთმმართველობა ღმერთისა და მამისა დიდებულ სამეუფოში (I კორინთელთა, XV, 24-28). მოციქული სრულებით არ უშვებდა ენების ძალადობრივ აღრევას, რათა მონობის სახით კაცობრიობის სოციალურ-ეკონომიკური გრადაცია განხორციელებულიყო, არამედ გამოსწორების საშუალებას იძლეოდა... მაგრამ ჩვენ ამას კი არა, არამედ მიწიერი ეკლესიის ურთიერთობის მოწყობას განვიხილავთ.

შემდეგი საკითხი: რაც შეეხება წუწუნს საქართველოს რუსეთთან შეერთების თაობაზე, აქ უკვე აღარ ვისაუბრებ ჩვეული ტონით, მხოლოდ ქართული ნაშრომიდან რამდენიმე ამონარიდით შემოვიფარგლები. აი, რას ვკითხულობთ, მაგალითად, მაღალსამღვდელო **კირიონის** ბროშურაში, რომელიც ასეა დასათაურებული: **„მართლმადიდებელი საქართველოს თორმეტსაუკუნოვანი რელიგიური ბრძოლა ისლამთან“** (თბილისი, 1899).

1. „მეფე გიორგიმ, სასიკვდილო სარეცელზე მწოლიარემ, თავის დიდებულებს რჩევა მისცა, იმისათვის, რომ გადარჩენილიყვნენ, უნდა შეერთებოდნენ რუსეთს, რისთვისაც დაუყოვნებლივ უნდა მომზადებულიყო საქართველოს საელჩო სანკტ-პეტერბურგში.

2. სასულიერო პირებმა, თავადებმა, აზნაურებმა და ხალხმა, თათბირისა და მოლაპარაკების შემდეგ, გადაწყვიტეს, დახმარებისათვის გარსევან ჭავჭავაძისათვის მიემართათ, რომელიც ამ დროს პეტერბურგში ცხოვრობდა. მასთან გააგზავნეს თავადები: ფალავანდოვი და ავალოვი ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, ჩამდგარიყვნენ ერთმორწმუნე რუსეთის ქვეშევრდომობაში. ამრიგად, საქართველო დასაცავად გადაეცა ძლიერ მართლმადიდებელ რუსეთს.
3. ამ მანიფესტის გამოცხადების შემდეგ ქართველთა აღფრთოვანება იმდენად დიდი იყო, რომ ყოველგვარ აღწერას აღემატება, თითქოს ყველაფერი ხელახლა დაიბადა და გაცოცხლდა, თითქოს ხელმწიფემ თავისი მარჯვენით სამეფო სკიპტრა ხელახლა დაიქნია და ნიშანი მისცა ხალხს შემდგომი ნაბიჯისათვის. ოჰ, მაშინ რამდენმა წმინდა და შეურყვნელმა ბაგემ აღავლინა თავისი გულითადი ლოცვა და თხოვნა უფლისადმი საქართველოს მხსნელის, ღვთივკურთხეული ალექსანდრე I-ის ჯანმრთელობისათვის“.

ზემონათქვამს თუ შევადარებთ ეპისკოპოს კირიონის ნაშრომს, **„საქართველოს ეკლესია და საეგზარქოსოს ისტორიის მოკლე ნარკვევი“** (თბილისი, 1901 წელი, გვ. 12-16), იმავეს ვნახავთ, განსაკუთრებით კი მე-15 გვერდზე: „საქართველოს რუსეთთან შეერთებამ ყველა გაახარა, განსაკუთრებით ქართველი მღვდელმთავრები, რომლებიც მთელი ძალისხმევით ცდილობდნენ თავიანთი მრევლისათვის განემარტათ ამ პოლიტიკურ-რელიგიური აქტის მთელი სიდიადე. ნეკრესელი მთავარეპისკოპოსი **ამბროსი** თავის სიტყვაში პირდაპირ მიუთითებდა, რომ ახლა „საქართველო თავისუფლდება ჯოჯოხეთური ბორკილებისაგან. არც ინაღვლოთ და არც იტიროთ, რადგანაც საქართველო გადარჩა და თქვენი მტრები, სპარსელები, განადგურდნენ. მათგან გათავისუფლებულებმა უნდა გავიხაროთ და ვიდღესასწაულოთ. მე, როგორც მოძღვარი, ვალდებული ვარ დაგაჯეროთ ჩემი მრევლი, დაექვემდებაროთ, დაემორჩილოთ და სიყვარულით ემსახუროთ ყოვლადმოწყალე რუსეთის იმპერატორს, რადგანაც მან ჩვენი ლოცვა შეისმინა და გამოგვესარჩლა, საქართველო

მონობისაგან იხსნა. დაე, ღმერთმა მისი მარჯვენა განადიდოს და აკუთხოს“ **(Церковныя Ведомости №8, 1907: 259-261).**

პროფესორმა ნ. ნ. გლუბოკოვსკიმ ეპისკოპოს კირიონის ორი ნაშრომის დამოწმებისას სიმართლე დამალა. 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტი საიდუმლოდ იყო დაცული და იგი პირველად თბილისში 1802 წლის 12 აპრილს წაიკითხეს. რატომ აყოვნებდა რუსეთის საიმპერატორო კარი მანიფესტის წაკითხვას? ამას ერთადერთი მიზეზი ჰქონდა: პეტერბურგში ეშინოდათ, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებას არ გამოეწვია მოსახლეობის უკმაყოფილება და ანტირუსული მოძრაობის დაწყება. თუმცა რუსები ამას მაინც ვერ აცდნენ. 1802 წლის 12 აპრილს თბილისის სიონის ტაძარში ალექსანდრე I-ის მანიფესტის წაკითხვის შემდეგ, იქ შეკრებილთ უნდა დაეფიცათ რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე. ტაძარში მყოფთაგან ნაწილმა მართლაც დაიფიცა, მაგრამ კახელმა თავადებმა და აზნაურებმა, დაახლოებით 60 კაცმა რუსეთის იმპერატორის ფიცის მიღებაზე უარი თქვა, ტაძარი დატოვა და კახეთში გაემგზავრა. სწორედ მათ დაუდეს სათავე 1802 წლის კახეთის პოლიტიკურ გამოსვლას. თუ ქართლ-კახეთის მოსახლეობა რუსული მმართველობის დამყარებით გახარებული იყო, მაშინ რამ გამოიეწვია 1804 წლის ქართლის მთიანეთის ამბოხი, 1812 წლის კახეთის აჯანყება და სხვა მსგავსი მოვლენები. ცენზურის პირობებში გამოცემულ წიგნებში ეპისკოპოსი კირიონი რომ ზემოხსენებულ მოვლენებს არ ეხებოდა, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ქართლ-კახეთში 1802 წლიდანვე არ დაწყებულა ანტირუსული ეროვნული მოძრაობა? ცხადია, ნ. ნ. გლუბოკოვსკიმ ყოველივე ეს კარგად იცოდა, მაგრამ სიმართლეს გვერდს უვლიდა და რუსულ წყაროებში მოთხრობილ ზღაპრებს ემყარებოდა. რუსი მეცნიერები არ უფიქრდებოდნენ იმას, რომ თუ 1802 წელს ქართლ-კახეთის მოსახლეობა გახარებული იყო რუსული მმართველობის დამყარებით, მაშინ რამ განაპირობა სულ რამდნეიმე თვეში ანტირუსული მოძრაობის დაწყება?

ნ. ნ. გლუბოკოვსკის მოხსენებას კვლავ ი. ი. ვოსტორგოვი გამოეხმაურა:

„ახლა უკვე საჭიროდ მიმაჩნია, რომ მოკლედ გადმოვცე ზოგიერთი წინააღმდეგობრივი მოსაზრება, რომლებიც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დამცველების მოხსენებების გაცნობის შემდეგ აღმოვაჩინე, რომლებსაც, ჩემი აზრით, ხაზი უნდა გაესვას, მითუმეტეს, დარწმუნებული არ ვარ, რომ ყველა მოხსენება

დაბეჭდილი და გამოქვეყნებული იქნება. ვფიქრობ, მაგალითად, რომ პროფესორი ა. ა. ცაგარელი თავის მოხსნებას – **„საქართველოს მდგომარეობა XVIII საუკუნეში რუსეთთან შეერთების წინ“** – ალბათ არ დააბეჭდვინებს და მასზე ხელსაც არ მოაწერს. დაბეჭდავს კი მარი თავის განცხადებას იმის თაობაზე, რომ XVIII საუკუნეში საქართველოში სასულიერო განათლება თუ არ აღემატებოდა, არაფრით ჩამოუვარდებოდა იმ დონეს, რასაც ახლა ჩვენ ვხედავთ რუსეთში?

მაგრამ საქმის ინტერესებიდან გამომდინარე და მომავლისათვის ეს უნდა დადასტურდეს და აისახოს ქაღალდზე. ამას ვაკეთებ ძალზე მოკლედ, მსმენელებისათვის, რადგანაც ჩვენთვის მოხსენებები არც დაბეჭდილი და არც ხელნაწერი არ მოუციათ. ჩემსავით დაინტერესებული ადამიანები გაუგებრობაში აღმოჩნდებიან, რომელშიც, სამწუხაროდ, დიდი ხანი ვიქნებით, რადგანაც ავტოკეფალიის დამცველები ახლაც და შემდეგ სხდომებზეც ვერ შემისწორებენ, რადგანაც ისინი არა შემთხვევით, არამედ შეგნებულად სრული შემადგენლობით არ ესწრებიან სხდომებს. არა მგონია, შემდეგ სხდომებზეც რომელიმე მათგანი კვლავ ვიხილოთ“ **(Церковныя Ведомости №8, 1907: 262).**

ეს იყო ცრუ ბრალდება. ვერც ქართველი მეცნიერები და ვერც ქართველი მღვდელმთავრები თავიანთი გამოსვლის ტექსტს ვერ დამალავდნენ. დეკანოზმა ი. ი. ვოსტორგოვმა კარგად იცოდა, რომ სხდომაზე დგებოდა სტენოგრამა, რომელიც მომდევნო დღეებში ჟურნალ „ცერკოვნიე ვედომოსტში“ იბეჭდებოდა. გარდა ამისა, სხდომის განყოფილების (სექციის) თავმჯდომარეს უფლება ჰქონდა გამომსვლელისათვის მოეთხოვა გამოსვლის სრული ტექსტი. ცხადია, არც ნიკო მარი და არც ალექსანდრე ცაგარელი უკან არ დაიხევდნენ და თავიანთი გამოსვლის ტექსტს არ დამალავდნენ. ყოველივე ეს ი. ი. ვოსტორგოვმა კარგად უწყოდა, მაგრამ ქართველების შეურაცხყოფის მიზნით არაფერს ერიდებოდა.

ი. ი. ვოსტორგოვი ზემოხსენებული ცრუ ბრალდების შემდეგ უკვე ეპისკოპოსების კირიონისა და ლეონიდის მოხსენებებში გამოთქმულ მოსაზრებებს შეეხო:

„პირველ რიგში, უნდა ითქვას იმ ავტორიტეტებზე, რომელთა გვერდით რუს მეცნიერებსა და სწავლულებს არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭებოდათ. თუ ვის ეყრდნობოდა ეპისკოპოსი კირიონი, ეს უკვე ვნახეთ. ესენი ისეთი „სწავლულები“ და „მცოდნეები“ არიან, როგორებიც იყვნენ **ბრიხნიჩევი** და **ჩიჯავაძე,** რომელთა

სახელებიც საქართველოში „განსწავლულობის“ კუთხით, სხვა თუ არაფერი, მხოლოდ სიცილს გამოიწვევს, მაგრამ ეპისკოპოსმა **კირიონმა**, განსაკუთრებით კი ეპისკოპოსმა **ლეონიდმა**, ესეც კი გაბედეს (და არ შერცხვათ), როდესაც ჟორდანიას (იგულისხმება თედო ჟორდანია - გ. ბ.) ნაშრომებს თავიანთი სახელები დაურთეს. მაგრამ აქვე უნდა გავიხსენოთ პროფესორ **მარის** მოსაზრება, რომ ბატონი ჟორდანია სამეცნიერო სფეროში სრულიად უცნობი, ერთი უბრალო გამომცემელი იყო, რომელიც ვერ ფლობდა ვერც სამეცნიერო კვლევის მეთოდებსა და ვერც სამეცნიერო-ისტორიული ერუდიციის სიღრმეებს. აქ ბევრი ისაუბრეს ეპისკოპოს კირიონის განსწავლულობაზეც, თუმცა პროფესორმა მარმა ეს მოსაზრება არა მარტო უარყო, არამედ შესანიშნავადაც დაასაბუთა, რომ ეპისკოპოს კირიონის მოხსენება – **„როგორი ავტოკეფალია ებოძა ივერიის ეკლესიას XI საუკუნეში**“– სრული გამონაგონია. კარგად ჩანს ის, რომ მოხსენების ავტორი არ არის მთლად ჩახედული როგორც აღმოსავლეთის, ასევე საქართველოს ისტორიისა და სამეცნიერო მუშაობის საქმეში“ **(Церковныя Ведомости №8, 1907: 262).**

ქართველი მღვდელმთავრების კრიტიკის შემდეგ დეკანოზი ი. ი. ვოსტორგოვის თავდასხმის ობიექტი ცნობილი ქართველი მკვლევარი ალექსანდრე ხახანაშვილი გახდა:

„პროფესორი **ი. ი. სოკოლოვი** თავის ერთ მოხსენებაში იშველიებს ქართველი ისტორიკოსი ხახანოვის ავტორიტეტს. პროფესორმა მარმა მთელი დამაჯერებლობით განაცხადა პროტესტი ხახანოვის ცოდნისა და შრომების ასეთი შეფასებისათვის. იმავეს ამტკიცებდა პროფესორი ა. ი. ალმაზოვიც თავის ბროშურაში, რომელიც იოანე მმარხველის ნომოკანონზე იყო დაწერილი. ბატონი ხახანოვის ყველა სამეცნიერო ცნობა უდავოდ არ სცილდებოდა გაცვეთილ ისტორიულ ცნობებს, რომლებიც ანტიოქიისაგან საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭებას ადასტურებდნენ. ეს ცნობები, როგორც ამას პროფესორი მარი ამტკიცებდა, გადამოწმებული იყო და სამეცნიერო მნიშვნელობაც გააჩნდა“ **(Церковныя Ведомости №8, 1907: 262).**

დეკანოზი ი. ი. ვოსტორგოვი იმდენად გაკადნიერდა, რომ ქართული და უცხოური წყაროების ცოდნისა და ანალიზის პრეტენზიაც გაუჩნდა. იგი აცხადებდა:

„მითითებული იყო ქართული, არაბული და სხვა ხელნაწერი წყაროები. საქმის გაცნობის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მათ შესახებ მოხსენება გააკეთა მხოლოდ პროფესორმა მარმა, თუმცა ამ წყაროებმა ავტოკეფალიის შესახებ სრულებით არაფერი მოგვცა. პროფესორი ცაგარელი კითხულობდა რუსულ ენაზე ნაბეჭდ წიგნებს, ეპისკოპოსი კირიონი ეფუძნებოდა ნ. დურნოვოს. უცნობია, თუ საიდან აქვს მიღებული ეს კანონიკურად შეუსაბამო (აბდა-უბდა) დაუჯერებელი თარიღი, ცნობები და ფაქტები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის თაობაზე. პროფესორ ხახანოვს, მართალია, სურდა რაიმე წარმოედგინა ამის თაობაზე, მაგრამ ჩვენ კრებაზე ერთხელ მოსვლისას ახალი არაფერი განუცხადებია. ეპისკოპოსი ლეონიდი ჟორდანიას ჩანაწერებით შემოიფარგლა, რომელზედაც თვითონვე მოაწერა ხელი და თავისად გამოაცხადა. თანაც ამ ხელნაწერებისათვის არც ერთი სიტყვა, არც ერთი წყარო არ მიუმატებია. ეპისკოპოსი კირიონიც ბევრს საუბრობდა ამ ხელნაწერებზე, მაგრამ ისინი არც ერთხელ არ გამოუყენებია. ჩვენ გვეუბნებოდნენ მეფე ვახტანგ გორგასალზე, რომ მისი დროიდან არის ფაქტიური ავტოკეფალია ნაგულიხსმევიო. იგი ბიზანტიას დაუკავშირდა, ააშენა ეკლესიები და დააარსა ეპარქიები... ეს ფაქტი რამდენჯერმე დაამოწმა კათოლიკოსმა ანტონ II-მ თავის ახსნა-განმარტებებში. ამავე ცნობებს თამამად ეყრდნობოდნენ ეპისკოპოსი კირიონი, პროფესორი ხახანოვი, ეპისკოპოსი ლეონიდი და ნ. დურნოვო. აი, პროფესორ მარისაგან ჩვენ სრულიად ახალი და საწინააღმდეგო ფაქტი მოვისმინეთ, რომ ასეთი მეფე არასოდეს ყოფილა, რომ ეს პიროვნება სრულიად მითიურია...“**(Церковныя Ведомости №8, 1907: 262).**

როგორც ვხედავთ, დეკანოზმა ი. ი. ვოსტორგოვმა შესანიშნავად გამოიყენა ნიკო მარის ერთი ფრაზა ვახტანგ გორგასლის მეფობასთან დაკავშირებით. უნდა აღინიშნოს, რომ თავისი ფრაზის დამამტკიცებელი მასალა და არგუმენტები ნიკო მარს არ წარმოუდგენია, თუმცა, რაც თქვა, ი. ი. ვოსტორგოვისათვის ესეც საკმარისი აღმოჩნდა. შემდეგ რუსი დეკანოზი შეეხო მეფე მირიანსა და მის ეპოქას. მეფე მირიანი, წმიდა ნინო და ქართველთა გაქრისტიანება დეკანოზმა ი. ი. ვოსტორგოვმა ლეგენდად გამოაცხადა **(Церковныя Ведомости №8, 1907: 262).**

რუსი სამღვდელოება და მეცნიერები ძალზე გააღიზიანა ეპისკოპოს ლეონიდის დასაბუთებულმა, სამართლიანმა და, რაც მთავარია, გაბედულმა მოხსენებამ. ცხადია, ი. ი. ვოსტორგოვი ყოველივე ამას უპასუხოდ არ დატოვებდა. რუსმა დეკანოზმა კარგად

გამოიყენა ნიკო მარის რამდენიმე მეცნიერულად მცდარი, დაუსაბუთებელი მოსაზრება. იგი აცხადებდა:

„ეპისკოპოს **ლეონიდის** ცალკეულ მოსაზრებებში, რომლებიც წმიდა სინოდის გადაწყვეტილებას ეხება, მეტად თამამად არის გაცხადებული, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია ახლა უკვე მათემატიკური სიზუსტითაა არის დამტკიცებული. ამასთანავე, თუკი უფრო დიდი სიზუსტე არსებობს, ვიდრე მათემატიკური, მაშინ მას უდიდესი თავდაჯერებულობით ეყრდნობა მაღალი განათლების მქონე მეგრელ-გურულთა სასულიერო პირების მიერ შედგენილი პეტიცია (440 სასულიერო პირისაგან მხოლოდ 30-40 მათგანს აქვს სემინარია დამთავრებული). მათ გადაწერეს ბატონ ხახანოვის ფელეტონური წერილიდან მთელი რიგი ადგილები. იმავე დამაჯერებლობით საუბრობენ თავიანთ პეტიციებში იმერეთისა და, განსაკუთრებით, ქართველი სასულიერო პირები. ამ უკანასკნელებმა პირდაპირ განაცხადეს, რომ ვისაც მცირეოდენი ეჭვი მაინც შეეპარა VIII-XI საუკუნეების იმ ცნობების ჭეშმარიტებაში, რომ საქართველოს ეკლესიამ ანტიოქიისაგან მიიღო ავტოკეფალია, ეს სხვა თუ არაფერი, უვიცობაა. და აი, ასეთი სიმართლის წინაშე იდგა პროფესორი მარი. ის ასაბუთებდა, რომ ეფრემ მცირისა და ნიკონ შავმთელის ცნობები, მიუხედავად მისი უდიდესი პატივისცემისა ამ პიროვნებებისადმი, ისტორიულ ნაყალბევს წარმოადგენენ, რათა მომხდარიყო ქრისტიანული კვალის დაფარვა, რომელიც საქართველოში აღმოსავლეთიდან – სომხეთიდან მოდიოდა... პროფესორი მარი ასაბუთებს საქართველოს ეკლესიის დაპირისპირებას ანტიოქიასთან და არა ავტოკეფალიის მეგობრულ გადაცემას. იგი დარწმუნებულია, რომ ანტიოქიელი ქრონოგრაფები, რომლებმაც თავის დროზე დაადასტურეს ეფრემისა და ნიკონის ცნობები, მოცემულ შემთხვევაში „ურევენ“. ცნობილი „პროტრეპტიკონი“ მითსა და სიყალბეს წარმოადგენს. აქედან კი გამოდის, რომ ყველაფერი, მათ შორის „მათემატიკური სიზუსტეც“, არასწორია...“ **(Церковныя Ведомости №8, 1907: 263-265).** ასეთ იყო **ი. ი. ვოსტორგოვის** გამოსვლის შინაარსი. ცხადია, მისი გამოსვლა გარკვეულ პოლემიკას გამოიწვევდა. უსამღვდელოესი თავმჯდომარის **ნიკანდრის** ინიციატივით, ი. ი. ვოსტორგოვის მოხსენების განხილვა 1906 წლის 13 დეკემბრის სხდომისათვის გადაიდო.

1906 წლის 13 დეკემბერს მუშაობა განაგრძო რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილებამ (სექციამ), რომელსაც თავმჯდომარეობდა ლიტვის

მთავარეპისკოპოსი, მაღალსამღვდელო **ნიკანდრი**. კრებას ესწრებოდნენ: მოგილევის ეპისკოპოსი **სტეფანე;** დეკანოზები: **ტ. ი. ბუტკევიჩი, ი. ი. ვოსტორგოვი;** პროფესორები: **ტ. ი. ტიტოვი, ი. ი. კოიალოვიჩი, ი. ს. ბერდნიკოვი, ა. ი. ალმაზოვი, ნ. ნ. გლუბოკოვსკი, ა. ი. ბრილიანტოვი, ი. ი. სოკოლოვი.** სხდომას ასევე ესწრებოდა უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორი და უწმიდესი სინოდის კანცელარიის წარმომადგენელი, სამოქალაქო მრჩეველი **ვ. ფ. ტრელინი.**

სხდომა გაიხსნა დეკანოზ **ი. ი. ვოსტორგოვის** მოხსენებით - „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის პრაქტიკული მნიშვნელობა“, რომელშიც წარმოდგენილი იყო შემდეგი საკითხები: 1. ყველა ის შესაძლო პრაქტიკული შედეგი, რომლებიც მოჰყვებოდა საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭებას; 2. კავკასიაში საეკლესიო საქმეების მოწყობის შესაძლო გეგმა იმ შემთხვევისათვის, თუ საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალიას არ მიანიჭებდნენ. ამ მოხსენების თაობაზე რუსმა მეცნიერებმა შენიშვნები გამოთქვეს. ი. ი. ვოსტორგოვი კი ჯიუტად იმეორებდა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნას პოლიტიკური მოტივი ჰქონდა **(Церковныя Ведомости №9, 1907: 276).**

რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე რამდენიმე საკითხი დაისვა. ერთ-ერთი მათგანი ეხებოდა არა მარტო საქართველოს, არამედ, ზოგადად, კავკასიაში საეკლესიო საქმეების მოწყობას. **ი. ს. ბერდნიკოვი** თვლიდა, რომ ქვეყნის ტერიტორიული სიდიდიდან გამომდინარე, კავკასიაში ერთი რუსული ეპარქიის არსებობა არ იყო საკმარისი. სასულიერო სემინარიებთან დაკავშირებით არსებობდა პროექტი, რომლის საფუძველზეც თბილისის მეორე სემინარიის ჩამოყალიბება და შენახვისათვის სახსრების მოძიება ქუთაისის ყოფილი სემინარიის შტატებისათვის გამოყოფილი ასიგნაციებით განხორციელდა **(Церковныя Ведомости №9, 1907: 276).** მაღალსამღვდელო **სტეფანემ** აღნიშნა, რომ ქუთაისის სემინარიისათვის საჭირო თანხები იმერეთის საეკლესიო ხაზინიდან გაიცემა, თუმცა ასეთი თანხები საკმარისი მაინც ვერ იქნებოდა თბილისის მეორე სემინარიის არსებობისათვის. საჭირო იყო დამატებითი სახსრების გაღება სინოდალური ხაზინიდან. რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების სხდომაზე ასევე უნდა გადაწყვეტილიყო სამრევლოებში სხვადასხვა ეროვნების სასულიერო პირების მივლინების საკითხიც **(Церковныя Ведомости №9, 1907: 276).** პროფესორმა **ი. ს. პალმოვმა** აღნიშნა, რომ რუსი

მოსახლეობისაგან შედგენილი სამრევლო, მიუხედავად იმისა, რომ იგი საქართველოს ეპარქიის საზღვრებში იმყოფებოდა, უნდა გამოყოფოდა თავისი ეპარქიის საზღვრებს, და პირიქით, რუსეთის ეპარქიაში არსებული ქართული სამრევლო უნდა დაქვემდებარებოდა საქართველოს ეპარქიასა და მის ეპისკოპოსს. ი. ს. პალმოვის ამ მოსაზრებას არ დაეთანხმა ი. ს. ბერდნიკოვი. მას მიაჩნდა, რომ ასეთი ცვლილება ძალზე მოუხერხებელი იქნებოდა **(Церковныя Ведомости №9, 1907: 276).**

რუსეთის საეკლესიო კრების მეორე განყოფილების სხდომაზე კვლავ **ი. ი. ვოსტორგოვი** აქტიურობდა. იგი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი პოლიტიკურ ნიადაგზე იყო წამოჭრილი. დეკანოზმა ი. ი. ვოსტორგოვმა სიტყვა კვლავ ქართველი მეცნიერების კრიტიკით დაიწყო:

„პროფესორი **ნ. ი. მარი** თავის მოხსენებაში ამტკიცებდა, რომ თითქოს ავტოკეფალიისაკენ სწრაფვას პოლიტიკური მიზნები კი არ ედო საფუძვლად, არამედ მარტოოდენ საეკლესიო საჭიროებისათვის იყო გამოწვეული. მაშინ გადაწყდა, რომ პროფესორ მარისათვის პასუხი არ გაეცათ. ახლა კი ჩემ მიერ ადრე ნათქვამს კიდევ ბევრ რამეს დავამატებ: პირველად შევეხები **ს. ვ. კერსკის** ანგარიშს, რომელიც 80-იან წლებში თბილისის სემინარიის რევიზიას ატარებდა. მანვე წარმოადგინა თბილისის სემინარისტების მიმოწერა შვეიცარიელი რევოლუციონერი სტუდენტებისადმი. მიმოწერიდან პირველ რიგში ირკვევა ქართული მოძრაობის პოლიტიკური ხასიათი, რომელიც, ძირითადად, ახალგაზრდებში იყო გავრცელებული. აქვე აღნიშნულია მოსაზრებაც, რომ საჭიროა საეკლესიო ავტოკეფალიის მოპოვებაც, რაც საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი იქნება“ **(Церковныя Ведомости №9, 1907: 276).** ი. ი. ვოსტორგოვის სიტყვიდან ცხადი ხდება, თუ რა ამოძრავებდა მას: საბოლოოდ ხელი შეეშალა ქართველი ერის დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვისათვის. რუსი დეკანოზი პირდაპირ მიანიშნებდა, რომ საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭება სტიმულს მისცემდა და წაახალისებდა ქართულ ეროვნულ მოძრაობას, რაც, ცხადია, სულაც არ შედიოდა რუსეთის საერო და საულიერო ხელისუფლების გეგმებში.

დეკანოზმა ი. ი. ვოსტორგოვმა თავისი მოხსენება ასე დაასრულა: ქართველების მხრიდან „ავტოკეფალიის მოთხოვნას სეპარატისტული საფუძველი აქვს. მისი წარმომადგენლები, თავის მხრივ, არ თაკილობენ რუსეთის მტრებთან კავშირს,

შეიარაღებულ ამბოხსა და ა. შ“ **(Церковныя Ведомости №9, 1907: 276-277).** რუსი დეკანოზი ასეთ შეხედულებებს ადრეც ხშირად გამოთქვამდა ხოლმე.

რუსეთის საეკლესიო კრების მეორე განყოფილების სხდომაზე საქართველოში არსებული ეკლესია-მონასტრების კუთვნილების საკითხიც განიხილეს. დეკანოზმა ი. ი. ვოსტორგოვმა ტრადიცია არ დაარღვია და სხდომაზე ასეთი საკითხი წამოჭრა: „თუ შესაძლებელი იქნება, სიონის ტაძარი გახდეს რუსი მიტროპოლიტის საკათედრო ტაძარი, იქიდან გამომდინარე, რომ ქართველებს აქვთ მეორე – ანჩისხატის ტაძარიც“ („нельзя ли оставить Сионский собор кафедральным собором для русскаго митрополита, в виду того, что у грузин есть другой собор – Анчисхатский)“ **(Церковныя Ведомости №9, 1907: 277).** ამ საკითხთან დაკავშირებით მაღალსამღვდელო სტეფანემ გაიხსენა, რომ სიონის საკათედრო ტაძარი რუსული სახსრებით იყო აღდგენილი და ამიტომ შესაძლებელი იყო ტაძრის რუსებისათვის გადაცემა, თუმცა მან კარგად იცოდა, რომ ეს მოვლენა ქართველებში დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევდა. საეკლესიო წესრიგის შენარჩუნებისათვის, უსამღვდელოესი სტეფანეს აზრით, უმჯობესი იქნებოდა, თუ მოითხოვდნენ, რომ რუსი მიტროპოლიტისათვის გადაეცათ ალექსანდრე ნეველის ტაძარი თბილისში. პროფესორ ა. ი. ალმაზოვის აზრით, კავკასიაში რუსულ სამიტროპოლიტოებს არასდროს ექნებოდათ ტერიტორიული მთლიანობა. ამ შემთხვევაში რუსი მეცნიერის აზრი ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო, რადგანაც ეპარქიის ტერიტორიების გადანაწილების საკითხს უწმიდესი სინოდი და საეკლესიო კრება წყვეტდა **(Церковныя Ведомости №9, 1907: 277).**

რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების სხდომაზე მოისმინეს კავკასიაში საეკლესიო საქმეების მოწყობის ორი პროექტი. მაღალსამღვდელო **ნიკანდრის** აზრით, ჯობდა, მეორე პროექტზე შეეჩერებინათ არჩევანი, რადგან ეს პროექტი მეტ-ნაკლებად დააკმაყოფილებდა ქართველების ეროვნულ მისწრაფებებს. ასევე შესაძლო იყო, ქართველები პირველ პროექტსაც შეგუებოდნენ, თუკი ეგზარქოსი ქართველი იქნებოდა და არა რუსი **(Церковныя Ведомости №9, 1907: 277).** პროფესორი **ნ. ნ. გლუბოკოვსკი** თვლიდა, რომ ამ საკითხს ძალზე ფრთხილად უნდა მოჰკიდებოდნენ, რადგან კავკასიაში საეკლესიო საქმეების მოწყობის პროექტები თავისთავად გულისხმობდნენ ერთსა და იმავე ტერიტორიაზე ორი კონკურენტი მართლმადიდებელი მღვდელმთავრის არსებობას. ნ. ნ. გლუბოკოვსკის აზრით, საქმე

შეიძლება „ეკლესიის აღრევამდეც“ კი მისულიყო, თუმცა ისიც ამ ორი პროექტიდან მაინც მეორე პროექტს ანიჭებდა უპირატესობას **(Церковныя Ведомости №9, 1907: 277).** არსებული საკითხის ირგვლივ გაიმართა მცირე კამათი. დისკუსიის დასრულების შემდეგ უსამღვდელოესმა თავმჯდომარემ სთხოვა სამოქალაქო მრჩეველ **ვ. ფ. ტრელინს,** წაეკითხა მოხსენება, რომელიც კავკასიის ახალმოსახლეების გაჭირვებასა და საქართველოს საეგზარქოსოს ფარგლებში ხალხის ტომობრივ და სარწმუნოებრივ დაყოფას ეხებოდა. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, კავკასიაში რუსების შევიწროებას ბოლო არ უჩანდა **(Церковныя Ведомости №9, 1907: 278).** ცხადია, ვ. ფ. ტრელინის მოხსენება თავიდან ბოლომდე არარსებულ ფაქტებს ემყარებოდა, მაგრამ იმჟამად მათი შემოწმება შეუძლებელი იყო. შემთხვევა არ გაუშვა ხელიდან და ვ. ფ. ტრელინის მოხსენებას ი. ი. ვოსტორგოვი გამოეხმაურა:

„ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც მოსახლეობა სამჯერ მეტია, ვიდრე სამხრეთ კავკასიაში (ამიერკავკასიაში), ეპარქია არ არის, მაშინ, როდესაც სამხრეთ კავკასიაში ექვსი ეპარქიაა. ჩრდილოეთში სამრევლოების რაოდენობა 600-მდეა, სამხრეთში კი – 1800. ჩრდილო კავკასიაში საეკლესიო კრებულს სამრევლო სახსრებით ინახავენ, სამხრეთში კი – სახელმწიფო ხაზინის ხარჯებით. ყარსის ოლქში ბერძნებისა და რუსებისათვის არც ერთი ეპარქია არ არის. ეს ყველაფერი კი იმის გამო ხდება, რომ სახელმწიფო (სახაზინო) თანხებს ქართველები განაგებდნენ. სკოლებთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ სიღნაღის მაზრაში ქართველებისათვის 18 სკოლაა გახსნილი, რუსებისათვის კი არც ერთი. აი, ასე ზრუნავენ ქართველები რუს ხალხზე! გურია-სამეგრელოს ეპარქიაში საეპარქიო-სასწავლო საბჭოს რუსული და ბერძნული სკოლებისათვის არაფერი გადაუცია. ამასთანავე, ოზურგეთთან ახლოს არის რუსული დასახლება და იქ არც ეკლესიაა და არც სკოლა. დაბა მიხაილოვკაში, ლაგოდეხში, არც რუსი მღვდლები მსახურობენ და არც სკოლებია გახსნილი. ყარსის ოლქში საერო კრებამაც კი არ მიაქცია სათანადო ყურადღება ადგილობრივ საეკლესიო სკოლებს. პირიქით, მშვიდად განაგრძო რუსული და ბერძნული სამრევლოების უგულებელყოფა და ყურადღებას მხოლოდ ქართულ სკოლებს აქცევდა. სანთლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი ბერძნულსა და რუსულ სამრევლოებში გაცილებით დიდია, ვიდრე ქართულ სამრევლოებში (5 ფუთი გაყიდული სანთელი ქართველებისათვის უკვე საკმაოდ ბევრია. ხევსურეთსა და ფშავის სამრევლოებში სანთელი სახელმწიფო ხაზინის

ხარჯზე იგზავნება). ამის გარდა, საერთოდ საეკლესიო თანხებს ქართველი სამღვდელოება განაგებდა და ითხოვდა, რომ რუსებსა და ბერძნებს სემინარიებში არ მიეღოთ განათლება, თურმე სემინარიები მხოლოდ ქართველებისათვის ყოფილა დაარსებული. ქართლში თავად ამილახვარს აქვს დასახლება, რომელიც 140 კომლისაგან შედგება. აქ სამი მღვდელი მსახურობდა და სამივე სახელმწიფოს კმაყოფაზე იყო. კიდევ ბევრია ისეთი დასახლება, სადაც ერთი მღვდელიც საკმარისი იქნებოდა, მაგრამ მსახურობს 4-5 სასულიერო პირი, თანაც ყველა სახელმწიფოს ხარჯზე. ეს ყველაფერი კი იმიტომ მოხდა, რომ როდესაც დაიწყეს ახალი საეკლესიო კრებულების დაარსებისათვის შუამდგომლობების შედგენა, ეგზარქოსებმა სათანადოდ არ იცოდნენ მათი ადგილმდებარეობა, სადაც უნდა გახსნილიყო ახალი საკრებულოები და სამრევლოები, ამიტომაც არ შეეძლოთ თვალი ედევნებინათ იმ მიკერძოებისა და ცალმხრივობისათვის, რომელსაც ხშირად ჰქონდა ადგილი შუამდგომლობების შედგენის დროს. და აი, ადგილობრივი მოღვაწეების მიერ შედგენილი შუამდგომლობის საფუძველზე სამრევლოები იხსნებოდა იქ, სადაც არ იყო საჭირო მათი არსებობა და პირიქით. არცთუ ისე იშვიათად ახალი თავისუფალი ადგილები იქმნებოდა სახელმწიფო დაფინანსებით, მხოლოდ ერთი მიზნით, რომ კარგ ადგილზე მოწყობილიყვნენ გავლენიანი ქართველი მოღვაწეების ნათესავები და ნაცნობები“ **(Церковныя Ведомости №9, 1907: 278).**

ი. ი. ვოსტორგოვის ბრალდებას არანაირი საფუძელი არ გააჩნდა. პირდაპირ, რომ ვთქვათ, რუსი დეკანოზი ურცხვად ტყუოდა: 1) მართალია, ჩრდილო კავკასიაში სამხრეთ კავკასიასთან შედარებით მოსახლეობა მეტი იყო, მაგრამ ამ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მუსლიმები იყვნენ, სამხრეთ კავკასიაში სამრევლოების რაოდენობა იმიტომ იყო დიდი, რომ აქ მართლმადიდებელი მოსახლეობა (ქართველები, რუსები, უკრაინელები, ბერძნები და სხვ.) მოსახლეობა უმრავლესობაში იყო. გარდა ამისა, სამრევლოების გახსნას წყვეტდა უშუალოდ ეგზარქოსი და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა და არა ქართველი სამღვდელოება; 2) სახელმწიფო სახაზინო სახსრებს, ისევე როგორც საეკლესიო ხაზინის თანხებს, ეგზარხოსი და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა განკარგავდა. ამ თანხებიდან ერთი კაპიკიც კი ვერ დაიხარჯებოდა რუსების თანხმობის გარეშე; 3) სიღნაღის მაზრაში რუსული სკოლის არარსებობა ქართველებს არ შეიძლებოდა დაბრალებოდათ რადგან მაზრაში სახელმწიფო (საერო) სკოლების გახსნა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის, ე. ი. რუსი მოხელის

ნებაზე იყო დამოკიდებული, ხოლო სასულიერო სასწავლებლების გახსნა საქართველოს ეგზარქოსსა და საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაზე; ე. ი. ორივე ტიპის სკოლების გახსნას მხოლოდ და მხოლოდ რუსები წყვეტდნენ; 4) ოზურგეთთან ახლოს, ლაგოდეხში, ყარსის ოლქში რუსებისათვის არც ეკლესია და არც სკოლა რომ არ იყო, ესეც საქართველოს ეგზარქოსისა და კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის ბრალი იყო და არა ქართველი საერო ან სასულიერო მოღვაწეებისა; 5) საეკლესიო თანხებს ქართველები არასდროს განაგებდნენ საქართველოს საეგზარქოსოს არსებობის პერიოდში. ეს საქმე მთლიანად რუსების ხელში იყო; 6) ქართველი სამღვდელოება ვერ შეზღუდავდა თბილისის სასულიერო სემინარიაში რუსებისა და ბერძნების მიღებას, რადგან სემინარიის რექტორი ყოველთვის რუსი იყო და სემინარიის მმართველობა ძირითადად რუსებისაგან იყო დაკომპლექტებული, სემინარიას კი ზედამხედველობას საქართველოს ეგზარქოსი უწევდა. დეკანოზ ი. ი. ვოსტორგოვის მოხსენებაში მოყვანილი სხვა ფაქტები ასევე სიცრუე იყო და მხოლოდ ქართველი სამღვდელოებისა და ქართველი საერო მოღვაწეების ანტირუსული საქმიანობის წარმოსაჩენად გამოგონილი.

დეკანოზ **ი. ი. ვოსტორგოვს** მაღალსამღვდელო **სტეფანეც** გამოეხმაურა. მან სხდომაზე მყოფთ მოუთხრო, თუ როგორ ცდილობდა უსამღვდელოესი კირიონი ვლადიკავკაზში არსებული ოსური ქალთა სკოლის გორში გადმოტანას. ეპისკოპოსმა სტეფანემ ქართველი მღვდელმთავრის ეს ნაბიჯი ასე შეაფასა: „Помнится, Преосвященный Кирион настойчиво добивался, чтобы женская осетинская школа, существующая во Владикавказе, была перенесена в Гори, т. е. иначе лишить осетин единственнаго, кажется, у них женскаго училища и обратить его на грузин, у которых и без того два епархиальных училища“ **(Церковныя Ведомости №9, 1907: 278).**

რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების სხდომაზე გამოცხადდა შესვენება. შესვენების შემდეგ უსამღვდელოესმა თავმჯდომარემ კრებას შესთავაზა დაესრულებინათ ქართული საკითხის განხილვა და კენჭი ეყარათ შემოთავაზებული პროექტებისათვის, რომლებშიც მოცემული იყო საქართველოს საეგზარქოსოს საეკლესიო მმართველობის რეორგანიზაცია **(Церковныя Ведомости №9, 1907: 279).** პროფესორმა **ნ. ნ. გლუბოკოვსკიმ** გამოთქვა აზრი, რომ კენჭისყრამდე უმჯობესი იყო. წინასწარ გადაეწყვიტათ, საჭირო იყო თუ არა საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭება **(Церковныя Ведомости №9, 1907: 279–280).** ამ საკითხმა კამათი გამოიწვია. ერთნი სხდომას სთავაზობდნენ, დაესვათ საკითხი: 1)

დასაბუთებული იყო თუ არა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია კანონიკურობის თვალსაზრისით? 2) საერთოდ საჭირო იყო კი საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭების საკითხის დასმა? კამათი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დიდხანს გაგრძელდა. პროფესორი ნ. ნ. გლუბოკოვსკი თვლიდა, რომ რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების სხდომას გარკვეული დასკვნები და გადაწყვეტილებები უნდა გამოეტანა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხთან დაკავშირებით. ქართველი მღვდელმთავრები მოითხოვდნენ დასაბუთებულ პასუხს. უსამღვდელოეს **სტეფანესა** და დეკანოზ **ტ. ი. ბუტკევიჩს** მიაჩნდათ, რომ საქართველოს ავტოკეფალიის საკითხი, თავისი არსითა და უზენაესი ბრძანებულებით, უნდა გადაწყვეტილიყო საეკლესიო კრების მიერ, თუმცა ეს არ ნიშნავდა იმას, რომ რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მსვლელობის დროს ვერ მოხერხდა მისი არსობრივი გადაწყვეტა **(Церковныя Ведомости №9, 1907: 280).** პროფესორმა **მ. ა. ოსტროუმოვმა** ამასთან დაკავშირებით აღნიშნა: „ჩვენ განყოფილებას წინა შეხვედრებზე საკითხი უნდა დაესვა არა იმ კუთხით, საჭირო იყო კი ამჟამად საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალია, არამედ ასე: აქვს თუ არა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას ამჟამად საკმარისი საფუძველი? აი, სწორედ ეს უნდა იყოს მითითებული დასკვნაში“ („Нами, т. е. нашему отделу Предсоборнаго Присутствия, нужно ставить вопрос не о том, нужно ли сейчас автокефалия для Грузинской церкви, а о том, имеетъ ли она (автокефалия) для себя в настоящее время достаточныя основания? Это и следует указать в заключении)“ **(Церковныя Ведомости №9, 1907: 280).** ცხადი იყო, რომ ეს საკითხიც აზრთა სხვადასხვაობას გამოიწვევდა. კამათმა რეალური შედეგი ვერ გამოიღო. ამიტომაც რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების თავმჯდომარემ განსახილველი საკითხი კენჭისყრაზე ასე დააყენა: „ესაჭიროება კი დასაბუთება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხს მისი ისტორიული, კანონიკური და პრაქტიკული მოსაზრებებით, თუ ამ საკითხის დასაფუთების გარეშე გადაწყვეტით შემოვიფარგლოთ?“ **(Церковныя Ведомости №9, 1907: 281).** უმრავლესობამ მეორე წინადადებას დაუჭირა მხარი. ამის შემდეგ კენჭი უყარეს პროფესორ მ. ა. ოსტროუმოვის მიერ წამოყენებულ მოსაზრებას: „ყველა აქ წარმოდგენილი მოხსენებისა და დისკუსიიდან გამომდინარე, შეუძლებელია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დადგენისათვის საკმარისი საფუძვლის მოძიება

იმ სახით, როგორი სახითაც ამას მოითხოვდნენ ქართველი სასულიერო და საერო პირები. ავტოკეფალიის პრაქტიკული მიმართებით განხორციელებამ შეიძლება დიდი სიძნელეები და გართულებები გამოიწვიოს“ **(Церковныя Ведомости №9, 1907: 281).**

მ. ა. ოსტროუმოვის ფორმულირებაზე თავისი აზრი გამოთქვეს: სხდომის თავმჯდომარე უსამღვდელოესმა **ნიკანდრმა,** მაღალსამღვდელო **სტეფანემ;** დეკანოზებმა: **ტ. ი. ბუტკევიჩმა, ი. ი. კოიალოვიჩმა, ი. ი. ვოსტორგოვმა;** პროფესორებმა: **ი. ს. ბერდნიკოვმა, ა. ი. ალმაზოვმა, მ. ა. ოსტროუმოვმა, ნ. ნ. გლუბოკოვსკიმ, ი. ი. სოკოლოვმა, ა. ი. ბრილიანტოვმა (Церковныя Ведомости 1907, №9: 281).** ამავე საკითხზე აზრი გამოთქვა პროფესორმა **ი. ს. პალმოვმაც,** რომელმაც განაცხადა: „აქ წარმოდგენილ ფორმულირებას ხმას კი ვაძლევ, მაგრამ ზოგიერთ რამეზე თავი მაინც უნდა შევიკავო, თუ რა მიზეზით, ეს კარგად ჩანს ჩემს მოხსენებაში, რომელიც მეორე განყოფილებას წარვუდგინე: არც ისტორიული და არც კანონიკური საფუძვლები არ იძლევიან იმის საშუალებას, რომ საქართველოს ეკლესიას მიეკუთვნოს ადრე მინიჭებული სრული ავტოკეფალია. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია ამ ქვეყნის რუსეთის იმპერიასთან ნებაყოფილობით შეერთებამდე ისტორიული ფაქტია, მაგრამ ეს არ გამოდგება იმის საფუძვლად, რომ მოხდეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა ახალ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ საზღვრებში. რაც ადრე იყო, ის არ შეიძლება ჩაითვალოს უდაო აუცილებლობად, ე. წ. ისტორიულ უფლებას შეიძლება მხოლოდ პირობითი მნიშვნელობა ჰქონდეს სხვა უფრო გადამწყვეტი ფაქტორების გათვალისწინებით, მაგრამ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აუცილებლობის სასარგებლოდ მოყვანილი საეკლესიო კანონები (მოციქულთა 34-ე, III მსოფლიო საეკლესიო კრების მე-8 კანონი, V და VI ტრულის კრების 39-ე კანონი) იმდენად არააპელაციური და კატეგორიულია, რომ შეძლონ მტკიცე საფუძვლად ემსახურონ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიულ უფლებას ახალ პოლიტიკურ პირობებში, მით უმეტეს, რომ სხვა საეკლესიო კანონები (II მსოფლიო საეკლესიო კრების მე-2 და მე-3 კანონები, IV მსოფლიო საეკლესიო კრების მე-17 და 28-ე კანონები, ტრულის კრების 38-ე კანონი, ანტიოქიის კრების მე-9 კანონი და სხვ.) მიუთითებენ ისტორიულ ფაქტებზე, რომელთაც ბერძნულ-რომაულ იმპერიაში სამოქალაქო-ადმინისტრაციული წყობისაგან გამოყოფით ჩამოაყალიბეს ახალი საეკლესიო-ადმინისტრაციული წყობა. ისტორიული მაგალითები ადგილობრივი

მართლმადიდებელი ეკლესიების ჩამოყალიბების შესახებ ნათლად ადასტურებს, რომ მათ მოთხოვნას ავტოკეფალიის მოპოვებისათვის ადგილობრივი ეკლესიები და საერო ხელისუფალნი აღძრავდნენ და მას შემდეგ მიაღწევდნენ, როდესაც ესა თუ ის ქვეყანა პოლიტიკურ დამოუკიდებლობას მიიღებდა. თუმცა ხანდახან ეთნოგრაფიული პრინციპიც მოქმედებდა ამა თუ იმ ადგილობრივი ეკლესიიდან მისი ცალკეული ნაწილების გამოყოფის დროს ავტოკეფალიის უფლებით, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, XIX საუკუნის 70-იან წლებში, როდესაც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საბოლოოდ გამოეყო ბულგარეთის საეგზარქოსო. ასევე მოხდა XIX საუკუნის 60-იან წლებში ავსტრია-უნგრეთის ტერიტორიაზე, როდესაც მართლმადიდებელი რუმინელები სერბეთის კარლოვაცკის სამიტროპოლიტო საპატრიარქოს გამოეყვნენ. აქვე აღსანიშნავია, რომ ორივე ეს ფაქტი სხვა რელიგიური აღმსარებლობის თურქეთსა და კათოლიკობის მიმდევარ ავსტრია-უნგრეთშიც მოხდა. ორივეგან დამოუკიდებლობას საეკლესიო და საერო სეპარატიზმის მტკიცე მხარდაჭერით მიაღწიეს. ამ უკანასკნელთ მხარს უმაგრებდა ადგილობრივი ხელისუფლება შემდეგი პრინციპით: „დივიდე ეტ იმპერა“...“ ამ ზოგადი შესავლის შემდეგ ი. ს. პალმოვმა ასეთი დასკვნა გააკეთა:

„ზემომოთხრობილი ამბის მიუხედავად, საქმისთვის სასარგებლოდ და ეკლესიის კეთილდღეობისათვის მიმაჩნია, რომ საქართველოს ამჟამინდელი საეგზარქოსო ორ სამიტროპოლიტო ოლქად დაყონ. ქართულ სამიტროპოლიტო ოლქში ქართველი მიტროპოლიტისათვის შესაძლებელია აღდგეს კათოლიკოსის ტიტული, რომელიც ქართველ მოსახლეობას მისსავე ეთნოგრაფიულ, დღევანდელი საეგზარქოსოს საზღვრებში მოიცავს. რუსული სამიტროპოლიტო-საეგზარქოსო გააერთიანებს არა მარტო კავკასიაში გაფანტულ რუს, არამედ კავკასიის სხვა ადგილებში მცხოვრებ ყველა არაქართველ მართლმადიდებელ მოსახლეობასაც. ამასთანავე, მისი მოვალეობა იქნება, განავრცოს თავისი რელიგიურ-განმანათლებლური გავლენა სხვა პროზელიტებზე, რომლებიც რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან დაახლოებას ცდილობენ“ **(Церковныя Ведомости №9, 1907: 281–183).**

სავსებით ცხადი გახდა, რომ პროფესორი ი. ს. პალომოვიც საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭების პრინციპული მოწინააღმდეგე იყო. მისთვის მიუღებელი იყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის იმ შინაარსითა და ფორმით

აღდგენა, რასაც ადგილი ჰქონდა 1811 წლისათვის. ი. ს. პალმოვის წინადადება „რუსული პროექტის“ ერთ-ერთი ვარიანტი იყო.

რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების 1906 წლის 13 დეკემბრის სხდომა იყო უკანასკნელი სხდომა, სადაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერების საკითხი საბოლოოდ უნდა გადაწყვეტილიყო. საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, წარმოვადგენთ რუსი მეცნიერების საბოლოო შეხედულებებს.

პროფესორმა **ნ. ნ. გლუბოკოვსკიმ** თავისი დასკვა შვიდ პუნქტად წარმოადგინა:

„1) ისტორიული მოვლენების ობიექტურად გაშუქებისათვის, განსაკუთრებით კი საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებისა და ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თაობაზე, ჩვენ შემოგვთავაზეს ბევრი ახალი და ორიგინალური მოსაზრება, რომლებითაც მნიშვნელოვან გაურკვევლობებს ნათელი მოეფინა, მაგრამ ეს ყველაფერი ძალიან დაშორებულია ძირითად თემას. თუკი მაინც მოვინდომებთ და შესაძლებლად ჩავთვლით რომელიმე მოსაზრების გამოყენებას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დასამტკიცებლად, მაშინ უნდა გამოვიყენოთ მოციქულებრივი წარმომავლობის ფაქტი. მსგავსი ღირსებით კი შემკულია დღეს არსებული ქრისტიანული ეკლესიების უმრავლესობა. ყოველივე ამის მიუხედავად კი, ყველას არ გააჩნია თვითმართველობის უნარი, რომლის პრეტენზიასაც საქართველოს ეკლესია აცხადებს. მაშასადამე, ეს უკანასკნელი (იგულისხმება საქართველოს ეკლესია - **გ. ბ.**) არ შეესაბამება კანონიკურ ავტოკეფალურობას. ჩვენ ვნახეთ, რომ ქართველები ქრისტეს მოძღვრებას სხვადასხვა მისიონერის საშუალებით ეცნობოდნენ, რომელთაც ჩვენ ვერ ავიყვანთ მაცხოვრის ამა თუ იმ მოწაფის ხარისხში. ამ დაკვირვებების შედეგად შეუძლებელია, საქართველოს ეკლესიას მიენიჭოს ავტოკეფალია. ამიტომაც ჩვენ ვალდებულნი ვართ, ის დავყოთ რამდენიმე დამოუკიდებელ საეკლესიო ოლქად.

2) არავის ეეჭვებოდა ის ფაქტი, რომ საქართველო ოდესღაც საეკლესიო დამოუკიდებლობას ფლობდა, თუმცა პირველ ხანებში მსგავსი დამოუკიდებლობა

საქრისტიანო სამყაროს ყველა დიდ ეკლესიას ჰქონდა. ამჟამად კი ავტოკეფალია მხოლოდ ცოტასღა გააჩნია. ეს უცილობლად ადასტურებს იმას, რომ რიგითი საეკლესიო დამოუკიდებლობა არ შეიცავდა აუცილებელსა და კანონიკურ სანქციებს, რომლებიც, გარდაუვალობიდან გამომდინარე, მათგან არ მოდიოდა. პოლიტიკურ სფეროში ვპოულობთ ავტონომიურობის საკმარის მაგალითებს, მაგრამ განა შეიძლება ითქვას, რომ ყველა ფლობს სახელმწიფოებრივ ავტონომიას? მაშინ კულტურულ ერთობას მოწყვეტილი ყველა ველური იქნებოდა სახელმწიფოებრივად ავტონომიური. ჭეშმარიტი ავტონომია იწყება იმ დროიდან, როცა ადგილობრივ ხალხს სხვა ავტონომიურ ქვეყნებთან ჰარმონიული ურთიერთობა აქვს და მათ შორის თანასწორუფლებიან ადგილს იკავებს თვითონ იაპონიაც არსებითად მხოლოდ განვლილი ომის შემდეგ გახდა სრული ავტონომიური ქვეყანა, ხოლო მანამდე მას საერთაშორისო შეზღუდვები ჰქონდა (სხვა ქვეყნებში არ ჰყავდა სრულუფლებიანი წარმომადგენლები). იგივე ვითარებაა საეკლესიო ავტოკეფალურობის შემთხვევაშიც. ეს ნიშნავს სანქცირებულ დამოუკიდებლობას, რომელიც ეკლესიამ მოიპოვა სხვადასხვა თვითმმართველი ეკლესიის მსგავსად, რომელსაც საერთაშორისო ურთიერთობების უცილობელი ფაქტორის ღირსებით იურიდიულ ლეგალიზებას უკეთებს. საინტერესოა, როგორ იყო საქმე ამ მიმართებით საქართველოს მაგალითის მიხედვით? – აი, ეს არის მეტად მნიშვნელოვანი საკითხი. პასუხის სრული გააზრებისა და გაცემისათვის ჩვენ გვესაჭიროება მხოლოდ ფაქტის – ეკლესიის ავტოკეფალიის კონსტანტირება. ამასთანავე, დაზუსტებით უნდა გავარკვიოთ, როგორ გარემოსა და რა პირობებში ებოძა საქართველოს ავტოკეფალია?

3) ამ კარდინარული თემის შესახებ ჩვენ არანაირი განსხვავება არ გვხვდება და შემდგომი ვითარებისათვის ყველა დამატებითი სწავლება მდგომარეობას უფრო ართულებს, არადა, პირიქით, ნათელს უნდა ჰფენდეს. უპირველეს ყოვლისა, ნიშანდობლივია, რომ ჩვენ ავტორიტეტულად გვიმტკიცებენ, თითქოს ქართული წყაროები საკმაოდ საეჭვოა და გამოირჩევა

ტენდენციურობით. თუკი ეს მართლაც ასეა, მაშინ ძალიან დიდი სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ ისეთი ცნობების წარმოდგენისას, რომლებიც იურიდიულ-კანონიკურ თემებს ტენდენციური და ძალდატანებითი ზეგავლენის ფონზე ეხებიან, რომელიც თან სდევს ისტორიულ მასალას. ირკვევა, რომ საქართველოს ავტოკეფალიის ერთგული დამცველები ზუსტად ამ ძეგლებზე აგებენ ანალოგებს მისი კანონიკურობის დაცვისათვის, რითაც მთელ რიგ საკუთარ დასკვნებს თვითონვე განაქიქებენ. დაბოლოს, მთელი მათი შრომა ხდება განსაკუთრებულად სადავო. მათ კვლევებს ბევრი უკლიათ ფაქტებამდე და არ შეიცავენ დამაჯერებლობას. მათში არ შეიმჩნევა არც რაიმე სამეცნიერო მახვილგონიერება და არც სუბიექტური კვლევა-ძიება. ამის გამო ბევრი რამ გაუგებარი და ბუნდოვანია. მაგალითად, ისინი ადასტურებენ, რომ ავტოკეფალურ საქართველოში კათოლიკოსი არ მოიხსენიებდა არც ერთ პატრიარქს. ეს კი სავსებით დაუშვებელია ავტოკეფალური ეკლესიების ურთიერთობაში, ანუ, აქედან გამომდინარე, მას არ გააჩნია კანონიკური ავტოკეფალია. სხვა ქართული ცნობები კიდევ უფრო ბუნდოვანია და ავტოკეფალური აპოლოგეტიკა შემდგომში იძულებულია მიმართოს სხვა საშუალებებს (ანტიოქიის პატრიარქის თეოდორე ბალსამონის მიერ საქართველოს გარკვევით მოხსიენიება, თუმცა, როგორც თვლიან, ეს ცნობა „ანტიოქიური ტენდენციურობისაგან“ არ არის თავისუფალი). ყოველივე ამის შემდეგ კვლავ შეურყევლად ვაგრძელებ ფიქრს, რომ λεγεται მას უდასტურებს ისტორიული წყაროების არარსებობას და ეყრდნობა მხოლოდ ჭორებს. მაგრამ განა შეეძლო, ამ თავისი სიზუსტით ცნობილ ავტორს დაკმაყოფილებულიყო ამ უკანასკნელით, თუკი იგი ნიშანდობლივ მონაცემებს ფლობდა? ამასთანავე, ეს გაურკვევლობა ამ გადმოცემაში სრულად განეკუთვნება კანონიკურად ბოძებულ ავტოკეფალიას. ივერიის ეკლესიის დაქვემდებარებას ანტიოქიის საპატრიარქოსადმი ბალსამონი მტკიცედ ადასტურებს, როცა ყველასათვის ცნობილია, რომ ეს ფაქტი არ მოითხოვს რაიმე დამატებით არგუმენტაციას. საქართველოს ეკლესიის მოგვიანო ისტორიაში იმდენად ხშირია არევ-დარევა, წინააღმდეგობები, რომ ახლა

ნამდვილად შეუძლებელია ძირითად საკითხებში გარკვევა, თუ რამდენი საკათოლიკოსო იყო, რატომ დაარსდნენ ისინი, სხვებთან როგორ ურთიერთობაში იყვნენ, როგორ კომპეტენციას ფლობდნენ და ა. შ. დაბოლოს, ყველაზე ტენდენციური განმარტებებიდანაც კი შეიძლება დავასკვნათ, რომ, კერძოდ, მართლაც შემთხვევით მოხდა ერთი საპატრიარქოს (ანტიოქიის) მხრიდან საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭება და არა „მსოფლიო ეკლესიის მიერ“. ამ არამტკიცე ნიადაგზე უფრო ადვილია შენობის დანგრევა, ვიდრე ახალი მყარი ნაგებობის აღმართვა საეკლესიო მსახურებისათვის.

4) და თუკი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურობის კანონიკური ფაქტი ჯერ კიდევ გაურკვეველია, მაშინ არანაკლებ სათუო იქნება მისი წარმოშობისა და არარსებობის პირობებიც, რითაც ცდილობენ თავი დაიცვან. ერთ რეფერატში პირდაპირ ხაზგასმული იყო, რომ საქართველოს გააჩნდა „იმპერიისადმი“ არადაქვემდებარებული პროვინციისათვის დამახასიათებელი საეკლესიო დამოუკიდებლობა. ეს კი თავისთავად საგანგებოდ აღსანიშნავი ამბავია, რომელსაც მხოლოდ გაკვრით იხსენიებენ, არადა ჩვენი საკითხის გარკვევისათვის ეს დიდად ფასეულია. საქმე კი ისაა, რომ, კანონების მიხედვით, საეკლესიო მოწყობა უნდა შეესაბამებოდეს სამოქალაქო მოწყობას (IV მსოფლიო კრების მე-17 კანონი, ტრულის საეკლესიო კრების 38-ე კანონი, II მსოფლიო საეკლესიო კრების მე-3 კანონი, IV მსოფლიო საეკლესიო კრების 28-ე კანონი და ანტიოქიის კრების მე-9 კანონი). ასე რომ, რომელიმე ოლქის პოლიტიკური მდგომარეობის შეცვლასთან ერთად სავსებით შესაძლებელია მისი საეკლესიო მდგომარეობის შეცვლაც. აქედან გამომდინარე, კანონიკური ავტოკეფალიაც არ შეიძლება ხელუხლებლად ჩაითვალოს. გარდა ამისა, მოცემულ თემაზე ჩვენ უამრავი ნათელი მაგალითი გვაქვს და ისინი დოკუმენტალურადაც არიან დადასტურებულნი ი. ს. პალმოვის მოხსენებასა და განმარტებებში, აქედან კი თ. ი. ტიტოვმა საჭირო დასკვნები გამოიტანა. რაც ადრე იყო საქართველო, დღეს ის აღარ არის. ის რუსეთის სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილია. საინტერესოა, რატომ არის, რომ გარდასული ხანა მას საერთოდ არ ამცნობს მისსავე

უფლებებს, რომლებსაც ამჟამად გამოიყენებდა, მაშინ, როდესაც მისაღებია გარკვეული აუცილებელი კანონიკური ნორმები. თუკი „საერო ჟამგასულობა“ გამოუყენებელია თანამედროვე საქართველოსათვის, მაშინ იგი უფრო უადგილოც იქნება მართლმადიდებელი საქართველოსათვის და არ არსებობს არანაირი დაბრკოლება დასახელებული კანონების მართებულად გამოყენებისათვის... აქედან კი ნება გვეძლევა დავასკვნათ, რომ არ არსებობს ჩვენს დროში საქართველოში ადრე არსებული ავტოკეფალიის აღდგენის საფუძველი...

5) ამრიგად, კიდევ ვერ ავხსენით ის კანონიკური საფუძველი, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. ამ პუნქტში პრინციპულად ვეთანხმები იმ თვალსაზრისს, რომელიც ჩვენი განყოფილების კომპეტენტური წევრების კანონიკურ რეფერატში გვხვდება. ჩემი მხრივ გარკვევით მივუთითებ, რომ კანონიკური ავტოკეფალურობა საეკლესიო თვითმყოფადობასთან არანაირ კავშირში არ არის და, აქედან გამომდინარე, პირველის დაკარგვა არ ნიშნავს მეორის დარღვევას და შეურაცხყოფას. პირიქით, მსგავსი მეტამორფოზის დროსაც საეკლესიო ცხოვრება ადრინდელი რეგულირებით აღსრულდება და ყოველგვარი ცვალებადობის გარეშე წარმატებით განაგრძობს თავის არსებობას საკუთარი კეთილდღეობისათვის. მე ღრმად ვცემ პატივს ეროვნულ შეგნებას, რელიგიურ მოთხოვნილებებს, ასევე ყველასაგან დიდი პატივისცემით ვიღებ მოცემული სახის ლოგიკურ დამოწმებებს, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ეს მაღალი დელიკატური ელემენტი სრულიად არ ეხება ავტოკეფალურობის საკითხს. ეს უკანასკნელი ჩვეულებრივი სახით ანალოგიურია ჩვენი, ჩვეულებრივი სამრევლო მოწყობისა. მასში გვხვდება დამოუკიდებელი სამრევლოები, რომლებიც არცთუ იშვიათად იხურებიან და თავის დამოუკიდებლობას კარგავენ. არსებობენ დაქვემდებარებული სამრევლოებიც, რომლებიც თანდათანობით აღწევენ კანონიკურ ავტონომიას. ორივე შემთხვევაში ყოველდღიური საეკლესიო ცხოვრების დროს მორწმუნეებს არანაირად არ აწუხებთ ესენციალურობა და გარეშე მდგომარეობასთან რაიმე დაეჭვების ფაქტორიც არ არსებობს. აქ საქმე ეხება მხოლოდ ფაქტობრივ

ხელსაყრელ პირობებს, თუ როგორ თანხვედრაშია დროებითი ხასიათის განსაკუთრებულ ფაქტორებთან და ყველაფერში ცვალებად ხასიათს ავლენს. ეს ყოველივე, რაც ზემოთ აღვნიშნეთ, სრულებით აუცილებელია საეკლესიო კანონიკური ავტოკეფალიისათვისაც. მაშ რატომ არის საჭირო ქართველებისათვის მისი დასაბუთება არა ისტორიულ-არქეოლოგიური არგუმენტებით, არამედ საეკლესიო კეთილდღეობისათვის არსებული მოთხოვნილებების გადაჭრით.

6) აუცილებლობიდან გამომდინარე, კვლავ უნდა დავუბრუნდეთ ჩვენი მუშაობის საწყის გეგმას და უნდა გავარკვიოთ შესასწავლი თემა თანამედროვე საქართველოს საჭიროების კუთხით. აქ ჩვენ პირდაპირ მიგვითითებენ, რომ მართლმადიდებელმა რუსეთმა ყველა კანონის დარღვევით, ყველანაირი „აგრესიული ხრიკების“ გამოყენებით მოახდინა საქართველოს უზურპაცია და „ძალადობრივად მიიტაცა“ საქართველოს ეკლესიის „თვითმმართველობის“ ხელშეუხებელი უფლებები. არადა თავის დროზე მან თვითონ გადასცა ეს უფლებები ერთმორწმუნე დიდ სახელმწიფოს, მაშინ, როდესაც ტირილითა და ცრემლებით ითხოვდა მფარველობას. ამიტომ „ხელშეუხებლობაზე“ საუბარიც კი არ შეიძლება იყოს, რამდენადაც ავტოკეფალია, რომელიც თავისი აღიარებისათვის კანონიკურ სანქციებს მოითხოვდა, ფაქტობრივად იკარგება. ასე იყო საქართველოს შემთხვევაშიც, რომელიც დროთა განმავლობაში კარგავდა თავის პოლიტიკურ თვითმყოფადობას. ამის პარალელურად თანდათან უსუსტდებოდა საეკლესიო დამოუკიდებლობის შენარჩუნების უნარიც. ეს კი დიდ საშიშროებას წარმოქმნიდა, რომ დაითრგუნებოდა თვითონ მართლმადიდებლური რწმენა და მოხდებოდა მისი შთანთქმა მუსლიმობით. ბუნებრივია, რომ მაშინ ქართველთაგან არავინ აცხადებდა პრეტენზიას არც ადრინდელ ავტოკეფალიაზე, არც ორმხრივ პირობებზე, რომლებიც მოლაპარაკების შედეგად დამყარდა. აქედან კი რა გამოდის – ჩვენ საერთოდ არ გვესმის, თუ რა არის ავტოკეფალიისათვის ანდა ავტონომიისათვის გადამწყვეტი მოთხოვნები. პირიქით, XIX საუკუნის ბოლომდე მხოლოდ აღტაცებული ქება-დიდება გაისმოდა „კეთილმეურვეობის შესახებ მართლმადიდებელი რუსეთის

მხრიდან, რადგანაც მისი კალთის ქვეშ „საქართველოს ეკლესია კეთილდღეობდა და უზრუნველად იმყოფებოდა“. რელიგიურ-ზნეობრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარე შესამჩნევად ამაღლდა და გაუმჯობესდა. თანდათან დაიწო განახლება ახალი ფორმებით და ახლა ჩვენს მძიმე გაჭირვებულ ეპოქაში სიმშვიდეში მცხოვრები საქართველო ხმას იმაღლებს, მკვახე პროტესტს გამოთქვამს გადამრჩენელის მიმართ და მკაცრი გამონათქვამებით ადანაშაულებს საეკლესიო სინოდალურ მმართველობას... განა მნიშვნელოვანი არ არის ეს ყველაფერი?.. რატომ არ გამოითქვა მსგავსი პრეტენზიები შეერთების დროს, როდესაც რუსეთი მზად იყო, ყოველგვარი მსხვერპლი გაეღო ერთმორწმუნე გატანჯული ქვეყნის ხსნისათვის? თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ სამაგიეროდ ის არანაირ სარგებელს არ ითხოვდა, მაგრამ იძულებული გახდა, აქტიურად ჩართულიყო თავისი სურვილისდა საწინააღმდეგოდ, ოღონდაც ერთადერთი – ყოველგვარი მადლის მიღების გარეშე, მხოლოდ კაცთმოყვარეობის ინტერესებიდან გამომდინარე... ზოგიერთი ამტკიცებს, რომ თავდაპირველად ქართველ კათოლიკოსს რუს მღვდელმთავრებს შორის მიაკუთვნეს მეოთხე ადგილი, შემდგომში კი მეცხრე ადგილზე გადაიყვანეს. აქ ყველაზე მნიშვნელოვანია მხოლოდ ძირითადი პრინციპი, რომ ქართველი კათოლიკოსი ჩაირიცხა რუს იერარქთა რიცხვში, როგორც მათი შემადგენელი ნაწილი და ეს მოხდა არა დესპოტიზმითა და მიტაცებით, არამედ სრული ნებაყოფლობით. ცხადია, რომ რუსეთისათვის ყოველთვის უცხო იყო ანგარებიანი ზრახვები და იგი არ ხელმძღვანელობდა მხოლოდ ერთი „ეგოისტური სიმპათიებით“, რასაც აღნიშნავს მხოლოდ პროფ. ნ. ა. მარი, და გულწრფელად სურდა ქართველთა სამეფოსათვის საუკეთესო სურვილები. გვეკამათებიან, რომ რუსეთის სახელმწიფომ ვერ გაამართლა ქართველი მართლმადიდებელი მოსახლეობის მოლოდინი, და ახლა ამ უკანასკნელის მხოლოდ დაბრკოლებას თუ ემსახურება. ჩვენი მხრივ ძნელია უარვყოთ ამ სახის ზოგიერთი მომხდარი ფაქტი, თუმცა უნდა დაგვეთანხმონ, რომ ისინი შემთხვევით მოვლენებს წარმოადგენდნენ. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსეთის სამოქალაქო ხელისუფლებას მრავალი სამოქალაქო-

პოლიტიკური შეზღუდვები ჰქონდა, ამიტომაც ხშირად ვერ სარგებლობდა თავისუფალი ქმედებებით, რაშიც დამნაშავედ ცნეს მხოლოდ რუსეთის ხელისუფლება, მაშინ, როდესაც ჩვენს თანამედროვე ცხოვრებაში, თვითონ თბილისშივე, დღისით-მზისით, პირდაპირ თავს ესხმიან და იარაღს ესვრიან რუს მღვდელმთავრებს... და თუკი ამ ფაქტორებს ობიექტურად შევაფასებთ, მაშინ პირადად მე არ შემიძლია იმის დაშვება, რომ ქართველმა უკიდურესმა ავტოკეფალისტებმა გადაწყვიტეს დაასაბუთონ, თითქოსდა რუსეთის ეკლესია მართლმადიდებელი საქართველოს მიმართ ყოველთვის სისტემატური მტრობის ინიციატივას იჩენდა და წინასწარ გეგმავდა სხვადასხვა სახის დევნა-შევიწროებას რწმენის, საეკლესიო მართლწერის, ტრადიციებისა და ენის სფეროში. საეგზარქოსოს პერიოდის მკაცრი მიმოხილვა საპირისპიროსაც საკმარისად ამტკიცებს. მასში იყო არცთუ ისე მცირე დეფექტები, ისეთები, როგორებიც კერძო, ასევე საერთო თვისებებიდან გამომდინარე, მაგრამ ისინი სრულებითაც არ იყვნენ პრინციპულნი და ყოველთვის მზად იყვნენ გამოსწორებისათვის, რამდენადაც არსებული ვითარება ამის საშუალებას იძლეოდა. გავიხსენოთ, რომ ეს ის დროა, როცა ჩვენ (რუსეთს) სისხლისმღვრელი ომი გვაქვს კავკასიაში... მსგავსი, მეტად მძიმე სიძნელეების დროს საეგზარქოსოს მმართველობამ მართლმადიდებელი საქართველოსათვის ბევრი რამ გააკეთა, ზოგჯერ თვითონ რუსეთის ინტერესების საზიანოდაც (ამის ფონზე კი ქართველი სამღვდელოების მოთხოვნებს აკმაყოფილებდა). ამასვე გვიდასტურებს ყველა ქართველი კომპეტენტური მწერალი ყოველგვარი აღელვების გარეშე. ამის შემდეგ მათი კერძო ბრალდებების აქ ასე მძაფრად და უკმეხად წარმოდგენა არ არის მართებული. საერთოდ კი, როგორც სჩვევიათ, მათ მიერ ყველაფერი ზედმეტად არის გაზვიადებული... ასეთ შემთხვევაში ყველა ნაკლოვანება უნდა აღმოიფხვრას და საუკეთესო უნდა იქნეს დატოვებული. რაც შეეხება საქართველოს ეკლესიის მესვეურთ და მართლმადიდებელი რუსეთის ეკლესიის უფლებებს, ეს ორმხრივად უნდა მოხდეს, რათა ეკლესიის ერთიანობას სიყვარულით, სიმართლითა და ჭეშმარიტებით მივაღწიოთ.

7) ასე რომ, საქართველოს დღევანდელი საერთო მდგომარეობიდან გამომდინარე, საკმარისი საფუძვლები არ მოგვეპოვება, რათა მოხდეს საქართველოს ეკლესიისათვის „სრული“ ავტოკეფალიის მინიჭება, როგორც ხდება ხოლმე ბევრ შემთხვევაში. მსგავსი მაგალითები ისტორიასა და კანონებში უხვად არის. ამიტომაც მხოლოდ ერთი, შემწყნარებლობის მორალური მოტივიღა დაგვრჩენია. კიდევ უფრო მცირედი იყო ჩემთვის კეთილი და მყარი იმედით შთაგონება, რომ ავტოკეფალური საკათოლიკოსოს არსებობისას საეკლესიო საქმე მართლმადიდებელ საქართველოში ნაყოფიერად და მთელი სისრულით წარიმართებოდა. იმაშიც მეპარება ეჭვი, რომ ქართველ ხალხში იქნებოდა ნამდვილი სიმშვიდე და საეკლესიო სფეროსაც არ შეეხებოდა ეროვნული ანგარიშსწორება. ეს კი მართლმადიდებლობისა და ქართველი ხალხისათვის დაღუპვის ტოლფასი იქნებოდა. ეს უკანასკნელი სწორედ ამით იყო ძლიერი და მტკიცე, სწორედ ამით შემოინახა აქამდე პირვანდელი სახით თავისი მეობა ყველა მძიმე გაჭირვების გამოვლის შემდეგაც. ამავე დროს, ნამდვილად შესაძლებელია, რომ ეროვნული მეტოქეობით გამთბარი გულმოდგინება ეროვნულ პროზელიტიზმში გადავა. ეს კი ტომთა შორის მეტად მწვავე შეტაკებას გამოიწვევს, რაც მეტად სახიფათოა, გაართულებს ურთიერთობას რუსეთის სამოქალაქო და საეკლესიო ხელისუფლებასთან. რატომ იქნა საჭირო ძალდატანებითი ჩარევის მოთხოვნა, რომელიც საბოლოოდ მოსპობს შემწეობისა და დაცვის ორმხრივ სიმპათიას? მოიძებნება კი აქ ადგილი წმიდა რელიგიური ინტერესებისათვის და ისინი სხვადასხვა გართულების შემთხვევაშიც ხომ არ გაუჩინარდებიან? ან იქნებ სრულიად სხვა მიზნებისა და მისწრაფებებისათვის მხოლოდღა იარაღი გახდებიან? არადა ისტორიაში ამის შესახებ ბევრი ტრაგიკული და სამწუხარო მაგალითი მოგვეძებნება, რომლებიც დღესაც ყველას აფრთხილებენ, რომ მეტად დიდია ბოროტება, როცა რელიგია გადადის პოლიტიკაში. ეს უმნიშვნელოვანესი გაკვეთილი ჩვენც უნდა გავითვალისწინოთ, რათა არ გაგვიტაცოს ერთგვარმა გულჩვილობამ. ამიტომაც წინასწარ ყველა შესაძლებლობა უნდა დეტალურად ავწონ-დავწონოთ... ყოველ შემთხვევაში,

აღწერილ პერსპექტივებში შემწყნარებლობის მოტივები ყველაზე ცუდი არგუმენტი აღმოჩნდება...**(Церковныя Ведомости №9, 1907: 283–290).** ზემომოტანილი შვიდი პუნქტი მოკლედ ასე შეაჯამა პროფესორმა ნ. ნ. გლუბოკოვსკიმ:

„მე არ ვარ სხვადასხვა სახის მცირე ავტონომიურობისა და დანაწევრებული ავტოკეფალურობის მომხრე. ყოველივე ამის შემდეგ სრულებით არ ვდგავარ „ორგანულ მტკიცებულებაზე" საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საწინააღმდეგოდ. პირიქით, მთელი გულმოდგინებით ვუშვებ, რომ ახალ საეკლესიო ავტოკეფალიას შეუძლია სრული კანონიერების დაცვით აღმოცენდეს და დამყარდეს იქაც კი, სადაც ის ადრე არასდროს ყოფილა, როგორც ეს მოხდა უახლოეს წარსულში (XIX საუკუნის 60-იან წლებში) ავსტრია-უნგრეთში, როცა ლოვაცკის ეპარქიას გამოეყო გერმანშტადტის (სიბონის) რუმინული ეკლესია. ეს ფაქტი მართებული იქნება მართლმადიდებლური საქართველოს ეკლესიისათვისაც. თუკი იგი საერთო წევრია აღმოსავლეთის რუსეთის ეკლესიისა, მაშინ ამ უკანასკნელის უშუალო ინტერესი იმაზეა დამყარებული, რომ მისი ყველა ნაწილი სრულფასოვანი იყოს. სხვაგვარად ერთი შემადგენელი ელემენტის ავადმყოფობასა და დაბეჩავებას შეუძლია დამღუპველი სენით მთელი ორგანიზმის დაავადება"...**(Церковныя Ведомости №9, 1907: 291).**

როგორც დავინახეთ, პროფესორ ნ. ნ. გლუბოკოვსკის დასკვნაში სრულად მჟღავნდება ველიკოდერჟავული მსოფლმხედველობის გადმოტანა ეკლესიაში. ნ. ნ. გლუბოკოვსკი აზროვნებდა ისე, როგორც აზროვნებდნენ რუსეთის იმპერიის სახელმწიფო მოღვაწეები, რომელთაც სასიკვდილო საფრთხედ ეჩვენებოდათ არა მარტო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა, არამედ რუსეთის შემადგენლობაში საქართველოსთვის ავტონომიური მმართველობის მინიჭება. ნ. ნ. გლუბოკოვსკი წინასწარ ჭვრეტდა, თუ რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭებას, ისევე როგორც რუსი სახელმწიფო

მოღვაწეები წინასწარ ჭვრეტდნენ, თუ რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა საქართველოსათვის ავტონომიური მმართველობის მინიჭებას.

პროფესორების ი. ს. პალმოვისა და ნ. ნ. გლუბოკოვსკის საბოლოო შეხედულებების მოსმენის შემდეგ რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის თავმჯდომარემ კენჭი უყარა შემდეგ საკითხს: **სხდომამ მიიღოს პირველი პროექტი, რომელიც დეკანოზმა ი. ი. ვოსტორგოვმა წაიკითხა, თუ დაამტკიცოს მეორე პროექტი?**

პირველი პროექტის შესახებ აზრი გამოთქვეს დეკანოზებმა: ტ. ი. ბუტკევიჩმა, ი. ი. ვოსტორგოვმა, ა. ი. ალმაზოვმა, მეორე პროექტის თაობაზე კი – სხდომის დანარჩენმა წევრებმა. უმრავლესობის გადაწყვეტილებით სხდომამ მიიღო მეორე პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა კავკასიაში ორი სამიტროპოლიტოს დაარსებას **(Церковныя Ведомости №9, 1907: 291).**

აქვე წარმოვადგენთ რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების მიერ შემუშავებულ ორივე პროექტს:

კავკასიაში საეკლესიო საქმეების მოწყობის I პროექტი (საეგზარქოსო შენარჩუნებულია)

ქართული ეპარქიების მთავარი საჭიროება, რომელიც მითითებულია ქართველი ეპისკოპოსების პეტიციებში, დაკმაყოფილებულია წმიდა სინოდის ა. წ. (1906 წლის- გ. ბ.) 6 აგვისტოს ცნობილი განკარგულებით. ამავე განკარგულების მე-4 და მე-5 პუნქტების მიხედვით, ისღა დაგვრჩენია, ეგზარქოსების წარდგინებას დაველოდოთ, რომელიც, რა თქმა უნდა, საქართველოს ეპარქიების ეპისკოპოსებთან შეთანხმებით მოხდება.

გარდაქმნის განხორციელებისათვის საჭირო ნაბიჯები ასეა წარმოდგენილი:

სოხუმის ეპარქია, უწმიდესი სინოდის მიერ ორჯერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, გამოეყოფა საეგზარქოსოს (საქართველოს საეგზარქოსოს - გ. ბ.), შემდეგ კი უწმიდესი სინოდი გადაწყვეტს, მიანიჭებს თუ არა მას დამოუკიდებლობას, ანდა შეუთავსებს თუ არა მეზობელი სტავროპოლის, ან სულაც ეკატერინოდარის ეპარქიას, თუკი იქ იქნება დამოუკიდებელი სამღვდელმთავრო კათედრა.

ენგურის მარჯვება სანაპიროზე, სოხუმის ეპარქიის სამხრეთით არსებული მეგრული სამრევლოები გადაეცემა სამეგრელოს ეპარქიას. სამეგრელოს ეპარქიას შეუერთდება ასევე ის სვანური სამრევლოებიც, რომლებიც მას მდინარე ენგურით ადვილად უკავშირდებიან.

ქალაქი **ბათუმი** სოხუმის ეპარქიის გამგებლობაში იქნება. საქართველოს ეპარქიის ის სამრევლოები, რომლებიც განლაგებულია სამხედრო გზაზე გუდაურის უღელტეხილის (გადასასვლელის) ჩრდილოეთით (ესენი უფრო ოსური სამრევლოებია), გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, უფრო ვლადიკავკაზის ეპარქიას უნდა ეკუთვნოდეს. ამავე ეპარქიას მიეთვლება ოსური სამრევლოები ზგუბისას უღელტეხილიდან ჯავის ხეობამდე.

გურია მიიღებს ან განსაკუთრებული საეპისკოპოსოს სტატუსს, ანდა მიუერთდება იმერეთის საეპისკოპოსოს, თუკი გამოინახება საშუალება, ის შეიძლება საქორეპისკოპოსოდ გადაკეთდეს.

თბილისის გუბერნია გადაიქცევა განსაკუთრებულ სამღვდელმთავროდ, რომელსაც სათავეში მთავარეპისკოპოსი (ეროვნებით ქართველი) ეყოლება. მისი კათედრა მცხეთაში იქნება, ხოლო მონაცვლე სამყოფელი კი თბილისში, ანჩისხატის ტაძართან, იმავე სახით, როგორიც ეს ადრევე ქართველი კათოლიკოსების დროს იყო.

ეპისკოპოსები მოიხსენებიან არა იმ კუთხის მაცხოვრებელი ხალხის სახელით, სადაც ისინი მოღვაწეობენ, არამედ მათი მოხსენიება მოხდება საკათედრო ქალაქის სახელის მიხედვით. ამასთანავე, ექნებათ სრული ტიტულატურა, ისეთი შემოკლებული კი არა, როგორითაც ახლა ეპისკოპოს (ქორეპისკოპოსს) მოიხსენებენ.

არაქართველი მოსახლეობისათვის საეგზარქოსოს საზღვრებში დგინდება რუსული ეპარქია, რომელშიც შევა: ქალაქი თბილისი მთელი თავისი სამრევლოებით, თბილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრა, ერევნის, ბაქოსა და ელიზავეტპოლის გუბერნიები.

ის მიზეზები, რომელთა გამოც საეგზარქოსოს რუსი სასულიერო პირებისათვის აუცილებლად უნდა დაარსდეს მსგავსი ეპარქია, მოცემულია ქვემოთ ჩანაწერებში.

რუსული ეპარქიის სათავეში დგას მიტროპოლიტი, იგი ასევე უწმიდესი სინოდის (რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის -გ. ბ.) ეგზარქოსია. ეპარქიის კათედრალური ტაძარი თბილისის სიონია. მის განკარგულებაშია ამჟამინდელი საეგზარქოსოს სახლიც. სიონის ტაძრიდან ანჩისხატის ტაძარში უნდა გადააბრძანონ წმიდა ნინოს ჯვარი.

საეგზარქოსო დააფუძნებს სამიტროპოლიტო ოლქს იმავე უფლებებით, როგორიც რუსეთში იმავე სახის ოლქებს გააჩნიათ, მხოლოდ მცირე სხვაობით, რომ: ა) მიტროპოლიტი ადგილზე კი არ ირჩევა, არამედ მას უწმიდესი სინოდი ნიშნავს; ბ) ეპისკოპოსები მას თავის წარდგინებებს ასლების სახით გადასცემენ, რომლებიც თავის დროზე უწმიდეს სინოდში გადააგზავნეს. ეგზარქოსს უფლება აქვს, საჭიროებისამებრ, გააკეთოს თავისი დასკვნები და ასევე გააგზავნოს უწმიდეს სინოდში.

სინოდალური კანტორა (საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა - გ. ბ.) უქმდება.

ეპარქიების მართვა ხორციელდება ზუსტად იმავე საფუძვლებით, როგორებიც მიღებულია იმ ეპარქიებისათვის, რუსული სამიტროპოლიტოების შემადგენლობაში რომ შედიან.

ამის შემდეგ შეიძლება ჩამოყალიბდეს განსაკუთრებული უფლებების მქონე საეპისკოპოსოები: რუსული – ბაქოში, ბერძნული – ყარსში, აფხაზური – აფხაზეთში, ოსური – ახალგორში. მასვე შეუერთდება 30 ოსური სამრევლო ვლადიკავკაზის ეპარქიიდან. სამიტროპოლიტოს მხარეს შეიძლება შეუერთდეს განსაკუთრებული უფლებებით ურუმიის (სპარსეთის) ეპარქიაც.

ახალი რუსული ეპარქიის დაარსებისათვის სრულებითაც არ არის საჭირო რაღაც განსაკუთრებული თანხები. მისი ნაწილი, რომელიც ამჟამადაა გამოყოფილი სინოდალური კანტორისათვის, შესაძლებელია, ჩაირიცხოს ახალი ეპარქიის მმართველობის შესანახად.

იმ თანხებით, რომლებიც გამოყოფილია სამხედრო სასწავლებლების საბჭოსა და საეკლესიო სკოლების მეთვალყურეების შენახვისათვის, დაკმაყოფილდეს რუსული ეპარქიის საეკლესიო-სასკოლო ადმინისტრაცია.

თბილისში, შესაძლებელია, არსებობდეს ორი სასულიერო სემინარია. ახალ შენობაში განთავსდება არაქართველი მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სემინარია (რუსული ეპარქიის) და აქვე განთავსდება დროებით, სპეციალური შენობის გამართვამდე, სასულიერო სასწავლებლებიც რუსული ეპარქიის სასულიერო პირთა შვილებისათვის. აქ მომსახურე პირთათვის შტატები გადმოვა გორისა და თელავის სასწავლებლებიდან, რომელთაგან ერთ-ერთი დაიხურება. ძველსავე შენობაში დარჩება ქართველებისათვის განკუთვნილი სემინარია. ქართველებსავე რჩებათ თბილისის სასულიერო სასწავლებელიც. ქართული სემინარიის შენახვისათვის გამოყენებული იქნება საქართველოს ეკლესიის სახაზინო თანხები. რაც შეეხება არაქართველი მოსახლეობისათვის გახსნილ სემინარიას, იგი იმ სახელმწიფო თანხებს გამოიყენებს, რომლებიც ამჟამად ქუთაისისა და თბილისის სემინარიებისათვისაა გამოყოფილი.

ქართველი სასულიერო პირების შვილებისათვის განკუთვნილი სასულიერო-სასწავლო დაწესებულებების სასწავლო-აღმზრდელობითი საქმის მოწყობის პროექტი შეიძლება დამტკიცდეს ქართველი ეპისკოპოსების მიერ გამართულ თათბირზე,

რომელსაც ეგზარქოსი უხელმძღვანელებს. თათბირის ბოლოს კი კრების გადაწყვეტილება უწმიდეს სინოდს წარედგინება.

რუსულენოვანი სასწავლო დაწესებულება რუსეთში მიღებულ საერთო წესებს იყენებს.

საქართველოს (ქართლისა და კახეთის -გ .ბ.), იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს ეპარქიათა მღვდელმთავრებს უშუალოდ უნდა დაევალოთ და მოვალეობად დაეკისროთ ის, რომ არაქართულენოვანი სამრევლოებისათვის დანიშნონ მათივე თანამემამულე მღვდელმსახურები: რუსულში – რუსი, ბერძნულში – ბერძენი და ა. შ.

ქართველი მღვდელმთავრები ვალდებულნი არიან, ფლობდნენ რუსულ ენას. რუსული ენა უნდა იცოდნენ აგრეთვე საეპარქიო სამმართველოს წევრებმა, საერო მოხელეებმა, მთავარეპისკოპოსისა და საეპარქიო სამმართველოს მომსახურე პერსონალმა, სასულიერო-სასწავლო დაწესებულების გამგეებმა და მომსახურე პერსონალმა, საეპარქიო და სამაზრო მნიშვნელობის საეკლესიო სკოლების ზედამხედველებმა, მეორე ხარისხისა და ორკლასიანი საეკლესიო სკოლების გამგეებმა და ყველა სახის საეკლესიო სკოლების მასწავლებლებმა. წერა-კითხვის შემსწავლელი სკოლების მასწავლებლების გარდა, ყველანი უნდა ფლობდნენ რუსულ ენას **(Церковныя Ведомости №10, 1907: 299-300).**

კავკასიაში საეკლესიო საქმეების მოწყობის II პროექტი
(საეგზარქოსო გაუქმებულია)

სამხრეთ კავკასიაში (ამიერკავკასიაში) ორი სამიტროპოლიტო ოლქი ფუძნდება, რომელთაგან ერთი უშუალოდ ქართულია. მისსავე შემადგენლობაში შედიან: საქართველოს (ქართლისა და კახეთის- გ. ბ.), იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს ეპარქიები. გარდა ამისა, მათ მიეკუთვნებათ ის მეგრული სამრევლოებიც, რომლებიც მდინარე ენგურის მარჯვენა ნაპირზეა განლაგებული. ქალაქი ბათუმი გადაეცემა სოხუმის ეპარქიას და თავისთავად გამოეყოფა ქართულ სამიტროპოლიტოს. ჩრდილოეთში მდებარე სამრევლოები ჯავის ხეობიდან და გუდაურის უღელტეხილიდან მიეთვლება ვლადიკავკაზის ეპარქიას. ქართული ეპარქიის მღვდელმთავარს მიენიჭება მიტროპოლიტის ტიტული. სამიტროპოლიტო კათედრა მცხეთაში განთავსდება, ხოლო მისი მონაცვლე სამყოფელი კი თბილისის ანჩისხატის ტაძარი იქნება.

ამ სამიტროპოლიტო მხარის შიდა მოწყობა უნდა ემთხვეოდეს რუსეთის სამიტროპოლიტო მხარეების (ოლქების - გ. ბ.) მოწყობას. ცალკეული ეპარქიის ეპისკოპოსებს აირჩევენ სამიტროპოლიტო კრების მიერ უწმიდესი სინოდის მიერ დადგენილი დროისა და წესის გათვალისწინებით.

სამიტროპოლიტო კრება წყვეტს იმერეთის კათედრაზე სამთავარეპისკოპოსო ხარისხში აყვანისა და გურიის საეპისკოპოსოს მასთან შემდგომი ურთიერთობის საკითხს, ასევე სასწავლო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობისა და სამიტროპოლიტოს შიდა მოწყობის ყველა საკითხს.

სამიტროპოლიტო მხარის ეპისკოპოსებისათვის სავალდებულოა შემდეგი მოთხოვნები:

ეპისკოპოსი უნდა გამოირჩეოდეს სათანადო და აუცილებელი საღვთისმეტყველო განათლებით. მან ასევე უნდა იცოდეს სახელმწიფო (რუსული) ენა. იგი ვალდებულია, არაქართულ სამრევლოებში მღვდელმსახურებად მრევლის თანამემამულე პირები დაადგინოს, არ დააწესოს ქართული ენა ეკლესიასა და სკოლაში.

რუსული ენის ცოდნა სავალდებულოა საეპარქიო მმართველობის წევრებისა და მოხელეებისათვის, სასულიერო-სასწავლო დაწესებულებების გამგეებისათვის და მომსახურე პერსონალისათვის, ორკლასიანი და მეორე ხარისხის სკოლებისათვის, ყველა საეკლესიო სკოლის პედაგოგისათვის, წერა-კითხვის შემსწავლელი სკოლების პედაგოგების გარდა.

თბილისის სასულიერო სემინარიის ძველი შენობა გადაეცემათ ქართველებს ახალი სასულიერო სემინარიის გასახსნელად. ამასთანავე, მისი რჩენა (შენახვა) მოხდება იმ თანხებით, რომლებსაც ამჟამად საქართველოს სასულიერო ხაზინა გასცემს თბილისისა და ქუთაისის სემინარიებისათვის. რაიმე სახის საჩივრისა და, საერთოდ, მნიშვნელოვანი საქმეების გადასაჭრელად სრულიად რუსეთის უწმიდეს სინოდს უფლება აქვს, საქართველოს სამიტროპოლიტო ოლქში, ისევე როგორც ყველა დანარჩენში, რევიზიისათვის გააგზავნოს განსაკუთრებულად უფლებამოსილი ეგზარქოსი საქმის წარმოებისა და საჩივრის გადასამოწმებლად.

რუსეთის ეკლესიის ღირსებისათვის, ასევე არაქართული მოსახლეობის მოთხოვნილებებისა და ინტერესებისათვის, განსაკუთრებით კი რუსი ხალხისათვის ქართული სამიტროპოლიტო მხარის გვერდით ამიერკავკასიაში უნდა დაფუძნდეს რუსული სამიტროპოლიტო ოლქი (მხარე). მოტივები (მიზეზები), რის მიხედვითაც არის მოთხოვნა რუსული ეპარქიის დაარსებისა, მოცემულია აქვე მოყვანილ ამიერკავკასიაში მოღვაწე რუსი საეკლესიო პირების ჩანაწერებში.

რუსული სამიტროპოლიტო მხარის სათავეში მიტროპოლიტი დგას. მისი ადგილსამყოფელი თბილისშია, ხოლო საკათედრო ტაძარია სიონი. ამიტომაც წმ. ნინოს ჯვარი შეიძლება გადავიტანოთ ანჩისხატის ტაძარში. სამიტროპოლიტოებს ეკუთვნით შემდეგი ეპარქიები: ქ. თბილისი, თბილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრა, ყარსის ოლქი, ერევნის, ელიზავეტოპოლისა და ბაქოს გუბერნიები. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ბაქოში აუცილებლად დაარსდება განსაკუთრებული საეპისკოპოსო, ისეთივე, როგორიც ყარსშია. რუსეთის სამიტროპოლიტო მხარეში შედის სოხუმის ეპარქია ქ. ბათუმით, ვლადიკავკაზის ეპარქია, ტაშკენტის ეპარქია (კასპიისპირეთის ოლქი 1901 წლამდე შედიოდა საქართველოს საეგზარქოსოს შემადგენლობაში), ასევე განსაკუთრებული უფლებებით სპარსეთის ურუმიის საეპისკოპოსო. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის (რუსული) სამიტროპოლიტო მხარის მიტროპოლიტები დასავლეთ

ამიერკავკასიის (ქართული) მხარის მიტროპოლიტებთან ერთად ღვთისმსახურების დროს დაიკავებენ საპატიო ადგილს ხელდასხმულთა შორის.

რუსეთის სამიტროპოლიტო მხარეს გააჩნია სემინარია თბილისში (ახალი შენობა). მას ინახავენ იმ სახელმწიფო თანხებით, რომლებიც გამოყოფილია თბილისისა და ქუთაისის სემინარიებისათვის. შესაბამისი შენობის მოწყობამდე არაქართველი მღვდელმსახურების შვილებისათვის იმავე შენობაში გაიხსნება სასულიერო სასწავლებელი, რომლის შტატებსაც თელავის ან გორის სასულიერო სასწავლებლის საშტატო განრიგიდან შეავსებენ, იმისდა მიხედვით, თუ რომელ სასწავლებელს გააუქმებენ.

იმ ეპარქიის მმართველობის შენახვისათვის, რომელიც მიეკუთვნება რუსეთის სამიტროპოლიტოს, თანხები გაიცემა სახელმწიფო ხარჯებიდან, რომლებსაც ახლა სინოდალური კანტორა გასცემს. საეკლესიო-სასკოლო ინსპექციის შენახვის თანხებს იმ ხარჯებით დაფარავენ, რომლებიც გამოყოფილია სამხრეთის სასწავლო საბჭოსათვის და სამხარეო ზედამხედველობისათვის.

განსაკუთრებულმა კომისიამ ის თანხები უნდა გაანაწილოს, რომლებიც ამჟამად საქართველოს საეგზარქოსოს შენახვისათვისაა გამოყოფილი. თანხები თანაბრად უნდა გადანაწილდეს ორივე სამიტროპოლიტოსათვის. კომისიაში შეუძლიათ შევიდნენ დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები.

ამ პროექტის აღსრულებისას ყველა მიზეზი ქართველი ეპისკოპოსების უკმაყოფილებისა და ყველა უკმაყოფილება ზემომოხსენებული სინოდალური დადგენილების მიმართ, რომელიც ძალაში შევიდა ა. წ. (1906 წლის -გ. ბ.) აგვისტოს თვეში და უშუალოდ ეხება კირიონისა და ლეონიდის აზრებს, თავისთავად მოისპობა **(Церковныя Ведомости №10, 1907: 300-301).**

დასკვნა

რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების უკანონობის უგულებელყოფის და ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნის დასაბუთების მიზნით ქართველ მღვდელმთავართა (ეპისკოპოსი კირიონი, ეპისკოპოსი ლეონიდი) და მეცნიერთა (ნიკო მარი, ალექსანდრე ცაგარელი, ალექსანდრე ხახანაშვილი) მოღვაწეობის შესწავლის შედეგად შეიძლება შემდეგი შემაჯამებელი დასკვნების გამოტანა:

1. XIX საუკუნის დამდეგს რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს დაპყრობას და ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობას საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება მოჰყვა (1811-1814 წწ.). მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია სრულიად უკანონოდ გაუქმდა, ქართველ სამღვდელოებას მთელი XIX საუკუნის განმავლობაში არ მიეცა საშუალება დაეყენებინა საკითხი საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის უკანონოდ გაუქმებისა და აღდგენის თაობაზე. რუსეთის საერო და საეკლესო ხელისუფლებისათვის ყოვლად მიუღებელი იყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხის განხილვაც კი.
2. XX საუკუნის დამდეგიდან რუსეთის იმპერიასა და კონკრეტულად რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში მიმდინარე პროცესებმა შესაძლებელი გახადა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის უკანონოდ გაუქმებისა და ავტოკეფალიის აღდგენის სამართლიანობის თაობაზე საკითხის ოფიციალურად დაყენება, კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ის, რომ რუსეთის სამღვდელოების დიდმა ნაწილმა მხარი დაუჭირა ეკლესიაში რეფორმების გატარებას. გამოითქვა აზრი იმის თაობაზე, რომ უნდა აღდგენილიყო მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის თანამდებობა, ანუ უნდა გაუქმებულიყო პეტრე I-ის მიერ 1721 წლიდან შემოღებული სინოდალური მმართველობა. რუსეთის ეკლესიაში გასატარებელ რეფორმებზე აზრი უნდა გამოეთქვა და გადაწყვეტილება მიეღო რუსეთის საეკლესო კრებას. ცხადი იყო,

რომ საეკლესიო კრების წინაშე დაისმებოდა ბევრი ურთულესი საკითხი. რუსეთის საიმპერატორო კარმა, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უწმიდესმა სინოდმა გადაწყვიტა: საეკლესიო კრების გამართვამდე მოეწვიათ რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირი. თათბირს უნდა ემსჯელა და მოემზადებინა ის პროექტები, რომელებიც რუსეთის საეკლესიო კრებას უნდა მიეღო. საეკლესიო კრების წინარე თათბირის დღის წესრიგში შევიდა საკითხი: კავკასიაში საეკლესიო საქმეების მოწყობა. ამ პრობლემაზე უნდა ემსჯელა რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე სექციას (განყოფილებას).

3.მართალია, რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების მუშაობის დღის წერიგში უშუალოდ არ ყოფილა შეტანილი საკითხი საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების უკანონობისა და ავტოკეფალიის აღდგენის სამართლიანობის თაობაზე, მაგრამ ქართველმა მღვდელმთავრებმა შეძლეს ხსენებული საკითხის კავკასიაში საეკლესიო საქმეების მოწყობის განხილვის პროცესში დაყენება. რუსი სამღვდელოება და მეცნიერები წინ ვერ აღუდგნენ ქართველი მღვდელმთავრების მისწრაფებას, რადგან ასე თუ ისე საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილებას მაინც უნდა ემსჯელა საქართველოში საეკლესიო მმართველობის თაობაზე.

4. ქართველი მღვდელმთავრები ეპისკოპოსი კირიონი (ერში გიორგი საძაგლიშვილი) და ეპისკოპოსი ლეონიდი (ერში ლონგინოზ ოქროპირიძე) დიდი სიფრთხილითა და ტაქტით მიუდგნენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხის განხილვას. მათ უშუალოდ და პირდაპირ არ დაუყენებიათ საკითხი საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის თაობაზე. ეპისკოპოსმა კირიონმა და ეპისკოპოსმა ლეონიდმა მთელი სიმწვავით დააყენეს საკითხი საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების უკანონობის თაობაზე და რუსი სამღვდელოებისა და მეცნიერებისგან მოითხოვდნენ ავტოკეფალიის გაუქმების უკანონობის აღიარებას. თავისთავად ცხადია, თუ რუსები საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების უკანონობას აღიარებდნენ, მაშინ დღის წესრიგში თავისთავად დგებოდა საკითხი

უკანონოდ გაუქმებული ავტოკეფალიის აღდგენის თაობაზე, ე. ი. ქართველმა მღვდელმთავრებმა ბრძოლის ორი ეტაპი დაგეგმეს: **პირველი.** საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების უკანონობის აღიარების მიღწევა; **მეორე.** საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის სამართლიანობის დასაბუთება. ეს იყო უაღრესად სწორი გადაწყვეტილება.

5.რუსი მღვდელმთავრები (ვოლინის ეპისკოპოსი ნიკანდრი, მოგილევის ეპისკოპოსი სტეფანე) და რუსეთის სამღვდელოების წარმომადგენლები (დეკანოზი ტ. ი. ბუტკევიჩი, დეკანოზი თ. ი. ტიტოვი, დეკანოზი ი. ი. ვოსტორგოვი, დეკანოზი ა. პ. მალცევი, დეკანოზი ი. ი. კოიალოვიჩი), ეკლესიის ისტორიის და საეკლესიო სამართლის ცნობილი სპეციალისტები (პროფესორი ნ. ნ. გლუბოკოვსკი, ი. ს. ბერდნიკოვი, ი.ს. პალმოვი, მ. ა. ოსტროუმოვი, ა. ი. ალმაზოვი, ვ. ზ. ზავიტევიჩი, ი. ი. სოკოლოვი, და სხვები), ცხადია, მიხვდნენ, თუ რატომ აყენებდნენ ქართველი მღვდელმთავრები საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების უკანონობის საკითხს და ცხარე პოლემიკა გამართეს საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების სხდომებზე. ამ პოლემიკის მთავარი მიზანი იყო იმის დასაბუთება, რომ საქართველოს ეკლესია უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა და ავტოკეფალიის გაუქმება სრულიად კანონზომიერ მოვლენას წარმოადგენდა.

6. პოლემიკის დროს ცხადი გახდა, რომ რუსების არგუმენტები უსუსური იყო. სწორედ ამიტომ რუსმა სამღვდელოებამ და მეცნიერებმა ასევე ცხარე პოლემიკა გამართეს იმის თაობაზე, რომ თითქოს საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია უკანონოდ ჰქონდა მიღებული. ცხადია, თუ რუსები ამას დაამტკიცებდნენ, დღის წესრიგიდან თავისთავად იხსნებოდა საკითხი საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის უკანონოდ გაუქმების თაობაზე. ქართველი მღვდელმთავრები და მეცნიერები ცდილობდნენ რუსების მიერ წამოყენებული ორივე არგუმენტის გაქარწყლებას. მათ ამ რთულ ამოცანას შესანაიშნავად გაართვეს თავი.

7. ეპისკოპოს კირიონის ღვაწლი რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე შეიძება მოკლედ ასე წარმოვიდგინოთ: **პირველი.** რუსეთის საეკლესიო კრების

წინარე თათბირის მსვლელობისას (1906 წლის მარტი-დეკემბერი) ეჭვ ქვეშ დადგა საქართველოს მოციქულთა მიერ გაქრისტიანების ფაქტი, რომელიც ეპისკოპოსმა კირიონმა უგულებელყო ქართულ, ბერძნულ, სირიულ (ასურულ) და არაბულ ენოვანი ისტორიული საბუთებზე დაყრდნობით; **მეორე.** ქართველმა მღვდელმთავარმა დაასაბუთა, რომ VIII საუკუნის შუახანებში (751 წელს) ანტიოქიის საპატრიარქოს კათედრის (საყდრის) კრების განწესებით, ცნობილი იქნა ივერიის ეკლესიის სრული ავტოკეფალია. ამ დროიდან აღიარებენ და მოიხსენებენ მცხეთის ეკლესიას ავატოკეფალურ და საკათალიკოსო კათედრად, როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ეკლესიები და საეკლესიო კანონისტები თუ ისტორიკოსები; **მესამე:** VIII საუკუნის შუახანებიდან 1811 წლამდე საქართველოს ეკლესია სრულიად თავისუფალი იყო. კათოლიკოსები განაგებდნენ ეკლესიას რომელიმე გარე სახელმწიფოს ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად, უფლის სიტყვის საფუძველზე, მოციქულთა კანონებითა და საეკლესიო კანონებით; საკუთარი ინიციატივით იწვევდნენ ადგილობრივ საეკლესიო კრებებს, სადაც ხდებოდა საეკლესიო გადაწყვეტილებების მიღება.

8.ეპისკოპოს ლეონიდის ღვაწლი რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე მოკლედ შეიძება ასე წარმოვიდგინოთ: **პირველი.** ეპისკოპოსმა ლეონიდემ ნათლად დაადასტურა შემდეგი: 1. საქართველოს ეკლესიას რუსი ეგზარქოსები მართავდნენ თავიანთი უღირსი ფავორიტების მეშვეობით; 2. თრგუნავდნენ ყოველივე ქართულს, ეროვნულს, დევნიდნენ ყველაფერს: საქართველოს ეკლესიის წმიდა ტრადიციებს, რიტუალებს, რომლებსაც ეკლესია ინახავდა ქრისტიანობის გავრცელების პირველივე საუკუნეებიდან; 3. სპობდნენ წმიდა ეკლესიის სიძველეებს; 4. მათი ქმედებების გამო ეგზარქოსები ვერ სარგებლობდნენ ქართველი საზოგადოების ნდობით; 5. ყოველივე ზემოთქმულის გამო ქართველმა სამღვდელოებამაც დაკარგა მრევლის ნდობა; **მეორე.** სასულიერო განათლება საქართველოში სავალალო მდგომარეობაში იყო; 2. საქართველოში არსებული სასულიერო სემინარიები დასახულ მიზანს ვერ აღწევდნენ; 3. სასულიერო სემინარიაში პედაგოგები მხოლოდ რუსები იყვნენ; 4. სასულიერო სემინარიებში მკაცრი ფორმალიზმი იყო გაბატონებული; **მესამე.** 1) საქართველოს ეკლესია კეთილად ასრულებდა თავის მოვალეობას, სანამ ის რუსეთის საეგზარქოსოს მმართველობაში შევიდოდა; 2) საქართველოს ეკლესია დაეცა

საეგზარქოსოს მმართველობის პერიოდში; 3) საქართველოს ეკლესიას თავისი პირვანდელი სახის დასაბრუნებლად ესაჭიროება ავტოკეფალია.

9. ნიკო მარმა რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე თავისი გამოსვლებით დაადასტურა შემდეგი: **პირველი.** 1) ქართული ენის დევნა; 2) უმდიდრესი ქართული საეკლესიო წერილობითი ძეგლებისა და საეკლესიო სწავლა-განათლების უგულებელყოფა; 3) საეკლესიო ტრადიციების დევნა; 4) ქართველ წმიდანთა ცხოვრების ამსახველი კრებულის გამოცემასა და სწავლებაზე უარის თქმა; **მეორე.** საქართველოს საეგზარქოსომ, როგორც მმართველმა სისტემამ, არ შექმნა პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ განათლების, ცოდნის, ინტერესის გაღვივებას მშობლიური საეკლესიო სიძველეების შესასწავლად და ა. შ.; **მესამე.** IX საუკუნეში მთელი საქართველოს ეკლესია, და არა მისი რომელიმე ნაწილი, გახდა თვითმმართველი, ე. ი. ავტოკეფალური. საqართველოს ეკლესია ყოველთვის მართლმადიდებლურ საფუძველზე იდგა, ხოლო საქართველოს ეკლესიის მმართველობა დიდი ხნის მანძილზე ქართველთა ხელში იყო. ეკლესიას სათავეში ჰყავდა არჩეული პირი, სახელდებით კათოლიკოსი.

10. ალექსანდრე ცაგარელის ცხარე პოლემიკა რუს მეცნიერებთან და სამღვდელოებასთან მნიშვნელოვანი იყო შემდეგი მიზეზების გამო. **პირველი.** ქართველმა მეცნიერმა არგუმენტირებულად და შესაბამისი წყაროებზე მითითებით დაასაბუთა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებით და რუსეთის ეკლესიის წმიდა სინოდის ამ არაკანონიერი განკარგულებით დარღვეული იქნა არა მარტო მსოფლიო და ადგილობრივი კრების კანონები, არამედ საქართველოს ეკლესიის განჩინებები. შებღალული იქნა საქართველოს სამოქალაქო კანონები, რომლებიც მოქმედებდნენ საქართველოში რუსეთის სენატის დადგენილებით, დამტკიცებულით უმაღლესი ხელისუფლების მიერ, სახელდობრ, ვახტანგ VI-ის სჯულდებისა, რომელშიც მოცემული იყო „საკათოლიკოსო კანონების“ მთელი განყოფილება – ისინი დაწვრილებით განსაზღვრავდნენ საქართველოს ეკლესიისა და სამღვდელოების მდგომარეობას, უფლებებსა და უპირატესობებს. **მეორე.** საქართველოს ავტოკეფალურ საეკლესიო ოლქს რუსეთის ეკლესია თავისი განკარგულებით ვერც დაიქვემდებარებდა და ვერც შეიერთებდა; მით უმეტეს, ამას ვერ განახორციელებდა სამოქალაქო ხელისუფლება. ამ შემთხვევაში, უსათუოდ

აუცილებელი იყო სრულიად საქართველოს (ივერიის) ეკლესიისა და ხალხის ერთობლივი კრების გადაწყვეტილება, ანუ უმაღლესი სასულიერო პირის, სამღვდელო დასისა და საერო პირების თანხმობა, ამასთან ერთად აუცილებელი იყო მსოფლიო საეკლესიო კრების ნებართვა, რომლის წევრიც ივერიის ეკლესია IV საუკუნიდან იყო.

11. ალექსანდრე ხახანაშვილის ღვაწლი რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ქართველმა მეცნიერმა დიდი ყურადღება დაუთმო კულტურული საკითხების მიმოხილვას და მის როლს ქართველი ერის განვითარებაში. ალექსანდრე ხახანაშვილმა ყურადღება გაამახვილა ეკლესიის როლზე და სამონასტრო კერებზე, სადაც აქტიურად მიმდინარეობდა საეკლესიო-საგანმანთლებლო მოღვაწეობა. ქართველმა მენციერმა რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის სხდომაზე წარმოადგინა პოლიტიკური ძნელბედობით გამოწვეული საგანმანათლებლო სირთულეებიც. სხდომაზე ალექსანდრე ხახანაშვილი შეეცადა, არც ერთი ქართველი კულტურული მოღვაწე არ დაეტოვებინა უყურადღებოდ. მან თითოეული მათგანის მოღვაწეობის თაობაზე და მათი ნაშრომების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

12. რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილებამ, მიუხედავად იმისა, რომ ქართველმა მღვდელმთავრებმა და მეცნიერებმა შესანიშნავად დაასაბუთეს საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების უკანონობა და ავტოკეფალიის აღდგენის სამართლიანობა, მიუღებლად მიიჩნია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. მეორე განყოფილების მიერ შემუშავებული პროექტები არსებითად არ ცვლიდა რუსულ საეკლესიო მმართველობას საქართველოში, არამედ, პირიქით, გარკვეულწილად ამძიმებდა კიდეც - საქართველოს სამოციქულო ეკლესიას ის დაშლით ემუქრებოდა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. **გურული 2003:** საქართველს ისტორია. XIX საუკუნე. პროფ. ვახტანგ გურულის რედაქციით. თბილისი, 2003
2. **გურული 2008**: ვახტანგ გურული. ერთმორწმუნე რუსეთი. თბილისი, 2008
3. **გურული 2010**: ვახტანგ გურული. საქართველო და რუსეთი. მფარველობიდან ანექსიამდე. თბილისი, 2010
4. **ვაჩნაძე ... 2007:** მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული. რუსეთის ეკლესიის ისტორია. ნაწილი პირველი (988-1801). თბილისი, 2007
5. **ვაჩნაძე 2008:** საქართველოს ეკლესიის ისტორია (XX-XXI საუკუნეები). დოკუმენტები და მასალები. ტომი მეორე. 1905 წელი. გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი, შენიშვნები და კომენტარები დაურთეს პროფ. მერაბ ვაჩნაძემ და პროფ. ვახტანგ გურულმა. თბილისი, 2008
6. **ენუქიძე 1955:** ვახტანგ VI. სამართლის წიგნი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ტერმინთა საძიებელი დაურთო თ. ენუქიძემ. თბილისი, 1955
7. **ჯაფარიძე 2003ა:** მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. ტ. IV. თბილისი, 2003
8. **ჯაფარიძე 2003ბ:** მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. საქართველოს საეკლესიო კრებები. წიგნი III. თბილისი, 2003
9. **ჯაფარიძე 2009:** მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. თბილისი, 2009, გვ. 1090-1091.
10. **ღამბაშიძე 1905ა:** დავით ღამბაშიძე. რედაქტორისაგან. – ჟურნალი „მწყემსი“, 1905, №1-2, 10-15 მაისი
11. **ღამბაშიძე 1905ბ:** დავით ღამბაშიძე. ქართლ-კახეთის სამღვდელოების კრების დროს მომხდარ ინციდენტის გამო 31 მაისს თბილისში. – ჟურნალი „მწყემსი“, 1905, 11-15 ივნისი
12. **Бычков 1998:** Сергей Бычков. Русская Церковь и Императорская власть. Москва, 1998

13. **Церковныя Ведомости №47, 1906:** Журналы и заседании II-го отдела Высочайше учрежденнаго Присутствия при Святейшем Синоде для разработки подлежащих разсмотрению на Поместном церковном Соборе вопросов. Об устроении церковных дел на Кавказе. Журнал №1. Засидание 2 июня 1906 года. – Приложение к журналу „**Церковныя Ведомости“**, №47 за 1906 год.
14. **Церковныя Ведомости №51-52, 1906:** Журналы и заседании II-го отдела Высочайше учрежденнаго Присутствия при Святейшем Синоде для разработки подлежащих разсмотрению на Поместном церковном Соборе вопросов. Об устроении церковных дел на Кавказе. Журнал №2. Заседание 17 ноября 1906 года. – Приложение к журналу „Церковныя Ведомости“, №51-52 за 1906 год.
15. **Церковныя Ведомости №2, 1907:** Журналы и заседании II-го отдела Высочайше учрежденнаго Присутствия при Святейшем Синоде для разработки подлежащих разсмотрению на Поместном церковном Соборе вопросов. Об устроении церковных дел на Кавказе. Журнал №2. Заседание 1 декабря 1906 года. – Приложение к журналу „Церковныя Ведомости“, №2 за 1907 год.
16. **Церковныя Ведомости №3, 1907:** Журналы и заседании II-го отдела Высочайше учрежденнаго Присутствия при Святейшем Синоде для разработки подлежащих разсмотрению на Поместном церковном Соборе вопросов. Об устроении церковных дел на Кавказе. Журнал №2. Заседание 1 декабря 1906 года. – Приложение к журналу „Церковныя Ведомости“, №3 за 1907 год.
17. **Церковныя Ведомости №3-4, 1907:** Журналы и заседании II-го отдела Высочайше учрежденнаго Присутствия при Святейшем Синоде для разработки подлежащих разсмотрению на Поместном церковном Соборе вопросов. Об устроении церковных дел на Кавказе. Журнал №2. Заседание 1 декабря 1906 года. – Приложение к журналу „Церковныя Ведомости“, №3-4 за 1907 год.
18. **Церковныя Ведомости №4, 1907:** Журналы и заседании II-го отдела Высочайше учрежденнаго Присутствия при Святейшем Синоде для разработки подлежащих разсмотрению на Поместном церковном Соборе вопросов. Об устроении церковных дел на Кавказе. Журнал №2. Заседание 5 декабря 1906 года. – Приложение к журналу „Церковныя Ведомости“, №4 за 1907 год.
19. **Церковныя Ведомости №5, 1907:** Журналы и заседании II-го отдела Высочайше учрежденнаго Присутствия при Святейшем Синоде для разработки подлежащих разсмотрению на Поместном церковном Соборе вопросов. Об устроении церковных дел на Кавказе. Журнал №2. Заседание 5 декабря 1906 года. – Приложение к журналу „Церковныя Ведомости“, №5 за 1907 год.

20. **Церковныя Ведомости №6, 1907:** Журналы и заседании II-го отдела Высочайше учрежденнаго Присутствия при Святейшем Синоде для разработки подлежащих разсмотрению на Поместном церковном Соборе вопросов. Об устроении церковных дел на Кавказе. Журнал №2. Заседание 5 декабря 1906 года. – Приложение к журналу „Церковныя Ведомости“, №6 за 1907 год.
21. **Церковныя Ведомости №7, 1907:** Журналы и заседании II-го отдела Высочайше учрежденнаго Присутствия при Святейшем Синоде для разработки подлежащих разсмотрению на Поместном церковном Соборе вопросов. Об устроении церковных дел на Кавказе. Журнал №2. Заседание 12 декабря 1906 года. – Приложение к журналу „Церковныя Ведомости“, №7 за 1907 год.
22. **Церковныя Ведомости №8, 1907:** Журналы и заседании II-го отдела Высочайше учрежденнаго Присутствия при Святейшем Синоде для разработки подлежащих разсмотрению на Поместном церковном Соборе вопросов. Об устроении церковных дел на Кавказе. Журнал №2. Заседание 12 декабря 1906 года. – Приложение к журналу „Церковныя Ведомости“, №8 за 1907 год.
23. **Церковныя Ведомости №9, 1907:** Журналы и заседании II-го отдела Высочайше учрежденнаго Присутствия при Святейшем Синоде для разработки подлежащих разсмотрению на Поместном церковном Соборе вопросов. Об устроении церковных дел на Кавказе. Журнал №2. Заседание 12 декабря 1906 года. – Приложение к журналу „Церковныя Ведомости“, №9 за 1907 год.
24. **Церковныя Ведомости №10, 1907:** Журналы и заседании II-го отдела Высочайше учрежденнаго Присутствия при Святейшем Синоде для разработки подлежащих раз¬смот¬рению на Поместном церковном Соборе вопросов. Об устроении церковных дел на Кавказе. Журнал №2. Заседание 12 декабря 1906 года. – Приложение к журналу „Церковныя Ведомости“, №10 за 1907 год.

დანართი №1

I. ეპისკოპოს კირიონის მიერ რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე წარდგენილი პირველი მოხსენება

ГРУЗИНСКИЙ ЦЕРКОВНЫЙ ВОПРОС

(Доклад I)

Всякое явление, по скольку оно совершается во времени, имеет свою историю. Имеет свою глубокопоучительную историю и автокефалия нашей многострадательной церкви. Вопрос этот, выдвинутый неожиданно в печати, вызвал в последнее время целую литературу за и против и наряду с серьезными и добросовестными изследованиями появились, как и следовало ожидать, тенденциозныя статьи, вернее фарисейския справки книжников-кривотолкователей, вкривь и вкось трактующих об автокефалии Грузинской церкви. Некоторые прибегли даже к непозволительной грубой подтасовке фактов и к умышленному извращению смысла приводимых свидетельств. Но сквозь искусственно созданный туман лжи истина все же вышла наружу и логомахия оказалась безплодной.

Несомненные исторические документы на грузинском, греческом, сирском и арабском языках свидетельствуют, что Грузины, получив христианскую религию, иерархию и церковно-административныя учреждения из Византии в самом начале IV века и будучи причислены к юрисдикции Антиохийскаго престола, старались постепенно освободиться от церковной опеки метрополии и организовать свою самостоятельную национальную церковь с католикосом во главе. Подобное вполне естественное стремление Грузин тем более представлялось возможным осуществить, что они уже вполне прониклись спасительным учением христианской религии.

С одной стороны, появление в Иверии своих национальных церковно-религиозных центров, духовно-просветительных учреждений и обогащение на своем родном языке священно-богослужебными книгами, а с другой – постепенное усиление Грузинскаго царства

– и особенно после взятия г. Антиохии арабами в 638 году, – побуждали грузин сделать свою родную церковь вполне независимою от антиохийскаго патриарха. Это святое желание грузинскаго народа осуществилось постепенно, пройдя все стадии своего развития, пока, наконец, не была торжественно провозглашена в половине VIII века (ок. 751 г.) соборным определением антиохийскаго патриаршаго престола полная автокефалия Иверской церкви. С этого времени считают и титулуют автокефальною Мцхетскую католикосскую кафедру как церкви Востока и Запада, так равно и церковные канонисты и историки. Желающим подробно ознакомиться с этим вопросом рекомендуем специальныя сочинения, посвященныя автокефалии Грузинской церкви: 1) профессора С.-Петербургской духовной академии И. И. Соколова – "Об автокефалии Грузинской церкви (историческая справка)"; 2) священника К. Цинцадзе – "Автокефалия Грузинской церкви". Тифл. 1905 г.; 3) Ф. Д. Жордания – "Краткия историческия сведения об автокефалии Грузинской церкви". Тифл. 1905 г.; 4) С. Горгадзе; 5) Toncmelis'a "Правда об автокефалии Грузинской церкви". Кут. 1906 г и многочисленныя ценныя статьи в газетах: профессоров: А. А. Цагарели, Н. Я. Марра, А. С. Хаханова, а также Н. Н. Дурново, Я. С. Гогебашвили, А. Ф. Кипшидзе, А. И. Натроева, И. И. Перадзе; священников: Н. Покровскаго, К. Кекелидзе, И. Ф. Чиджавадзе, Ионы Брихничева и др.

Таким образом, с половины VIII века и вплоть до 1811 г. Грузинская церковь была вполне свободною и католикосы управляли и судили независимо от какой-либо внешней власти, на основании слова Божия, правил Апостольских и канонов церковных, созывая по собственной инициативе поместные соборы и излагая на них свои определения. Но со времени добровольнаго присоединения Грузинскаго царства к Российской державе в 1801 году, Святейший Синод, не желая мириться с возможностью существования в Грузии своего независимаго католикоса, вопреки ясно выраженному приказанию Императора Павла I-го, в рескрипте "не трогать привиллегий Грузинской церкви",[1] стал настойчиво добиваться иерархическаго подчинения Грузинской церкви себе. Желание Святейшаго Синода увенчалось успехом. По ходатайству главнокомандующаго в Грузии военнаго генерала Тормасова Антоний II католикос был вызван в Святейший Синод в 1810 году для устроения грузинских церковных дел, а 30 июня 1811 года, по мысли же генерала Тормасова, назначен на его место, вопреки 30 и 35 правил Святых Апостолов и 22 правилу Антиохийскаго собора, экзархом Грузии и митрополитом Мцхетским Варлаам. Только большая и старейшая церковная власть

[1] Акты Кавк. Арх. Ком. т. III, стр. 359 и т. I, стр. 413.

может отменить постановления меньшей власти. Таким образом, нарушены церковные каноны и заветы, совершена неслыханная несправедливость, не имеющая в истории церкви ничего аналогичнаго.

Здесь невольно напрашивается вопрос: имел ли законное право Святейший Синод так поступить с автокефальною Грузинскою церковию?

Обращаясь к истории церкви для выяснения поставленнаго вопроса, мы в ней хотя и находим не мало случаев упразднения церковной автокефалии, но для этого обязательно требовалось соблюдение известных условий, – требовалось с одной стороны, непринужденное желание предстоятелей клира и паствы, а с другой – санкция собора.[2] Но Святейший Синод ничего подобнаго не сделал. Если бы существовал какой либо акт добровольнаго отречения Грузинской церкви от своих автокефальных прав, то тогда Святейший Синод имел бы в нем некое оправдание для своего действия. Но никакого подобнаго акта не сущетсвовало. Был единственно возможный тогда путь для правомернаго решения грузинскаго церковнаго вопроса – путь взаимнаго соглашения, обоюднаго акта, но этот вполне законный путь был обойден высшим центральным духовным управлением. Оправданием в данном случае не может служить ссылка на формулу "так было до сих пор". Фраза эта имеет исторический смысл, но не юридическое содержание. Незаконный образ действий, допущенный по отношению к Грузинской церкви, только потому, что он давно совершен, не может быть узаконен. Земская давность к нашему церковному вопросу не имеет ровно никакого отношения.

Основываясь, главным образом, на донесениях генерала Тормасова,[3] не имевшаго, скажем кстати, на то Высочайшаго разрешения, Святейший Синод вмешался в дела древнейшей церкви, утвержденной в своих автокефальных правах определением Антиохийскаго собора. Каноны вселенских соборов всегда заботливо оберегали самостоятельность отдельных церквей и их юрисдикции, как это усматривается из 2-го правила 1-го Константинопольскаго собора, 8-го правила Ефесскаго собора, 35 правила святых Апостолов и др.

Мы предвидим здесь еще одно возражение, – могут сказать, что деканоническия правила не суть неизменяемые догматы, они не раз изменялись сообразно с потребностями времени и места. Правда, эти правила, без сомнения, и в будущем могут получить другую

---

[2] Для примера укажем на упразднение Охридской архиепископии в Болгарии в 1767 г. **Т. Филиппов.** Современные церковные вопросы. стр. 86-88 и дал.

[3] "Если какой-либо епископ, воспользовавшись мирскими властями, чрез их посредство овладеет церковию, да будет извержен и отлучен, – и все ему сообшающиеся". 30-е прав. св. Апостолов.

формулировку, но подобное действие вне компетенции частной церкви, оно может совершиться не иначе, как по санкции вселенскаго собора, которому исключительно принадлежит это право.

Итак, на основании канонических и исторических данных, незаконно приостановленное избрание католикоса грузинскаго немедленно должно быть возобновлено на началах выборных и возстановлена полная автокефалия Грузинской церкви, которая возвратит Иверской церкви правильность всех ея жизненных проявлений.

Кирион, Епископ Сухумский

[1906 წლის ივნისი]

დანართი №2

II. ეპისკოპოს კირიონის მიერ რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე წარდგენილი მეორე მოხსენება

ЧТО ВЫНУЖДАЕТ ГРУЗИН ДОБИВАТЬСЯ ВОЗСТАНОВЛЕНИЯ АВТОКЕФАЛИИ СВОЕЙ ЦЕРКВИ

(Доклад II)

Ответ на этот вопрос краткий – право историческое и каноническое и современное плачевное состояние Грузинской церкви. Первыя две стороны вопроса мы разсмотрели в первом докладе, остается в нынешнем докладе выяснить и поименовать крупные дефекты нашей церковной жизни. Для должнаго освещения и уяснения этих дефектов нам необходимо несколько оглянуться назад. Прежде всего, несправедливо утверждать: 1) будто

Грузинский церковный вопрос выдвинут последним общим революционным движением и имеет политическую подкладку и 2) что со стороны Грузинскаго духовенства и народа не было до сих пор заявлено никакого протеста против Синодальнаго управления. Первое положение потеряет всякий смысл, если скажем, что революционеры (социал-демократы) отрицают и церковь, и Христианство, и национальность, поэтому странно было бы им приписывать возбуждение вопроса о церковной автокефалии. Поразительное непонимание. Нужно же, наконец, взглянуть на вещи прямо и понять, что желание грузинскаго народа имеет характер исключительно церковный, а не политический. Церковный вопрос, как известно, был для грузинскаго народа одним из важнейших в течение всей его многовековой истории. Русская церковь также обнаруживает в настоящее время стремление упорядочить свои функции и возстановить патриаршество, но никому в голову не придет мысль поставить это законное стремление в связь с общим политическим движением. Благодаря общегосударственным реформам началась и церковная реформа в Грузии. Одна должна была начаться и не могла не начаться именно теперь. В настоящее время, время правоваго уклада в государственной жизни, грузинская православная церковь желает также возстановления своего каноническаго устройства. Посмотрим, насколько основательно второе положение. Обратимся к историческим фактам, которые нам известны. Еще в ноте, поданной грузинскими полномочными в апреле 1801 г. от имени грузинскаго народа, было выражено желание "сохранить звание и должность католикоса"[4]. В 1802 г., через год после добровольнаго присоединения Грузии к России, дворянство Кахетии заявило: "Когда они (враги) нас покорили, ни тогда, ни после того они не отменяли у нас царскаго звания, *не отменяли архиерейства*"[5]. В 1810 г. 1 марта паства Урбнисской епархии ходатайствовала пред А. П. Тормасовым о возстановлении Урбнисской архиерейской кафедры, но почему-то просьба эта найдена была *неуместной*[6]. В 1817 году князья и дворяне Телавскаго уезда обратились в Грузино-Имеретинскую Синодальную контору, чтобы вместо шести упраздненных в Кахетии епархий назначить хоть викарнаго епископа, чтобы он жил в Кахетии. Но и эта вполне законная просьба отклонена[7].

Далее, протест духовенства Западной Грузии в 1820 году, названный официально *церковным бунтом* и разрешившийся высылкою из Имеретии двух старейших митрополитов,

---

[4] Профессор **А. А. Цагарели**. Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии, т. II, вып. 1, стр. 201 и 7.
[5] Акты Кавказ. Археограф. Ком., т. I, стр. 388.
[6] Дело Грузинской Дикастерии за 1811 г. №4.
[7] Дело арх. Груз.-Имер. Синод. Кон. за 1817 год. №280.

не желавших подчинится Святейшему Синоду и до последней возможности защищавших права родной Церкви. Благодаря неофициальному протесту, ходатайство Грузино-Имеретинской Синодальной конторы в 1840 году о назначении в гор. Кутаис русскаго архиерея не было утверждено.[8] По этой же причине и в этом же году потерпело фиаско и второе представление о назначении на праздное Горийское викариатство из великороссийских архимандритов, за неимением между грузинами достойных лиц (!). Святейший Синод утвердил это представление, но Государю Императору Николаю Павловичу угодно было наложить на докладе Святейшаго Синода следующую знаменитую резолюцию: "Согласен, но знание местнаго языка там почти необходимо, дабы сохранить должное влияние на народ, и потому желательно избрать людей язык знающих, хотя и не столь образованных, сколько сие здесь нужно".[9] Гурийские князья и дворяне в поданном экзарху Евгению в 1841 году прошении объяснили, что со времени закрытия в Гурийской провинции архиерейских кафедр, религиозность начала подать и гурийцы, живущие на границе магометанской Турции, нуждаются в непосредственном архипастырском паставлении, вразумлении и укреплении в православной вере, поэтому ходатайствовали даровать им особаго архиерея, которому, если не будет назначено казенное жалованье, то они готовы отпускать ему содержание из своих средств. Но и это ходатайство не было уважено.[10] Вспомним неоднократные письменные протесты преосвященнаго Гавриила, епископа Имеретии, а также протест по поводу назначения в Тифлис перваго викария их русских уроженцев. Наконец, петиции грузинскаго духовенства всего экзархата, дворянства и интеллигенции разве не протест, разве не последствия столетняго горькаго вдовства Грузинской католикосской кафедры?

Появление грузинскаго церковнаго вопроса треть столетия тому назад некоторые церковные писатели считали совершенно невероятным, невозможным. Вот что писал об этом Т. И. Филиппов: "Позволяем себе прибегнуть к приему несколько искусственному и попробуем сделать некоторое совершенно невероятное предложение. Известно, что церковь Грузинская, до политическаго соединения Грузии с России, была автокефальною;[11] со време-

---

[8] Контора об этом вошла с представлением в Св. Синод 22 января 1841 г. (см. Дело арх. Груз.-Имер. Синод. Конт. за 1841 г. №6140).
[9] Дело арх. Груз.-Имер. Синод. Конт., дело за 1841 г. №6240.
[10] Там же, дело за 1841 г. №6140.
[11] В толковании 2-го канона II Вселенскаго Собора Вальсамон говорит: Архиепископ Грузии почтен (автокефалиею) по разсмотрению Антиохийскаго собора. Поветствуют, что во дни святейшаго патриарха Божия града великой Антиохии кир Петра было соборное постановление, чтобы церкви Грузии, в то время подчиненной патриарху антиохийскому, быть свободной и независимой.

ни же слияния Грузии с нашею страною, грузинская независимая кафедра, за неимением причины в дальнейшему продолжению ея существования, упразднена и с тех пор экзарх Грузии поставляется всегда Святейшим Синодом и непременно из лиц русскаго происхождения. Это была последняя, ближайшая к нам по времени, перемена в управлении некогда бывшей независимой церковной области, случившаяся через тридцать слишком лет после принятия (в 1767 г.) константинопольским патриархом Самуилом в свое управление, по просьбе архиепископа Арсения и подчиненнаго ему клира, бывшией автокефальной архиепископии Охридской, так что, на основании историческаго права, к коему так смело апеллируют болгары, церковь Грузинская могла бы скорее всех других требовать возстановления своей независимости.

Предположим теперь, что грузины, временно подчинившись обстоятельствам, наконец, вспомнили бы, что они образуют, в составе русскаго народа, отдельное племя; что они недостаточно хорошо понимают церковно-славянское богослужение своего экзарха; что они, по тем или другим причинам, чувствуют сожаление об утрате их церковной независимости, будучи, впрочем, вполне довольны и счастливы своим политическим слияниям с русскими в единый народ, и что, наконец, их туземные архиереи подали бы заявление Святейшему Синоду, что в их намерение не входит оставаться долее под его духовною властью.

Как бы это было принято Святейшим Синодом? Смеем предположить, что этот протест он принял бы несколько в ином духе, чем заявление болгарских архиереев, поданное Григорию об отложении их от его кафедры, особенно, если бы возстановленный в своей независимости, изобретенный нами ad hoc грузинский иерарх тем или другим способом достиг возможности водвориться в Петербурге и, без соизволения местнаго митрополита, стал бы совершать здесь богослужение. Мы не сомневаемся ни на одну минуту, что это было бы признано церковным мятежем и наше церковное правительство не навлекло бы на себя упрека в бездействии власти".[12]

Так думал г. Филиппов в семидесятых годах прошлаго столетия, но он ошибся с своем бюрократическом предсказании. Вопрос об автокефалии Грузинской церкви все-же появился и возстановления ея прав добиваются все истинные сыны Грузии в силу того, что после 95-летняго управления стала для всех очевидной непригодность системы Синодальнаго режима, убившаго живую деятельность Грузинской церкви, неизбежным последствием чего и было

[12] **Т. Филиппов**. Современные церковные вопросы, стр. 215-217.

почти полное разложение религиозной жизни в Грузии, что подтверждается официальными отчетами г. г. Обер-Прокуроров Святейшаго Синода.[13]

Многие из архипастырей также находят ненормальным положение церковных дел в Грузии.[14] Бедственное положение Грузинской церкви особенно усугубилось в последнее время. В настоящее время христиане инославных исповеданий, а также старообрядцы и сектанты, живущие в громадном количестве в Грузии и по соседству ея, с объявлением закона о широкой веротерпимости (17 апреля 1905 г.), проявляют особенную жизнедеятельность и энергию к устроению своего религиознаго быта, совращая даже православных. Всякаго истиннаго сына православной Грузии безпокоит мысль о будущей судьбе своего отечества и православия. "В Закавказьи, говорит преосвященный Стефан, населенном не только инородцами, но и единоверцами, давление инородческаго элемента столь же опасно для православия, сколько и для грузинской народности".[15] Опасность эта особенно увеличивается благодаря созданным современными реформами новым обстоятельствам.

Вот что говорит высокопреосвященный Николай, экзарх Грузии, архиепископ Карталинский и Кахетинский о грузинском церковном вопросе. Изложив историческия основания для признания автокефалии Грузинской церкви, экзарх говорит, что "автокефальная Грузинская Церковь свыше 1.300 жлет признавалась таковою всеми патриархами вселенской Церкви, в том числе и русской. Патриарх Иов в грамате на имя католикоса Николая титулует его католикос-патриархом, или – что то же – вселенским патриархом.

Вот на каких незыблемых исторических основаниях зиждется автокефалия Грузинской церкви; а если к этому прибавить еще и то, что в течение тринадцати веков все восточные патриархи безспорно признавали ее автокефальною, то станет совершенно понятным сильное недоразумение, царящее в грузинском народе относительно незаконнаго, совершенно произвольнаго, антиканоническаго упразднения автокефалии при добровольном вступлении грузин в братское единение с русскою державою. Этот ужасный акт исторической ошибки русскаго Правительства в течение столетия, как и следовало ожидать, нанес грузинской Церкви, как уже и выше сказано, столько тяжелых ударов, что в настоящее время православие в Грузии, переживая последный кризис, вопиет о помощи и спасении путем возстановления прежних церковных порядков, о чем уже официально

[13] Для примера возьмем отчеты за 1890-91 г. стр. 145-153; 1892-93 г. стр. 234-236; 1894-1895 г. стр. 193-199; 1896-97 г. стр. 87-91; 1898 г. стр. 47-49; 1899 г. стр. 79-82; 1900 г. стр. 176 и др.
[14] Отзывы епархиальных архиереев, ч. I, стр. 94, 97, 434, 436; ч. II, стр. 393, №57 и др.
[15] Отзывы епархиальных архиереев, ч. I, стр. 94.

высказались съезды духовенства всех епархий Грузинскаго экзархата, дворянския собрания, городския самоуправления и сельския общества.

В ответ на поставленный тем же синодальным циркуляром №8 вопрос, не будет ли автокефалия Грузинской церкви находиться в противоречии с началом государственнаго единства, способствуя возрождению идеи о культурной и политической обособленности Грузии, – скажем следующее: самая история присоединения Грузии к России является красноречивейшим опровержением этого возражения. Мысль о присоединении Грузии к России зародилась в том время, когда Грузия пользовалась благами политической, церковной и культурной самостоятельности; но созвание в народе своей слабости в виду его малочисленности и тяготение его к единоверной державе было так велико, что цари и правители Грузии (не говоря уже о духовенстве) добровольно снимали венцы свои, чтобы возложить их на головы единоверных русских монархов во имя идеи защиты самобытности нации и неприкосновенности церковных порядков. Та же самая мысль господствует в грузинском народе и в настоящее время; и если появилось брожение против русскаго режима во всех слоях общества, возросшее до отчаянной мысли отделения церковнаго, то это вызвано именно разочарованием в тех надеждах и ожиданиях, которыя соединили его с русским народом именно: гонение национальности, дошедшее до крайних пределов, постепенное ниспровержение порядков, традиций и нравов грузинской древне – православной церкви, хранящей в своих традициях и обычаях церковные порядки первых веков христианства, заслуживающие абсолютнаго благоговейнаго уважения каждаго христианина, а тем более каждаго ученаго, как изследователя древности. Следовательно, об опасении возрождения идеи политической обособленности Грузии не может быть и речи по возстановлении автокефальной Грузинской церкви. Напротив, если национальные и местно-церковные интересы Грузии не будет попираемы русскою властью с целью полнаго уничтожения национальности, то каждый грузин почувствует себя истинным русским гражданином, воодушевляясь всеми теми идеями, которыми живет русский народ. Иначе и быть не может.

Что же касается опасения относительно культурной обособленности грузин с возстановлением автокефалии, то в такой обособленности, если даже она и последует, не только нельзя усмотреть чего-либо противнаго общегосударственным интересам, но даже всеми силами следует стремиться к ней, как к одному из наиболее могущественных средств процветания государственной жизни. Чем разнообразнее и своеобразнее в государстве культура (в отдельных ли частях государства, губерниях ли, уездах или даже волостях), тем

сильнее бьет пульс государственной и промышленной жизни, тем оживленнее мена произведений, торговля государства, тем могущественнее само государство.

Итак, возстановление в Грузии автокефалии церкви должно быть совершенно в интересах самого государства, и никакого вреда от нея, кроме величайшей пользы для Грузии и самого государства, ожидать нельзя".[16]

Таким образом по исторически сложившимся традициям и бытовым особенностям жизни грузин, требуется не только ближайшее архипастырское наблюдение за нормальным течением местной церковной жизни, но и полная самостоятельность местных органов церковно-просветительнаго управления, дабы они могли вполне свободно и по собственной инициативе действовать, согласно своему усмотрению для удовлетворения местых потребностей, а не обращаемы были в слепых и безпрекословных исполнителей распоряжений, исходящих из чуждаго грузинскому духу высшаго центральнаго духовнаго управления, которому многие вопросы, волнующие местное население, кажутся маловажными, незаслуживающими внимания. При этом компетентность и осведомленность национальных архипастырей несомненно выше, нежели русских экзархов, не знающих ни языка, ни истории местной, ни нравов и обычаев грузин и служащих более политике государственной, чем живому делу Грузинской церкви. В виду накопившагося в религиозной жизни грузин множества весьма важных и жизненных вопросов, требующих самостоятельнаго и свободнаго разрешения, неотложно необходимо резрешить грузинам возстановить автокефалию своей церкви, в пределах ея церковных границ (Соб. II, прав. 2-ое, Антиох. собор. прав. 9-ое), при чем гор. Тифлис, бывшая столица Грузинскаго царства, должен сделаться ядром или средоточием церковной жизни. Возстановление в Грузии самостоятельнаго католикосата даст возможность православным объединиться и сплотиться и послужит он надежным оплотом православия на юге России. Опасаться политической обособленности едва ли есть основание, так как действующее в них одно христианское начало, единая вера, более будет способствовать объединению, чем разъединению.

Гуманных архипастырей русской церкви не страшит автокефалия церкви Грузинской: каковы высокопреосвященнейший митрополит Антоний, первенствующий член Святейшаго Синода и преосвященные – Тихон Пензенский, Питирим Курский, Тихон Алеутский и другие. Преосвященный Тихон, епископ Пензенский не усматривает ничего преступнаго в стремлении грузин к автокефалии; он находит даже возможным возстановление не только Грузинскаго,

[16] Отзывы епархиальных архиереев по вопросу о церковной реформе, ч. III, стр. 509-510.

но Имеретинскаго и Абхазскаго католикосатов.[17] Преосвященный Питирим, епископ Курский, признавая существование автокефальной грузинской церкви, находит необходимым ея возстановление.[18] По мнению Тихона Алеутскаго архипастырь Грузинский может носить титул католикоса.[19]

В заключение должны мы сказать, что никакия полумеры делу помочь не могут. Необходимо полное раскрепощение Грузинской церкви. Надеемся, что все ревнители церковнаго мира, помогут грузинам в мирном разрешении этого назревшаго и неотложнаго вопроса.

Кирион, Епископ Сухумский

1906. 23. V

დანართი №3

III. ეპისკოპოს კირიონის მიერ რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე წარდგენილი მესამე მოხსენება

КАКОЙ ИВЕРИИ ДАРОВАНА АВТОКЕФАЛИЯ В XI ВЕКЕ?

(Доклад III)

В первом своем докладе мы высказали, что соборным определением при антиохийском патриархе Феофилакте (744-751 гг.) дана Иверской церкви (Мцхетской католикосской кафедре) полная автокефалия и выдан ей *протрептикон* или утвердительная грамота. К такому заключению мы пришли на основании неподлежащих никакому сомнению

[17] Отзывы епархиальных архиереев, ч. II, стр. 322-323.
[18] Там же, ч. I, стр. 420.
[19] Там же, ч. I, №25; Макарий Акутский говорит даже об автокефальной митрополии в Иркутске, там же, ч. I, стр. 546.

компетентных свидетельств известнаго ученаго церковнаго писателя инока Ефрема Мцире, повествующаго на основании антиохийских хронографов и иеромонаха Дивногорскаго монастыря Никона.

По свидетельству Ефрема, подвизавшагося в Грузинском монастыре близ Антиохии: "Посланный в Грузию (Константином Великим) для крещения народа епископ, как найдено, был не кто иной, как святой Евстафий, патриарх антиохийский, который и рукоположил им (грузинам) католикоса-архиепископа. С этого времени – продолжает Ефрем – католикосы грузинские рукополагались в Антиохии, и церковь Грузинская, по опеределению царя (грузинскаго) и вельмож его, ежегодно отправляла антиохийскому патриарху доходы с имений 1000 семейств. Дань эта давалась за выкуп веществ святаго мира, освящавщагося только в Антиохии. Что же касается того – говорит далее Ефрем – когда сами грузины, согласно правилам и канонам церковным, стали рукополагать себе католикосов, то об этом мы нашли в хронографе антиохийском следующее: во дни Константина (императора), называемаго Скорым (741-775) и в патриаршество в Антиохии Феофилакта (744-751) пришли из Грузии два монаха – послы и сказали блаженнейшему Феофилакту, что христиане селений грузинских находятся в большой нужде, так как после дней блаженнейшаго Анастасия, священномученика и патриарха антиохийскаго (602-610), не был рукоположен для них католикос-архиепископ: трудность пути, занятаго агарянами, мешала этому. Выслушав послов, патриарх созвал собор архиепископов, митрополитов и епископов и пожаловал грузинам *протрептикон*, т. е. разрешительную, в силу каковаго документа собор грузинских епископов мог рукоположить себе в католикосы того, кого по воле Божией и по правилам церковным избирал собор тех же епископов. На этот же раз рукоположен им в католикосы один из двух присланных монахов именем Иоанн с тем, однако, условием, чтобы католикос понимал его, патриарха, на службах, и чтобы грузины каждый год платили святому антиохийскому престолу 1000 драконов вместо вышеупомянутых доходов с имений 1000 грузинскийх семейств. Эту сумму грузины платили антиохийскому престолу до дней патриарха Иоанна (987-1010), который предоставил ее Оресту (986-1006), святому патриарху Иерусалимскому, просившему о том царя греков Василия (976-1025). С этих пор (т. е. со времени Феофилакта) в Грузии только поминали (на службах) патриарха Антиохийскаго, проявлявшаго свою власть над Грузией лишь тогда, когда в ней возникали безпорядки и ереси; в таких случаях патриарх посылал туда экзарха, как то случилось во дни блаженнейшаго патриарха Феодора (1034-1042), пославшаго в Грузию Василия Грамматика

для искоренения ереси (акакиян?). Ефрем заканчивает свое "Известие" следующими, относящимися к Иоанну Квирикэ словами: не многие слова сии, разбросанныя во святых книгах, как некий собиратель семени (сеятель), собрал я во едино, по указу и желанию твоему, человек Божий, который знаешь, что многие много раз спрашивали нас относительно этих лиц и по незнанию своему впадали в заблуждение касательно нас, якобы самовольно отпавших от престола Великаго Петра, главы апостолов, т. е. от престола антиохийскаго".[20]

Современник указаннаго Ефрема, живший в XI же веке иеромонах антиохийскаго монастыря святаго Симеона Дивногорца – Никон, современник Ефрема Мцире, повествует следующее: "При Константине царе Копринимe (741-775), патриарху сущу блаженному Феофилакту, яко в нужди суть христиане сел Иверских, не имуща съборнаго епископа, от дний блаженнаго Анастасия священномученика, патриарха антиохийскаго (602-610) не поставлен быст им архиепископ съборный остроты ради путныя, и за еж не смети кому агарян ради мимо ходити. И съборным судом своим митрополит и архиепископ повелительное писание даст ивиром, поставлятись от епископ предела его, иж в дни тыя, съборному архиепископу иверьскому. По еж быти избранию от них, и сътворити и жребий, по жребию идеже божественная благодать объявит поставить того по церковному уставу; и сътворша написание въспоминание сшедыйся събор и запечатлев дасть им, и поставити единаго от обою посланию мниху Ивана именем... Установлено бысть в споминание имети патриарху антиохийскому единому в Иверии, и посылать эксарха на посещение о ересех и истязание о душевных соблазнах и взимать уряжденая от сел онех... В последных же временех при Константине царе Мономахе (1042-1064) и блаженнем патриарси антиохийстем кир-Феодоре (1034-1042) возниче плевелом сеятель, некыи от епископов в Иверии, тем же и различна послания кир-Феодор и с кувуклисием посла в Иверию, исправив вся иж тамо божественных отец и епископ; яж послания зде обретаются в Чюдотворце святем Симеоне (т. е. в монастыре святаго Симеона) у игумена кир-Феодора, посланьми, в тогдашнее время, бывшее съборному иверийскому кир-Иоанну".[21]

Таким образом приведенныя достоверныя свидетельства не позволяют усумниться в том, что дарована полная независимость католикосату верхней Карталинии в половине VIII века (около 751 года). Но есть другое более позднейшее известие, о достоинстве котораго распространяться здесь не станем, сообщающее нам о даровании Иверской же церкви

---

[20] Церковный музей грузинскаго экзархата, №24**; Ф. Д. Жордания**, Хроника, т. I, стр. 75-77.
[21] Три статьи к Русскому палестиноведению, изданныя архим. **Леонидом**. Православ. Полест. Сбор. стр. 47-49.

автокефалии в XI веке. Мы разумеем свидетельство арабскаго священника Михаила Брека, которое помещает он в списке антиохийских патриархов, составленном им в 1767 году. Вот и самое свидетельство Михаила Брека: "Когда пришли к патриарху Петру III (1053-1057) грузины, дабы получить от него рукоположение по древнему обычаю, и когда он узнал об них, что они претерпевают беды и большие ущербы от господствовавших тогда над ними языков, созвал собор архиереев своих и рукоположил им *другого кафоликоса вместо кафоликоса армянскаго, уклонившагося от нашего догмата*, и установил, чтобы он рукополагал епископов в те страны и был бы самоглавен, но в молитвословиях вспоминал бы антиохийскаго патриарха, как это делал и первый кафоликос, рукоположенный для иверцев антиохийским патриархом Феофилактом, о чем мы говорили прежде".[22]

В. Н. Самуилов, полагая, что иверской церкви была дана два раза одинаковая автокефалия в смысле полной независимости от антиохийскаго престола: первая при патриархе Феофилакте в поливине VIII века и вторая при Петре III (1052-1062), находит странным это обстоятельство.[23] Многие из грузинских писателей вполне основательно и пунктуально опровергли возражения г. Самуилова, стараясь защитить и отстоять прерогативы и честь своей родной церкви, только относительно друкратнаго получения иверскою церковью автокефалии никто из них не мог дать удовлетворительнаго объяснения. Кажущаяся, по видимому, странность, как увидим ниже, не набрасывая, однако, никакой тени сомнения на безспорную автокефалию нашей церкви, лишний раз доказывает, что означенный вопрос возбужден не с целью его безпристрастнаго освещения в интересах науки, а для осуждения и осмеяния одной из древнейших православных церквей.

Мы предполагали, что указанное недоразумение надлежащим образом разъяснить Ф. Д. Фордания – лучший знаток истории отечественной нашей церкви и он, действительно, довольно близко подступил к разрешению этого вопроса, указав на православных армян в Артануджской и смежных областях.[24] Но будучи очень близок к цели, г. Жордания чем-то смутился и моментально свернул с прямого пути и стал витать в области предположений. Его примеру поспешили последовать священник о. Кл. Цинцадзе[25] и Toncmelis.[26] Не имея ныне под руками необходимых источников, и вследствие этого будучи лишены возможности

---

[22] Список этот в русском переводе помещен доктором эллинской словесности преосвященным Порфирием Успенским в трудах Киевской духовной академии 1874 г., ч. II, стр. 416.
[23] **В. Самуилов**. "Церк. Вед.", 1906 г. №1.
[24] **Ф. Д. Жордания**. Краткия исторические сведения об автокефалии грузинской церкви, стр. 13.
[25] Историческая справка об автокефалии грузинской церкви. "Дух. Вест. Грузин. Экзархата", 1906 г. №7, стр. 16-28.
[26] **Toncmelis.** Правда об автокефалии грузинской церкви (ответ г. В. Самуилову и К°). Кутаис, 1906 г.

более подробно разследовать этот важный вопрос, мы на сей раз ограничиваемся кратким его выяснением, оставляя за собою право вернутся к нему, когда обстоятельства будут нам благоприятствовать.

Кто внимательно проанализирует свидетельство М. Брека, тот убедится, что оно относится не к Мцхетской католикосской кафедре, имевшей непрерывной ряд своих католикисов в указанном периоде,[27] а к какой то другой Иверии, – да и самое выражение "как это делал и первый католикос, рукоположенный для иверцев", ясно показывает, что здесь говорится об Иверии, но не о нашей...

Вторая автокефалия, служащая для многих камнем преткновения, дарованная также Иверии в половине XI века при патриархате Петре III (1051-1062), о котором, по словам М. Брека, будто свидетельствует византийский историк Георгий Кедрин,[28] – относится не к нашей верхней Иверии, а к одноименной другой Иверии, существование которой многие и не подозревают.

Дело в том, что кроме древнейшаго царства Иверии (Картли), в которой были последовательно столицами Мцхет и Тифлис, была и вторая Иверия, появившияся значительно позже в VII-VIII веках. Это молодое царство стало особенно усиливаться с VIII века, благодаря политическому такту и мудрому правлению Арданудженских Грузинских Багратидов Ашота Куропалата (787-826) и друг., которые еще в VIII веке возсоединили с православием много армян монофизитов в Кларджеты, Тао и Арданудженки.[29] Благодаря своему центральному местоположению и сильной крепости г. Арданудженки быстро возвысился и обогатился. Историк Константин Порфирородный считает его обширным, укрепленным и торговым городом грузинской области, куда в его время стекались товары Трапезунта, Иверии, Аварии и всей Армении и Сирии.[30] Вследствие плодотворной миссионерской деятельности грузин, стали появляться в смежных с Грузией провинциях, населенных преимущественно армянами, православныя грузинския епархии: Анийская, Карсская и Алашкерская.[31] В этих местах и теперь много памятников грузинскаго церковнаго зодчества, свидетельствующих о торжестве там православия. В X веке это царство Арданудженских

---

[27] Свящ. **П. Карбелов.** Иерархия Грузинской Церкви, стр. 46-66.
[28] Оказывается, что в "Синопсисе" Г. Кедрина этого свидетельства нет. **С. Горгадзе**. "Дух. Вест. Груз. Экзархата", 1905 г. №21-22, стр. 44.
[29] **Н. Марр**. Аркаун, монгольское название христиан в связи с вопросам об армянах-халкидонитах, стр. 6, 7, 17, 21, 22, 32.
[30] Сочинения **Константина Порфиророднаго** "О Фемах и народах", с предис. Г. Ласкина, Москва, 1899 г. стр. 169.
[31] **Д. З. Бакрадзе**. Археологическое путешествие по Грузии и Анчаре, стр. 81.

Багратидов достигло зенита своего могущества при знаменитом царе Давиде великом Куропалате,[32] отправившем, по единогласному свидетельству грузинских, греческих и армянских источников,[33] в 976 году 12.000 отборнаго грузинскаго войска на выручку Визатии против возмутившагося Барда Склероса. В состав этого царства входили области верхней Карталинии: Кларджеты и Тао. Во к этой то Иверии, населенной главным образом грузинским племенем, и относится вторая автокефалия.

Будучи бездетным, Давид Куропалат (†1001 г.) завещал свои земли Византийскому Императору Василию II, который и обратил их в пограничную фему, оставив за ней прежнее название Иверии, которая постепенно увеличивалась. Она играла весьма важную роль в деле расширения восточных границ Византии за счет грузинских и армянских владетельных домов. Резиденция Иверской Фемы, после присоединения к ней г. Ани, была перенесена в этот бывший некогда столичный город Армении, а потом в Карс. Вот почему и встречается свидетельство об уклонении в Иверии армянскаго православнаго католикоса в монофизитскую ересь и о постановлении на его место православнаго католикоса.

Побудительным мотивом для испрошения самостоятельнаго католикоса, несомненно, послужило то обстоятельство, что новая Иверия, политически составляя отдельную единицу, и в церковном отношении имела законное право освободиться от зависимости от антиохийскаго престола, находившагося в то время в подчинении у арабов.

При Михаиле Пафлагоне феме Иверии приходилось вести счеты с грузинским царем Багратом IV (1027-1072 гг.), заявившим свои династическия права на эту фему и потом смотревшим недружелюбно на приобретения, какия делала Византия на востоке. С конца XI, а особенно с XII века, фема Иверия заметно клонилась к упадку. В XI веке южная часть фемы Иверии была завоевана турками, а спустя некоторое время значительная ея территория присоединена к царству грузинскому. При Диогене Иверская фема не существует более, пограничной фемой вместо нея был Феодосиополь.[34]

И так, вторая автокефалия, которая смутила многих, дарована не Иверской Мцхетской кафедре, а Иверии Арданудженских и Тао-Кларджетских Самцхийских Багратидов, большая часть которой впоследствии обращена была в фему Иверии, имевшую после падения фемы

---

[32] Этого славнаго венценосца свящ. о**. К. Цинцадзе** совершенно несправедливо относит к династии Багратидов Абхазских. "Духовн. Вест. Груз. Экзар." 1906 г. №7, стр. 26-27.

[33] **Вахушти.** История Грузии, стр. 139; **Д. Бакрадзе**. История Грузии, стр. 240-242; Записки общ. люб. Кавк. археол. кн. 1, стр. 70.

[34] **Н. Скабаланович.** Византийское государство и церковь в XI веке, стр. 205-209; **Константина Порфиророднаго.** "О Фемах и народах".

Халдии (у юго-восточнаго берега Чернаго моря) весьма важное значение в жизни Византийской Империи.

Кирион, Епископ Сухумский

1906. 4. VI

დანართი №4

IV. ეპისკოპოს კირიონის მიერ რუსეთის
საეკლესიო კრების წინარე თათბირზე
წარდგენილი მეოთხე მოხსენება

НАЦИОНАЛЬНЫЙ ПРИНЦИП В ЦЕРКВИ

(Доклад IV)

В двух первых докладах мы разсмотрели вопрос об автокефалии Грузинской Церкви с трех сторон: исторической, канонической и практической. Для полнаго и окончательнаго обоснования, выдвинутаго грузинским племенем своего церковнаго вопроса, считаем нужным воспользоваться еще одним весьма важным каноническим аргументом – мы разумеем 34-е правило святых апостолов. На основании этого правила мы намерены в настоящем своем докладе осветить еще раз грузинский церковный вопрос с правовой стороны.

Грузия (Иверия), составлявшая до 1811 г. особую самостоятельную церковную область, и помимо тысячелетней автокефальности своей церкви, имеет право на независимое существование своей национальной Церкви на основании принципа народности в церкви, провозглашеннаго при начале христианской эры. Национальный принцип, как известно, был признан Церковью еще в начале ея истории: достаточно вспомнить о сошествии святаго духа на апостолов, которые стали тотчас же славить Бога на различных языках и затем проповедывали Евангелие язычникам, каждому на их природном языке.

Для Церкви одинаково дорог всякий истинно верующий, независимо от того, к какому племени и национальности он принадлежит. В этом именно смысле и сказано в слове Божием, что для Церкви нет ни иудеи, ни эллина, ни варвара, ни раба, ни свободнаго. Но из этого было бы ошибочно заключить, что Церковь не признает национальных различий даже и постольку, поскольку они не противоречат высшим христианским идеалам.

Основное каноническое правило, которым признано значение национальности по отношению к церковному устройству, есть известное церковным канонистам 34-е апостольское правило, которое предписывает: "епископам каждаго народа подобает знати перваго из них и признавати его, яко главу"... По прямому смыслу этого правила в православной Церкви каждая национальность должна иметь своего высшаго предстоятеля духовнаго чина.

Более глубокое изъяснение приведеннаго правила находим в апостольском учении о Церкви как живом теле Христовом. "Согласно этому учению все христианское человечество, говорит известный глубокий мыслитель В. С. Соловьев, представляет собою один многообразный и во всех своих частях солидарный организм. Итак как человечество состоит из племен и народов, то эти племена и народы являются как великие органы вселенскаго организма, в общей жизни котораго каждый орган находит свободное место для своей особенной жизни восполняя собою все другие органы и ими восполняемый".[35] Такая федеративная система дала нашей восточной Церкви значительныя преимущества с национальной точки зрения. Каждая Церковь, кроме единства в догмате и существенных вещах, имеет свою особую физиономию, сложившуюся законно-историческим путем и не противную духу вселенской Церкви.

---

[35] Собрание сочинений **Влад. Серг. Соловьева**, т. IV, стр. 69-70.

Народныя религиозно-бытовыя и индивидуальныя особенности и местныя церковныя традиции, о сохранении которых предписывают соборныя определения,[36] получают весьма важное значение с точки зрения церковной свободы. "Ни одному народу, говорит В. С. Соловьев, не может принадлежать в Церкви исключительное преобладание и господство, но вместе с тем ни один народ не есть пустой и безразличный материал церковной жизни, но каждый представляет собою определенный деятельный орган вселенскаго тела Христова".[37] Следовательно в церковном отношении каждый народ должен пользоваться свободою само-определения. "Национально-церковныя стремления к самостоятельности, с сохранением в то же время вселенскаго единения, определенно сказались, писал проф. М. Г. Ковальницкий – ныне Димитрий, архиепископ Херсонский и Одесский, прежде всего на востоке. Здесь национальныя церкви вследствие исторических условий, были, правда, пригнетены, доведены до потери самостоятельности, но усилия со стороны преобладающей национальной церкви убить в них чувство независимости, сознание права развиваться по законам своего народнаго духа, в исторически сложившихся национальных условиях, никогда не имели здесь полнаго успеха, в самом живом, в свободном духе вселенскаго православия, во имя котораго пытались поработить и поглотить их, был залог их оживления и освобождения... Церковь болгарская, после тяжких испытаный и борьбы, близка к осуществлению своих заветных стремлений без нарушения *мира* и *любви* (?!) христианской. Порабощенная церковь сиро-арабская все настойчивее заявляют свои права на национальную самобытность. Церкви армянская, сиро-яковитская и персо-халдейская, давно тоже, благодаря печальным обстоятельствам, отделившияся от вселенскаго единства, ищут возсоединения, но без нарушения своих прав национальных и исторически сложившихся".[38] Приведенныя суждения философа-богослова В. С. Соловьева и глубокаго знатока древней церковной истории профессора М. Г. Ковальницкаго вполне согласны с христианским воззрением на Церковь, в которой не должно быть рабства, так как из всех видов рабства[39] церковное самое тяжелое, ужасное и пагубное, влекущее за собою лишение многих добрых сторон христианской жизни.

---

[36] См. 39-е правила Трулльскаго собора. Деян. вселен. соб. изд. при Казан. дух. акад., т. IV, стр. 297.
[37] Собр. соч. **В. С. Соловьева**, т. IV, стр. 70.
[38] Проф. **М. Г. Ковальницкий**. О значении национальнаго элемента в историческом развитии христианства, Киев, 1880 г. стр. 3-4.
[39] Половину добродетели отнимает широковещающий Зевс у человека, когда его постигает день рабства. Одис., кн. XVII, стр. 322-323.

В христианской Церкви все народы равноправны между собою, и потому никто из них не должен претендовать на исключительныя привилегии в ней. Единение между церквами и народами должно произойти на принципе равенства, а не поглощения. Все народы христианскаго мира имеют одинаковыя права на церковную эмансипацию, и потому, принципу равенства нисколько не противоречит взаимная раздельность наций друг от друга, происходящая от разнообразия религиознаго характера христианских народов.

Принявшие христианство народы не все одинаково усвоили его возвышенное учение, из него каждый брал только те элементы христианской жизни, которые были ему под силу по своему умственному и нравственному укладу. *Латинския нации* (католики) развили у себя строгую церковную организацию и создали высокохудожественное зодчество. *Греки*, опытные в диалектических тонкостях, выработали сложную и строго обоснованную догматику. *Русские*, приняв христианство, развили, главным образом, дисциплину и устав церковный, внешнее благоление довели до высшаго развития. *Грузины* же, охристианизировав свои вековыя национальныя верования и проникшись вполне духом христианства, придали ему симпатичныя черты своего характера: скромность, простоту, сердечность, самоотверженность, незлобие и устойчивость. В таких почти выражениях характеризует грузин и их национальную церковь грузинский ученый католикос Николай I (1149-1160).[40]

Восприняв неодинаково христианство в смысле усвоения высоты и полноты его небеснаго учения, тем не менее, все просвещенные христианством народы, как члены одного тела Христова, стремятся к достижению одной общей для христианскаго человечества цели – к осуществлению царства Божия в мире. Отсюда естественно, что разнообразныя племена, исповедующия божественное учение Христа, должны внести в эту общую сокровищницу перлы своего национальнаго труда, так как каждый из них имеет в этом обще-христианском деле свою собственную долю.

Но имея общую задачу, каждый народ не только не обезличивается, не лишается племенных своих отличий, напротив, стремится достигнуть религиозно-нравственнаго своего усовершенствования на национальной почве, своими национальными условиями. Язык, как главный фактор и хранитель национальных особенностей, был освящен церковью Христовою, как выше заметили, в самом начале ея основания. На востоке в первые века христианства богослужение совершалось на языках: греческом, латинском и сирийском отнюдь не потому, чтобы в Церкви Христовой этим трем языкам было предоставлено исключительное гос-

[40] Свящ. **П. Карбелов**, "Иерархия Грузинской церкви", ч. I, стр. 67-70 (на грузинском языке).

подство, а потому что языки эти были общеупотребительными среди тогдашних христианских народов: в одних местах древне-христианскаго мира был общеупотребительным язык сирийский, в других – греческий, в третьих – латинский. И этот совершенно неизбежный при тогдашних обстоятельствах порядок вещей с течением времени превращен был ревнителями папскаго полновластия в триязычную ересь. Римские миссионеры доказывали, что слово Божие можно проповедывать только на трех языках: еврейском, греческом и латинском, так как на кресте была надпись только на этих трех языках.[41]

Но Церковь вселенская, оказывая постоянно покровительство каждой нации, тем самым признавала их отдельное существование, обособление[42] и узаконила право каждой народности иметь свою собственную церковь с национальной иерархией во главе.

И первоначальное разделение пределов церковнаго управления было вызвано различием принадлежащих к церкви народностей и совпадало с их территориями. Это воззрение лежит в основе церковных правил и оно санкционировано соборными определениями. Следовательно, требование себе отдельнаго самоуправления (автокефалии) каким бы то ни было народом на основании его *отдельности* не только не предосудительно, напротив оно вполне законно. Противозаконным мы считаем антиканоничное (8 пр. I всел. соб., 35 пр. св. апостол.), неимеющее в церковной практике примера, стремление болгар, чтобы в городах со смешанным православным населением, греческим и болгарским, было непременно по два епископа – свой особый для греков и особый для болгар. Это противоцерковное стремление филетизм или эфнофилетизм (слово сложное из греческих слов – етнос – народ и "филетисмос" – племенность, от "филон" – род, колено, племя), т. е. внесение в Церковь племенных делений, двоевластия, распрей и вследствие этого вторжение в область церковнаго единства, доселе неведомое истории между церковных отношений, справедливо осуждено в 1872 г. Константинопольским собором.

"В каком величаво-спокойном виде выступает, говорит профессор М. Г. Ковальницкий, наша русская церковь! С каким достоинством и в то же время участием и любовью, она протягивает руку помощи ищущим *древняго отечества*! Наша церковь не нуждается в восхвалениях ея сочувствия к правам и уважения к особенностям национальных церквей".[43] –

---

[41] См. нашу статью: Перевод священно-богослужебных книг на грузинский язык и значение его для церкви Грузинской. "Пастырь", 1892 г. №№3-4, стр. 5-6.

[42] **О. Н. Покровский**. "Единство и обособление". "Дух. Вест. Груз. Экзарх." 1906 г. №4.

[43] Проф. **М. Г. Ковальницкий**. "О значении национальнаго элемента в историческом развитии христианства", стр. 42.

Идеал вполне христианский; подобная деятельность похвальна. Если до сих пор русская церковь не имела случая в пределах обширной и многоязычной империи проявить это на деле, то теперь прекрасный случай представляет ей грузинский церковный вопрос, разрешение котораго послужит лучшим показателем уважения русской церкви к освященным канонически церковно-национальным правам старшей своей сестры – Грузинской Церкви.

Если Россия старается дать антиохийской патриаршей пастве природнаго сиро-араба архипастыря, то на основании приведенных нами доводов и 34-го апостольскаго правила она обязана дать свое согласие и грузинам, как отдельному народу, на возстановление своей национальной церкви.

Грузины, указывая строго очерченную границу своей церковной области, желают возстановить автокефалию своей национальной церкви в бывших пределах юрисдикции мцхетскаго и всея Грузии католикосата. Отказывать грузинскому народу в подобном каноническом требовании по меньшей мере незаконно. Прошлая славная жизнь Грузинской Церкви и ея несомненныя заслуги для христианства[44] дают ей и впредь полное право на независимое существование. Смеем надеяться, что в своем законном стремлении грузины встретят полное сочувствие и поддержку среди всех православных автокефальных церквей и тем докажут миру, что православная Церковь действительно есть наилучший друг свободы и благодетельница человечества.

Кирион, Епископ Сухумский

[1906 წლის ივნისი]

[44] **Е. К**. "Назревший вопрос". стр. 1-28.